კვირის პალიტრა

ფეხი

N50 (288) 15/XII.-21/XII.2005.

ფასი 60 თ.

როგორ აპირებდა აკაკი ჩხაიძ „ლოკომოტივისთვის" ედუარდ შევარდნაძის სახელის მინიჭებას

რაში ჩადო ბიძინა ივანიშვილმა 400 ათასი დოლარი ანუ გადასალები მოედნის აულუარული ამბები

1168
2005

ექსკლუზიური ფოტო — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი..."

ბიბი უბილავას პირადი ფონდი, ოფსაიტში დარჩენილი უბინაო თბილისელები

და... „ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ..."

თემა — 100-ოდე თბილისელი სხვისი გულით ცხოვრობს...

სასტუმრო **მელისი**

ბაკურიანი

ფამილიარული ოჯახური სასტუმროს
და ჯანმრთელობის სამსახურში

ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686

E-mail: hotel_melisi@yahoo.com

ქვირის პალიტრა
ეზო
№50 (288)
15 — 21 დეკემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ცხოველები მერიაში(?) და შეპირებული სიამოვნება 3
ერთი კითხვა 4
დედაქალაქი
ოფსაიტში დარჩენილი უბინაო თბილისელები... 6
კადრს მიღმა
რაში ჩადო ბიძინა ივანიშვილმა 400 ათასი დოლარი... 8
ეკონომიკა
ფრთხილად, სიცოცხლისთვის საშიშია!.. 12
კრიმინალი
- „ჩემი ქალიშვილი ქმრის ოჯახში გაუპატიურების მსხვერპლი გახდა“ 13
- „ცოლი მე არ მომიკლავს, დედაჩემმა მოკლა“ 15

საზოგადოება
„მჯერა, რომ ანაც გაივლის“ — მშობელმა შვილი რომ არ მიატოვოს... 17
გზავნილები
შეეფერება თუ არა კონკია უფლისწულს ანუ ჭორიკანებო, გვაცალეთ სიცოცხლე! 19
თემა
გული — ბრძნობათა კიდობანი, სიცოცხლის გარანტი, უბრალოდ კუნთი 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
ტკივილი
კაცი, რომელმაც თავისი წილი აფხაზეთი დაიბრუნა 26
სახე
„შუა საუკუნეებში რომ დავბადებულიყავი, კარგი მეომარი ვიქნებოდი“ 27
სცენა
პროფესია, რომელიც ცნობილია თავისი „სისხლისმსმელობით“... 28
ჯანმრთელობა
- როგორ ვებრძოლოთ ხველას 30
- ქალთა დეპრესია — გამოსავალი არსებობს! 31

რეკორდები
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები 32
დღესასწაული
- თუკი რწმენითა და სასოებით შევთხოვთ წმინდა ბარბარეს შემწეობას, უცარი სიკვდილისგან ვიქნებით დაცულნი 34

ფრთხილად, სიცოცხლისთვის საშიშია!..

ოფიციალური სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად უხარისხო ალკოჰოლური სასმელებით 1000-ზე მეტი ადამიანი იღუპება. გარდაცვალების ძირითადი მიზეზები თირკმლების, კუჭის, ღვიძლისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია.

12

რაში ჩადო ბიძინა ივანიშვილმა 400 ათასი დოლარი...

„ფილმი შინაარსობრივად, გარკვეულ პერიოდს ასახავს, ამიტომ ჰქვია „მიდიოდა მატარებელი“. გახსნილად რომ ვთქვა, ეს იყო ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ეპოქა. სიუჟეტის მიხედვით კი, თბილისიდან ბათუმში მიდიან „ჟულიკები“ და ათასნაირი მამაძაღლი“.

8

„შუა საუკუნეებში რომ დავბადებულიყავი, კარგი მეომარი ვიქნებოდი“

„პირველი სტერეოს“ ერთ-ერთმა რეიტინგულმა წამყვანმა, ციკო მამაცაშვილმა ტელეკომპანია დატოვა. როგორც თვითონ ამბობს, ამჟამად ტაიმ-აუტი აქვს აღებული. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, შეყვარებული არასოდეს ჰყოლია, თუმცა ამბობს, რომ მთელი ცხოვრება „შეყვარებულია სიყვარულზე“...

27

„...ყველა ქვეყანაში მომღერლებს ხელისგულზე ატარებენ“

„ვფიქრობ, დღეს პოპულარული მომღერალი არავინ არის. არ ვიცი, რა მოხდა, ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი მხრიდან ხარისხი არ გამიუარესებია“, — ამბობს ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი სტეფანე მღებრიშვილი.

58

- ვინ იყო წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი? 35

ეროვნული

მამისგან მალულად გატანილი თოფი, ტახების მასობრივი ქლეტა თურქეთში და თევზაობისას ჩაძირული „ქიგული“ 36

ტესტი

ერთგული მკითხველი 37

ვარსკვლავი

ორნელა მუტი – მსახიობი, რომელსაც ენაზე კბილის დაჭერა ეხერხება 38

ბომონდი 39

ბუმბერაზები

როგორ გაეპარა მშობლებს და რატომ გარიცხეს თეატრალური სტუდიიდან სერგო ზაქარიაძე 41

რომანი

რუსულად ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

შეჩერებული წამი

მუზა, რომელიც ლეგენდად დარჩა... 47

ასპარეზი

როგორ აპირებდა აკაკი ჩხაიძე „ლოკომოტივისთვის“ ედუარდ შევარდნაძის სახელის მინიჭებას 48

პალიტრა

„სიზმრად ნანახი ფერები ცხადში გადმომაქვს...“ 51

შეუცნობელი

- ფარაონის სამარხის წყევლა 52
- დროში ჩაკარგულნი 53

სიყვარული

სიყვარული, რომელიც ტყვეობას ჰგავდა (დასასრული) 54

ავტო 57

შოუბიზნესი

„...ყველა ქვეყანაში მომღერლებს ხელისგულზე ატარებენ“ 58

ასტროლოგია

როგორ „დავინახოთ“ მშვილდოსანი 59

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

სუფევს თუ არა თქვენში „სიკეთის გენი“? 63

...და ბოლოს 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როგორ აპირებდა აკაკი ჩხაიძე „ლოკომოტივისთვის“ ედუარდ შევარდნაძის სახელის მინიჭებას

ვაკის არენას დღემდე „ლოკომოტივი“ ერქმეოდა, ცნობილ ქართველ ჟურნალისტ დემიკო ლოლაძეს, ლეგენდარული მარცხენა გარემარბის სახელის უკვდავსაყოფად, შესაშური შემართებით რომ არ ებრძოლა.

48

მსახიობი, რომელსაც ენაზე კბილის დაჭერა კარგად ეხერხება

პუბლიკაცია იმდენად ამაზრზენი იყო, რომ იტალია სკანდალის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ ორნელამ განქორწინება არ მოისურვა. იქნებ იმიტომ, რომ შვილებისათვის მამა შეენარჩუნებინა?! მაგრამ ქმრის ღალატს ორნელამაც ღალატითვე უპასუხა და ადრიანო ჩელენტანოსთან რომანი გააჩაღა...

38

რატომ გარიცხეს თეატრალური სტუდიიდან სერგო ზაქარიაძე



ყველაზე დიდი სიხარული „ოტელომ“ მოჰგვარა. ყველაზე დიდი მწუხარება – „ჭიქა წყალმა“. პლასტიკის გაკვეთილის დაწყებამდე, სტუდიელები ქალბატონ ელენტთან (პედაგოგი გახლდათ) მოსკოვის მცირე თეატრზე კამათობდნენ. სერგო იმ მომენტში მიეიდა მათთან, როდესაც მასწავლებელმა წარმოთქვა მისთვის საბედისწერო ფრაზა: „ჭიქა წყალი!“...

41

თქეში

ლანამ არჩვაძეს გიზოს მოულოდნელი სტუმრობის ამბავი აუწყა.

– რას მეუბნები?! – გამხიარულდა იგი. – გამოდის, რომ ლამის მთელმა ძველმა განყოფილებამ რაჭაში მოვიყარეთ თავი?.. ისე, ამ ზამთარში მაინც რამ ჩამოიყვანა!

– ფულის სუნი ეცა, ჩემო ბატონო, ფულის!

43

ცხოველები მერიაში(?) და შეპირებული სიამოვნება...

ქართულ პოლიტიკას ბევრ სხვა უნიკალურობასთან ერთად, კიდევ ერთი უცნაური თვისება — თავმდაბლობა ახასიათებს. ანუ, ნებისმიერ საკითხზე კამათობს ყველა, ეხება თუ არა ეს, გარდა იმისა, ვისზეც ან რაზეც მიდის ეს კამათი. მაგალითად, გლდანი, გზების გაკეთებაშიც, ტკბილი ლუკმასავით ბოლოსთვის მოიტოვეს. მანამ კი, მიდიოდა გაუთავებელი დავა, გავაკეთოთ თუ არაო. მხოლოდ თვითონ გლდანის გზა იყო ჩუმად. ან კი რას იტყოდა, როცა თევზის არ იყოს, პირი ანუ ორმოები მუდამ წყლით აქვს სავსე.

ასე გვჭირს მერების „არჩევითობა-დანიშვნითობაზეც“: ოპოზიცია გაიძახის, მერი ხალხმა უნდა აირჩიოსო, ხელისუფლებაც ამას გვპირდებოდა, სანამ ხელისუფლება გახდებოდაო (ვეღარ გაიგო ამ ხალხმა, რომ ხელისუფლება და არახელისუფლება სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქვემოთ ერთს ფიქრობ, მაგრამ „ზემოდან“ სულ სხვანაირად ჩანს ყველაფერი და სათქმელიც გეცვლება). ვერ გავიგე, რას ერჩიან თბილისის მერს?! მშვენიერი კაი ბიჭია. ბოლო-ბოლო, თბილისი კი არა, იმხელა გუბერნია ჩააბარეს და ექვს თვეში ვერ გააკეთა ის, რასაც წინა გუბერნატორები ორსამ წელიწადში ვერ აკეთებდნენ. ეს არაა კარგი შედეგი?! ჰოდა, დააწინაურეს და დედაქალაქი ჩააბარეს. მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო, 40 ტონა ყურძენი რომ ვაჭყლეტინეთ ფეხით საწნახელში?!

ახლაც ჩუმადაა და არ იღებს ხმას. იქნებ, თვითონაც არ უნდა მერობა, მაგრამ ვინ ეკითხება მერს, მერი იქნება თუ მინისტრი?!

მოკლედ, ამ საკითხის ირგვლივ მთელი ოპოზიცია გაერთიანდა — აქტიურიც და პასიურიც, არსებულიც და არარსებულიც. ისეთებსაც მოვკარი თვალი, რომ თავი სიზმარში მეგონა!.. ერთმა ისიც კი თქვა, ჩვენ ერთად ისეთი ძალა ვართ, რომ ხელისუფლებას ურჩევნია, დაგვნებდეს და ისიამოვნოსო...

ქალთა თავდაცვის კურსების ინგლისური სახელმძღვანელოს ინსტრუქცია გამახსენდა: „თუ თქვენ თავს დაგეესხათ მოძალადე და გაუპატიურებას გიპირებთ, ამოარტყით ფეხი მთელი ძალით ფეხებს შორის. თუ ამ ილეთმა არ გაჭრა, შეეცადეთ, თითებით თვალები ამოჩხაპნოთ. თუ ესეც ვერ მოახერხეთ, დანებდით და ეცადეთ, მიიღოთ სიამოვნება...“

ხელისუფლებამ კი უპასუხა — „აქ ვერ დაგნებდები, ხირხალ!..“ (მოკლედ, ის ღამე ოპოზიციამაც და „პოზიციამაც“ ოთარაანთ ზვინზე გაატარეს, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს). ხელისუფლების აზრით, ხალხი ჯერ არაა მზად, სწორი არჩევანი გააკეთოს და ამიტომ მერი მთავრობამ უნდა დანიშნოს. ვერ გავიგე, შენ და შენი პარტია რომ მოგიყვანათ სათავეში, მაშინ თუ არჩევდა ხალხი კარგს და ცუდს, ახლა რამ გადარია და დაუბნელა გონება ნეტავ?!

ისე, მთლად არასწორს არც ისინი ამბობენ: ზედმეტი არც დემოკრატია ვარგა, თორემ, ევროპის რამდენიმე ქალაქის მერების არჩევნებში თხამ, ბატმა და ვირმა მართლაც გაიმარჯვესო... (ალბათ, სხვა კანდიდატები უარესი ბატები და თხები იყვნენ და რა ექნა ამორჩეველს?). „მიკი მაუსიც“ კი გახდა აშშ-ის ერთერთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული, მაგრამ კი ვხედავთ, როგორი ქვეყანაცაა დღეს.

ჰოდა, მართლა ხომ არ დავნერგოთ ეს პრაქტიკა საქართველოშიც? რატომაც არა: ზოგიერთი პოლიტიკოსი ისეთია, ორ ბატს ვერ ანდობ და მე ბატები მინახავს, რომ ჩაუდგებიან სათავეში ორასბატიან გუნდს, ისე მშვიდობინად ჩაჰყავთ თბილ ქვეყნებში „ჩარტერული რეისით“, რომ ბევრ ტურისტულ სააგენტოს შეშურდება!..

რითაა ახლა ეს აზრი ცუდი?! იყოს ყველა თანამდებობა არჩევითი და თუ ზოგ ქალაქში რომელიმე ოთხფეხა მეგობარს აირჩევს ხალხი მერად, ზოგ რაიონში კი ფრინველს — საკრებულოს თავმჯდომარედ, ე.ი. სჯობდა ის ცხოველი ან ფრინველი სხვა კანდიდატებს.

შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოებში გაჩნდება: „ფრაქცია წყვილ-ჩლიქიანები“, „უხერხემლო ხერხემლიანთა ფრაქცია“ და ა.შ. ბოლო-ბოლო, ამით იმდენ ტურისტს მოვიზიდავთ და იმდენ ფულს ვიშოვით, რომ „ჩვენს ბედს გამგებელი არ დაჰყეფს“!..

P.S. თათბირი მერიაში:

— რა ხდება მოსახლეობის საკვებით მომარაგების საკითხში?

— პრობლემა მოხსნილია. შემოვიტანეთ სიმინდი, ხორბალი, ფეტვი და ქატო...

— კარგია, შეიტანეთ ოქმში... ვინ წერს ოქმს, სადაა მდივანი?

— კვერცხს დებს და მოვა...

პროვოკატორი

„ამ ეტაპზე მთავარია, არ მოხდეს პროცესის გაჭიანურება“

— საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ედუარდ კოკოითი სამშვიდობო გეგმას იზიარებს. როდის იგრძნობს უკიდურესად მძიმე პირობებში მყოფი რეგიონის მოსახლეობა რეალურ შედეგს?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— ლუბლიანაში 55-მა ქვეყანამ გამოხატა საქართველოს სამშვიდობო გეგმის მხარდაჭერა. აშშ-სა და ეუთოს აქტიურობის გათვალისწინებით, ეს საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ მოსკოვსა და კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლებას ეღიარებინა: ცხინვალის რეგიონში მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია. კოკოითი სწორედ ჩვენ მიერ შეთავაზებული გეგმის ფარგლებში საუბრობს დემილიტარიზაციასა და ნდობის აღდგენაზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი გეგმა დროში კონკრეტულად არის გაწერილი, კოკოითის წერილში კი, ძირითად მიმართულებებზეა ლაპარაკი. ამ ეტაპზე მთავარია, არ მოხდეს პროცესის გაჭიანურება. ცხინვალის რეგიონში 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს — როგორც ქართველები, ისე ოსები. მათ ნორმალური ცხოვრების პირობები სჭირდებათ. გეგმის რეალიზება უკვე დაწყებულია და ის 15-18 თვეზეა გაწერილი — საერთაშორისო საზოგადოებამ სწორედ ამ ვადებს დაუჭირა მხარი და შედეგის მისაღწევად, სწორედ ეს პერიოდია საჭირო. ამ პროცესში რუსეთის დიპლომატიურმა წრეებმაც დიდი როლი ითამაშეს. საქართველოს არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა გარდაუვალი გახდა.

■

„აღნიშნული კანონპროექტი ჩიხში მოგვამწყვდევს და უკან დაბრუნების საშუალებაც აღარ იქნება“

— რა შედეგს ელიან მეცნიერები „მდუმარე აქციისგან“, რომელიც პარლამენტის წინ გამართეს?

მარიკა ლორთქიფანიძე, *აკადემიკოსი:*

— მეცნიერებმა ქუჩაში გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილება მაშინ მივიღეთ, როცა დავრწმუნდით, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. განათლების სისტემა რეფორმირებას რომ საჭიროებს, ამაზე არ ვდაობთ, მაგრამ სტრუქტურული ცვლილება მეცნიერების ლიკვიდაციით ხომ არ უნდა დასრულდეს. პირველ რიგში, ჩვენ ვაპროტესტებთ აკადემიის სისტემიდან ინსტიტუტების გამოყვანას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად მათ გარდაქმნას. ვცდილობთ, დავარწმუნოთ მთავრობა, რომ აკადემია ინსტიტუტებთან ერთად უნდა არსებობდეს, რადგან ეს ინიციატივა არათუ მეცნიერებათა აკადემიას და მასში შემავალ ინსტიტუტებს, არამედ ზოგადად ქართულ მეცნიერებას ანგრევს. ჩვენ ვითხოვთ, თვით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მიეცეთ იმის გადაწყვეტილების საშუალება, დარჩნენ თუ არა აკადემიის შემადგენლობაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ განათლების სამინისტროს პრინციპულად არ სურს მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კანონპროექტით იდება ისეთი ნაღმები, რომლებიც ჩიხში მოგვამწყვდევს და უკან დაბრუნების საშუალებაც აღარ იქნება. სამწუხაროა, რომ მეცნიერებს ამის დასამტკიცებლად, ქუჩაში გამოსვლა სჭირდებათ — სხვა რა შეგვიძლია?!

■

„ხელისუფლება 2006 წლის არჩევნებს გაკოტრებული შეხვდება“

— თქვენი აზრით, თუ მერის არჩევითობას 30 ათასი ადამიანი მოითხოვს, ხელისუფლება დათმობაზე წავა?

აპაკი ასათიანი, *„სახალხო ფორუმის“ ლიდერი:*

— საზოგადოების ზეწოლა იმ ტიპის პარლამენტზე, რაც საქართველოშია, ძალიან ჭირს. თუმცა ხალხის აქტიურობა მაინც მნიშვნელოვანი არგუმენტია ხელისუფლებისთვის, რათა გაიგოს, თუკი საზოგადოებას უნდა მერი თავად აირჩიოს, მთავრობა უნდა დათანხმდეს. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ყველა თავისი წინასაარჩევნო დაპირება ავიწყდება. თუ ის მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევაზეც უარს იტყვის, 2006 წელს დანიშნულ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებს გაკოტრებული შეხვდება. შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დედაქალაქის მოსახლეობის პოზიციას. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები კოალიციას სწორედ იმიტომ ქმნიან, რომ აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის ნების გამოხატვა ორგანიზაციულად უზრუნველყონ და მოუწოდონ თბილისელებს, საკუთარი არჩევანის უფლება ხელმოწერების შეგროვების კამპანიაში აქტიურად დაიცვან. ჩვენს საზოგადოებას იმის განმარტება ნამდვილად არ სჭირდება, რომ „ზემოდან“ დასმულ მერს, რომელიც მორჩილებისთვის მიიღებს ამ თანამდებობას, ხალხის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული მერი სჯობია. თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, მაშინ 30 ათას პეტიციას მიიღებს, მაშინ კი ამ საკითხის განხილვა უსათუოდ მოუწევს.

■

„კოპაძის შემდეგ, ახალ კოპაძეს მივიღებთ...“

— ოპოზიცია ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვდა. რას ატყუებს ლექსო ალექსიშვილი საზოგადოებას?

დავით ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— ლექსო ალექსიშვილმა მინისტრობის ხანმოკლე პერიოდში მოახერხა, საზოგადოებისთვის იმაზე მეტი ტყუილი ეთქვა, ვიდრე ყველა მინისტრმა, ერთად აღებულმა — დაწყებული სანაოსნოს ტენდერიდან, როცა ალექსიშვილი ამბობდა, რომ ნილსენისთვის სანაოსნოს მიცემა წარმატების მომტანი იქნებოდა, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ეს ძალიან ცუდი გარიგება იყო; მეორე ტენდერის პირობების ამბავიც ალექსიშვილმა გვამცნო — როცა არარსებულ კომპანიას აძლევდნენ სანაოსნოს; ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ სად გაქრა ეს კომპანია, არავინ უწყის. რაც შეეხება აეროპორტის ტენდერს — ამ ობიექტთან დაკავშირებით, ალექსიშვილმა იმდენი ტყუილი თქვა, ყველაზე დიდ ცრუპენტელასაც რომ შეშურდებოდა. ბოლოს რა შედეგი მივიღეთ, ყველამ კარგად ნახა. ახლა მასწავლებლების საკითხი დადგა დღის წესრიგში და ნინო ბურჯანაძეს გამოუცხადა — პედაგოგთა მინიმალური ხელფასი 115 ლარი იქნებაო, მაშინ, როცა მასწავლებელთა დიდი ნაწილი 11-ლარიან ანაზღაურებას იღებს. კახა ბენდუქიძე ტყუილ-მართალს ერთმანეთში აზავებს და ისე აწვდის საზოგადოებას. მე არც ამის მომხრე ვარ, მაგრამ ალექსიშვილი მხოლოდ სიცრუეს ლაპარაკობს. ჩვენ ვეკითხებით პრემიერს — რაში სჭირდება ასეთი მატყუარა მინისტრი? უმრავლესობას, ალექსიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა არ სურს, თუმცა ვფიქრობ, ამ საკითხზე მაინც დაფიქრდებიან: თუ პენსიებთან დაკავშირებული ხმაურის შემდეგ, გარკვეულ კომპრომისზე წავიდნენ, ურიგო არ იქნება, უმრავლესობა ამ თემითაც დაინტერესდეს. ჩვენ მათი მხარდაჭერის გარეშე, ტყუილში ფავორიტ მინისტრს ვერ ჩამოვიშორებთ. ■

„მოძალადე პოლიციელები ისევ არიან განყოფილებებში“

— შს მინისტრი ირწმუნება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, დღევანდელის მსგავსი პროგრესი საქართველოში არასოდეს ყოფილა. თქვენ რა მონაცემები გაქვთ?

თეა თუთბერიძე, *თავისუფლების ინსტიტუტი:*

— 2005 წლის ივლისში, №1 საპყრობილეში სხეულის მძიმე დაზიანებით 43 ადამიანი შევიდა, აგვისტოში — 69, სექტემბერში — 57, ოქტომბერში — 66. ასეთი სტატისტიკის შემდეგ, გაუგებარია, რა მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს მერაბიშვილი, რომ უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, არნახულ შედეგს მივაღწიეთ. პატიმრები აცხადებენ, რომ დაზიანებები მიიღეს ან დაკავების პროცესში, ან წინასწარი დაკავების იზოლატორში. პატიმართა უმეტესობას დაზიანებები აღენიშნება ბეჭის, ზურგისა და საფეთქლის არეში, რასაც ისინი დაკავების პერიოდში იღებენ. ტელეგადაცემა „პატრულში“ ვნახე, როგორ ჩაარტყა პოლიციელმა დაკავებულს ხელი კამერების წინ. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. დაკავებისას ისინი იყენებენ გადამეტებულ ძალას, რაც პატიმართა დაზიანების ხარისხზე აისახება. როგორც ჩანს, მოძალადე პოლიციელები ისევ არიან განყოფილებებში და ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ეს არის ამ ადამიანების „მუშაობის“ სტილი. კვლავ გრძელდება ნარკოტიკებისა და იარაღის „ჩადება“, წამება „კაპეზეში“. სამართალდამცავი სტრუქტურების რამდენიმე თანამშრომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ცალკეული დამნაშავეების დასჯა შედეგს არ მოიტანს, რეაგირება თითოეულ ფაქტზე უნდა მოხდეს. ■

რუსეთში ახალი „ქართული“ რევოლუცია იგეგმება?..

— ბოლო დროს, ძალზე აქტუალური გახდა საუბარი ჯემალ გოგიტიძისა და იგორ გიორგაძის ტანდემზე; გოგიტიძე ახალ რევოლუციას არ გამორიცხავს... ხომ არ გქონიათ ბატონ ჯემალთან კონტაქტი და ხომ არ იცით — რა იგეგმება მოსკოვიდან?

ელიზბარ ჯაველიძე, *პარლამენტის ყოფილი წევრი:*

— მე და ჯემალ გოგიტიძე თანამებრძოლები ვიყავით, ბატონი იგორის მოღვაწეობასაც კარგად ვიცნობ. ვიცი, რა არის ამ ხალხის მიზანი: მათ უნდათ, რომ საქართველოში უდღეური ხელისუფლება შეიცვალოს. დღეს ჩვენი ტელევიზიით გამოდიან და ყელყელაობენ ის ადამიანები, რომლებსაც ოპოზიციის ნიშის შევსება უნდათ. მაგრამ ჭეშმარიტი ოპოზიციონერებისგან შორს არიან. თუ ვინმე მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, ჩვენ ქვეყნის გადარჩენა უფრო გვადარდებს. სააკაშვილსა და მის შიკრიკებს ვუპირისპირდებით იმის გამო, რომ მათი კურსი ანტიეროვნული, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლურია. ვინც ამ ბრძოლაში გვერდით დაგვიდგება, მის ოპოზიციონერობასაც ვაღიარებთ. მე ჯემალ გოგიტიძეს ტელეფონით ვესაუბრები, ჩვენ ცალკეულ საკითხებზე ერთნაირად ვფიქრობთ, ზოგიერთზე განსხვავებული მოსაზრება გვაქვს, მაგრამ ეს ხელისუფლება რომ შესაცვლელია, ამაში ცალსახად ვეთანხმები. მე ვიცი, რომ ამ იდეის გარშემო უცხოეთში მყოფი ქართველებიც გაერთიანდნენ და სერიოზული ნაბიჯებისთვის ემზადებიან. ეს არ იქნება ანტიქართული ძალების მიერ დაფინანსებული მოძრაობა. მოტყუებული, უფლებააყრილი ხალხი ამ თვითმარქვია, უდღეურ ხელისუფლებას თავადვე მოსთხოვს პასუხს. ■

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დედაქალაქის მთავრობამ თბილისის 2006 წლის ბიუჯეტი უკვე დაამტკიცა. ოპოზიციური ძალები „მღაღადებელი ხმის“ მდგომარეობას კვლავ მყარად ინარჩუნებენ. საკრებულოში გამართულმა მუშტი-კრივმა შედეგი ვერ გამოიღო. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ახალ წელს, 320-მილიონიანი მუნიციპალური ბიუჯეტით შეეგებება. ქალაქის თავები მისი პარამეტრებით კმაყოფილი ჩანან, რადგან საკრებულომ და მისმა თავმჯდომარემ „შეკვეთა“ ზუსტად, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე მიიღო. სამაგიეროდ, ოპოზიციას ჯერ კიდევ ვერ მოუოხებია გული.

ოფსაიტში დარჩენილი უბინაო თბილისელები, გიგი უგულავას ფონდი და „...ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ“

თამუნა როსტიაშვილი

დღეს, ხელისუფლებას ოპონენტების შენიშვნები უკვე ნაკლებად აღელვებს. თუმცა, ხელისუფალნი არც ადრე განიცდიდნენ იმას, დაუჭერდნენ თუ არა მათ მხარს კონკრეტული კანონის მიღებისას ოპოზიციონერები, რადგან საკითხს საბოლოოდ, მაინც უმრავლესობა წყვეტს. თავის მხრივ, უმცირესობის წარმომადგენლები ხელისუფლების კრიტიკის ფონზე ცდილობენ, მოსახლეობის გული მოიგონ. აფსუს, ხელისუფლებაში რომ ვიყოთ, რამდენ სოციალურ პრობლემას მოგიგვარებდითო!.. არადა, ვარდების რევოლუციამდე, მაშინდელი ხელისუფლების ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი ლოზუნგიც ხომ ქვეყანაში სოციალური საკითხების მოგვარება იყო.

თბილისის 2006 წლის ბიუჯეტი 2005 წლის ბიუჯეტისგან მკვეთრად განსხვავებულია. თუ აქამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯებს დედაქალაქის მთავრობა ფარავდა, გაისად სკოლებს განათლების სამინისტრო დააფინანსებს. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებიდან, არ არის გათვალისწინებული დიაბეტით დაავადებულთა პროგრამის დაფინანსება. გაუქმდა „თბილგაზის“ სუფსიდირება. თბილისის მთავრობა უარს ამბობს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის თბილისის სამმართველოს დაფინანსებაზეც. მერიაში განხორციელებული რეფორმებისა და სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, მკვეთრად შემცირდა საშტატო ერთეულები და შესაბამისად, მათზე გასაცემი სახელფასო ხარჯიც. მუნიციპალიტეტის დაფინანსება შეუწყდებათ: თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ეროვნულ მუზეუმს, ი. გოგებაშვილის სახელობის ეროვნულ ინსტიტუტს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეს, თბილისის პირველ, მეორე და მესამე სამუსიკო სასწავლებლებს, შ. მილორავას სახელობის საცირკო-საესტრადო სასწავლებელს, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებას, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს, რამდენიმე ბიბლიოთეკას, კოლეჯსა და კულტურის ცენტრს. სამაგიეროდ, ამ ყველაფრის შედეგად, გაიზარდა მერიის სხვადასხვა სამსახურისთვის გათვალისწინებელი თანხები. დედაქალაქის მთავრობისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება გზის საფრის აღდგენითი სამუშაოები, რისთვისაც მთავრობამ წლის ბიუჯეტიდან 64 მილიონ 272 ათასი ლარი გამოყო. ფასადების შეღებვაც კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილს იკავებს: ამ მიზნით 6 მილიონი ლარი დაიხარჯება. თბილისის მთავრობისთვის ასევე მნიშვნელოვანია დედაქალაქის დასუფთავება და გარე განათების მოწესრიგება. სამაგიეროდ, ნაკლებ საყურადღებოდ მიიჩნევს მიწისძვრით დაზარალებული სახლების რეაბილიტაციას. სტიქიისგან დაზარალებულთათვის ბევრად ნაკლები თანხა გამოიყო, ვიდრე საქალაქო ტრანსპორტის სამსახურისთვის. შეიცვალა სამედიცინო სადაზღვევო პოლისების გაცემის წესიც: მომავალში, შეღავათებს მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეები მიიღებენ.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ქალაქის ბიუჯეტი არასწორადაა დაგეგმილი. მათი მტკიცებით, დედაქალაქის ბიუჯეტი „ხელისუფლების ტაშ-ფანდურებისა და პიარ-კამპანიების გასამართავად არის ორიენტირებული და არ ასახავს სოციალურად გაჭირვებული კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას“. საპირისპირო აზრისაა თბილისის პრემიერი, რომელიც ოპოზიციას ბიუჯეტის უკეთ გაცნობისკენ მოუწოდებს...



3 მილიონი ლარი უშუალოდ მერის — გიგი უგულავას პირად ფონდში გადაირიცხება, რომელსაც თავადვე განკარგავს. ჩვენი ხელისუფლება „ფასადურ“ პოლიტიკასაც ისევ მიჰყვება

გიორგი გუგავა, *საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტების“ თავმჯდომარე:*

— როდესაც მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტს გაეცნობა ადამიანი, ისეთი შთაბეჭდილება გაუჩნდება, თითქოს ჩვენისთანა ბედნიერი ერი სხვაგან არსად არსებობს. ბიუჯეტი ორიენტირებულია იმაზე, რომ მთელი წლის განმავლობაში, „ნაციონალებმა“ პიარ-კამპანიები აწარმოონ, კონცერტები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიება გამართონ. თბილისის ბიუჯეტში ჩადებულია კონკრეტული ჩინოვნიკების ინტერესები. 320-მილიონიან ბიუჯეტში მხოლოდ 2%-ა გათვალისწინებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. სკოლების დაფინანსების საკითხი განათლების სამინისტროს გადაულოცეს. აინუნშიაც არ ჩააგდეს მიწისძვრით დაზარალებული ხალხის პრობლემა; გაიძახიან — ინვესტორი შეაკეთებს მიწისძვრისგან ჩამონგრეულ სახლებსო. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების მხრიდან ეს მორიგი ტყუილია. რომელი ინვესტორი შეიწუხებს თავს იმისთვის, რომ მოსახლეობას უანგაროდ შეუკეთოს ჭერი?! ეს მაშინ, როდესაც 3 მილიონი ლარი უშუალოდ მერის — გიგი უგულავას პირად ფონდში გადაირიცხება, რომელსაც თავადვე განკარგავს. ჩვენი ხელისუფლება „ფასადურ“ პოლიტიკასაც ისევ მიჰყვება და თუ ფასადებს ღია ფერებში შეღებავენ, ჰგონიათ, რომ თავად მოსახლეობას ამით პრობლემებს მოუგვარებენ. მათ არ ახსოვთ არც მიწისძვრით დაზარალებულები და არც ავარიული საბინაო ფონდი. თბილისის მთავრობამ არც მასწავლებელთა სახელფასო დანამატი გაითვალისწინა. სამაგიეროდ, ბიუჯეტში ჩადეს მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ვარდების მოედანზე“ საციგურაო მოედანი აშენდება. 12 მილიონი ლარი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს გადასცეს. ამ სამსახურის უფროსი, მაია ნადირაძის მეუღლე გახლავთ. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რატომ იყო თბილისის მთავრობა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის ამდენად ხელგაშლილი. სადღეისოდ, ავტოპარკები ყვითელი ავტობუსების სასა-

ფლაოდ არის გადაქცეული, იმდენად დატვირთულია საზღვარგარეთიდან შემოტანილი ამორტიზებული ავტობუსებით. არადა, თავის დროზე, ამისთვის კრედიტი აიღეს, რომელიც თბილისის მთავრობას ახლაც ვალად აწევს.

— ბიუჯეტი დამტკიცებულია, თქვენი შენიშვნები ხელისუფლებისთვის ახლა უკვე უინტერესოა. სამომავლოდ, ოპოზიციამ ერთიანი სამოქმედო გეგმა ხომ არ შეიმუშავა?

— მიმდინარე პროცესებიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში რევოლუციური ძვრების დაწყება გარდაუვალია. ხელისუფლება დღითი დღე სცილდება მოსახლეობას. ოპოზიციურმა პარტიებმა გამოვაცხადეთ ეროვნული დაუმორჩილებლობის პროცესი, რომელსაც მომავალში, სხვადასხვა ფორმით გამოვხატავთ. ვგეგმავთ მრავალმასშტაბიან საპროტესტო აქციებს. თუ ხელისუფლებამ ამგვარი ქმედებები გააგრძელა, ქვეყანა ფატალურ შედეგამდე მივა.

თემურ ბილიხოძე, *საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ წევრი.*

— თბილისის ბიუჯეტი არ არის ქალაქის ბიუჯეტი — ეს არის კონკრეტული ადამიანებისთვის საარჩევნო კამპანიების საწარმოებლად განკუთვნილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. თბილისის მთავრობა აზრზე არ არის, რა პრობლემები აქვს ქალაქს და როგორ უნდა დაეხმაროს სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს. ქალაქის ბიუჯეტში განსაზღვრულ თანხებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, კონკრეტული ადამიანები პირა-კამპანიების საწარმოებლად გამოიყენებენ. გააკეთებენ მოედნებს, სკვერებს — შეხედეთ, რა მაგრები ვართო! — და ამით მოსახლეობას ხმებს დასტყუებენ.

გიორგი მოსიძე, *საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— არც წელს იზრუნეს ქალაქის გენერალური განვითარების გეგმაზე და შესაბამისად, დღემდე გაურკვეველია, ქალაქის განვითარება საითკენ მიემართება. „ფასადური“ პოლიტიკა გაისადაც გაგრძელდება. მუნიციპალური ბიუჯეტი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო ბიუჯეტს უფრო ჰგავს, ვიდრე დედაქალაქის სოციალური პრობლემების მოსაგვარებელ, ძირითად საფინანსო დოკუმენტს. მასში არაფერია ნათქვამი მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებაზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხებზე, ავარიული საბინაო ფონდის აღდგენაზე.

ოპოზიციის პრეტენზიებს არ იზიარებს თბილისის მთავრობის პრემიერი, **თემურ ძურხული:**

— მიმაჩნია, რომ 2006 წლის მუნიციპალური ბიუჯეტი თბილისის მერიის ისტორიაში ყველაზე კარგი და გამართულია. გარე განათებისა და გზების რეაბილატაციის პროგრამები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული. ბიუჯეტში ლიფტებისა და სახურავების პროგრამები ისევ ძველებურად დევს, უბრალოდ, მეტის საშუალება აღარ იყო, თორემ, ამ პროგრამის დასაფინანსებლად, უფრო მეტ თანხებს გავითვალისწინებდით. ქალაქის

...ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ...

ბიუჯეტი გამჭვირვალეა და იოლად წასაკითხი, ამდენად ოპოზიციონერებს ვურჩევ, დასხდნენ და გულდასმით წაიკითხონ. კარგად გაცნობის შემდეგ, მათ ამდენი პრეტენზია აღარ ექნებათ.

— ოპოზიციის მთავარი პრეტენზია ის არის, რომ ქალაქის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული რეალური დახმარება მიწისძვრით დაზარალებულთათვის და სოციალური დახმარების პროგრამები.

— წარმოუდგენელია, ერთი წლის ბიუჯეტით თბილისში არსებული თითოეული ავარიული სახლის რეაბილიტაცია. ქალაქის მთავრობამ გადაწყვიტა, გაისად ვარკეთილსა და ვაზისუბანში მდებარე მრავალსართულიანი სახლები გაამაგროს, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთსა და ნაძალადევის რაიონში არსებული დაბალი სახლები, რომლებიც დანგრევის პირასაა მისული და სასწრაფოდ რეაბილიტაციას საჭიროებს (ასეთი დაახლოებით 200-მდე სახლია), ინვესტორების დახმარებით შეაკეთოს.

— ინვესტორის ინტერესი რით იქნება განპირობებული?

— ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. როდესაც ინვესტორებს მოვიძიებთ და უკვე რეალურად დავიწყებთ ამ პროგრამის განხორციელებას, შემდეგ შეგიძლიათ, თავად ინვესტორს დაუსვათ ეს კითხვა.

— სამედიცინო სადაზღვევო პოლისების გაუქმებასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— დედაქალაქის მთავრობა დაეხმარება 52 ათას უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანს. გარდა ამისა, გაიცემა გარკვეული სახის სადაზღვევო პოლისები. სამომავლოდ, დედაქალაქის მთავრობისა და სადაზღვევო კომპანიების ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის გაიცემა სამედიცინო პოლისები. პოლისის წლიური ღირებულება დაახლოებით 2.500-დან 3.000 ლარამდე მერყეობს. თბილისის მერია სულ მალე გამოაცხადებს ტენდერს სადაზღვევო კომპანიებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა ფორმით ითანამშრომლებს თბილისის ხელმძღვანელობა სადაზღვევო კომპანიებთან.

თბილისის პრემიერის სიტყვები ინვესტორებთან და სადაზღვეო კომპანიების წარმომადგენლებთან სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. ქურხულის დაპირების თანახმად, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეები ჯანმრთელობის დაცვის პოლისს წლის დასაწყისში, ხოლო მიწისძვრით დაზარალებულები სანატრელ დახმარებას — წლის განმავლობაში მიიღებენ, თუ, რასაკვირველია, ქალაქის თავები ინვესტორებს მოიზიდავენ და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთანაც მიაღწევენ შეთანხმებას... ■

PSP პსპ

გვეკითხებით? გიპასუხებთ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ზარები შეკითხვით:

რატომ არ გააჩნია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - აფთიაქის" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი სააფთიაქო ქსელი უზრუნველყოფს GPP (სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი კომპანია "ჯი-პი-სი"-ს სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს სააფთიაქო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი „PSP“. ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

პსპ-ს საინფორმაციო სამსახური

სულ ახლახან, კინოეკრანებზე ცნობილი ქართველი რეჟისორის, გიორგი შენგელაიას ახალი ფილმი — „მიდიოდა მატარებელი“ გამოვიდა, რომელშიც ბევრი, ხალხისთვის საყვარელი, ცნობილი მსახიობი თამაშობს. როცა ბატონ გიორგის ახალ ნამუშევარზე სასაუბროდ შინ ვესტუმრე, ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე მისი ძველი ფილმი — „სიყვარული ყველას უნდა“ (რომელიც გადაღებული აქვს რეჟისორ მიშიკო ჭიაურელთან ერთად) გადიოდა. არასოდეს მქონია შემთხვევა, რომელიმე ფილმისთვის მის შემქმნელთან ერთად მეყურებინა და ახლა, ეს შანსი მომეცა. ჰოდა, არაერთხელ ნანახი ეს კომედია, აბსოლუტურად განსხვავებულად აღვიქვი და ბევრი ახალი რაღაცაც აღმოვაჩინე მასში... თავად ბატონი გიორგი კი, გულიანად იცინოდა სხვადასხვა ეპიზოდის ნახვისას და გამიმხილა, რომ განსაკუთრებით ის სცენა ჰყვარებია, სადაც პაწრო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცოლს სთხოვს, ეს უკანასკნელი კი, მოსავლის დაკრეფის შემდეგ, ცოლთან ერთად, ცოლისდასაც ჰპირდება... მოკლედ, ეს ფილმი — სულ სხვა თემაა, ამჯერად კი, გიორგი შენგელაიას ახალ სურათზე ვისაუბრეთ.

რაში ჩადო ბიძინა ივანიშვილმა 400 ათასი დოლარი

ანუ გადასაღები მოედნის კულუარული ამბები

ნათია ქივიძე

— ბატონო გიორგი, ორიოდე სიტყვა ფილმის შინაარსზე გვითხარით და ისიც — ვინ გაგიწიათ ფინანსური მხარდაჭერა?

— ფილმი შინაარსობრივად, გარკვეულ პერიოდს ასახავს, ამიტომ ჰქვია „მიდიოდა მატარებელი“. გახსნილად რომ ვთქვა, ეს იყო ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ეპოქა. სიუჟეტის მიხედვით კი, თბილისიდან ბათუმში მიდიან „ულიკები“ და ათასნაირი მამაძაღლი. ეს მაშინდელი ცხოვრების სტილი იყო: ვინ — ფულს იშოვის, ვინ ვის მოატყუებს და ა.შ. სცენარის წერა 3 წლის წინ დასრულდა, მაშინ, როცა საქართველოში გაქანებული აღებ-მიცემობა იყო.

— როგორც ვიცი, სცენარის ერთ-ერთი ავტორიც ხართ...

— სცენარი მე და ბიძინა კალანდაძემ ერთობლივად დავწერეთ. სიუჟეტი მან მომიყვა. ძალიან მომეწონა, რადგან ეს სიუჟეტი გამოხატავდა ჩემს დამოკიდებულებას იმ საზოგადოების მიმართ, რომელთან ერთადაც ვცხოვრობდი საქართველოში. მაშინ ხალხი სავაჭროდ მართლაც, ბათუმში დადიოდა. ფილმის პერსონაჟი, გენერალი ამბობს: რა მატარებელია, სად მიეთრევითო?! მას უპასუხებენ — ხალხი საშოვარზე დადისო, — და ეს მართალია: მაშინ, მთელი საქართველო გადასული იყო იოლი გზით ფულის შოვნაზე, მუშაობა არავის უნდოდა. გარდა ამისა, იქ არის მეორე სიუჟეტი. ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობა ფილმში ნაჩვენებია მეისრის სახით, რომელსაც ევალება წესრიგის დაცვა. მან კი, იმის მაგივრად, რომ წესრიგი დაემყარებინა და ყველა მატარებელი თავისი გზით გაეშვა, აურია ყველაფერი და ეს მატარებელი ბათუმის ნაცვლად, ჯერ აფხაზეთში გაუშვა, მერე — ჭიათურაში. ეს არის იმ მთავრობის სახე. რაც შეეხება ფილმის დაფინანსებას, ძალზე დიდი ხანი მოვანდომეთ ფულის შოვნას. ამასობაში, საქართველოში დრო შეიცვალა, რევოლუცია მოხდა და რაღაც პერიოდის განმავლობაში, ვამბობდი კიდეც — ახლა, ეს სურათი შესაძლოა, აქტუალურიც აღარ იყოს, რადგან არ გამოხატავს იმას, რაც ახლა ჩვენს საზოგადოებაში ხდება-მეთქი. მაგრამ ჩვენც ადამიანები ვართ და სამუშაო გვჭირდებოდა. ასეთ ფუფუნებაზე უარს ვერ ვიტყოდი, ჯამაგირი ხომ უნდა აგვეღო, მეც და მსახიობებსაც. თანაც, ის, რაც უახლოეს წარსულში ხდებოდა, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს. ამიტომ, როცა რეჟისორი მანკიერებებზე მიუთითებს, ეს მაინც სასარგებლოა საზოგადოებისთვის. თუმცა, არა მგონია, რომ ერთ დღეში ყველაფერი გამოსწორდეს. თუ დააკვირდებით, ფილმის ბოლოს, „მიდიოდა მატარებელი“-ს ნაცვლად, „მიდის მატარებელი“ ეწერება: ჩვენ ამით ვამბობთ, რომ ასეთი მოვლენები კიდევ მეორდება; შესაძლოა, ისეთივე მასშტაბით — აღარ, თვითონ მთავრობა არ იპარავს და ეს უკვე კარგია, მაგრამ დანარჩენი ადამიანები ამას მაინც აკეთებენ, ისინი გადაჩვეული არიან ნამდვილ შრომას. როგორც ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილის პირით ამბობს — ესენი გვირისტით ნაკერნი არიანო... ფილმის დაფინანსებაში ერთი ღვთისნიერი ადამიანი დამეხმარა, რომელმაც მთხოვა, ჩემი ვინაობა არ დაასახელოო.

გახსნილად რომ ვთქვა, ეს იყო ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ეპოქა...

სიუჟეტის მიხედვით კი, თბილისიდან ბათუმში მიდიან „ულიკები“ და ათასნაირი მამაძაღლი



თვენახევარი მიმდინარეობდა გადაღებები

ბა თითქმის ყველა ჩემს ფილმში თამაშობს.

— მართალია. ამ სურათში, ვისაც კი აქამდე თქვენს სხვა ფილმებში უთამაშია, თითქმის ყველაა. რატომ ირჩევთ სულ ერთსა და იმავე სახეებს? თუნდაც, ლაურა რეხვიაშვილი რომ დავასახელოთ: ის ფილმით — „სიყვარული ყველას უნდათი“ — გახდა ცნობილი და მას შემდეგ, თუ არ ვცდები, აღარც უთამაშია კინოში...

— მე ამ მსახიობებთან ყოველთვის ვმუშაობდი: რამაზთან, კახისთან... ამ

მე ამ მსახიობებთან ყოველთვის ვმუშაობდი

— უკვე ვიცით, რომ ეს პიროვნება ბიძინა ივანიშვილია...

— *(იცინის)* მაგას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ეს პიროვნება თეატრისა და კინოს დიდი მოყვარულია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თეატრებს არემონტებს, ყველა ჩვენს დიდ მსახიობს სტიპენდია დაუნიშნა: სოფიკო ჭიაურელს, რამაზ ჩხიკვაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს და ა.შ. ყველას ეხმარება...

— ალბათ, თქვენს ფილმში გადასაღებადაც დიდი ჰონორარი გადუხადა მსახიობებს...

ჩვენც ადამიანები ვართ და სამუშაო გვჭირდებოდა. ასეთ ფუფუნებაზე უარს ვერ ვიტყოდი...

— არა. ამ ფილმისთვის 400.000 დოლარი მოგვცა და ეს ყველაფერზე გავანაწილეთ. კახი კავსაძე და რამაზ ჩხიკვაძე ხომ რუსეთშიც მოღვაწეობენ. მაგალითად, რამაზს ერთ გადაღება-დღეში 1.000 დოლარს უხდიან, ჩემთან კი, 15 გადაღება-დღე ჰქონდა და 5.000 დოლარი მივეცით — ე.ი. იმაზე სამჯერ ნაკლები, რასაც რუსეთში იღებს. მაგრამ აქ მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ, რადგან ეს ქართული ფილმი იყო და თანაც, მე ვიყავი რეჟისორი. ამას ტრაბახით არ ვამბობ, მართლა ასეა: მათი უმრავლესობა

შემთხვევაშიც, ისინი ძალზე შეეფერებოდნენ იმ როლებს, რომლებიც ამ ფილმში მქონდა. თუმცა, სხვებიც არიან: ზაზა პაპუაშვილი, გოგა პიპინაშვილი, ნანკა კალატოზიშვილი და ა.შ., რომლებმაც, მივიჩნევ, რომ ტოლი არ დაუდეს ძველ მსახიობებს. ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო ქეთი ცხაკაია, რომელიც სომეხი ქალის როლს ასრულებს... გადაღებების წინ, თეატრებში დავდივართ ხოლმე, რათა ფილმისთვის მსახიობები შევარჩიოთ. ქეთი „თეატრალური სარდაფის“ მსახიობია და იქ ვიპოვეთ. საერთოდ, როცა გამოკვეთილი ჟანრის ფილმი უნდა გადავიღოთ — ვთქვათ, კომედია, ვესტერნი, მიუზიკლი, — მასში აუცილებლად პროფესიონალი მსახიობები უნდა დავაკავოთ. სხვა ჩემს ფილმებში კი, ძალზე ბევრი არაპრო-

მიანდეთ თქვენი ჯანმრთელობა ბუნებას!

ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების მწარმოებელი კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“ აცხადებს

საახალწლო ფასდაკლებას!

ჯანმრთელი სახსრები აქტიური ცხოვრების საწინდარია!

„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
ჭავჭავაძის გამზ. 41
☎ 29-20-91
899-10-99-20

„სიყვარული ყველას უნდა“ გაცილებით ადვილად გადავიღეთ

ფესიონალი მსახიობია: „ფიროსმანში“, „ალავერდობაში“... მაგალითად, „ახალგაზრდა კომპოზიტორში“ არისტოკრატიის ჩვენება რომ მინდოდა, არ ეწყინებათ ჩემს მსახიობებს, მაგრამ ბევრს არ ჰქონდა ის გარეგნული და შინაგანი არისტოკრატიული თვისებები, რომლებიც მჭირდებოდა. ამიტომ მოვიწვიე ჭაბუა ამირეჯიბი, ლილი იოსელიანი, მხატვარი თემო ჯაფარიძე და ა.შ.

— ახალ ფილმში ლევან თედიაშვილის ვაჟიც თამაშობს. რამ განაპირობა თქვენ ეს არჩევანი და რატომ ვერ მოუძებნეთ ადგილი მამამისს, რომელიც „ხარება და გოგიაში“ ათამაშეთ?

— ბესოს უცხოური მანქანა — „ჰამერი“ ჰყავს, რომელიც ფილმში გვჭირდებოდა. მან მითხრა — მოდი, ძია გიორგი, მეც მათამაშეთ ფილმშიო. უარი არ მითქვამს და გენერლის მძღოლის როლს ასრულებს. ლევანისთვის კი, ამ ფილმში შესაფერისი როლი არ მქონდა.

— მატარებლის სიტუაცია იმდენად დამაჯერებლად გაქვთ გადმოცემული, რომ ალბათ, იმ პერიოდში, ხშირად გიხდებოდათ მატარებლით მგზავრობა...

— არა, რას ამბობ?! მატარებელს საერთოდ ვერ ვიტან და სამგზავრო საშუალებად არ ვიყენებ ხოლმე. იქ ძალზე შეზღუდული სივრცეა. „სიყვარული ყველას უნდა“ გაცილებით ადვილად გადავიღეთ, რადგან იქ სოფელში ვიმყოფებოდით.

— თქვენ ხართ ერთ-ერთი ქართველი რეჟისორი, რომელმაც ქართულ ფილმში ინტიმური სცენები შემოიღეთ...

— ეროტიკულ ფილმებს დღეს, უკვე ყველა აკეთებს: ამერიკელები, რუსები, ახლა უკვე, ქართველებიც... ეს დამთხვევა იყო, რადგან იდეაში არ მქონია ეროტიკის გადაღება — უბრალოდ, გერმანელებმა შემიკვეთეს. ვგულისხმობ სურათს — „სიყვარული ვენახში“. კმაყოფილი ვარ ჩემ მიერ გადაღებული სურათით, იმდენად, რამდენადაც ეს არ ყოფილა ე.წ. მძიმე ეროტიკა... იცი ალბათ, რაც არის. ის მაყურებელს აღაგზნებს და სცენისთვის დაუშვებლად მიმაჩნია. ჩვენ მიერ გადაღებული ეროტიკული სცენები კი, ხელოვნებაა. ამ ფილმში ეროტიკული სცენები მაინცდამაინც არ არის. მხოლოდ მეისრე გდია ლოგინში, მაგრამ მასაც არაფერი უჩანს...

ჩემს ფილმს რუსეთის ბაზარზე აქვს პერსპექტივა

— მკერდი უჩანს...

— ეგ მართალია. მაგრამ რენესანსის ეპოქის მხატვრობაში მკერდი ყველას უჩანს. ახლა კი, საქართველოშიც, ნებისმიერ პლაჟზე რომ გახვიდე, უკვე მკერდმოშიშვლებულ გოგონებს ნახავ: ნუდისტური პლაჟებიც გვაქვს.

ახალგაზრდა მსახიობებმა ძველებს ტოლი არ დაუდეს...

— სულ რამდენი დღე დაგჭირდათ ამ ფილმის გადასაღებად?

— სხვათა შორის, ძალიან მალე გადავიღეთ. თვე-ნახევარი მიმდინარეობდა გადაღებები. ეს ფილმი გასული წლის ნოემბერში დავამთავრეთ, მაგრამ გაცილებით მეტი დრო მონტაჟსა და სხვა სამუშაოებს დასჭირდა. იმის გამო, რომ ფილმი კინოფირზეა გადაღებული, საქართველოში არ გვაქვს ფირის გამჟღავნების სისტემა, ამიტომ ფირი მოსკოვში გავაგზავნეთ და მთელი წლის განმავლობაში ველოდით.

— ამ ფილმს რომელიმე ფესტივალზე ხომ არ წარადგენთ?

— იმდენი ფესტივალი მაქვს მოვლილი, რომ უკვე მეზარება.

— ფილმის — „სიყვარული ვენახში“ — შემდეგ, დღემდე, ფილმი აღარ გადაგიღიათ. გამოდის, რომ შემოქმედებაში საკმაოდ დიდი პაუზა გქონიათ...

— დღეს, ყველა ჩემი კოლეგა ასეთ სიტუაციაშია. ადამიანმა ქართულ კინოში ფული რომ ჩადოს, იმას ვერ ამოიღებს. ახლა ამ ფილმმაც შეიძლება, მაქსიმუმ 50.000 ლარი მოიტანოს. სად 400.000 დოლარი და სად 50.000 ლარი. ივანიშვილს რომ ეთქვა — ფულს კი მოგცემთ, მაგრამ ეს თანხა უნდა დავიბრუნოო, — თვითონ ვიტყოდი დახმარებაზე უარს. რადგან დღეს, ჩვენში კინობაზარი არ არსებობს. კინოში აღარავინ დადის, ყველა ტელევიზორში უყურებს ფილმს. ჩვენ ვერ მოვთხოვთ სახელმწიფოს — კინო დააფინანსეო, რადგან ამდენი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს საქართველოში. თუმცა, რაღაცას თვითონვე ცდილობენ. ახლა 800.000 ლარი გამოყვეს კინოცენტრისთვის, მაგრამ უფროსი თაობის რეჟისორებმა უარი ვთქვით ამ დაფინანსებაზე: რეჟისორთა იმ თაობის წარმომადგენლებმა, რომლებიც ახლა მოდიან, ერთი სურათი მაინც ხომ უნდა გადაიღონ!.. ფსიქოლოგიურად ძალზე დიდი სტრესია, როცა რეჟისორი ხარ და ვერაფერს იღებ... მე გადაღებული მაქვს სურათები და შემიძლია დავიცადო. თუმცა, ჩვენც ხომ გვინდა ჭამა! არიან რეჟისორები, რომლებიც, გარდა ამ საქმიანობისა, რაღაც ბიზნესის წილში არიან და ყოველდღიური ფული აქვთ. მე კი არანაირ წილში არ ვარ. ამის გამო მქონდა ის დიდი პაუზა... დაფასება აღარ გვაქვს. კინო მაშინ ფასდებოდა, როცა რუსებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა; რუსეთი იყო ჩვენი ბაზარი.

— როგორ ფიქრობთ — რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართული კინოს ბაზარი ისევ აღორძინდეს?

— ზუსტად ვერ გეტყვი, რა უნდა მოხდეს. ვერავის მოვუწოდებ — დაყარეთ ახლა ფული-მეთქი!.. ჩემს ფილმს რუსეთის ბაზარზე აქვს პერსპექტივა, ისიც — ჩემი ავტორიტეტისა და კავშირების წყალობით და კიდევ იმიტომ, რომ ეს არის კომედია. რუსებს უყვართ ქართული კომედია. მით უმეტეს, რომ აქ კახი კავსაძე და რამაზ ჩხიკვაძე თამაშობენ. პასუხი კი მივიღეთ დადებითი, რომ ჩვენი ფილმი იქ გავა, მაგრამ ეს როდის იქნება, არ ვიცი. ■

წიგნი თავგადასავლების მოყვარულთათვის!



„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ...“ — ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის“ მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გეგენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები“, რომელიც იმთავითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი“ ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი“ ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყვედურეს, ასე მალე(!) რატომ დაამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტიან“ ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის“ პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გეგენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, ჰოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით“ დამთავრებული. დიახ, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გეგენავას „მოგზაურის დღიურებიო“...

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გამავრცელებლებთან

ფრთხილად, სიცოცხლისთვის საშიშია!..

ფალსიფიცირებული არყით წელიწადში 1000-ზე მეტი ადამიანი იღუპება

ოფიციალური სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად უხარისხო ალკოჰოლური სასმელებით 1000-ზე მეტი ადამიანი იღუპება. გარდაცვალების ძირითადი მიზეზები თირკმლების, კუჭის, ღვიძლისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია, რომელთაც ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელი იწვევს. საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად 70 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების უცხოური ალკოჰოლური სასმელი შემოდის. ხარისხიანი ალკოჰოლური სასმლის ფასი საკმაოდ სოლიდურია. ამიტომ ჩვენი ხელმოკლე მოსახლეობა კუსტარული წესით ნაწარმოებ ღვინოსა და არაყს ეტანება. მათ უხარისხობაზე კი ფასიც მეტყველებს.

ემა ტუხიაშვილი
თემურ კაციაშვილი

ციცინო ჩოფიკაშვილი, *თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის ტოქსიკოლოგიური განყოფილების უფროსი:*

— ნებისმიერი ალკოჰოლური სასმლის ჭარბი რაოდენობით მიღება რომ სასარგებლო არ არის, ეს უჩემოდაც გეცოდინებათ. სასმელი კუჭიდან სწრაფად შეიწოვება, ამიტომ ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ძალზე სწრაფად ვითარდება. ალკოჰოლი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ტვინის ქერქზე. ალკოჰოლური სასმელებიდან, ძირითადად, გავრცელებულია ღვინო, არაყი, კონიაკი და ა.შ. მათ შორის არის ეთილის ალკოჰოლი, ე.წ. ღვინის სპირტი, რომელიც მიიღება ყურძნის შაქრის დუღილის შედეგად და წარმოადგენს გამჭვირვალე, ზომიერად აქროლად და წყალში კარგად ხსნად სითხეს. იგი ჩვეულებისამებრ, კვების მრეწველობაში გამოიყენება.

ეთილის სპირტთან შედარებით, სულ სხვა განზომილებაა მეთილისა და ე.წ. ტექნიკური სპირტი, რომლებიც ძლიერად მომწამვლელი ტოქსიკური ნივთიერებებია. ტექნიკური სპირტი, იგივე რექტიფიკატი, იხმარება ქიმიურ მრეწველობაში, პარფიუმერიაში და ა.შ. და მისი სასმლად გამოყენება ყოვლად დაუშვებელია. ტექნიკური სპირტი მიიღება ჩვეულებრივი გამოხდის მეთოდით ხისგან და ხის მასალებისგან. მას აქვს გამჭვირვალე მოყვითალო ფერი და სპირტის დამახასიათებელი სუნი. ტექნიკური სპირტის სასმლად გამოყენება განსაკუთრებით საშიშია. სპირტით მოწამვლა მძიმე ფორმებს იძენს — ავადმყოფს ეწყება ძლიერი ქოშინი, აქვს უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდის არეში, გრძნობს სიმძიმეს თავის არეში, ვითარდება ეპილეფსიური კრუნჩხვები და დროებითი ან სრული სიბრმავე. ტექნიკური სპირტით მოწამვლის სიმპტომები ძალზე სწრაფად, დალევიდან რამდენიმე წუთში ვლინდება და თუ ავადმყოფს დროულად ვერ დაეხმარნენ, შეიძლება დაიღუპოს კიდეც. ასევე უარყოფითი შედეგებით ხასიათდება ცუდად გაწმენდილი არყის ან სპირტის მიღება, რომელთა შემადგენლობაშიც ხშირად შედის ხის სპირტი და რახის ზეთები. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ასეთ საწამლავს ალკოჰოლურ სასმელებში სუნისა და არომატის მისაღებად ურევენ. ეს ძირითადად, ეხება ფალსიფიცირებულ სპირტიან სასმელებს, შამპანურებს, საეჭვო წარმოშობის არყებს... ასეთი სასმლის მიღებისთანავე ადამიანს უვითარდება სიმთვრალისებური მდგომარეობა, თირკმლებისა და გულის მწვავე უკმარისობა, ფილტვების შეშუპება, რაც ხშირად ლეტალურად მთავრდება.

საქართველოს ბაზარი გაჯერებულია კუსტარული წესით დამზადებული სპირტიანი სასმელებით. ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით ე.წ. 20-თეთრიანი ჭაჭა სარგებლობს. ჭაჭად წოდებული გაზავებული სპირტი საკმაოდ მდარე ხარისხისაა. ასეთ სპირტს უცხოეთში ტექნიკური დეტალების გასაწმენდად იყენებენ და იგი ე.წ. რექტიფიკატის სახელითაა ცნობილი. კუსტარული წესით დამზადებული არყის ბაზარზე რეალიზებას კანონმდებლობის არასრულყოფილებაც უწყობს ხელს. კანონით ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ ვის აქვს უფლება, აწარმოოს და რეალიზაცია გაუწიოს ალკოჰოლურ სასმელებს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამ სახის ნაწარმზე აქციზური მარკა მხოლოდ ქარხნული წესით დამზადებული პროდუქციისთვის არის სავალდებულო. ე.წ. ტექნიკური სპირტი საქართველოში უმეტესწილად კონტრაბანდული გზით შემოდის. აღურიცხავი და უკანონო გზით შემოტანილი პროდუქცია შესაბამისად, არც ლაბორატორიულ შემოწმებას გადის. მართალია, ე.წ. ტექნიკურ სპირტს მრავალ ქვეყანაში აწარმოებენ, მაგრამ საქართველოს ბაზრისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი, მეზობელი რუსეთიდან არაკონტროლირებადი ტერიტორიის გავლით შემოსული უხარისხო და იაფფასიანი სპირტია. უფრო კონკრეტულად კი — აღურიცხავი და ფალსიფიცირებული სპირტი საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონიდან ხვდება. მართალია, ჩვენი ხელისუფლება ირწმუნება, რომ გამალებით ებრძვის კონტრაბანდას და ყოველდღიურად, უაქციზო სიგარეტით მოვაჭრეებისა და ნარკოდილერების დაკავების ფაქტებს თავმომწონედ ამზეურებს, მაგრამ სერიოზული ეჭვის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ბოლო დროს კონტრაბანდული სპირტის დაკავების პრეცედენტიც კი არ გამოვლენილა. ამ ფაქტს ჩვენთან საუბარში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. არადა, ჩვენი ეჭვი რომ უსაფუძვლო არ არის, თავადაც დარწმუნდებით, თუ დედაქალაქის ნებისმიერ ბაზრობაზე ე.წ. ცხინვალის სპირტის შეძენის სურვილს გამოთქვამთ. არაოფიციალური სტატისტიკით, ქვეყნის ჩრდილოვან ეკონომიკაში ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს შემდეგ, სპირტის კონტრაბანდას მესამე პოზიცია უკავია. არსებულ რეალობას ერთ მარტივ, ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ: კონტრაბანდულ უხარისხო სპირტს საქართველოში სერიოზული მფარველი ჰყავს.

კონტრაბანდული სპირტით მოვაჭრეთა პოვნა არ გაგვჭირვებია. ბატონ ემზარს ცხინვალის სამართალდამცველები უკვე კარგად იცნობენ, თუმცა გზებზე უსაფრთხოდ გადაადგილების სანაცვლოდ, არც ქართველ სამართალდამცველებს ტოვებს წილის გარეშე.

ემზარი, *სპირტით მოვაჭრე:*

— უკვე ორი წელია, რაც სპირტის ბიზნესით ვარ დაკავებული. კონტრაბანდული სპირტი ცხინვალიდან ადრეც შემოდიოდა, მაგრამ ბოლო ორი წელია, აღურიცხავი ტვირთის მოძრაობამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა. საერთოდ, კონტრაბანდის ძირითადი გზა ცხინვალია, სადაც სიგარეტისა და სპირტის კონტრაბანდას ლომის წილი უკავია. ცხინვალიდან საქართველოში შემოდის როგორც რუსული, ასევე ცხინვალშივე წარმოებული სპირტი. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი კუსტარული საწარმოა, სადაც სპირტს ნახერხისა და სხვადასხვა მინარევის გამოხდით იღებენ. ადგილზე ერთი ლიტრი სპირტის ღირებულება 1,80 ლარს არ აჭარბებს, ხოლო

თბილისში მისი რეალიზება 2,50 ლარად არის შესაძლებელი. სპირტის ტრანსპორტირებისთვის საუკეთესო საშუალება მცირე ზომის სამგზავრო ავტომობილია. სითხეს 200-ლიტრიან პოლიეთილენის ბალონებში ვასხამთ და თუ არალეგიტიმურ საზღვარზე კონტროლი განსაკუთრებით გამკაცრებული არ არის, განსაზღვრული „ბაჟის“ გადახდის შემდეგ კონტრაბანდული ტვირთი უპრობლემოდ ჩამოგვაქვს დედაქალაქში. კონტრაბანდისტებს და სამართალდამცველებს ერთგვარი პარტნიორული ურთიერთობებიც ჩამოგვიყალიბდა. როდესაც საზღვარზე სიტუაცია ძალზე გამწვავებულია, ისინი თავად გვირჩევენ, ცოტა ხნით თავი შევიკავოთ კონტრაბანდული სპირტის გადაზიდვისგან ან შემოვლითი გზები გამოვიყენოთ. თუმცა კონტრაბანდული სპირტი საქართველოში უფრო დიდი პარტიებითაც შემოდის. თუ ჩვენ კვირაში რამდენიმე ასეული ლიტრი სპირტი გადმოგვაქვს, სხვები რამდენიმეტონიანი ცისტერნებით მუშაობენ. ეს უფრო კარგად ორგანიზებული ჯგუფია, რომელსაც სერიოზული ლობი ჰყავს და ჩვენგან განსხვავებით, მალულად მუშაობა არ უხდება.

— სად ახდენთ ამ სპირტის რეალიზებას?

— ჩვენი ძირითადი კლიენტები თბილისის სპირტიანი სასმელების დამამზადებელი საწარმოები არიან, თუმცა კონტრაბანდული სპირტის მცირედი წილი ბაზრობებზეც ხვდება.

— ამ სპირტს კვების მრეწველობაში იყენებენ?

— რა თქმა უნდა. ერთი ლიტრი სპირტი ერთ ლიტრ სასმელ წყალში ზავდება და ე.წ. ჩამოსასხმელი არაყი შეგვიძლია მივიღოთ.

— ასეთი მეთოდით დამზადებული არაყი ლაბორატორიულ შემოწმებას არ გადის?

— მე ჯერ არ მინახავს უწყება, რომელიც ბაზრობაზე გამოტანილი არყის ლაბორატორიული შემოწმებით დაინტერესებულიყოს. რაც შეეხება ქარხნული წესით დამზადებულ სპირტიან სასმელებს, ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ყველა ქარხანას საკუთარი დამოუკიდებელი ლაბორატორია აქვს, რომლის დასკვნაშიც ის იწერება, რაც თავად ქარხნის მეპატრონისთვის არის მისაღები.

P.S. *ჩვენ შევეცადეთ, თუნდაც ერთი სახელმწიფო უწყება მოგვენახა, რომელიც დროდადრო მაინც ინტერესდება საქართველოს ბაზარზე არსებული ალკოჰოლური სასმელების ქიმიური შემადგენლობით. აღმოჩნდა, რომ ასეთი ფუნქციები მხოლოდ საქსტანდარტს გააჩნდა, რომელიც ცოტა ხნის წინ გაუქმდა. ამ ორგანიზაციის ფუნქციები კი სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ და ამავე დროს, სრულიად დამოუკიდებელ ლაბორატორიებს გადაეცათ. ქვეყანაში კი, სადაც კორუფცია ჯერ კიდევ მძვინვარებს, კერძო ლაბორატორიის დასკვნა მომხმარებლისთვის უტყუარი გარანტი ვერ იქნება.* ■

„ჩემი ქალიშვილი ქმრის ოჯახში გაუვალობის მსხვერპლი ხდებოდა“

სიძისა და მძახლის სასტიკი მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით, უზენაესმა სასამართლომ ოზურგეთის რაიონის მკვიდრი, 46 წლის ემზარ ჩხარტიშვილი გაასამართლა *(ყველა გვარ-სახელი შეცვლილია)*. განსასჯელს ბრალდების მხარე სიძისა და მძახლის განზრახ მკვლელობაში სდებდა ბრალს. გამოძიების მასალების თანახმად, ჩხარტიშვილმა მძახალს სანადირო თოფიდან ზედიზედ რამდენიმე ტყვია დაახალა, შემდეგ კი, მომაკვდავ მამასთან საშველად მისულ შვილს დანით მრავალი, სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობა მიაყენა. *„მამა შვილის თვალწინ მოკლა, მაგრამ ამას არ დასჯერდა. გადაწყვიტა, ასეთივე სისასტიკით, თუმცა ამჯერად სხვა იარაღით, განსაკუთრებული ტანჯვისა და ტკივილის მიყენებით მოეკლა შვილიც — ყოფილი სიძე... დანით ძლიერი დარტყმების შემდეგ, მას სანადირო თოფიდანაც ესროლა“,* — აღნიშნულია გამოძიების მასალებში. შემზარავი დანაშაულების ჩადენის შემდეგ, ჩხარტიშვილი მეზობელთან მივიდა, დაუბარა მას, რომ მამაშვილი მორჩილაძეები დახოცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა...

მკვლელობის მოტივად გამოძიების მასალებში სიძესა და მძახლებს შორის შელაპარაკება სახელდება. თუმცა, სასამართლო პროცესზე ჩხარტიშვილმა, როგორც თავად აღნიშნა, საშინელი საიდუმლო გაამხილა. ან გარდაცვლილ მძახალს მან ქალიშვილის გაუპატიურების მცდელობაში დასდო ბრალი...

ოფიციალური ცნობების თანახმად, ემზარ ჩხარტიშვილი ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. მისი ქალიშვილი — მარიამი, მშობლების თანხმობით, 15 წლის ასაკში გათხოვდა. ის მეზობელ სოფელში მცხოვრებ კახა მორჩილაძეს გაჰყვა ცოლად. ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ზუსტად 5 თვეში მარიამ ჩხარტიშვილმა ქმრის ოჯახი დატოვა და მშობლებთან დაბრუნდა. მიზეზად მან მეუღლის ოჯახის წევრებზე განაწყენება დაასახელა. მომხდარის გამო ურთიერთობა დაეძაბათ მძახლებსაც. ემზარ ჩხარტიშვილს რამდენჯერმე შელაპარაკება მოუხდა ქალიშვილის ყოფილ ქმარსა და მამამთილთან, თუმცა კონფლიქტი ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფით სრულდებოდა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლას მათ შორის ადგილი არ ჰქონია.

ამ ამბიდან რამდენიმე თვე იყო გასული, როცა ემზარ ჩხარტიშვილი მეზობელთან, ვახტანგ ჩაფიძესთან ერთად, სოფელ ჩიბათის ტყეში შეშის დასამზადებლად წავიდა. თან წაიღო ერთლულიანი სანადირო თოფი. დაახლოებით დღის 3 საათისთვის ჩაფიძის კუთვნილი კარვის შესასვლელთან ჩხარტიშვილს შემთხვევით ყოფილი სიძე და მძახალი შეხვდნენ. ორივე ნასვამი იყო. მძახალმა — მამუკა მორჩილაძემ ჩხარტიშვილს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, ჩხარტიშვილმა არ ჩამოართვა, რადგან განაწყენებული იყო მასზე. მამუკა მორჩილაძემ გაკვირვებით ჰკითხა — რა იყო, ემზარო? ჩხარტიშვილმა კი უპასუხა: წადით, ამ გზაზე მეტჯერ არ დაგინახოთო! ამ სიტყვების შემდეგ, ის მეზობლის კარავში შევიდა. ამ უსიამოვნო შეხვედრიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ჩხარტიშვილი მარტო გაემართა შინისკენ. მეზობელი ჩაფიძე კარავში დარჩა. სახლისკენ მიმავალ ჩხარტიშვილს, კარვიდან 300 მეტრის მოშორებით, გზაზე კვლავ შეხვდა მამაშვილი მორჩილაძეები. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ის და როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მათთან ურთიერთობით განაწყენებულმა, საშინელი დანაშაულის ჩადენა განიზრახა. მოიმარჯვა თავისი 12-კალიბრიანი, ერთლულიანი „იჟ-18“ სისტემის სანადირო თოფი და დაახლოებით 10 მეტრის მანძილიდან, დამიზნებით ესროლა მამუკა მორჩილაძეს. ტყვიები ამ უკანასკნელს ბეჭისა და წინამხრის არეში მოხვდა. მამუკა მორჩილაძე იმავე წამს ჩაიკეცა. ჩხარტიშვილი წაქცეულს მიუახლოვდა და ამჯერად, ერთი მეტრის მანძილიდან კვლავ დაახალა მას ტყვიები სახისა და თავის არეში. მამუკა მორჩილაძე

ადგილზევე გარდაიცვალა. ყოველივე ეს გარდაცვლილის შვილის — კახა მორჩილაძის თვალწინ ხდებოდა. შვილი, მძიმედ დაჭრილ, მომაკვდავ მამას მაშინვე მივარდა საშველად, მაგრამ ყოფილი სიმამრი ახლა მას დაადგა თავზე მოსაკლავად. ჩხარტიშვილს ამჯერად დანა ეკავა ხელში. სიძეს ის სამჯერ ზედიზედ ჩაარტყა გულმკერდისა და თავის არეში, შემდეგ თოფი აიღო და ჯერ ერთი მეტრის, მეორედ კი — 10 მეტრის მანძილიდან ორჯერ ესროლა მას. ტყვიები კახა მორჩილაძეს მუცლისა და კეფის არეში მოხვდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მას თავის ტვინი დაუზიანდა, მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობაც სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა და შედეგად, სამედიცინო დახმარების მიუხედავად, კახა მორჩილაძე ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ჩხარტიშვილი ჩაფიძის კარავთან მიბრუნდა. იქ მყოფ ჩაფიძეს უთხრა მომხდარის შესახებ, აცნობა მას, რომ მამა-შვილი დახოცა და იქაურობა დატოვა. პირველ რიგში გადამალა დანაშაულის იარაღი — თოფი და დანა, შემდეგ მიატოვა საცხოვრებელი ადგილი და გამოძიებას თავი აარიდა. მიუხედავად ამისა, ჩხარტიშვილი თავისი ფეხით მივიდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. ეს მკვლელობიდან თითქმის ერთ თვეში მოხდა. პოლიციაში მოულოდნელად გამოცხადებული ჩხარტიშვილი იმავე დღეს დააკავეს. მან სამართალდამცავებს იმ ადგილზეც მიუთითა, სადაც იარაღი გადამალა. სანადირო თოფი და ვაზნები მათ საქმეს დაურთეს, დანა კი ვერ აღმოაჩინეს.

სასამართლოს წინაშე წარმდგარმა ჩხარტიშვილმა, მიუხედავად პროკურატურისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენებისა, წარდგენილ ბრალდებაში — განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ორი ადამიანის განზრახ მკვლელობა — თავი დამნაშავედ არ ცნო. კოლეგიის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ მამა-შვილი მას თავს დაესხა, იძულებული გახდა, თავი დაეცვა და თოფიდან მათი მოგერიების მიზნით გაისროლა. განსასჯელისა და მისი ადვოკატის ეს ვერსია სასამართლომ არ გაიზიარა. განაჩენში აღნიშნულია, რომ პროკურატურამ საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგინა ბრალის დასადასტურებლად, კოლეგიამ განსასჯელს განაჩენი გამოუტანა — ის წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად სამუდამო პატიმრობა შეუფარდა, ამასთან მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურება — 1310 ლარის გადახდაც დაეკისრა. ემზარ ჩხარტიშვილი წარსულშიც ნასამართლევი გახლდათ. თუმცა, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და იმ პერიოდისთვის ნასამართლეობა უკვე გაქარწყლებული იყო. მორიგმა სასჯელმა — უვადო თავისუფლების აღკვეთამ საპყრობილის პირობებში, როგორც თავად მსჯავრდებული ამბობდა, ის უკიდურესად დათრგუნა. ჩხარტიშვილმა სასამართლო განაჩენს უკანონო უწოდა.

მსჯავრდებულის საჩივრიდან:

„სასამართლო აშკარად უკანონოდ და ყოვლად უსამართლოდ მომექცა. ასეთ განაჩენს არ ველოდი, რადგან საქმის მასალები ამის საფუძველს არ იძლეოდა. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩავიდინე და ამიტომაც განაჩენის გაუქმებას მოვითხოვ. გამოძიება კანონის დარღვევით ჩატარდა, ჩემი ვერსია არავინ გაითვალისწინა. მამა-შვილი მორჩილაძეები შემთხვევის დღეს თვითონ დამესხნენ თავს, ერთს ხელში კომბალი ეჭირა, მეორეს — დანა. მინდა აღვნიშნო, რომ მე დანა იმ დღეს არ მქონია, მხოლოდ სანადირო თოფი მქონდა. თოფი ცალპირა იყო და „ასეჩკას“ აკეთებდა. გამოძიების პერიოდში ადვოკატი სახაზინო წესით დამინიშნეს, რადგან კერძო დამცველის დაქირავების საშუალება ჩვენს ოჯახს არანაირად არ ჰქონდა. სახაზინო ადვოკატი კი პროკურატურის ინტერესების დამცველი აღმოჩნდა. ჩემი დაცვის ნაცვლად, ყველაფერს ჩემს საზიანოდ აკეთებდა. გამოძიება ფაქტობრივად უადვოკატოდ ჩატარდა“.

მსჯავრდებული და მისი ახალი — კერძო ადვოკატი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ მათი თქმით, ძიების პერიოდში საქმეს არ დაურთეს ნივთმტკიცებები — დანა და კომბალი; გარდაცვლილთა გვამებიდან არ ამოუღიათ საფანტი; საქმეს არ დაურთეს ექსპერტიზის ფოტოები.

მსჯავრდებულის საჩივრიდან:

„არავინ გაითვალისწინა ამ ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი. იმაზეც კი არ გაამახვილეს ყურადღება, რომ მორჩილაძეები იმ დღეს მთვრალები იყვნენ. მე მათი მოკვლა რომ მნდომოდა, ამას გაცილებით ადრე გავაკეთებდი. მაგრამ ასეთი განზრახვა, მიუხედავად დიდი სიმწარისა, რაც მათ ჩემს ოჯახს ანახვეს, არასდროს მომსვლია თავში. თავად დამესხნენ თავს და იძულებული გავხდი, იარაღიდან მესროლა. მაგრამ შედეგმა, რაც ჩემს ქმედებას მოჰყვა, ძალიან იმოქმედა ჩემზე. ამიტომაც გამოვცხადდი ბრალის აღიარებით პოლიციაში. ავადმყოფი ვარ და კმაყოფაზე ცოლ-შვილი მყავს. სასამართლომ არც ეს გაითვალისწინა და ყველაფრის მიუხედავად, სამუდამოდ ციხეში გამომკეტა“...

ჩხარტიშვილის პოზიციას ბრალდების მხარე შეეწინააღმდეგა: *„მსჯავრდებულის ეს „გულის ამაჩუყებელი“ საჩივარი რომ მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებასა და პატიმრობიდან თავის დაძვრენას ისახავს მიზნად, ცხადია. თავის ვერსიას თავდასხმის თაობაზე ის ვერაფრით ადასტურებს. განზრახ მკვლელობის ბრალდების მტკიცებულებები კი საქმეში მრავლად მოიპოვება. თავდაცვის დროს, ზედიზედ ორ ადამიანს, ჯერ ერთს, შემდეგ — მეორეს და თანაც არაერთჯერადი გასროლით, არ კლავენ. აღსანიშნავია, რომ კახა მორჩილაძეს სხეულზე, ცეცხლნასროლის გარდა, დანით მიყენებული არაერთი ჭრილობა აღმოაჩნდა. წინააღმდეგობის დასაძლევად თოფიდან ერთი გასროლაც ან დანის ერთი მოქნევაც საკმარისი იქნებოდა მაშინ, როცა მამა-შვილ მორჩილაძეებს თან არანაირი იარაღი არ ჰქონიათ. აწ გარდაცვლილების სხეულებზე დაფიქსირებული ჭრილობები კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩხარტიშვილმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა — მან შვილს თვალწინ მოუკლა მამა, შემდეგ კი შვილს — 24 წლის ახალგაზრდას განსაკუთრებული სისასტიკით მოუსწრაფა სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია აუცილებელი მოგერიების ფარგლებზე მსჯელობა. განაჩენი სამართლიანია და ის ძალაში უნდა დარჩეს.“*

მსჯავრდებულის საჩივარი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ განიხილა; პალატის მოსამართლეებმა სავსებით გაიზიარეს პროკურორის პოზიცია. რაც შეეხება მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის შენიშვნებს, წინასწარი გამოძიების დროინდელ დარღვევებზე, პალატამ ისინი ტექნიკურ ხარვეზად შეაფასა. *„ვერსია თავდასხმის შესახებ გადაამოწმა როგორც პროკურატურამ, ასევე წინა ინსტანციის სასამართლომაც. ფაქტები მხოლოდ საწინააღმდეგოზე მეტყველებს. შემთხვევის დღეს, თოფით შეიარაღებული სწორედ ჩხარტიშვილი გახლდათ. უფრო მეტიც, მსჯავრდებულმა თავად აღნიშნა, რომ მორჩილაძეებს ძალიან უნდოდათ მისი ქალიშვილისა და კახა მორჩილაძის შერიგება და ამის თაობაზე რამდენჯერმე თხოვნით მიმართეს ჩხარტიშვილებს. ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან თავდასხმა გამორიცხულია. განაჩენში ისიც აღნიშნულია, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები ორივე გვამზე ზემოდან ქვემოთ მიემართება. ამით დასტურდება ბრალდება — ჩხარტიშვილმა წაქცეულებს დაახალა ტყვიები იარაღიდან. საქმის სასამართლო გამოძიების დროს, განსასჯელ ჩხარტიშვილს სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა დაუნიშნეს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ის დანაშაულის ჩადენის მომენტში ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა“*, — აღნიშნულია პალატის განჩინებაში.

სასამართლო სხდომაზე მსჯავრებულმა ჩხარტიშვილმა პირველად გაამხილა, როგორც თავად აღნიშნა, საშინელი საიდუმლო, რაც მანამდე ოჯახის წევრების გარდა, არავისთვის უთქვამს. მსჯავრდებულის თქმით, რომ არა დროული

ჩარევა, მისი ქალიშვილი გაუპატიურების მსხვერპლი გახდებოდა.

„ამ თემაზე საუბარს პროცესზე არ ვაპირებდი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, აღგიწეროთ ის ვითარება, რამაც აუტანელ მდგომარეობაში ჩამაგდო და შედეგად ეს ტრაგედია გამოიწვია. ამას ვერც ერთი მამა ვერ მოითმენდა. როცა რძლად ჩემი ქალიშვილი წაიყვანეს, ოჯახები ბუნებრივია, უფრო დავახლოვდით, ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს. ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო მძახლის — მამუკა მორჩილაძის უცნაურმა დამოკიდებულებამ მარიამისადმი. რამდენჯერაც დათვრებოდა, სტაცებდა ხოლმე ხელს უკანალზე ჩემს ქალიშვილს, ხან დაიჭერდა და ძალით ისვამდა მუხლებზე, ეფერებოდა. მარიამი ცდილობდა მოშორებოდა და თავიდან ირიდებდა მის ხელებს, მაგრამ ვხედავდი, რომ მამამთილი აწვალებდა. ვითომ ხუმრობით, წაავლებდა ხელს მკლავში და მოიმწყვდევდა. რაც დრო გადიოდა, მისი საქციელი სულ უფრო სცდებოდა ხუმრობის ფარგლებს. ამის ატანა ვეღარ შევძელი და ჯერ მეუღლეს, შემდეგ კი სიძესაც ვუსაყვედურე — რა ხდება, ბიჭო, მოაშორე ბავშვი მამაშენს-მეთქი. ამის შესახებ კახას მამუკასთვის უთქვამს. ის საშინლად გაბრაზებულა და სახლიდან გაგდებით დამუქრებია შვილს. ვიცი, რომ დილის 6 საათზე წამოაგდებდა ხოლმე კახას საწოლიდან და საქონლის მისახედად უშვებდა, თავად კი შინ რჩებოდა და ჩემს ქალიშვილს ავიწროებდა. მისი მეუღლე — თამარ მორჩილაძე ერთხელ ერევანში გაემგზავრა. იმ დროს მარიამი ფეხმძიმედ იყო. ექიმმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნა. ამის გამო გადავწყვიტეთ, ბავშვი ჩვენთან დაგვეტოვებინა დროებით. ვიფიქრეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა და დედა უკეთ მიხედავდა მარიამს, ვიდრე დედამთილი. ეს რომ მამუკამ შეიტყო, გაბრაზდა და სულ დაანგრია ყველაფერი. რა, ჩემს რძალს მე ვერ ვუპატრონებო? კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მარიამი ქმრის ოჯახში მივიყვანე, იმედი მქონდა, რომ მიხედავდნენ და არაფერს მოაკლებდნენ, მაგრამ ასე არ ხდებოდა. ერთ დღეს, მათთან სახლში რომ მივედი, მარიამის გარდა, არავინ დამხვდა. მეზობელმა მითხრა — მამუკამ კახა ტყეში წაიყვანა სამი დღითო. მაშინვე გამიელვა საშინელმა აზრმა, რომ მამუკა კახას სამუშაოდ ტყეში დატოვებდა, თავად კი დაბრუნდებოდა და მარიამთან საძაგლობას ჩაიდენდა. ბავშვი წავიყვანე შინ, იმ ღამეს მას მუცელი მოეშალა... ერთხელ, მარიამის საუბარიც მოვისმინე. დედამისს ეუბნებოდა — მამუკამ კახა ტყეში გააგდო დილიდან, თვითონ კი ჩემს ოთახში შემოვიდა, იმ დროს მეძინა, მაგრამ ხელის შეხება ვიგრძენი, მაშინვე გამეღვიძა, მან კი ხელით მანიშნა — ჩუმადო და მომვარდა. შეშინებულმა, როგორღაც თავი დავაღწიე და ბებიასთან გავიქეცი... ჩემს ცოლს ემუდარებოდა, — ან წამომიყვანეთ იმ სახლიდან, ან თავს მოვიკლავო. ჩვენც წამოვიყვანეთ. აი, ეს იყო ქმრის ოჯახიდან მისი წამოსვლის მიზეზი. არც მამუკას და არც მისი შვილის დანახვა არ მინდოდა. ერთმანეთს რამდენჯერმე ვეჩხუბეთ, მაგრამ მათი მოკვლა არასდროს მიფიქრია...“

მსჯავრდებულის ამ მოულოდნელ ჩვენებას პროცესის მონაწილეები უნდობლად შეხვდნენ. არარეალურად მიიჩნიეს მისი მონათხრობი. სხდომაზე პროკურორმა აღნიშნა, რომ ჩვენებაში ყველაფერი არალოგიკური იყო. *„ამის შესახებ მსჯავრდებულს აქამდე არაფერი უთქვამს. მის მონათხრობში ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებით. ჩვენების მიხედვით, არალოგიკურია როგორც აწ გარდაცვლილი მამამთილის, ასევე ქალიშვილისა და თავად ემზარ ჩხარტიშვილის საქციელი“,*— აღნიშნა პროკურორმა. მისი თქმით, მსჯავრდებულმა პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ახალი ვერსია შეთხზა. ამ ვერსიამ დაზარალებული მხარის აღშფოთება გამოიწვია.

დაზარალებული **თამარ მორჩილაძე**:

„გაუბედურებული ქალი და დედა ვარ. ერთი ხელის მოსმით გამინადგურეს ოჯახი და მარტოსულად დამტოვეს. ემზარ ჩხარტიშვილმა ჩემს ოჯახს ფიზიკური განადგურება არ აკმარა და ახლა უდიდესი სულიერი ტრავმა მომაყენა. რაც მოისმინეთ, მის მიერ შეთხზული, ყოვლად წარმოუდგენელი სიცრუეა. თავად არის ბილწი ადამიანი, რახან ასეთმა აზრმა თავში გაუელვა და მსგავსი საზიზღრობა წარმოიდგინა. მისგან ამის შესახებ პირველად სხდომაზე გავიგონე. ასე თუ ფიქრობდა, მანამდე რატომ არაფერი თქვა, რატომ არ აგებინა მაშინვე პასუხი ჩემს ქმარს? მკვდარს ცილი დასწამა და მის სახელს ჩირქი მოსცხო. ამას ღმერთი არ აპატიებს. ჩემს ქმარს რძალი ძალიან უყვარდა და ყოველთვის მამაშვილურად ეპყრობოდა. მის საქციელში რაიმე მსგავსი რომ შემენიშნა, პირველ რიგში მე არ ვაპატიებდი. არა მგონია, ქვეყნად არსებობდეს ცოლი და დედა, რომელიც ქმარს ოჯახში ასეთ ამორალურ საქციელს აპატიებს...“

დაზარალებულსა და პროკურატურას მხარი დაუჭირა პალატამაც. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ მსჯავრდებულმა ეს ვერსია მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების მიზნით მოიგონა.■

„ცოლი მე არ მოგიკლავს, დედაჩემია მოკლა“

ადვოკატის თქმით, დამნაშავემ მისატევებელი შეცდომა დაუშვა

ეს საშინელი მკვლელობა ქალაქ ქუთაისში მოხდა. იმ ღამით შვანგირაძეების საცხოვრებელი ბინიდან გამომავალმა ყურისწამღებმა ყვირილმა ბევრ მეზობელს დაუფრთხო ძილი. თუმცა, ცოლ-ქმრის მორიგ ჩხუბს კორპუსის მცხოვრებნი ამჯერადაც ურეაქციოდ შეხვდნენ: შვანგირაძეების ოჯახში ამგვარი კონფლიქტები დიდი ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულიყო. ყვირილი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. სამსაათიანი პაუზის შემდეგ, უკვე ნაშუაღამევს, ჩხუბი განახლდა. მეზობლები ამბობენ, რომ სახლიდან ქალის განწირული კივილი მოესმათ, მაგრამ ვერაფრით იფიქრებდნენ, თუ იქ რამე საშინელება ხდებოდა. ეს კივილი მათ, ოჯახის რძლისთვის ჩვეულ ისტერიკას მიაწერეს და რეაქციაც ამიტომ არ ჰქონდათ. ამის შემდეგ, ჩხუბის ხმა მომენტალურად შეწყდა და შვანგირაძეების ოჯახში სიჩუმემ დაისადგურა...

დილით ნოდარ შვანგირაძის ახალგაზრდა მეუღლის სიკვდილის შესახებ ყველამ შეიტყო. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალი ღამით მოკლეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა შვანგირაძეების საცხოვრებელი ბინიდან დანაშაულის იარაღი — სისხლიანი დანა ამოიღეს და ეჭვმიტანილი — გარდაცვლილის ქმარი დააკავეს. მაშინ ნოდარ შვენგირაძემ ჩადენილი მკვლელობა აღიარა, მაგრამ მოგვიანებით, დანაშაულის სხვა ვერსიით წარდგა სასამართლოს წინაშე.

საქმის მასალების მიხედვით, ოჯახში სამი ადამიანი — დედა-შვილი ელენე

და ნოდარ შვანგირაძეები და რძალი, გალინა პოროხოვა — ცხოვრობდა. ქორწინებიდან დიდი ხანი არ იყო გასული, როცა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. პირველ ხანებში, მხოლოდ კამათობდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, კონფლიქტი სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენდა. ჩხუბის მიზეზად რძალი დედამთილის აუტანელ ახირებებსა და მწარე შენიშვნებს ასახელებდა. ნოდარ შვანგირაძე ცდილობდა, დედისა და ცოლის ურთიერთობა როგორმე მოეგვარებინა და მათ შორის დაძაბულობა გაენეიტრალებინა, მაგრამ ამას ხშირად ვერ ახერხებდა, რადგან მუშაობდა, საღამოს შინ მისულს კი, რძალ-დედამთილი უკვე ნაჩხუბარი ხვდებოდა ხოლმე. თუმცა, მალე, ამ პრობლემამ ოჯახში მეორე პლანზე გადაინაცვლა. როგორც თავად შვანგირაძე ჩვენებაში წერს, ყველაზე აუტანელი მისთვის ის იყო, რომ მის ცოლს ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილება აღმოაჩნდა. *„თავიდან მეუბნებოდა, რომ დედაჩემთან ჩხუბის გამო სვამდა — ნერვები ამეშალა და დარდის გასაქარვებლად დავლიეო. მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე, ამან სისტემატური ხასიათი მიიღო“*, — ამბობდა ბრალდებული. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ გალინა პოროხოვა ალკოჰოლიზმით დაავადდა. სამსახურიდან შინ დაბრუნებულ ქმარს, ცოლი იმ საღამოსაც მთვრალი დახვდა...

„სახლში რომ მივედი, ცოლს უკვე ეძინა. დაახლოებით საღამოს 9-ის ნახევარი იქნებოდა. არ გავაღვიძე, რადგან დედაჩემმა მითხრა, რომ მთვრალი იყო. დედამ ვახშამი გამიმზადა, ვივახშმე და შემდეგ, მეც დავწექი ცოლის გვერდით. 12-ის ნახევარი იყო, როცა გალინამ გამაღვიძა და ჩხუბი დამიწყო. დედაჩემზე იყო ნაწყენი — საჭმელი გვიან მაჭამაო. ილანძღებოდა და ყვიროდა. შემდეგ ადგა, გავიდა ფოიეში, ჩემი ქურთუკის ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და ორივეს — მეც და დედაჩემსაც მოკვლით დაგვემუქრა“, — წერს ჩვენებაში ბრალდებული. ნოდარ შვანგირაძე ცოლს მივარდა, დანა წაართვა და მოსთხოვა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ლანძღვა და ყვირილი. ჩხუბის ხმაზე ოთახიდან დედამთილიც გამოვიდა, მაგრამ როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ის ჩხუბში არ ჩარეულა. ცოლს მხოლოდ ქმარი ეწინააღმდეგებოდა, ხელებს უჭერდა და საპასუხოდ უყვიროდა მას, მაგრამ მისი დაშოშმინება მაინც ვერ შეძლო. მაშინ, როცა ცოლი მის საცემრადაც გაიწია, ნოდარ შვანგირაძემ, ზემოთ აღნიშნული, „ბაბოჩკის“ ტიპის დანა მოუქნია მას და ერთხელ ჩაარტყა ზურგის არეში. გალინა პოროხოვამ სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. როგორც ჩანს, ალკოჰოლით გაბრუებულს, ტკივილი არ უგრძნია. ამის შემდეგ, ის დაწყნარდა, შეწყვიტა ქმრის ფიზიკური შეურაცხოფა, დაწვა და დაიძინა.

დაახლოებით ღამის 3 საათისთვის, პოროხოვამ გაიღვიძა და განაგრძო ისტერიკული ყვირილი და ქმრის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ცოლის ასეთი საქციელით თავმობეზრებულმა და გაბრაზებულმა ქმარმა იქვე, იატაკზე დაგდებული დანა აიღო. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, მან გადაწყვიტა, ცოლზე შური ეძია და მოეკლა იგი. ამ მიზნით, მან დანა მეუღლეს მუცლის არეში ძლიერად ჩაარტყა — მუცელში, მარჯვენა მხარეს, ერთი სანტიმეტრი სიღრმისა და 8 სანტიმეტრი სიღრმის შემავალი ჭრილობა მიაყენა. ქალმა ტკივილისგან ერთი შეკივლა და მაშინვე ძირს დაეცა გონდაკარგული. *„იატაკზე დავარდა და ხროტინი დაიწყო... ვიფიქრე, არ მოკვდეს-მეთქი და მაშინვე ტელეფონს მივვარდი. ჩვენს მეზობლად, „სასწრაფო დახმარების“ ექიმი-თერაპევტი ცხოვრობს და მას დავურეკე. ვთხოვე, სასწრაფოდ გადმოსულიყო ჩვენთან. მოვიდა კიდეც, მაგრამ გალინას მან ცოცხალს ვეღარ მოუსწრო...“* — წერს ბრალდებული.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გალინა პოროხოვას ღვიძლი ჰქონდა დაზიანებული, ჭრილობა ჯანმრთელობისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა. ექსპერტების თქმით, დაჭრილი, სისხლისგან დაიცალა და ამიტომაც გარდაიცვალა.

სასამართლომ ნოდარ შვანგირაძე ცოლის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის აღიარების შემდეგ, შვანგირაძემ ჩვენება შეცვალა. ის განაჩენით უკმაყოფილო დარჩა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში საჩივარიც შეიტანა. მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პალატას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და შვანგირაძის გამართლება მოსთხოვა. დამცველის თქმით, ნოდარ შვანგირაძემ ვერ გაითვალისწინა, რომ მის მიერ დანის გამოყენებას ცოლის სიკვდილი მოჰყვებოდა. *„საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ მას არ ჰქონდა ცოლის მოკვლის განზრახვა. ნოდარ შვანგირაძემ, სამწუხაროდ, ვერ გაითვალისწინა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის საქციელს. მან დაუშვა მისატევებელი შეცდომა, რადგან შესაძლო შედეგი წინასაწარ ვერ გაითვალისწინა. ცოლის მოკვლა რომ ნდომოდა, როცა მას ეძინა, მაშინ მოკლავდა“*, — განაცხადა ადვოკატმა.

საქალაქო სასამართლოს განაჩენი ბრალდების მხარემაც გაასაჩივრა. მაგრამ სასამართლოს მიმართ პროკურორის პრეტენზიები მხოლოდ სასჯელის ნაწილს ეხებოდა. ბრალმდებლის განცხადებით, ნოდარ შვანგირაძემ მძიმე დანაშაული ჩაიდინა. *„ვხედავთ, რომ ის არ არის გულწრფელი, დანაშაულის ჩადენას უარყოფს, თუმცა თავის უდანაშაულობას ვერანაირად ვერ ასაბუთებს. ამის მიუხედავად, სასამართლომ მის მიმართ რატომღაც ლოიალობა გამოიჩინა. მსჯავრდებული გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებს და მოვითხოვთ, თავისუფლების აღკვეთა მას 10 წლამდე გაეზარდოს“*, — განაცხადა პროკურორმა. პალატამ მსჯავრდებულის საჩივარი არ დააკმაყოფილა, უსაფუძვლობის მოტივით. სამაგიეროდ, ნაწილობრივ გაითვალისწინა ბრალდების მხარის მოთხოვნა და ნოდარ შვანგირაძისთვის გამოტანილი სასჯელი ერთი წლით გაზარდა.

ამის შემდეგ, მსჯავდებულმა საკასაციო პალატას მიმართა. თუმცა ამჯერად, მისმა ადვოკატმა, გამართლების ნაცვლად, შვანგირაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვალა და აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება მოითხოვა. *„მართალია, შვანგირაძე არ მოქმედებდა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით, მაგრამ დანის დარტყმის მომენტში, მას ნათლად ჰქონდა შეცნობილი თავისი მოქმედების მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგი. მისი მოქმედება იყო გარკვეული, საპასუხო რეაქცია ცოლის შეუფერებელ საქციელზე. საქმე გვაქვს უეცრად აღძრულ, მკვლელობის განზრახვასთან“*, — აღნიშნეს საკასაციო პალატის მოსამართლეებმა. მათ არ გაიზიარეს მსჯავრდებულის ადვოკატის პოზიცია, რომელსაც არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი უწოდეს. ნოდარ შვანგირაძე წინა სასამართლო პროცესებზე აცხადებდა, რომ შემთხვევის დღეს, იძულებული გახდა, ცოლის წინააღმდეგ დანა გამოეყენებინა. *„მეუღლე მოგერიების მიზნით დავჭერი. სხვა გზა აღარ მქონდა, რადგან ის ორივე ხელს კისერში მიჭერდა და ჩემს მოხრჩობას ცდილობდა“*, — აღნიშნა მსჯავრდებულმა. მაგრამ უზენაეს სასამართლოში მან ჩვენება კვლავ შეცვალა და ადვოკატთან ერთად, პალატას დანაშაულის სხვა ვერსია წარმოუდგინა: ამჯერად განაცხადა, რომ მისი მეუღლე სინამდვილეში, დედამისმა მოკლა, დანაშაული კი, საკუთარ თავზე აიღო. ვერსიის თანახმად, მკვლელობა რძალ-დედამთილის მორიგ ჩხუბს მოჰყვა. მთვრალი და გაღიზიანებული რძალი ჩხუბის დროს, დედამთილის მოკვლას შეეცადა. ამ უკანასკნელმა ჭიდილისას, მას დანა წაართვა და მოგერიების მიზნით, მოუქნია. გალინა პოროხოვა მაშინ დაიჭრა. საკასაციო პალატის მოსამართლეების განცხადებით, აღნიშნული ვერსია საქმის მასალებში დაფიქსირებული ფაქტებით არ დასტურდება. ჩათვალეს, რომ მსჯავრდებული, ადვოკატის დახმარებით, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იგონებდა ჩვენებებს. განაჩენი უცვლელი დატოვეს და მსჯავრდებულისთვის გამოტანილი სასჯელიც სამართლიანად მიიჩნიეს. ■

„მჭერა, რომ ანაც გაივლის“

მშობელმა შვილი რომ არ მიაცოვოს...

— შენკენ რა ხდება, რა არის ახალი? — მეკითხება პატარა ანა მათ სახლში ფეხის შედგმისთანავე. მოულოდნელობისგან გაოგნებული ვარ, არ ველოდი ასეთ უშუალობას... უხერხულობის პირველი ღელვა გადალახულია. ზანდა ახალი გაღვიძებულია, არ მესალმება. ლია მეუბნება, რომ ცოტა ხანში ისიც ხასიათზე მოვა...

ანა და ზანდა ტყუპია. ისინი ერთი წლის ასაკში ოჯახმა თბილისის ჩვილ ბავშვთა თავშესაფარს ჩააბარა, მუდმივად დატოვების ხელწერილით. მიზეზი — მათი ავადმყოფობა, ცერებრალური დამბლაა. დღეს მათ ლია გოგეშვილი თავის ოჯახში ზრდის. ამ ხნის განმავლობაში ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ლია პროფესიით ფიზიკოსია და 20 წლის ქალიშვილი ჰყავს.

თამარ სუჯაშვილი

საქმე ის არის, რომ 2002 წლის ოქტომბრიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების — World vision — საქართველო, Unicef, Everychild, განათლებისა და მეცნიერების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მხარდაჭერით ამოქმედდა პროექტი — „ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია“, — რომლის ერთ-ერთ მიზანს, ბავშვის უმთავრესი უფლების — იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, განხორციელება და ხელშეწყობა წარმოადგენს. ანა და ზანდა სწორედ ამ პროგრამის წყალობით მოხვდნენ ქალბატონ ლიას ოჯახში.

დღეს საქართველოში 5000-ზე მეტი ბავშვი იმყოფება სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. ჩვილთა და ბავშვთა სახლებში მცხოვრები პატარები, რომელთა შორის ბევრი უნარშეზღუდულია, ჩვენს ქვეყანაში სოციალურად ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენს. ეს მტკივნეული პრობლემა ნაწილობრივ, ჩვენში არსებულ სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს უკავშირდება. ამას ემატება ჩვენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული აზროვნება, რაც მარტოხელა დედების მიერ მიტოვებული ჩვილების რაოდენობას უფრო ზრდის...

პროექტის მეშვეობით, 71 ახალშობილი, დედასთან ერთად, დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის თანამშრომლებმა თავშესაფარშივე დააბინავეს, ხოლო 63 დედა-შვილი თავშესაფრის გარეშე დაბინავდა; 19 ჩვილი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა; შეირჩა 76 „მინდობითი“ მშობელი, რომლებმაც ოთხტაპიანი ტრენინგის სრული კურსი გაიარეს; 41 ბავშვი, მინდობითი აღზრდის მიზნით, მოსიყვარულე და მზრუნველ ოჯახში დასახლდა; პროექტის 35-მა მონაწილემ მცირე ბიზნესი წამოიწყო; 28 მოსარგებლე დედამ (მარტოხელა დედები და მათი ოჯახის წევრები) გაიარა პროფესიონალური გადამზადების კურსი; 14 დედა სხვადასხვა საწარმოში დასაქმდა.

პირველი შეხვედრა

ლია გოგეშვილი:

— ჩვილ ბავშვთა სახლში 2000 წლის 16 მარტს დავიწყე მუშაობა. 7 თვე ჯანმრთელ ბავშვებთან ვმუშაობდი, მერე, ავადმყოფ ბავშვებში გადამიყვანეს. ვიგრძენი, რომ ასეთ ბავშვებთან ურთიერთობით უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებდი... პირველად მათთან რომ შევედი, ანაც და ზანდაც უძრავად ისხდნენ მანეჟში. უეცრად ზანდა მეუბნება — დედა, წყალი მომაწოდეო. ანამაც „დედა“ დამიძახა... პირველად ვიფიქრე — ალბათ, ყველას ასე მიმართავენ-მეთქი. დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი — დედა მათ მხოლოდ ჩემში დაინახეს... თავისთავად ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. მათი მოვლა განსაკუთრებული გულმოდგინებით

მიანდეთ თქვენი ჯანმრთელობა ბუნებას!

ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების მწარმოებელი კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“ აცხადებს

საახალწლო ფასდაკლებას!

თქვენი „ახალგაზრდული“ სურვილები რომ შესაძლებლობებს ემთხვეოდეს



„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
ჭავჭავაძის გამზ. 41
☎ 29-20-91
899-10-99-20

უეცრად ზანდა მეუბნება — დედა, წყალი მომაწოდეო. ანამაც „დედა“ დამიძახა...

დავიწყე. ანა ფიზიკურად ძალიან სუსტი იყო, ხელით შეხებაც კი არ სიამოვნებდა, ჩემ გარდა არავის იკარებდა. არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე დავიწყე ზანდასთვის წყლის აბაზანებისა და მასაჟების კეთება... პირველი ნაბიჯები 4 წლისამ გადადგა. არავის სჯეროდა, რომ ამ ბავშვების ფეხზე დაყენება შესაძლებელი იყო. ეს პირველად, მარინა ექიმს გავუმხილე. იცით, რა მითხრა? — მეც იმიტომ მჯერა, შენ რომ გჯერაო... ზანდამ რომ გაიარა, რწმენა მომემატა. მჯერა, რომ ანაც გაივლის...

80 დღე „ჯოჯოხეთში“

ანა და ზანდა ჯერ მხოლოდ 6 წლისანი არიან, მაგრამ მშობლებისგან უარყოფის გარდა, სხვა განსაცდელიც გამოიარეს: 4 წლის ასაკში ბავშვები თბილისის ბავშვთა სახლიდან სენაკში გადაიყვანეს. მართალია, დები თბილისში კიდევ ერთი წელი დარჩნენ, მაგრამ ბოლოს, მაინც სენაკის ბავშვთა სახლში აღმოჩნდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როცა World vision-ის წარმომადგენლებმა ქალბატონ ლიას, ანასა და ზანდას, შვილობილებად აყვანა შესთავაზეს. არც დაფიქრებულა, ისე დათანხმდა. მიუხედავად ამისა, ბავშვთა სახლის მაშინდელმა დირექტორმა ავთო ბუბუტეიშვილმა ბავშვები მაინც სენაკში გაამწესა. 12 ოქტომბერს, ტყუპის დაბადების დღე იყო. ლიამ ორივეს თავისი ხელით მოქსოვილი საყელოები გაუკეთა, ხელი მოჰკიდა და თავად ჩაიყვანა სენაკში, აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების იმედით. ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევაში 80 დღე გავიდა.

ლია გოგეშვილი:

— დიდი წინააღმდეგობები შეგვხვდა, ბევრი ვიწვალეთ, ვიდრე გოგონებს სენაკიდან დავიხსნიდით. ჩემი სოცმუშაკი, მარინა შაღაშვილი მომხდარით შოკირებული იყო... დახმარება ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის რომ არ ეთხოვა, არაფერი გამოგვივიდოდა. მისი დამსახურებაა, ტელეფონი რომ დაგვიდგეს, გაზი შემოგვიყვანეს და წლების განმავლობაში გაჩერებული ლიფტი აგვიმუშავეს... როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. მაგრამ სენაკიდან ბავშვები სრულიად განადგურებულები ჩამოვიყვანეთ. ზანდა იმდენად გათიშული იყო, ვერც კი მიცნო. ორივე, სრულიად უმოძრაოები იყვნენ, არადა, ზანდა სენაკში წაყვანამდე, დადიოდა... ანა ძალიან დასუსტებული იყო, ყველაფერი სტკიოდა. ეს რომ ჩემმა შვილმა ნახა, ნერვიულობისგან საავადმყოფოში ამოყო თავი... დიდი გამოცდის წინაშე აღმოვჩნდი: შვილი საავადმყოფოში მეწვა, სახლში კი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები მყავდა მოსავლელი. მაგრამ ეს განსაცდელიც დავძლიეთ. გოგონები სენაკში კიდევ რომ დარჩენილიყვნენ, ანა ნამდვილად ვერ გადარჩებოდა.

— არ გაგიჭირდებათ ბავშვებთან განშორება, ისინი ბიოლოგიურმა ოჯახმა რომ დაიბრუნოს?

— ღმერთმა უკეთ იცის, როგორ უნდა წარიმართოს მათი მომავალი. თუ უფლის ნება იქნება, მათთვის სამუდამოდ დედად დავრჩები. თუ ჩემთან დარჩებიან, ნელ-ნელა, მაგრამ განიკურნებიან. ზანდას ორივე ფეხი პარალიზებული ჰქონდა. ახლა ცალი სრულიად გაუსწორდა და დადის. ეს 3 წლის მანძილზე, რწმენითა და ლოცვით ჩატარებული მასაჟების შედეგია. ნათლად მაქვს წარმოდგენილი, როგორები იქნებიან 20 წლის შემდეგ. ვატყობ, რომ ნელ-ნელა, გემოვნებაც დაეხვეწათ, ყველა ფერის გარჩევა დაიწყეს. გაისად ვალდორფის სისტემის სკოლაში შევიყვან. იქ ასეთი ბავშვები სრულფასოვან მოქალაქეებად იზრდებიან.

„ხომ დარჩები?“

საუბრის შემდეგ, ბავშვებთან გავდივართ. ზანდა ხასიათზე მოსულა. ყველას კანფეტებს გვირიგებს და დაჟინებით მთხოვს, მივირთვა. შემდეგ, კანფეტის ქაღალდებსაც გვართმევს გადასაყრელად. კიდევ ხომ დარჩები? — მეკითხება მოულოდნელად. მეც დაუფიქრებლად ვპასუხობ — დავრჩები. შემდეგ იწყება მინიშნოუ და მხიარულება — ლექსები, ცეკვა, სიმღერა. იქიდან ბედნიერი მოვდივარ. უეცრად ლიას სიტყვები მახსენდება: მათთან ურთიერთობით უფრო დიდ სიამოვნებას ვიღებ, ვიდრე ჯანმრთელი ბავშვების გვერდითო...

ზანდას ორივე ფეხი პარალიზებული ჰქონდა. ახლა ცალი სრულიად გაუსწორდა და დადის

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური მუშაკი, მარინა შაღაშვილი, ლია გოგეშვილის ოჯახში მიმდინარე, ტყუპის განვითარების პროცესს აკვირდება. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ლიასთან არიან, ანა და ზანდა კარდინალურად შეიცვალნენ — ვითარდებიან, იხვეწებიან, დაწყნარდნენ...

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNISEF) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბავშვთა სახლში აღზრდა ვერაფრით შეედრება ოჯახურ გარემოში მის განვითარებას. „ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის“ პროექტის მიზანიც ეს არის და საქართველოს პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტიც მომზადდა, რომელიც ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციის პრობლემის გადაჭრას გააიოლებს.

გიგი წერეთელი, *პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— „ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტი“ თავისი არსით, ძალზე საინტერესოა. მართალია, მოცულობით მცირეა, მაგრამ დიდია მისი მორალური მნიშვნელობა. პრეცედენტი, რომ დედას ბავშვის მიტოვება აქვს გადაწყვეტილი და შესაბამისი ჩარევის შემდეგ ამას გადაიფიქრებს, თავისთავად პოზიტიური შედეგია და ეს არის სწორედ დეინსტიტუციონალიზაციის აზრი.

— ახალი კანონპროექტი, რომელიც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს გააიოლებს, პარლამენტში პირველი მოსმენით მიიღეს. რა არის მისი ძირითადი არსი?

— 2007 წლიდან, ეს სფერო მთლიანად გადაეცემა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. შესაბამისად, ბავშვთა სახლებიც სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა და ახლებურად დაიწყებს ფუნქციონირებას. რაც მთავარია, სახელმწიფო პოლიტიკა იქით იქნება მიმართული, რომ მსგავსი დაწესებულებების რიცხვი შემცირდეს და ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია მოხდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მშობლებმა ბავშვები არ მიატოვონ. საგაზაფხულო სესიაზე ჩვენ ორ ძალზე მნიშვნელოვან კანონს მივიღებთ, რაც დიდ სტიმულს მისცემს საქართველოში ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციასა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს.

■

ვის რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო...

შეეფერება თუ არა კონკია უფლისწულს ანუ ჭორიკანებო, გვაცალეთ სიცოცხლე!

ჩემი ზოდიაქოს ნიშანი ტყუპი გახლავთ. ერთხელ, სადღაც წავიკითხე: თუ მარჩბივი დარწმუნებულია, რომ დაუსჯელი და საზოგადოებისგან გაუკიცხავი დარჩება, შეუძლია, დიდი უბედურებაც კი დაატრიალოს, მისცეს ტყუილი დაპირებები, მოახდინოს რევოლუციები... ის არც ერთი ნიშნის გავლენის ქვეშ არ ექცევა, ხოლო მას ყველა ნიშანი უწევს ანგარიშსო... ხედავთ? ადამიანები ზოდიაქოს ნიშნების მიხედვითაც კი ანიჭებენ მნიშვნელობას ერთმანეთის აზრს! მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე — ნუთუ, დღევანდელი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ტყუპის ნიშნის ქვეშაა დაბადებული?!. მაპატიეთ ეს მცირე „პოლიტიკური“ გადახვევა, რადგან საჩივრის სვეტისთვის, საყვედურით სავსე იმდენი მესიჯი მივიღე მთავრობის მისამართით, რომ ამ თემას გვერდს ვერ ავუვლიდი. თანაც, ჩვენი პირველი რესპონდენტი, ლეიბორისტი თუ არა, „კაკ მინიმუმ“, „დავითაშვილისტი“ მაინც იქნება და მისი დამსახურებით, „გზავნილებში“ პოლიტიკური თემის „დებიუტიც“ შედგა.

მარი ჯაფარიძე

კრიტიკოსი თუ ოპოზიციონერი?

„გამარჯობაააა! ყოველთვის მინდოდა, რომ „გზავნილებში“ რაღაც მომეწერა და ჩემი მოკრძალებული სიტყვაც მეთქვა თქვენი ფურცლებიდან, მაგრამ ვერც ერთმა თემამ ისე ვერ ამიფანცქვალა გული, როგორც დღევანდელმა. ინტრიგანი და მამაძაღლი არ გეგონოთ, მაგრამ ჩვენს მთავრობაზე მინდა, შემოგჩივლოთ. კაცო, რომ დამდგარან და გაიძახიან — მაგრები ვართო, ეს ავაშენეთ და ის ავაღორძინეთო! — რა გინახავთ მათი გაკეთებული? მაგალითად, ჩემს გურულ დედას რაში სჭირდება მაგათი გაკეთებული ასფალტი? შეჭამს თუ დალევს? ის ურჩევნიათ, პენსია მოუმატონ. ახლა იტყვით, ხომ უმატებენო! არ დაიჯეროთ, თვალში ნაცარს გვაყრიან და გვატყუებენ! თავიანთი სახლებისა და საბანკო ანგარიშების მეტი არაფერი გაუკეთებიათ მაგათ. თუ აქეთ-იქით არ დაფრინავენ და „ბოინგში“ არ იგრილებენ გახურებულ შუბლებს, მაშინ ტაშფანდური აქვთ გამართული და ხან საპატრულო პოლიციის, ხან რევოლუციის დაბადების დღეს აღნიშნავენ, ხან შადრევნებს ხსნიან, ხან — ახალ ციხეს. ეს რა ჯანდაბა მოიგონეს ახლა — ფასიანი, კომფორტული ციხე უნდა გავხსნათო! ალბათ, ჭრელ აბანოსაც იქვე გადაიტანენ და აღარ მოუწევთ პატიმრებს აქეთ-იქით წანწალი... მეცნიერები დააჩმორეს, სასამართლო, ბავშვების სათამაშო გახადეს, სიღატაკის ზღვარზე მყოფი ქვეყანა უარეს დღეში ჩააგდეს, ყაჩაღები და ბანდიტები უნივერსიტეტის სტუდენტებს პირდაპირ ლექციებზე აყაჩაღებენ, პირველადი მოხმარების საგნებზე კატასტროფულად მოიმატა ფასებმა, თავიანთთვის რამდენიმეათასიანი ხელფასები დაინიშნეს, გზები გაიკეთეს, რომ ძვირფასი ჯიპები არ დაამტვრიონ... დგანან და თავს იქებენ. არავისი არაფერი ეყურებათ... თქვენი თემაც სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი — ვის რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო... სწორედ ასე ფიქრობენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, როცა კრიტიკას ისმენენ და გულარხეინად განაგრძობენ საკუთარი კეთილდღეობის შენებას. ალბათ იციან, რომ დიდი დღე არ უწერიათ და ცდილობენ, ბევრი მოასწრონ... პატივისცემით, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე“.

პატარაობიდან გვინერგავდნენ აზრს, რომ ყველა პროფესია ერთნაირად საამაყოა და ცუდი არ არსებობს, უბრალოდ, ზოგი შემოსავლიანია, ზოგი — პრესტიჟული, ზოგი — უბრალო და ზოგიც „ბრალიანი“. პროფესიის „ავკარგიანობის“ დადგენა იმ ფაკულტეტზე აბიტურიენტთა კონკურსის მიხედვითაც შეიძლება, სადაც მას ეუფლებიან. მეტალურგობა წინათ, ითვლებოდა საპატიოდ, თორემ წელს, უმაღლესი სასწავლებლის გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებს ეხვეწებოდნენ — დასხედით, ისწავლეთ, კარგი მეტალურგები დადგებით და საამაყო პროფესიაც გექნებათო, — მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — ყველას იურისტობა, ეკონომისტობა და ექიმობა უნდა. თუმცა, ხანდახან ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ოჯახური, ტრადიციული, პრესტიჟული პროფესია დათმო და უფრო შემოსავლიანზე გაცვალო.

ექიმი თუ ბიზნესვუმენი?

„ექიმების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მშობლები, მათი მშობლები და დანარჩენი წინაპრებიც ექიმები იყვნენ და მეც ბავშვობიდანვე შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ როცა გავიზრდებოდი, ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დავდგებოდი. ის კი არა, პირველი თეთრი ხალათი 4 წლის ასაკში შემიკერეს და ექიმობანას ვთამაშობდი ხოლმე: ხან თოჯინებს ვუკეთებდი ნემსებს და ხან მუთაქებს... სკოლის დამთავრებისთანავე, სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი და 1999 წელს, წითელ დიპლომზეც დავამთავრე. შემდეგ, ერთ დანგრეულ კლინიკაში დავიწყე მუშაობა. ამ დროისთვის, ქმართან გაყრილი ვიყავი და 2 შვილს მარტო ვზრდიდი. ძალზე მწირი ხელფასი მქონდა. თვეში 60 ლარს ძლივს ვუყრიდი თავს. დედაჩემი საკმაოდ კარგ კლინიკაში მუშაობდა და ყველასთან თავს იწონებდა იმით, რომ სამი შვილი გაზარდა და სამივენი ექიმები იყვნენ. ამ 4 წლის წინ, მედიკოსების ჯგუფთან ერთად მოვხვდი ერთ-ერთ ქვეყანაში. იქ კი გამიმართლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ერთი საქმიანი ქალბა-

ტონი გავიცანი, რომელმაც ერთობლივი ბიზნესი შემომთავაზა, საქართველოში. თავიდანვე დავინახე შემოთავაზებული საქმის პერსპექტივა და უყოყმანოდ დავთანხმდი. სავაჭრო ბიზნესი გახლდათ და სულ რაღაც 3 თვის შემდეგ, საქონლის პირველი პარტია მივიღე. არც ექიმობისთვის დამინებებია თავი და ამ საქმესაც მშვენივრად გავართვი თავი, მაგრამ შემდეგ, მთლიანად ბიზნესზე გადავერთე, რადგან საქმე საკმაოდ შემოსავლიანი აღმოჩნდა, სავაჭრო ქსელი თანდათან ფართოვდებოდა... მანამდე, თუ ჩემს შვილებს ნორმალური საკვებიცა და ჩაცმა-დახურვაც აკლდათ, ახლა თავს მშვენივრად გრძნობდნენ. დედაჩემი ამ ყველაფერს მანამდე ადევნებდა მშვიდად თვალყურს, ვიდრე ექიმად მუშაობას ვაგრძელებდი, მაგრამ როდესაც კლინიკიდან წამოვედი, საშინელი ისტერიკა დაიმართა. სულ ვაჭრუკანა და ოჯახის შემარცხვენელი მეძახა. თავი არც მე გამომეყოფა სადმე და არც შენო, — მეუბნებოდა. — ექიმობა მიატოვე და ვაჭრობა დაიწყეო?!. ერთი სიტყვით, ვერაფერი შევასმინე და მისი აკვიატებული ფრაზაც — რას იტყვის ხალხი?! — ფეხებზე დავიკიდე. ვინ რა უნდა თქვას? მთავარია, ჩემმა წისქვილმა ფქვას. დედაჩემს თუ დავუჯერებ, მისი თქმით, ჯობია, ექიმი იყო და შიმშილით სული გძვრებოდეს, ვიდრე — ვაჭარი და მდიდარი. თანაც, რატომ ვარ ვაჭარი? მე იმ ფირმის ხელმძღვანელი ვარ, რომელსაც უცხოეთიდან ქართულ ბაზარზე საქონელი შემოაქვს, აქ დისტრიბიუტორების საშუალებით ასაღებს და მოგებას ნახულობს. სულაც არ მაინტერესებს, რა ჰქვია ამ საქმიანობას. ცუდსა და უღირსს არაფერს ჩავდივარ“.

სიტყვა „გარიგება“ შესაძლოა, ორგვარად გავიგოთ: მაგალითად, როცა კაცს ურიგებენ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით და როცა ორ მხარეს შორის ხდება საქმიანი გარიგება, ორივე მხარისთვის ხელსაყრელი პირობებით. მომდევნო ამბისთვის ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობა აქტუალურია და ძალზე საინტერესოც...

გარიგება გარიგებაზე

„ძალიან კარგ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ასეთი გამოთქმა: რაც მოგივა, დავითაო, ყველა — შენი თავითაო?.. სწორედ ასე დამემართა. მამაჩემის ქონება ისე უცებ გავანიავე, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ უზარმაზარი ქონებიდან, მხოლოდ ერთოთახიანი ბინის ცარიელი კედლებიღა დამრჩა, რომელზეც ბლომად ლურსმანი იყო მიჭედებული და ზედ ჩემი ტანისამოსი ეკიდა... ეს რომ გავაცნობიერე, ვიფიქრე, თავს ჩამოვიხრჩობ-მეთქი და ჭერს ავხედე. მაშინ გამახსენდა, რომ ჭაღის ჩამოხსნის დროს, ის კაუჭი ჩამოვარდა, რომელზეც ჭაღი ეკიდა და ახლა თოკს რაზე ჩამოვაბამდი, რომ თავი ჩამომეხრჩო?.. თანაც, თოკიც ველარ ვიპოვე. როგორც ჩანს, ისიც გაყიდე... ამდენი ვილაპარაკე და ჯერ არ მითქვამს, რისთვის ვყიდდი ამ ყველაფერს: იმისთვის, რომ გაყიდულ ნივთში აღებული ფული ტოტალიზატორში ჩამედო. სულ ვაგებდი, ვაგებდი და ფარხმალს მაინც არ ვყრიდი იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც მოვიგებდი და თანაც, იმხელა თანხას, რომ ერთიანად ავინაზღაურებდი მთელ დანაკარგს, მაგრამ მაშინ ცარიელ კედლებში ვიჯექი, თავზე ხელშემოდებული და იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ გამესტუმრებინა ვალი — 5 ათასი დოლარი, რომელიც ისევ ტოტალიზატორში „პოსლეზე“ ჩავდე და წავაგე. ძმაკაცები მეხუმრებოდნენ — ახლა სხვა გზა არ დაგრჩენია, ბორდელში უნდა წახვიდე სამუშაოდ, გარეგნობა ხელს გიწყობს, კლიენტი ბლომად გეყოლება და რამდენიმე თვეში ვალსაც გაისტუმრებო. ამას ის ძმაკაცები მეუბნებოდნენ, ვინც დღე და ღამე ჩამჩიჩინებდნენ, ტოტალიზატორს შევშვებოდი და ჩემი ცხოვრებისთვის მიმეხედა; სინანულით ვიხსენებდი მათ სიტყვებს და საკუთარ თავზე ვბრაზობდი. ჩემი გასაჭირის შესახებ თითქმის ყველა ახლობელმა იცოდა. ერთ დღესაც, ერთ-ერთმა მათგანმა — გოგომ დამირეკა და მითხრა — ჩემი დაქალი შეყვარებულმა მიატოვა, ის კი ფეხმძიმედაა, მაგარი მელეხი მამა ჰყავს და თანაც, ძალიან მკაცრი. მისი ამბავი რომ შეიტყოს, უეჭველად მოკლავს; უნდა გადაარჩინო — დროებით ცოლად მოიყვანო, ის კი სანაცვლოდ, ვალს გაგისტუმრებსო. — ჯერ ვალი გამისტუმროს და მერე მოვიყვან ცოლად-მეთქი, — მთლად ავიღე ნამუსზე ხელი... შევთანხმდით, გარიგება ცოლის გარიგების შესახებ შედგა და მე, ვალგადახდილი, მაგრამ ცოლიანი კაცი გავხდი, საცხოვრებლად სიმამრის ბინაში გადავედი და განცხრომას მივეცი თავი. ჩემს ოფიციალურ ცოლთან „არაოფიციალური“ ურთიერთობაც მქონდა. თავიდან არ მნებდებოდა, მიჯიუტდებოდა, მაგრამ მერე, იცოცხლე, ველარ ვაღებინებდი თავს ჩემი მკლავიდან... ერთი სიტყვით, ახლაც, 4 წლის შემდეგ, ისევ ერთად ვცხოვრობთ. მგონი, სამუდამოდ დავქორწინდი, რადგან ცოლი მეორე ბავშვის გაჩენას აპირებს და ტვინს მიბურღავს... ყველამ იცის, როგორ მოვიყვანე ცოლი. შესაძლოა, დამცინიან კიდეც ამის გამო, მაგრამ ვის რა უნდა, თქვას, წისქვილმა კი ფქვას... მე ძალზე თბილად და ტკბილად ვგრძნობ თავს იმ ოჯახში. თანაც, ჩემი ცოლი ერთადერთი მემკვიდრეა და გიჟი ვარ, სადმე წავიდე?! გიჟი ის კაცია, ვინც ჩემი ცოლი შეაცდინა და მერე, მიატოვა. ალბათ, ვერ ხვდება, რაზე თქვა უარი“.

„ბრიყვი ჭკვიანის ბარგია ზურგით სათრევი გუდადა, ჭკვიანმა უნდა ასწოროს, ბრიყვის ნათელი მრუდადა“... პოეტის ეს სიტყვები ზუსტად ასახავს შემდეგი მესიჯის არსს.

კარგია, როცა ოჯახის უფროსი — კაცია, მაგრამ როცა ის საკუთარ მოვალეობას ვერ ასრულებს, ყოველთვის ვარდებს როდი მიართმევენ — შესაძლოა, სრულიად საპირისპირო რამ მიიღოს...

„როგორც უნდა, ისე აჭენებსო“...

„როცა გავთხოვდი, ჩემი ქმარი ძალზე კარგი ადამიანი იყო. ის ახლაც არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ იმდენი სიმწარე მაგემა, თავი რომ არ მოვიკალი, გასაკვირია. ქორწინებიდან მესამე წელს, ოჯახზე გული აიცრუა, დაიწყო სმა და საერთოდ არ ახსოვდა, შვილები რომ ჰყავდა. ჩემს ადგილზე ბევრი, ოჯახს დაანგრევდა, მაგრამ მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ ისევ ერთად ვყოფილიყავით. უზომოდ ბევრს ვითმენდი და ვცდილობდი, გამომესწორებინა. რამდენჯერმე, ექიმთან მივიყვანე, სმას რომ გადასჩვეოდა. მთელი 3 წელი დამჭირდა საიმისოდ, რომ ამისთვის მიმეღწია. რომ აღარ თვრებოდა, ოჯახზეც მოუბრუნდა გული... ახლა შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ და ჩემს უკითხავად, ნაბიჯსაც აღარ დგამს. ვიცი, ბევრი ადამიანი ჩემზე ამბობს — ჯადო გაუკეთა, ახლა კი კისერზე აზის და როგორც უნდა, ისე აჭენებსო... მე ხომ ვიცი, რომ ღმერთის წინაშეც და ქმრის წინაშეც მართალი ვარ!... ვის რა უნდა, ის თქვას, მე კი თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ“.

„დედამთილს ქმარი წავართვი“

„ძალიან პატარა გავთხოვდი: 15 წლისაც არ ვიყავი, როცა დემიკომ მომიტაცა. ეს 9 წლის წინ მოხდა. ჩემმა ოჯახმა ძლივს გადაიტანა ჩემი გათხოვების ამბავი. ძალზე უბრალო და ღარიბი ოჯახიდან ვიყავი. ჩემი დედამთილ-მამამთილი კი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. დემიკო არ მიყვარდა, მაგრამ უცებ შევეჩვიე. მათთან თავს კარგად ვგრძნობდი... ის, რომ გიორგი ჩემი დედამთილის მეორე ქმარი იყო, მათ ოჯახში მისვლიდან ერთი წლის შემდეგ გავიგე — მაშინ, როცა დემიკოს ნამდვილი მამა გვესტუმრა. თავიდან მშვიდად იქცეოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ყოფილი ცოლი მაინც უყვარდა და ბოლოს, ისეთი დებოში ატეხა, რომ ჩემმა ქმარმა შინიდან გააგდო... გიორგი პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და ბევრი რამ შეეძლო, სწორედ ამიტომ უმალავდნენ ჩემი ნამდვილი მამამთილის გამოჩენის ამბავს... გიორგითი თავიდანვე მოვიხიბლე. ძალზე კარგი გარეგნობა, ვაჟკაცური თვისებები ჰქონდა. როცა შევიტყვე, რომ ჩემი ქმრის მამინაცვალი იყო, ჩემს გრძნობებს მის მიმართ გზა გავუხსენი და იმანაც ჩემი გული უცებ დაისაკუთრა. ლამის გონების დაკარგვამდე შემიყვარდა ეს კაცი. მაშინ მე 19 წლის ვიყავი, ის კი — 38-ის. ვშიშობდი, რომ

ჩემი გრძნობა არავის შეემჩნია და გულ-დაგულ ვინიღბებოდი. მისი მხრიდან ვერაფერს ვგრძნობდი, ეს კი ძალზე მაღიზიანებდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, გვიან საღამოს, შინ მიმავალმა, გზის ნაპირას გაჩერებული მისი მანქანა შევნიშნე. დავაპირე, რომ ჩავმჯდარიყავი და შინ ერთად წავსულიყავით, მაგრამ გამვლელი მანქანის შუქმა რომ მიანათა, დავინახე, როგორ კოცნიდა მანქანაში ვიღაც ქალს. ეჭვიანობამ ლამის გული გამიჩერა. ისე მომინდა, იმ ქალის ადგილზე მე ვყოფილიყავი, რომ არც დავფიქრებულვარ, სახეზე ღიმილი „მივიხატე“, ვითომ არ ვიცოდი, რა ხდებოდა მის მანქანაში, კარი გამოვაღე და გაოცებული სახე მივიღე... მოკლედ, ის ქალი გაუშვა და შინისაკენ ერთად გამოვეშურეთ. გზაში მიხსნიდა, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, მთხოვდა, დედამთილისთვის არაფერი მეთქვა და — დემიკო რომ ასეთ სიტუაციაში დავიჭირო, ჩემი ხელით მოვკლავო, — ამბობდა, ჩემი გულის მოსაგებად. ამასობაში, სახლსაც მივუახლოვდით. მანქანა გარაჟში დააყენა და ვიდრე გადმოვიდოდით, კიდევ ერთხელ მკითხა — საიდუმლოს ხომ შემინახავო?.. ამ დროს, ერთი ხელი სავარძლის საზურგეზე ჰქონდა დადებული და თვალებში მიყურებდა. მე უეცრად ტუჩებში ვაკოცე... გაოგნდა, თვალები დააჭყიტა და უცებ მომიშორა... რამდენიმე დღის შემდეგ, ისე მოხდა, რომ შინ მარტონი ვიყავით. თვითონვე ჩამომიგდო სიტყვა, ასე რატომ მოიქეცი? — მკითხა. მეც ავდექი და ვუთხარი, რომ ძალიან მიყვარდა. თავს აქნევდა და — არ მჯერაო, — ამბობდა... ჩვენ შორის თითქოს რაღაც ძაფი გაიბა და 3 თვის შემდეგ, საყვარლებიც გავხდით. მთელი 3 წელი ისე ვმალავდით ჩვენს ურთიერთობას, რომ არავის გაუგია. მე ჩემს დედამთილზე ვეჭვიანობდი, გიორგის სცენებს ვუწყობდი და გამუდმებით ვეუბნებოდი — თუ გიყვარვარ, ცოლად შემირთე და ცალკე ვიცხოვროთ-მეთქი. მართლაც, მოულოდნელად შინიდან წავედით და ყველას გამოვუცხადეთ, რომ ერთად ცხოვრებას ვაპირებდით. ყველა შოკში ჩავარდა, მაგრამ სულ არ მაინტერესებდა, ვინ რას იტყოდა — მე ხომ ბედნიერად ვგრძნობდი თავს!..“

მშობელი დედა თუ ავი ბედისწერა?

„ცხოვრება დედაჩემმა დამინგრია. ისე უყვარდა სასმელი, რომ ჩემს თავს ერჩია. ფხიზელს იშვიათად ვხედავდი... მამა საერთოდ არ მახსოვს (ისე, თბილისში საკმაოდ ცნობილი პიროვნება — გ.ფ-ა). სულ პატარა ბავშვს, დედა ოთახში ჩამკეტავდა ხოლმე და თვითონ საყვარლებში ერთობოდა. ჭუჭრუტანიდან ვუცქერდი მათ და საშინელ დამცირებასა და ზიზღს ვგრძნობდი. 7 წლის ბავშვს, უკვე სექსის მიმართ ინტერესი გამიჩნდა. მაინტერესებდა, რა იყო ისეთი, რის გამოც ჩემს სულიერ სამყაროსა და ნერვებს არად დაგიდევდნენ... ცხოვრება აუტანელი გახდა. მეგობრების მრცხვენოდა, რადგან მეგონა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა... დედა განათლების სფეროში მუშაობდა, მაგრამ ლოთობის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან. საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალეთ და სხვა ქალაქში გადავბარგდით. სამსახურიც იშოვა. შვებით ამოვისუნთქე, რადგან იქ არავინ მიცნობდა და შემეძლო, ცხოვრება თავიდან დამეწყო. მაგრამ იქაც იგივე გამეორდა და მომთაბარე ცხოვრება დავიწყეთ. თუ რამ გაგვაჩნდა, დედამ ყველაფერი გაფლანგა. მენატრებოდა საკუთარი ჭერი და ნორმალური ცხოვრება... გარეგნობით ძალზე ლამაზი გოგო ვიყავი, მაგრამ ასეთი დედის შვილს, ვინ შემომხედავდა?!. არ ვიცი, ბედისწერას დავაბრალო თუ სხვა სასწაულს, მაგრამ კარგი ოჯახის შვილზე გავთხოვდი. წესიერი დედის შვილი, მას კარგ რძლობას გაუწევდა, მაგრამ მშობელი დედა ავი ბედისწერასავით მადგა თავზე: გამუდმებით მთვრალი მოდიოდა სტუმრად; მერე, როცა ღამით ყველანი ვიძინებდით, ღვინოს იპარავდა და დილით ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა ხოლმე. თავმოყვარეობა ჩემი ქმრის ოჯახსაც ელახებოდა... მანამ არ მოისვენა, ვიდრე ოჯახი არ დამინგრია... ცხოვრება ნულიდან დავიწყე. სითბოს ნაკლებობას საყვარლების მკლავებში ვიკლავ. ოჯახი ჩემს კისერზეა, დედა ისევ სვამს. მის გამო, უკვე ყველაფერი ფეხებზე დავიკიდე. სიკვდილი შვებას მომიტანდა, თუმცა, ჯერ ძალზე ახალგაზრდა ვარ... ჩემი დღევანდელი მესიჯი, მასთან ჩხუბის შედეგია. მინდა, დედაჩემს თვალი ავუხილო. ნუთუ არ ეშინია, რომ ერთ დღესაც, ნერვებს ვერ მოვთოკავ და თავს მოვიკლავ?! ან შინიდან რომ გავიქცე, მერე რა ეშველება?.. იქნებ, მამაჩემსაც შერცხვეს, თუ ინიციალებით მიხვდება, ვინც ვარ. მას კი იმიტომ უნდა შერცხვეს, რომ ამქვეყნად მომავლინა და მიმაგდო“.

მონანიება

„სხვისი აზრი რომ არ მაინტერესებდეს, არც ციხეში ვიჯდებოდი... მთელი ცხოვრება იმას ვჩალიჩობდი, რომ ვინმეს ჩემზე ცუდი არაფერი ეთქვა. ბოლოს კი ვსარგებლობდი კარგი ავტორიტეტით, მაგრამ ამ ყველაფერმა ციხის კარამდე მიმიყვანა, ჩემი ოჯახი გააწამა, ჩემი შეყვარებული სხვაზე გაათხოვა, საუკეთესო მეგობრები დამაკარგვინა... ახლა ვზივარ და ძველ დროს ვიხსენებ. ვხვდები, თუ რა სულელი ვყოფილვარ. რაც უნდოდათ, ის ელაპარაკათ, მე კი შინ ვიჯდებოდი დედიკოს ბიჭივით და ვისწავლიდი; დედაჩემი მაინც იამაყებდა ჩემით... ასე რომ, სხვის აზრს ყურადღება არ უნდა მიაქციო... მე „მალიშა“ ვარ. „გზის“ წინა ნომერში ჩემი მესიჯი გამოქვეყნდა, რომელსაც ეკა გამოეხმაურა. მინდა, მას ვუთხრა: ეკა, იქნებ, შენი ძვირფასი დროიდან გამოყო რამდენიმე წუთი და შემეხმიანო?..“

არაჩვეულებრივი სურათი

„მინდა, ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ. მოქმედება თბილისში ვითარდებოდა. გოგომ და ბიჭმა ინტერნეტით გაიცნეს და შეუყვარდათ კიდეც ერთმანეთი. ბიჭმა სთხოვა, სურათი გამომიგზავნეო. გოგომაც არაჩვეულებრივი სურათი გაუგზავნა, რომელზეც ულამაზესი გოგო იყო გამოსახული. ამან ბიჭის სიყვარული უფრო გააღვივა. ეს ბიჭი ერთ დაბადების დღეზე მოხვდა, სადაც სტუმრად ისრაელიდან ახალი დაბრუნებული გოგონა იმყოფებოდა. მან თავისი ლამაზი შეყვარებულით თავის მოწონება გადაწყვიტა და ჯიბიდან ინტერნეტით გამოგზავნილი სურათი დააძრო. ისრაელიდან ჩამოსულმა გოგომ კი მასში, თავისი დაქალი ამოიცნო (ჩემი ბიძაშვილი, რომელიც დიდი ხანია, ისრაელში ცხოვრობს და მართლაც, ძალიან ლამაზია). რა თქმა უნდა, მაშინვე თქვა, რომ ფოტოზე გამოსახული გოგო ის არ იყო, ვინც იმ ბიჭს გაეცნო... არ ვიცი, რით დამთავრდა ეს ამბავი, ის გოგო და ბიჭი დღემდე ურთიერთობენ თუ არა და ძალზე მაინტერესებს. თუ ის ბიჭი ამ ამბავში საკუთარ თავს ამოიცნობს, ვთხოვ, დამიკავშირდეს, თანაც — რაც შეიძლება სწრაფად, თორემ, მალე, მეც ამერიკაში მივდივარ. „გზავნილების“ გარეშე იქ როგორ უნდა გავძლო, არ ვიცი...“

ახლა კი, მოკლე მესიჯებსა და „საჩივრის სვეტს“ გავეცნოთ

„ახლო ნათესავი შემიყვარდა“...

„ცუდი საქციელი იყო, აბა, რა, როცა ერთმა თავხედმა გოგონამ „მარშრუტკის“ კარში თითები მომაყოლა და ბოდიშიც კი არ მომიხადა. მის მაგივრად, სხვა შეწუხდა, ხელში ამიყვანა და წყალიც დამალევინა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ ტიპს მერაბი ერქვა. თუ „გზავნილებს“ წაიკითხავს, შემეხმიანოს. ნანკა“.

„მარი, ხალხის რჩევა მჭირდება. შემიყვარდა კაცი, რომელიც 6 წელია, ცოლთან გაყრილია და 7 წლის შვილი ჰყავს. მასაც ჩემ მიმართ გრძნობა აქვს. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ, რამე მირჩიოთ?.. განსაკუთრებით მაინტერესებს ცოლგაყრილი მამაკაცების აზრი. მე 18 წლის ვარ, ის კი — 27-ის“.

„მე და ჩემი ძმაკაცები ბარში შევედით და რას ვხედავ?.. გოგო, რომელიც სიყვარულს მეფიცება, თავის ძველ შეყვარებულთან ერთად ზის და ჭიქას ჭიქაზე ურტყამს. ჩემს დანახვაზე, კონიაკის ჭიქა ხელიდან გაუვარდა. თიკო, გთხოვ, ნუღარ მეაფერისტები, რა! კახელო“.

„5 წელია, იკა მიყვარს. მას კი ჩემს დაზე ეკეტებოდა ჭკუა. ჩემი და გათხოვდა, იკამაც ცოლი მოიყვანა. ჩემს გრძნობებს ხვდებოდა და მაგრად დამ-

ცინოდა ხოლმე. ჩემზე ცოლსაც აცინებდა. ის გოგო რომ ვნახე, მაგრად დამცინა. მე კი სულ არ მაინტერესებს — ვის რაც უნდა, ის ილაპარაკოს“.

„მარი, შენ ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ვირტუალური მეგობარი ხარ. ჩემს შვილსაც მარი ჰქვია და ალბათ ამიტომ მიყვარხარ ასე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ძალიან მძიმე და რთული პერიოდი დადგა. ჩემი ქმარი არაფრის გულისთვის დაიჭირეს და ვიდრე ჩვენი მთავრობა მტყუან-მართალს გაარჩევს, ამასობაში 10 თვე გავიდა. გიო, მინდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ და სულ მალე ერთად ვიქნებით“.

„გზავნილები“ მართლაც, გვჭირდება გაუბედურებულ ხალხს: გულს მხოლოდ თქვენი წყალობით ვიოხებთ... დედა მაშინ გარდამეცვალა, როცა 10 წლის ვიყავი. მამამ და ნათესავებმა გამზარდეს. 19 წლის კი — გამათხოვეს. დავამთავრე ქიმიური ფაკულტეტი, მაგრამ ჩემმა ქმარმა მუშაობის უფლება არ მომცა. სახლში დამსვა და მონად მაქცია. ისედაც არ მიყვარდა და თავისი უსაქციელობით თავი სულ შემაჯავრა“.

„ეჰ, იმდენი ძმა მყავს, მათი აზრი რომ არ გავითვალისწინო, „გამპუტავენ“. მიყვარხართ, ძმებოოო! სვანი“.

„ეჰ, რა მოხდება, რომ მხოლოდ საკუთარი პრობლემებით შემოვიფარგლოთ?!. ასეთ შემთხვევაში, მე და იკაც ერთად ვიქნებოდით... მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ დედაჩემის „დაქალოჩკები“ თავს რითი შეიქცევდნენ?!. ხალხო! შევეშვათ ერთმანეთის პრობლემების თეორიულად მოგვარებას! ჭორიკანებო, გვაცალეთ ცხოვრება!.. სოფო“.

„მყავს შეყვარებული, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ სამაგალითო ოჯახის შვილი არ არის. განა იმის გამო, რომ ჩემი ოჯახი და ახლობლები არ მიიღებენ, უნდა მივატოვო?! ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და არავის აზრი არ გვაინტერესებს“.

„საქმე ისაა, რომ ახლო ნათესავი შემიყვარდა. მასაც ვუყვარვარ. არ გვაინტერესებს, რას იტყვის ხალხი. მაგრამ ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენი სიყვარული რელიგიური თვალსაზრისით არ არის გამართლებული“.

„კარგია, როცა სხვის აზრს არ ითვალისწინებენ და ცხოვრებას იწყობენ. რას დაფქვავს წისქვილი, თუ ხვიმრაში სიმინდი არ ყრია?! ვის რა უნდა, თქვასო, — გაიფიქრა ერთმა 40-ს მიტანებულმა ქალმა და ჩემს ახალგაზრდა ნათესავს ბავშვი გაუჩინა... ერთ დროს მეც ვფიქრობდი, რომ მთავარი იყო, წისქვილს დაეფქვა, მაგრამ არ გამოვიდა და დავრჩი გულნატკენი“.

„საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენის ოჯახში გავიზარდე. ახლახან შევიტყვე, რომ ნაშვილები ვყოფილვარ. დავიწყე ნამდვილი მშობლების ძებნა. ჩემი აღმზრდელები შევიძულე და გამუდმებით ვეჩხუბებოდი, სახლში არ მივდიოდი, ვანერვიულებდი და ვამწარებდი. არადა, ისე გამზარდეს, არაფერს მაკლებდნენ. თითქმის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს, სიყვარული მასწავლეს... მივხვდი, რომ მათ გადამარჩინეს. გავიგე, რომ ჩემს ნამდვილ მშობლებს ბავშვთა სახლში ჩავუბარებივარ და თვითონ საზღვარგარეთ წასულან. ჩემი ცუდი საქციელი გამოვასწორე და ახლა ბედნიერი ვარ, ჩემს დედ-მამასთან ერთად. მერე რა, რომ ისინი ჩემი ღვიძლი მშობლები არ არიან?! ნინი“.

„დარწმუნებული ვარ — როგორც არ უნდა იცხოვრო, მაინც იმას იტყვიან, რაც უნდათ... 5 თვით საცხოვრებლად ბებიასთან წავედი. უჭორავიათ, თითქოს გავთხოვდი და უკან იმიტომ დავბრუნდი, რომ ქმარს გავცილდი. რაც უნდათ, ის თქვან — მე ხომ ვიცი, სიმართლე რაც არის!“

„ჩემთვის სხვის აზრს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და შედეგიც სახეზეა: დღეს, იმ ადამიანის ცოლი ვარ, ვინც მიყვარს და მალე, დედაც გავხდები“.

„ეჰ, ჩვენო მარი... წისქვილმა კი ფქვასო, მეც ჩემი უნდა ვთქვაო... სკოლის პერიოდიდან მიყვარდა ერთი გოგო, რომელიც დღეს, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს და თანაც, ქვრივია. მინდა, მარინა ს-შვილმა იცოდეს, რომ მისი სიყვარულის გამო დავრჩი უცოლოდ. მე ის მთელი ცხოვრება ასე მეყვარება და ვინც რა უნდა, ის თქვას“.

„ხალხის აზრისთვის რომ ყურადღება არ მიმექცია, ახლა დათოს ცოლი ვიქნებოდი. მაგრამ არ მინდოდა, ეთქვათ, შეეტენაო... ღმერთმა ხომ იცის, როგორი გულწრფელი ვიყავი!.. ჩვენ შორის ჩადგნენ და ჩვენს ცხოვრებაში იქექებოდნენ. ჰოდა, ფინალიც თვითონ „დაწერეს“. არ მინანია, გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ არც კი მიცნობდნენ, ისე გამასწორეს მიწასთან: არ შეეფერება კონკია უფლისწულსო, — თქვეს და მეც ჩემი დახეული კაბა და სიკეთით სავსე ცხოვრება ვარჩიე. ეშმაკუნა“.

„ისე, ხანდახან სასაცილოები ვართ ქართველები. მე ახლა საბერძნეთში ვარ. მანდ რომ „რას იტყვის ხალხის“ პრინციპით ცხოვრობდნენ, იმ ხალხმა აქ სულ აიშვა: ვინ ვის ქმართან წევს და ვინ ვის ცოლთან — ვერ გაარჩევ. ბერძენი ქალები ხომ სულ მთლად გადარიეს, ქმრები რომ წაართვეს... სწორედ ამაზეა ნათქვამი — წისქვილმა კი ფქვასო...“

„ქმარი და 2 შვილი მყავს და სხვა კაცი მიყვარს. მასაც ოჯახი აქვს. ერთი წელია, ქმარს ვღალატობ და ამ ამბავს კიდევ ვერ შევგუებივარ. რა ვქნა? ღმერთი ამ ცოდვას მაპატიებს?..“

„საღამო მშვიდობისა, მარი! ათენიდან გიმესიჯებ. რამდენჯერმე გამოვგზავნე მესიჯი და არც ერთხელ არ დაბეჭდე. ღამისაა დავიჯერო, რომ ჩვენს მესიჯებს არც კითხულობ. აქ, ამ შორეულ ქვეყანაში „გზავნილები“ გვიხალისებს ცხოვრებას. მოკითხვა მთელ საქართველოს! თამუნა“.

საჩივრის სვეტი

„მარი, რატომ გვტკენ გულს და რატომ არ გვიბეჭდავ მესიჯებს? ვუჩივი გორელ ბესო შ-დინს, რომელმაც თავი ძალიან შემაყვარა“.

„ვუჩივი საქართველოს მთავრობას იმისთვის, რომ შვილები ასე ძალიან მენატრება: 2 წელია, საბერძნეთში ვიმყოფები, ის კი არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ჩვენს მიწაზე დავბრუნდეთ. რა ენაღვლებათ, გრიალებენ ოჯახებიანად, ჩემი შვილები კი, უჩემოდ იზრდებიან...“

„მინდა, იმ ადამიანებს ვუჩივლო, ვინც მარის ასე გვიან უგზავნის მესიჯებს და მერე ბოდიშს იხდის, რომ გვიან შეაწუხა. რატომ ვუჩივი?.. იმიტომ, რომ მარის ფანი ვარ. ბესო“.

„მარი, მაპატიე, ასე გვიან რომ გიმესიჯებ, მაგრამ იმდენი მაქვს სასწავლი, ამ ლომაიას გადამკიდეს, რომ დღისით ვერ მომიცლია. არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა, მაგრამ მინდა, ვუჩივლო ქიმიის გამომგონებელს. შე კაი ადამიანო, რომ გამოიგონე ამდენი ქიმია, რას ფიქრობდი, ჰა?! 6 „სხვადასხვა ქიმიას“ ვსწავლობ და იმდენს ვმეცადინეობ, რომ მალე აღბათ, ნობელის პრემიას გამოვკრავ ხელს. მარი, დამიბეჭდე, რა, არ „გადამაგდო“, „ძმურში“! ლელაკო“.

„ვუჩივი ჩემს საყვარელ დედიკოს, რადგან ყოველდღე მახსენებს, რომ გამოცდები მაქვს ჩასაბარებელი და კარგად უნდა ვიმეცადინო. დავიღალე, უკვე აღარ შემიძლია“.

„ვუჩივი ჩემს მწვრთნელს, რომელიც წაქცევამდე მავარჯიშებს. აღარ შემიძლია! მომავალი ოლიმპიელი გოგონა“.

„ვუჩივი ყველა გოგოს, რადგან ჩემს ნიჭს სათანადოდ ვერ აფასებენ. აღარავის უნდა მხატვარი და ხელოვანი კაცი. მათ მხოლოდ ფულიანი მამაკაცები აინტერესებთ, თუნდაც, მახინჯი იყოს“.

„ვუჩივი ჩემს შეყვარებულს, ნაზი ბ-ს. მინდა, მიხვდეს, რომ პატარა აღარ არის და უკვე თავისი ტვინით უნდა წყვეტდეს ყველაფერს. ნუ მაბრაზებს, თორემ, კიდევ მოვიტაცებ, მიუხედავად იმისა, მოვწონვარ თუ არა მამამისსა და მის ძმას. თუნდაც დამიჭირონ, ერთხელ ხომ უკვე სცადეს!.. ხუტა“.

„ვუჩივი ჩემი ქართულის მასწავლებელს. ისეთ დიდ თემებს გვაძლევს დასამუშავებლად, რომ ვერ ვასწრებ და თანაც, ძალიან ვიღლები. მაგის დამუშავებას პაპაჩემის ვენახის დამუშავება მირჩევნია“.

თუ საჩივრის სვეტის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, „სიზარმაცის კვირეული“ იყო გამოცხადებული და მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი... სწავლა ყველას ეზარება, ძილი და ჭამა — არავის. ჰოდა, ჩვენი შემდგომი თემაც სწორედ ამას მივუძღვნათ: სიზარმაცის ბრალია... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. დღევანდელ „გზავნილებს“ კი ამით ვამთავრებთ და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ული

ბრძოლისა კიდობანი, სიცოცხლის გარანტი, უბრალოდ კუნთი

100-მდე თბილისელი სხვისი გულით ცხოვრობს

ემა ტუხიაშვილი

რამდენიმე ხნის წინ, მოსკოვის ერთ-ერთ ცნობილ კერძო კლინიკაში ქართველ ქალბატონს გულის გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც მისი ახლობლები ამბობენ, დონორი ახალგაზრდა ქალი ყოფილა, რომელიც ავტოავარიის შედეგად გარდაცვალა, ხოლო მისი გული გადაუჩრა ძლიერი დარტყმის შედეგად მიღებულ მრავალ ტრავმას. რთული და ძალზე სარისკო ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ქართველი ქალბატონი უკვე თბილისში დაბრუნდა და შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებას სხვა თვალით შეხედა. ახლა ყოველი დილა მისთვის სუფთა ჰაერზე გასეირნებით იწყება, მომავალს იმედის თვალით უმზერს და ხუმრობით იმასაც აღნიშნავს, რომ პატარა შვილიშვილების სიყვარულმა უკვე მის ახალ გულშიც დაისადგურა. თუმცა, ვინ იცის — იქნებ, ხუმრობით ნათქვამ ფრაზაში, სიმართლის წილი მართლაც დევს?!

როგორც ჩვენთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, მსოფლიოს ცნობილ კარდიოლოგიურ კლინიკებში, ყოველწლიურად, ათამდე ჩვენი თანამემამულე იკეთებს გულის გადანერგვის ოპერაციას, თუმცა, ეს მაჩვენებელი ძალზე მოკრძალებულია განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სტატისტიკასთან შედარებით: აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ნიუ-იორკის ცნობილ კლინიკაში, ლონგ-აილენდზე, ყოველწლიურად, გულის გადანერგვის 2 და მეტი ოპერაცია ტარდება. პოსტოპერაციული პერიოდი კი, ავადმყოფის შინ დაბრუნების შემდეგ, კარდიოლოგთა მუდმივ კონტროლს ითვალისწინებს. ამიტომ ყველა ასეთი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია ადგილობრივ კარდიოლოგიურ კლინიკებშია თავმოყრილი. სწორედ ამის წყალობით შევიტყვეთ, რომ მხოლოდ ჩვენს ქალაქში, დღეისათვის, სხვისი გულით 100-მდე ადამიანი ცხოვრობს.

ამ თემაზე მუშაობისას, საკმაოდ სამწუხარო სტატისტიკას წავაწყდი. აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან 30-32 ათასი ადამიანი იღუპება — მაშინ, როდესაც ონკოლოგიური დაავადებების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი ანალოგიურ პერიოდში, 500-ს არ აღემატება. ისიც გავარკვიეთ, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სიმწვავე და ამით განპირობებული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბის პრობლემას წარმოადგენს.

— ადამიანისთვის გული „რომანტიკული“ ორგანოა, რომელიც გრძნობათა კიდობანს ჰგავს, სადაც ჩვენს დიდ თუ პატარა საიდუმლოებებს ვინახავთ... საინტერესოა, რას წარმოადგენს გული კარდიოლოგისთვის?

დოდო ნაფეტვარიძე, *ექიმი-კარდიოლოგი:*

— რა თქმა უნდა, ადამიანის ნებისმიერი ემოციური დატვირთვა, სტრესი, ჩვენი ფიქრები თუ რომანტიკული გრძნობები ბოლოს და ბოლოს, გულზე აისახება. მაგრამ ექიმის პოზიციიდან გეტყვით, რომ როგორც ადამიანის ორგანოს, მას გაცილებით მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანის სრულფასოვანი სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობაა, მის ყველა ორგანოში ფიზიოლოგიური პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდეს. ამისათვის კი აუცილებელია, გული სრულყოფილად ასრულებდეს თავის ფუნქციას. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ ხდება, ადამიანი ფაქტობრივად, ინვალიდობისთვისაა განწირული. წლების განმავლობაში, საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის მხოლოდ მედიკამენტოზური პირობები არსებობდა. მკურნალობის თერაპიული მეთოდი საშუალებას გვაძლევდა, პაციენტებისთვის მხოლოდ რამდენიმე წლით გაგვეხანგრძლივებინა სიცოცხლე, მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დაავადების გართულების შედეგად, ადამიანები ინვალიდდებოდნენ. მხოლოდ 10 წლის წინ, საქართველოში გაჩნდა მილიონ დოლარად ღირებული აპარატი — კორონაროგრაფი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გულის მკვებავი სისხლძარღვების კონტრასტული გამოკვლევა ვაწარმოოთ. მარტივად რომ ავხსნა, ამ აპარატის მეშვეობით სისხლძარღვებს ისე ვხედავთ, როგორც საკუთარ ხელისგულს. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, თუ სად და რომელი სისხლძარღვია შევიწროებული, რამდენი პროცენტით და რას საჭიროებს იგი: გაფართოებას თუ სისხლძარღვის ახალი კედლის ჩასმას. თავდაპირველად, მსგავს გამოკვლევებს საქართველოში მხოლოდ უცხოელი სპეციალისტები ატარებდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ ისინი შოკირებულნი იყვნენ იმით, თუ რაოდენ პროგრესირებადი იყო ჩვენში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და როგორი „გაახალგაზრდავებული“ იყო ეს დაავადებები საქართველოში. მართლაც, გვქონდა შემთხვევები, როდესაც მწვავე ინფარქტის დიაგნოზით 22-27 წლის ახალგაზრდა მამაკაცები შემოჰყავდათ, ხოლო 34-35 წლის ახალგაზრდებს აღენიშნებოდათ გულის მკვებავი ყველა სისხლძარღვის დაზიანება, გულის კუნთის დაზიანება და ა.შ. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი პაციენტების უმეტესობა, დასავლეთ საქართველოდან არის, კერძოდ — სამეგრელოდან. ჩვენი ვარაუდით, ამის მიზეზი, ის მძიმე სტრესული ფონი გახლავთ, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ამ რეგიონში იყო დამკვიდრებული. ამასთან ერთად, ინფარქტისა და გულის იშემიური დაავადებების გამომწვევ მიზეზთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გენეტიკურ ფაქტორს. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, არაჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს: ნაკლებს ვმოძრაობთ, ბევრ სიგარეტს ვეწევით და ვიღებთ ისეთ საკვებს, რომელიც მდიდარია ორგანიზმისთვის მავნე ცხიმებით. ყოველივეს ემატება ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი, სტრესი კი, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროგრესირებას.

სოსო კაპანაძე, *მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:*

— უკვე 3-4 ათეული წელია, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ სნეულებად ითვლება. ჯერ კიდევ 70-იან წლებში, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი როლანდ ბერკი ჟურნალ „ლაიფში“ წერდა: თუ თქვენ 30-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა რიგს მიეკუთვნებით, მაშინ ათიდან ერთი შანსია, რომ დაგემართოთ მიოკარდიუმის ინფარქტი და როდესაც დაგემართებათ, სამიდან

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

1. ქოსი — სპილენძის დოლია.
2. „მუშტი“ და „ქიმუნჯი“ სინონიმებია.
3. აფრიკელებს არ უყვართ აფროამერიკელები.
4. იმას, ვინც ხშირად ავადმყოფობს, ხაზმუზიანს ეძახიან.

5. ჯიმი ჰენდრიქსი ძილის დროს, საკუთარ ნარწყევში დაიხრჩო.
6. თვითმფრინავი „ბოინგ 747“ ოცდაათი წლის წინაა შექმნილი.
7. სასმელი წყლის მსოფლიო მარაგის ერთი მეექვსედი, ტბა ტანგანიკშია.
8. ღრუბლების სახით დედამიწას 12000 ტრილიონი ტონა წყალი აკრავს გარს.
9. საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც თავდაცვის მინისტრის პოსტზე ქალი ჰყავს.
10. ფოტოაპარატების მწარმოებელი ფირმა „ფუჯი“ იაპონიაში 1934 წელს დაარსდა.
11. „ყველა გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა“, — ამბობდნენ ძველი ბერძნები.
12. ადამიანის თითის ანაბეჭდების მსგავსად, ყველა ვეფხვის მოხატულობა უნიკალურია.
13. „ხაშს არ უხდება კონიაკი, ქალი და გრძელი სადღეგრძელოები“, — ამბობენ სომხები.
14. „ბესამე მუჩო“ კონსუელა ველასკესმა დაწერა. მას ცხოვრებაში მეტი არაფერი შეუქმნია.
15. იმისათვის, რომ მარგარეტ ტეტჩერი მამაკაცთა კლუბ „კარლტონს“ სწვეოდა, იგი „საპატიო მამაკაცად“ აღიარეს.
16. ძველად, სამშენებლო დამბიდან ახალაგებული გემების წყალში ჩასაცურებლად, დიდი რაოდენობით ღორის ქონს იყენებდნენ.
17. პეტერბურგში ჩასული ნიკოლოზ გოგოლი იძულებული იყო, რამდენიმე დღე შინ მჯდარიყო, რადგან გზაში ცხვირი მოეყინა.
18. რომის იმპერატორი ვესპასიანე, ავგუსტუსის შემდეგ, მეორე იყო, ვინც საკუთარ ლოგინში დალია სული. სიკვდილის წინ მან ამოიოხრა: „რა დასანანია! მე კი მეგონა, ღმერთად ვიქცეოდი!..“
19. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, ნერონმა რომი იმ მიზნით გადაწვა, რომ თავადვე უნდოდა, ქალაქის ხელახლა აშენება და სურდა, მისთვის ნეროპოლისი ეწოდებინა.
20. ახალ ზელანდიაში ვეტერინარებმა სტომატოლოგიური ცვილისგან პროთეზი დაუმზადეს შინაურ ბატს, რომელმაც

ერთი შანსია, რომ მისი მსხვერპლი გახდეთო. მართალია, მას შემდეგ, კარდიოლოგიაში მრავალი მეთოდი დაინერგა, მაგრამ ამ მიზეზით ადამიანთა სიკვდილიანობას საერთო სტატისტიკურ სურათში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგალითად, 2001 წელს, მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა ე.წ. მულტიცენტრული გამოკვლევა, რომლის შედეგად დადგინდა: ამ წელს მსოფლიოში სულ 56 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, აქედან 29% — ე.ი. 16 მილიონი ადამიანი კორონარული დაავადებებისგან დაიღუპა. 2020 წლისთვის კი ნავარაუდევია, რომ იშემიური დაავადებების წილი საერთო ლეტალობის მაჩვენებელში 36%-მდე გაიზრდება. აქვე გეტყვით, რომ გულის იშემიური დაავადებები, მამაკაცების ხვედრი უფროა, ვიდრე ქალების. 44 წლამდე ასაკის ქალბატონებში ასეთი დაავადებების განვითარება თითქმის არ ხდება, რადგან, მათი ფიზიოლოგიური სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ იცავს ქალს მსგავსი სნეულებისგან.

— ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სქესობრივი კონტაქტების სპონტანურობა და სიჭარბე... ეს ფაქტორებიც ხომ არ შეიძლება იყოს თქვენ მიერ აღნიშნული მდგომარეობის შედეგი?

— ალკოჰოლური სასმელი იშემიური დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორებში არ შედის. თუმცა, როდესაც ავადმყოფს ეს დაავადება უკვე აღენიშნება, ალკოჰოლის ჭარბად მიღება შესაძლებელია, იშემიური დაავადების გამწვავების უშუალო მიზეზი გახდეს. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანები პრაქტიკულად, არ მკურნალობენ არტერიულ ჰიპერტენზიას. მეტიც, ავადმყოფების მესამედმა არც კი იცის, რომ ამ დაავადების მატარებელია. არადა, ამ სნეულებიდან იშემიურ დაავადებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რაც შეეხება აქტიურ სქესობრივ ცხოვრებას — შემიძლია გითხრათ, რომ გულით დაავადებულ ადამიანებს სექსში ზომიერება მართებთ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვაა. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სქესობრივად აქტიური მამაკაცები ნაკლებად ავადდებიან გულის სნეულებებით.

— თქვენ ხართ ადამიანი, ვინც ხელით ეხება გულს; გვითხარით — რა შეგრძნება გეუფლებათ ამ დროს და შეგიძლიათ თუ არა, რომ გულის მიხედვით, შეიქმნათ გარკვეული წარმოდგენა პაციენტზე?

ზვიად ბახუტაშვილი, *კარდიოქირურგი:*

— ადამიანების წარსულისა და მომავლის განსაზღვრა, ვარსკვლავთმრიცხველების და მჩიბავების საქმეა... მართალი ბრძანდებით, როდესაც ამბობთ: კარდიოქირურგები გულს ხელით ეხებითო. მეტიც — ჩვენ გულის შიგნითაც ვიყურებით ხოლმე. მიუხედავად ამისა, გვიჭირს იმის გამოცნობა, ეს კაცი ჩვენთან პოლიტიკურ დებატებში დამარცხებამ მოიყვანა თუ ოჯახში გააბრაზა ვინმემ... მაგრამ გულს ყოველთვის ეტყობა დაავადების სიმძიმე — ანუ ის, თუ რამდენად დეფორმირებულია მისი კედლები, შეცვლილი — ზომები და ა.შ. რაც შეეხება ემოციას — როდესაც ხელით ეხები გულს... თუ ეს უკვე გაჩერებული გულია, ემოცია უფრო ნაკლებია — თითქოს ჩვეულებრივი კუნთი გიჭირავს; ამ დროს, ამ ორგანოს უყურებ, როგორც ობიექტს, რომელიც გსურს, დროულად აამუშაო და ჩვეული ფუნქცია დაუბრუნო... როდესაც ოპერაცია მომუშავე გულზე კეთდება, მასთან თითოეული შეხება უფრო დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. გულის ოდნავი მობრუნებაც კი უმალ აისახება ადამიანის არტერიულ წნევაზე, ამაზე კი მისი სიცოცხლეა დამოკიდებული...

— მართალია, საქართველოში ძლიერი კარდიოლოგიური ბაზა არსებობს, მაგრამ არ კეთდება გულის გადანერგვის ოპერაციები. რატომ? ჩვენი სპეციალისტები ჯერ მზად არ არიან ასეთი საპასუხისმგებლო საქმისთვის?

— დღეს ჩვენს ქვეყანაში კეთდება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ყველანაირი ქირურგიული ოპერაცია, გულის გადანერგვის გარდა. არ იფიქროთ, რომ ეს ტექნოლოგიურად რთული ოპერაციაა. გაცილებით რთულია, 1-2 მილიმეტრის დიამეტრის მქონე სისხლძარღვზე მუშაობა, რასაც წარმატებით ვართმევთ თავს. გერმანიაში მუშაობის პერიოდში, არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა, როგორც დონორისგან გულის აღების, ისე პაციენტისთვის მისი გადანეგრვის ოპერაციაში. რა თქმა უნდა, ეს არის ოპერაცია, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას გაკისრებს, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია პოსტოპერაციული პერიოდი, რათა არ მოხდეს გადანერგილი გულის, როგორც უცხო სხეულის, თვითმონელება. მაღალტექნოლოგიური ბაზისა და ორგანიზაციული მხარის გარდა, ასეთი ოპერაციების ჩასატარებლად, აუცილებელია, რომ ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ — ვიდრე დაფიქსირდება ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილი, ნებადართულია უნდა იყოს მისი ნებისმიერი ორგანოს ტრანსპლანტაცია. არის შემთხვევები, როდესაც ასეთ ნებართვას ადამიანები სიცოცხლეშივე იძლევიან და დოკუმენტურადაც ადასტურებენ ამას. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს კომპეტენტური კომისია, რომელიც ყოველი ანალოგიური შემთხვევის პროცესს გააკონტროლებს. ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის კი, მსგავსი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება წარმოუდგენლად რთულია. მეტიც, ქართველები ჯერ მენტალურადაც არ ვართ საამისოდ მზად. ხომ წარმოგიდგენიათ, აქ რომ ვიღაცას, ჯერ კიდევ ცოცხალი გულის ამოღება დაუპიროთ, რა მოხდება?! აკი გითხარით, რამდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა მსგავს ოპერაციაში-მეთქი. მართალია, ვიღაცისთვის გულის გადანერგვა საკმაოდ დადებით ემოციებს იწვევს, მაგრამ დონორის გამოცარიელებული გულმკერდის ყურება საშინელე-

ბაა...

— როგორც ვიცი, მსოფლიოში ხელოვნური გულების ტრანსპლანტაციის პრაქტიკაც არსებობს. რამდენად ამართლებს ეს მეთოდი?

— უკვე 20-25 წელია, რაც განვითარებული ქვეყნები, ხელოვნური — ე.წ. დროებითი გულების შექმნაზე მუშაობენ. მაგალითად, იაპონიაში გულის გადანერგვის ოპერაციები არ კეთდება, მაგრამ იქ საკმაო პროგრესს მიაღწიეს ხელოვნური გულის დამზადებაში. ხელოვნური გული, ერთგვარი ხიდი გახლავთ ტრანსპლანტაციამდე, რადგან მისი საექსპლუატაციო ვადა დაახლოებით 3 წელიწადში იწურება; შემდეგ, ეს გული ან უნდა გამოცვალო, ან დონორი გულით ჩაანაცვლო. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ხელოვნური გულის ზომები და მისი მოხმარების ტექნოლოგიები. მაგალითად, თუ ხელოვნური გულის პატრონს ადრე ელექტროქსელში უხდებოდა მისი დატენა, ან იძულებული იყო მისთვის აკუმულატორი გამოეცვალა, ამისათვის კი კანიდან გარეთ ჰქონდა გამოტანილი ელექტროსადენი, ახლა ეს პრობლემა მოხსნილია — კანქვეშ იდება ელექტრომაგნიტური ხვია, ჭრილობა იხურება და გულის დატუმბვა, კანზე მეორე ხვიის მიდებით ხდება. შარშან ამერიკაში ამ საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე გახლდით წასული და უცხოელი კოლეგებისგან შევიტყვე, რომ მსოფლიოში მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც საჭირო გახდა, პაციენტისთვის ვადაზე ადრე გამოეცვალათ ხელოვნური გული. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი სკეიტბორდიდან გადმოვარდნილა, თან ისე ძლიერად დაცემულა, რომ ხელოვნური გული გატყდა...

— როგორ გგონიათ, ადამიანები იცვლებიან, გულის გადანერგვის შემდეგ?

— სხვათა შორის, ზოგჯერ ხდება ისე, რომ ადამიანს თავის გულსაც უტოვებენ, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს ტუმბოს ფუნქცია (შესაბამისად, ველარ უზრუნველყოფს მისი პატრონის სიცოცხლეს) და იმ გულსაც უნერგავენ, რომელიც ამ სუსტი გულის ფუნქციას ითავსებს. რაც შეეხება ამ მოვლენის სულიერ მხარეს — სერიული მსჯელობა ამ თემაზე არ მომისმენია, თუმცა ჭორის დონეზე გამიგონია: როდესაც ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის პროცესი ხელოვნურად მიმდინარეობს, ადამიანის სული სხეულს სცილდებაო... საერთოდ, დიდ გრძნობას, სიყვარულს — გულისხმიერს უწოდებენ, მაგრამ არა მგონია, ამ სიტყვებსა და გულს, როგორც ადამიანის ორგანოს შორის პირდაპირი კავშირი არსებობდეს. ამრიგად მიმაჩნია, რომ გულის გადანერგვის შემდეგ, ადამიანები არ იცვლებიან.

— ალბათ, თქვენს კლინიკასაც აქვს ინფორმაცია იმ ჩვენი თანამემამულეების შესახებ, ვისაც გულის გადანერგვის ოპერაცია აქვს გაკეთებული...

— ჩემთვის მოუმართავს რამდენიმე ადამიანს და უთხოვია, უცხოეთში მისთვის მსგავსი ოპერაციის ორგანიზებაში დავხმარებოდი. სამწუხაროდ, ასეთი პაციენტების ასაკი 40 წელს არ აღემატებოდა. გულის გადანერგვის ოპერაცია საკმაოდ ძვირად ღირებულია — დაახლოებით 200 ათასი დოლარი ჯდება; ამას სხვა მნიშვნელოვანი ხარჯებიც ემატება. მაგალითად, ევროპაში გულის ერთი ცენტრალური ბანკი არსებობს; იქ თავსდება რეციპიენტის მონაცემები და მხოლოდ მაშინ იძახებენ, როდესაც მისი შესაფერისი დონორი გამოჩნდება. აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს დონორისა და რეციპიენტის იმუნოლოგია, გულის ზომები და სქესი. სხვათა შორის, ერთი და იმავე სქესისა და პარამეტრების ორ ადამიანს შეიძლება, სხვადასხვა ზომის გული ჰქონდეს. ბოლო დროს, დონორთა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა, არადა, მოთხოვნა გულის გადანერგვის ოპერაციაზე სულ უფრო და უფრო იზრდება. გულის დონორები ძირითადად, მოტოციკლისტები არიან... როდესაც ბანკის მონაცემებში ვიღაცისთვის შეთავსებადი დონორი ჩნდება, მაშინვე ხდება პაციენტთან დაკავშირება და მისი სასწრაფოდ ჰოსპიტალიზაცია. რადგან ევროპაში მხოლოდ კვირაში რამდენიმე ავიარეისი ხორციელდება, ადამიანი იძულებული ხდება, გაემგზავროს და იცხოვროს იქ, სადაც ამ ოპერაციის გაკეთებას აპირებს, ეს კი მოგეხსენებათ, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, არადა, თუ დააგვიანე, დონორის გული ტრანსპლანტაციისთვის შესაძლოა, აღარ გამოდგეს...

— გულის თუ არა, მისი სარქვლების გადანერგვა ხომ მაინც ხდება საქართველოში?

— სარქვლების გადანერგვის ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში. ამისათვის ვიყენებთ, როგორც ხელოვნურ, ასევე ბიოლოგიურ სარქვლებს. ხელოვნური გულის სარქვლები ევროპის მრავალ ქვეყანაში მზადდება და მისი ღირებულება 1.100-1.200 დოლარს შორის მერყეობს. ბიოლოგიური სარქველი გაცილებით ძვირი ღირს. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ბუნებრივ სარქველზე მცირე მოთხოვნაა. მაგალითად, პაციენტი უნდა იყოს 65 წელს ზემოთ ან ქალბატონი, რომელსაც შვილოსნობის ფუნქციის შენარჩუნება სურს, რომ მისთვის აუცილებლობას წარმოადგენდეს ბუნებრივი სარქვლის გადანერგვა. ალბათ 1-2 პაციენტი თუ მყავდა, რომელსაც ბიოლოგიური სარქველი ჩავუკერე. ბიოლოგიური სარქველი ორი სახის გახლავთ: ერთია — გვამური, რომელიც გადანერგვამდე სპეციალური ხსნარით მუშავდება და მეორე — ცხოველის პერიკარდისგან დამზადებული; ძირითადად, გავრცელებულია ღორის გულის სარქველი, ვინაიდან მისი იმუნური სისტემა ძალზე ჰგავს ადამიანისას.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

ნისკარტის ზედა ნაწილი მეზობლის ძაღლთან ჩხუბისას დაკარგა. საბრალო ფრინველი მანამდე, ვერც ჭამდა და ვეღარც ბუმბულს ისუფთავებდა. ახალი ნისკარტის ქმედუნარიანობაში ვეტერინარები პროთეზის მორგებისთანავე დარწმუნდნენ: „მადლიერმა“ პაციენტმა მაშინვე ერთ-ერთ მათგანს უკბინა.



21. პიერ კარდენი მთელი ცხოვრება ოცნებობდა მოდების ჩვენებაზე, რომელსაც მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართავდა. ეს ოცნება მან მიხაილ გორბაჩოვის მმართველობის დროს აისრულა.

22. 1665 წელს, ლონდონის მოსახლეობის 20% შავი ჭირისგან ამოწყდა. ამ საშინელი ეპიდემიის დროს, თუკი ერთი ადამიანი ავადდებოდა, ლონდონელები მთელ მის ოჯახს სახლში კეტავდნენ და სდარაჯობდნენ, გარეთ რომ არავინ გასულიყო.

23. კაგანოვიჩს წვერ-ულვაში ბუხარინის მსგავსად ჰქონდა დაყენებული, რაც ძალზე აღიზიანებდა სტალინს. ერთხელ, ბელადი დამუქრა კიდეც — მაგ წვერს საკუთარი ხელით გაგკრეჭო. შეშინებული კაგანოვიჩი მიხვდა, ეს ამბავი მხოლოდ წვერის ხელყოფით არ დამთავრდებოდა და სამართებელს მოჰკიდა ხელი. წინდახედულმა ჩინოსანმა მხოლოდ ულვაში დაიტოვა — სტალინის მსგავსად...

24. „რანშე ია პოლზოვალას შარიკოვიმ დეზოდორანტომ, ა სეიჩას ტოლკო სვოიმ — „შარიკ“ ბოლნო კუსაეტსა,“ — ამბობდა კლარა ნოვიკოვა ერთ-ერთი რეკლამის პაროდირებისას. ამავე გამოსვლაში მან არც რუსული ლუდი დაინდო: „პივო „კლინსკოე“ — პოდ კაუდიმ კოლპაკომ ნახოდიტსა ბუკვა, კტო საბირიოტ პერვი ტომ „ვაინი ი მირა“, ვტაროი ტომ პალუჩიტ ბესპლატნო!“

25. მას შემდეგ, რაც ნერონმა თავის ფეხმძიმე ცოლს პოპერიას ცემით ამოხადა სული, საშინელი სევდა დასჩემდა — იგი ნანობდა საკუთარ ნამოქმედარს, მით უმეტეს, რომ საბრალო ქალს მისთვის არაფერი უწყენინებია, მხოლოდ უსაყვედურა — სასახლეში გვიან რატომ დაბრუნდიო? სევდის გასაქარვებლად, ნერონმა ახალგაზრდა, ლამაზი ყმაწვილი კაცი შეირთო, რომელიც ძალზე ჰგავდა პოპერიას. სასახლეში მიყვანამდე, ის დაასაჭურისეს და ქალივით მორთეს. ამ ამბის შემყურე რომაელები ამბობდნენ — კარგი იქნებოდა, ნერონის მამასაც ასეთი ცოლი ჰყოლოდაო...

ვაცი, რომელმაც თავისი წილი აფხაზეთი დაიბრუნა

ათ წელზე მეტია, ჩემი დღევანდელი რესპონდენტი რუსეთშია გადახვეწილი და რაც უფრო მეტი დრო გადის, თითქოს უფრო და უფრო ძნელი ხდება დაბრუნებაზე ფიქრი, არადა — იშვიათია ღამე, რომ საქართველო არ ნახოს სიზმრად, ოღონდ ახლანდელი და თავგზააბნეულ-აწეწილი ყოველდღიურობით კი არა, თავისი ბავშვობის და სიჭაბუკის დროინდელი — ლაღი, იმედიანი, თუნდაც ილუზიური ბედნიერებით...

ის სოხუმში არ დაბადებულა, მაგრამ როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, 22 წლის ბიჭმა დაუფიქრებლად აიღო იარაღი ხელში და მოხალისედ წავიდა — არც მარტოხელა, ქვრივი დედის ვედრება შეისმინა და არც ბებიის — ჩემი გიორგის ბედზე შენლა დამრჩი მანათობელ ვარსკვლავად, არ დამღუპო, მზე არ დამიბნელოო!..

ინგა ჯაყელი

— სხვაგვარად არც შემეძლო და ვერც წამომედგინა, მე ის უფრო მიკვირდა, თავად სოხუმელები რომ გამორბოდნენ შეშინებულები...

ახლა უკვე მესმის, რომ ჯარისკაცობა უდიდესი ვაჟკაცობაა, რომელსაც ყველას ვერ მოსთხოვ...

ე-ეჰ, არ იყო არც პატრიოტიზმი, არც ერთსულოვნება, არც ეროვნული ერთიანობის მნიშვნელობის შეგნება, არც ღალატი დაგვკლებია და ამიტომ დავკარგეთ აფხაზეთი, ჩაგვაფურთხეს სულში... ამიტომ უფრო წავედი საქართველოდან... მხოლოდ იქ ნაომარმა ბიჭებმა ვიცით სიმართლე და ის, რომ ახლანდელი ლაპარაკიც აფხაზეთის დაბრუნებაზე მხოლოდ უბრალო ბაქიბუქია... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და სხვაგვარად იყოს საქმე, კიდევ ერთხელ ავისხამ იარაღს და დაუფიქრებლად წავალ საომრად, არც სიცოცხლე დამენანება, არც არაფერი — რადგან ახლა კიდევ მეტი მიზეზი მაქვს ჩემად მიმაჩნდნენ აფხაზები და აფხაზეთი...

...ერთ-ერთი სასტიკი შეტაკების შემდეგ, დავიჭერი და უგონოდ მყოფი ამიყვანეს ტყვედ აფხაზებმა. ექიმების გარემოცვაში საავადმყოფოში რომ მოვედი გონს, ჯერ გამიკვირდა — რატომ ბოლო არ მომიღეს, რა მოეჩვენათ-მეთქი?! — მაგრამ მალე გავიგე მათი „გულმოწყალების“ მიზეზი — თავისთვის საჭირო ხალხზე რომ გადავეცვალეთ, ცოცხლები ვჭირდებოდით... ახალგაზრდა ექიმი იყო ჩემი მკურნალი, აფხაზი ქალი, რომელმაც ქართულიც კარგად იცოდა. 30 წლისაც არ იყო, მაგრამ 22 წლის ბიჭს ძალიან დიდი მეგონა, მით უმეტეს, რომ ქვრივი იყო: მოგვიანებით მითხრა, რომ 20 წლისა გაუთხოვებიათ. ის და მისი ქმარი კურსელები ყოფილან, ისიც აფხაზი და ამიტომაც უჩქარიათ მშობლებს მათი დაქორწინება... უცხო ქალაქში პატრონი ეყოლებაო! როსტოვში სწავლობდნენ თურმე. ქორწინებიდან 6 თვეში ის ბიჭი ჩხუბის დროს მოუკლავთ და მარინა დაქვრივებულა, არც შვილი დარჩენია...

თავიდანვე განსაკუთრებულად მექცეოდა და ერთხელაც მითხრა: ჩემს ქმარყოფილს ჰგავხარ საოცრად, რომელიც დღემდე მიყვარსო! — თან, ატირდა... მოკლედ, თან გადამყვა და რაც ჩვენ შორის მოხდა, მისი ინიციატივა იყო, თორემ, მე ფიქრშიც ვერ გავივლებდი მსგავს რამეს... ცოტა ხანში კი, მარინამ გაქცევა შემომთავაზა: ქართველებმა უარი რომ თქვან თქვენს გადაცვლაზე და აფხაზებისთვის სასურველი ადამიანების დაბრუნებაზე, დაგხვრეტენ, მე კი ამას ვერ გადავიტან, ჭკუიდან შევიშლებიო! — და თავისი ბიძაშვილის დახმარებით გამომაპარა... დამშვიდობებისას კი ვპირდებოდი — აუცილებლად დავბრუნდები და თუ თავად ინდომებ, ველარაფერი დაგვაშორებს-მეთქი! — მაგრამ, მერე სოხუმი დაეცა და ისე აირია ყველაფერი, ჩემდა სამარცხვინოდ, მარინაც ამოვიგდე გულიდან და გონებიდან... ვიცოდი, აფხაზები მეძებდნენ — ქართველებმაც წამომიყენეს რაღაც პრეტენზიები და ბევრი ქართველის მსგავსად, მეც გაცლა ვამჯობინე. 1993 წლის ბოლოს წავედი საქართველოდან, საქმე ავაწყვე, დედაც წავიყვანე... ცოლიც მყავდა, რომელთანაც გოგონა შემეძინა 1998-ში, მაგრამ ვერ შევეწყვეთ და გავიყარეთ... ვერა და ველარ მოვაბი თავი საქართველოში ჩამოსვლას.

რამდენიმე თვის წინ, მოსკოვში ჩავედი ჩემი ბიზნესის გამო და შეხვედრები მქონდა, რომელიც რესტორანში ვახშმით მთავრდებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი ვახშმის დროს, გვერდით მაგიდაზე აფხაზები აღმოჩნდნენ... მათი ლაპარაკი რომ მომესმა, ტვინში სისხლმა ამასხა და კიდევ კარგი, იარაღი არ მქონდა თან, თორემ, შეიძლება, სროლაც ამეტეხა მათი მიმართულებით — რუსეთში როგორ გაგვცვალეს ან ძმობას როგორ უღალატეს?!.

იარაღის ნაცვლად, შამპანურის ბოთლი ავიღე და მათ მაგიდასთან მივედი, სალამი ვთქვი და სადღეგრძელოს უფლება ვითხოვე, რაზეც უარი არ მითხრეს: მე ქართველი ვარ და ნაწყენი ვარ თქვენზე, რუსები როგორ გვამჯობინეთ, ძმებს შორის ღალატს ღმერთი არავის აპატიებს-მეთქი! — ვუთხარი. თავები ჩაქინდრეს და ერთ-ერთმა მითხრა: ახლა ჩვენც ვხვდებით, რა ბოროტებაც დაგვმართეს, მაგრამ რაღა დროს?! აწი, მაინც მოვუხმოთ ჭკუას და მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, ერთმანეთი თუ დავხოცეთ, ამათაც სხვა არაფერი უნდათ, მოჯდებიან იმ ჩვენს წილ ზღვასა და ხმელეთს და ახიც იქნება ჩვენზეო...

მოკლედ, იმ დღეს იმედი გაგვიჩნდა, რომ მალე ისევ ერთად ვიქნებით სოხუმშიც...

მე კი სხვა ბედნიერებაც მელოდა თურმე: როცა ვთქვი — ტყვედ ვიყავი და აფხაზებმა გადამარჩინეს-მეთქი, — წამოდგა ერთ-ერთი წვერულვაშიანი ზორბა კაცი და თვალში ცრემლი აუკიაფდა — იმიტომ მომეჩვენე ნაცნობად, მე ბორია ვარ, მარინას ბიძაშვილი, მე გაგიყვანე იმ დღეს სამშვიდობოსო... ხომ წარმოგიდგენია, იქ რა ამბავიც ატყდებოდა... მერე კი ბორიამ განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა და ისეთი რამ თქვა, მეგონა, გავგიჟდი: ჩემმა ბიძაშვილმა მარინამ ამ კაცისგან ბიჭი გააჩინა, რომელიც ახლა ათი წლისაა!..

ცხოვრებაში რომ არ დამმართვია, გული წამივიდა მღელვარებისგან... მერეც, კარგა ხანს ვერ დავიჯერე ბედნიერება, სანამ ბორიამ მარინა მოსკოვში არ ჩამოიყვანა და ბავშვი არ მაჩვენეს. მარინამ მითხრა — ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ შენი შვილიაო! — მაგრამ რად მინდოდა ფიცი, როცა წინ საკუთარი ბავშვობა მედგა, ცალკე დედაჩემი გაგიჟდა მსგავსებით და ბავშვი ხელიდან ვერ გავაშვებინეთ!

...მარინას ბევრი უსიამოვნება გადაუტანია იმ ბავშვის შენარჩუნებით, ახლობლები დღემდე არ ელაპარაკებიან თურმე...

ჯერჯერობით, ბავშვი ისევ დედის გვარზე დარჩა, ასე ჯობია მისთვისაც და საერთო საქმისთვისაც. მერე კი — როცა აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩემს შვილს საამაყოდ ექნება თავისი წარსული — ქართველების და აფხაზების სისხლის თანაბრად „ტარება“...

ასე მგონია, ჩემი წილი აფხაზეთი უკვე დავიბრუნე და ღმერთს ყოველდღე ვუნთებ სანთელს ამ საოცრებისთვის, მეორე სანთლით კი, ქართველებისა და აფხაზების გონზე მოსვლას ვავედრებ უფალს — ჩვენ ერთნი ვართ, ერთი მიწის შვილები და შთამომავლები... ჩემი შვილივით, ბევრს უჩქეფს ძარღვებში შერეული სისხლი, რაც აუცილებლად გააკეთებს თავისას და რაც მალე მოხდება ეს, მით უფრო ბედნიერები ვიქნებით ყველანი!

■

„პირველი სტერეოს“ ერთ-ერთმა რეიტინგულმა წამყვანმა, ციკო მამაცაშვილმა ტელეკომპანია დატოვა. როგორც თვითონ ამბობს, ამჟამად ტაიმაუტი აქვს აღებული. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, შეყვარებული არასოდეს ჰყოლია, თუმცა ამბობს, რომ მთელი ცხოვრება „შეყვარებულია სიყვარულზე“, ჰყავს მამაკაცის იდეალი, რომლის მსგავსიც ჯერჯერობით არ შეხვედრია...

„ეუა საუკუნეზეი როე დაკვადეზულიუკი, კარგი ეეოკარი ვიქნეზოდი“

სოფო ჭონიშვილი

— დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, უცხო ენების სპეციალობით. თავიდანვე არ მქონია სურვილი, ჩემი სპეციალობით მემუშავა, ყოველთვის მსახიობობა და ტელეწამყვანობა მიზიდავდა. მესამე კურსზე ვიყავი, როცა კასტინგი ტარდებოდა „პირველი სტერეოს“ ეთერში. რა თქმა უნდა, წავედი, ფოტოები და ჩემი მონაცემები დავტოვე. ერთი თვის შემდეგ დამირეკეს და დამიბარეს. როცა კამერის წინ, პირველი კასტინგის დროს დავდექი, ძალიან ვღელავდი, უეცრად ვიგრძენი, რომ წელს ქვემოთ საერთოდ მოვწყდი, მეგონა, გილიოტინაზე ვიყავი აყვანილი და ჩემთვის თავი უნდა მოეკვეთათ... მიუხედავად ამისა, იმდენი ვილაპარაკე, ბატონმა მერაბმა *(სეფაშვილმა. — ავტ.)* თქვა — ეს ბავშვი მიღებულიაო. ბოლო წელი ფაქტობრივად, ლექციებზე აღარ მივლია, მაგრამ ლექტორებმა დიდი შეღავათი გამიწიეს. სხვათა შორის, 3 წელი, წარჩინებული სტუდენტი ვიყავი.

— ციკო, ესემესებით თუ ვიმსჯელებთ, ტელემაყურებლები შენ მიმართ დიდი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი, მაგრამ გწერდნენ ცუდ მესიჯებსაც. თუ ახერხებდი იმას, რომ ცუდი გზავნილები არ წაგეკითხა?

— რა თქმა უნდა, ცუდი ესემესებიც მოდიოდა. ყველასათვის მისაღები ადამიანი არასოდეს ვყოფილვარ. ცხოვრებაში არ ვარ ისეთი ნატურა, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება. ზოგს შეიძლება, გავუბრაზდე, ზოგს — ნაკლებად დაველაპარაკო... იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისთვისაც ჩემი პიროვნება მისაღები იყო, ზოგისთვის კი — პირიქით. დადებითი მესიჯები ყოველთვის სჭარბობდა უარყოფითს. „მე შენ არ მომწონხარ“, „რა საშინელი ხარ“ — ასეთი შინაარსის ესემესებს ვკითხულობდი, მაგრამ ისეთს, სადაც უცენზურო სიტყვები იყო გამოყენებული, ვტოვებდი. თავიდან ამ ყველაფერზე ძალიან ვბრაზდებოდი, მაგრამ თანდათან შევეჩვიე და ბოლოს, უკვე მეცინებოდა, ყურადღებას აღარ ვაქცევდი.

— „პირველი სტერეოდან“ შენი წამოსვლის მიზეზი რა იყო?

— სერიოზული მიზეზი არ ყოფილა, უბრალოდ, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. „სტერეოს“ წამყვანებთან დღესაც კარგი ურთიერთობა მაქვს. უბრალოდ, ერთ ადგილზე ყოფნა და ერთი და იმავე საქმის კეთება მომბეზრდა.

— ეი. ერთფეროვნება არ მოგწონს. ხშირად ცდილობ, იმიჯი შეიცვალო?

— ძალიან მოსაწყენია, ერთფეროვნება. ხშირად ვცდილობ, იმიჯი შევიცვალო. ერთი და იგივე იმიჯი ჩემთვის მიუღებელია. ჩაცმულობას, მაკიაჟს, ვარცხნილობას ეკრანზე ხშირად ვიცვლიდი. ვფიქრობ, რომ მაყურებლისთვისაც ერთი და იგივე იმიჯი მოსაბეზრებელია. ძალიან მიყვარს საკუთარ თავზე ექსპერიმენტების ჩატარება. თმა ყველა ფრად შემიღებია. ბოლოს, ოცნებად მქონდა, ქერადაც შემეღება. ავისრულე ოცნება და საშინელება გამოვიდა: ქერა თმა, შავი თვალწარბი... იმდენად კონტრასტული იერი მივიღე, რომ სარკეში აღარ ვიხედებოდი. მივხვდი, რომ სასწრაფოდ უნდა შემეღება სხვა ფრად.

სერიოზულად შეყვარებული მხოლოდ ჩემს იდეალზე ვარ, რომელიც 21 წელია მიყვარს და ჯერჯერობით, არ შემხვედრია...

— ციკო, „ესემეს-მეგობარი“ თუ გყოლია?

— არა, თუმცა ძალიან ბევრი ადამიანი მიმესიჯებდა და მირეკავდა. „ციკო, შენი გაცნობა მინდა“, „ვიმეგობროთ“ — მწერდნენ, მაგრამ ასეთი მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა: 12 წლის ქუთაისელი გოგონა მიმესიჯებდა, იმდენი ესემესი მომწერა — შენი ნომერი მითხარი, არავის ვეტყვი — მინდა, ვიმეგობროთო — მთხოვდა, ბოლოს, მივეცი ნომერი. ჩემი „იმეილიც“ იცის, დღესაც ვურთიერთობთ და ვმეგობრობთ. სხვათა შორის, კარგი ბავშვია, თავს არ მაბეზრებს. ვერ ვიტან აბეზარ თაყვანისმცემლებს... რაც შეეხება მამაკაცებს, ბევრს მიმესიჯებენ, მაგრამ მე არასოდეს გამჩენია სურვილი, მათთვის მეპასუხოს. ახერხებდნენ იმას, რომ ჩემს ნომერს იგებდნენ. ამაზე ძალიან ვბრაზდებოდი. ჩემთვის გაცნობის ასეთი ხერხი მიუღებელია.

— ალბათ, შეყვარებული ყოფილხარ, არა?

— რომ გითხრა, სერიოზულად შეყვარებული ვყოფილვარ-მეთქი, მოგატყუებ. მოწონებით კი მომწონებია ბიჭი. სერიოზულად შეყვარებული მხოლოდ ჩემს იდეალზე ვარ, რომელიც 21 წელია მიყვარს და ჯერჯერობით, არ შემხვედრია... ერთმა მეგობარმა მითხრა — ძალიან ნუ შეიყვარებ მაგ შენს იდეალს, თორემ, შეიძლება ვერ შეხვდე, რადგან ასეთი ადამიანი იშვიათობაო...

— როგორია ეს შენი იდეალი?

— ჩემი იდეალი ისეთი მამაკაცია, რომელსაც ძალიან ვეყვარები... რა თქმა უნდა, მე უკვე მიყვარს ჩემი იდეალი; თუ ვინმე მომწონებია, პარალელს ყოველთვის მასთან ვავლებ... ის მუდამ კარგ ხასიათზე უნდა იყოს, დილის 5 საათზეც რომ დავურეკო, უნდა დამელაპარაკოს, ჩემი გრძნობების მოზიარე უნდა იყოს... ძალიან მიზანდასახული ადამიანი ვარ, რაც მინდა, ყოველთვის ვისრულებ, იმედი მაქვს, რომ ჩემს იდეალსაც ვიპოვი.

— ამბობენ, დედისერთები, ეგოისტები არიანო. შენ რას ფიქრობ ამაზე?

— ეგოიზმი ისეთი რაღაცაა, რაც ყველა ადამიანში დევს, რა თქმა უნდა — მეტ-ნაკლებად. მესაკუთრე ვარ ჩემთვის საყვარელი ადამიანების მიმართ: მინდა, რომ ისინი მარტო ჩემი იყვნენ და მეტი არავისი; ამ შემთხვევაში, ჩემს მეგობარს ვგულისხმობ. სხვათა შორის, ქეთი ყიფშიძე („202"-ის წამყვანი) — ჩემი მეგობარი, როცა შეყვარებული იყო, ვეჭვიანობდი ხოლმე. ვფიქრობდი — ქეთი რომ გათხოვდებოდა, ისე ხშირად ვეღარ ვიქნებოდით ერთად...

— თუ ყოფილხარ ოდესმე დეპრესიულ, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში?

— ასეთი მომენტი ყველა ადამიანს აქვს და რა თქმა უნდა, მეც მქონია. მაგრამ საერთოდ, ძალზე მებრძოლი ადამიანი ვარ, ყოველთვის ვამბობ — შუა საუკუნეებში რომ დავბადებულიყავი, კარგი მეომარი ვიქნებოდი-მეთქი. ოპტიმისტი ვარ. რაღაც მომენტში, შეიძლება, იმედი დავკარგო, მაგრამ უიმედობის დროსაც ვპოულობ ხოლმე ნათელ წერტილს. ყველა მდგომარეობიდან შეიძლება იპოვო გამოსავალი და ვფიქრობ, რომ სიკვდილის გარდა, ყველაფერს ეშველება...

— ჩაცმულობის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— გარდერობში მაქვს ყველანაირი ტანისამოსი — როგორც აკადემიური, ისე ავანგარდული. ძალიან მიყვარს კლასიკურისა და სპორტულის სინთეზი, ოღონდ ისე, რომ ერთიან სტილში ჩაჯდეს. თბილისში ხშირად არ დავდივარ მაღაზიებში. ამ ბოლო დროს, ვთანამშრომლობ დიზაინერ გვანცა ჯანაშიასთან, რომელსაც ვენდობი, იცის, რა დროს რა უნდა შემიკეროს. საერთოდ, ჯინსს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ გააჩნია, სად მივდივარ, ერთხელ, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე კლასიკურად გამოწყობილი მივედი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, იქ კი ყველა სპორტულად ჩაცმული დამხვდა. ერთხელ კიდევ, პირიქით მოხდა: მე ჯინსითა და ბოტასებით მივედი, სხვა სტუმრები კი, ისე კლასიკურად ჩაცმულები დამხვდნენ, რომ ძალიან შემრცხვა... რომ გითხრა — მოდას ძალიან მივდევ-მეთქი, — არ იქნება მართალი. რაც მომწონს და მიხდება, იმას ვიცვამ.

— მაკიაჟს გაკეთება თუ გიყვარს?

— ამ ბოლო დროს, მაკიაჟს აღარ ვხმარობ. როცა ტელევიზიაში ვმუშაობდი, ყოველდღიური გრიმი მჭირდებოდა და ვიკეთებდი. ახლა კანს ვასვენებ, მხოლოდ ლოსიონს ვხმარობ. რაც შეეხება სახის მოვლას — ვცდილობ, ყოველთვის ძვირად ღირებული და ხარისხიანი კოსმეტიკა შევიძინო. შეიძლება, მთელი ხელფასი ერთ „რუმიანაში" დავხარჯო.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ამ ეტაპზე, არანაირი. თუმცა, დიდი სურვილი მაქვს, ტელეწამყვანობა გავაგრძელო. ეს საქმე ძალიან მომწონს, ჯერჯერობით, შემოთავაზებები არ მაქვს. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ამჟამად ტაიმაუტი მაქვს აღებული.

■

„რეჟისორის პროფესია, მსოფლიოში ყველაზე დამოკიდებული პროფესიაა. ჩვენ პრაქტიკულად დამოკიდებული ვართ ყველასა და ყველაფერზე", — აცხადებს რეჟისორი ოთარ ეგაძე. ამ რამდენიმე დღის წინ, რეჟისორი ლევან წულაძე „ვაკის თეატრალური სარდაფიდან" წავიდა და „რუსთაველის თეატრალურ სარდაფში" დაიწყო აქტიური მოღვაწეობა. გავრცელდა ჭორი, რომ ეს, ამ ორ რეჟისორს შორის მომხდარი განხეთქილების გამო მოხდა და რომ ვაკის თეატრი, მთლიანად ბატონმა ოთარმა მიისაკუთრა. შეესაბამება თუ არა ეს ჭორი სიმართლეს?..

ჭორია, მოძველია, ცნობილია თავისი „სისხლისმსმელობით"...

თეატრალურ სარდაფში მიმდინარე განხეთქილება თუ...

ლიკა ქაჯაია

— რეჟისორის პროფესია, მსოფლიოში ყველაზე დამოკიდებული პროფესიაა. ჩვენ დამოკიდებული ვართ მსახიობზე, მის ცუდ და კარგ ხასიათზე, მემანქანეზე, გამნათებელზე, კომპოზიტორზე, დრამატურგზე, ამინდზე, შუქზე და ა.შ.

— თქვენ ხასიათი ახსენეთ, თქვენი ხასიათი თუ აისახება ამა თუ იმ სპექტაკლში?

— ალბათ კი. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, სხვადასხვაგვარად აზროვნებს. რეჟისორის აზროვნების შედეგად ჩნდება სპექტაკლი ე.ი. სპექტაკლი გამოგონილია და რასაც შენ იგონებ, ის დაახლოებით შენ ხარ, რადგან აქ შენი სული ჩანს.

— რატომ აირჩიეთ რეჟისორის პროფესია?

— ჩემი ოჯახი ხელოვნებას ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება — მამაჩემიც პროფესიით რეჟისორია, თუმცა ამით არ ყოფილა განპირობებული ის, რომ მეც მის გზას გავყევი. ეს რაღაც სპონტანურად მოხდა...

— თქვენ შეგეძლოთ აგერჩიათ მსახიობის პროფესია...

— კი, მაგრამ ჯერ ერთი, ჩემგან კარგი მსახიობი ვერ დადგებოდა, რადგან ენაბლუ ვარ. თან, სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს აფიშირებული ცხოვრება.

— აფიშირებულში რას გულისხმობთ?

— არ მიყვარს საკუთარი თავის, სხეულის „გამოტანა" სცენაზე. აქედან გამომდინარე, მსახიობობა არ მიტაცებს. არასდროს მქონია იმის სურვილი, რომ სცენაზე მეთამაშა. ის კი არა, რამდენი წელია თეატრს ვემსახურები და მსახიობებს ვერაფერი გავუგე — მათი მოქმედება ჩემთვის სასწაულია. ადამიანი გამოდის სცენაზე და ხდება აბსოლუტურად სხვა პიროვნება.

— რას ნიშნავს ერთი რეჟისორის მსახიობი და თქვენ თუ გყავთ თქვენი მსახიობები?

— ამ თეატრში ჩვენ სხვა სისტემით ვმუშაობთ, ამიტომ ჩემი მსახიობია ის, ვინც დღეს, ამ ეტაპზე ჩემს სპექტაკლში თამაშობს. ამ საკითხისადმი არ მაქვს რაღაც მიკერძოებული მიდგომა, მაგრამ ალბათ არიან მსახიობები, რომელთაც კარგად ესმით ერთი რომელიმე რეჟისორის და მასთან თამაში უადვილდებათ. მე ასეთები არ მყავს — ყველა მსახიობი ჩემია.

— რას იტყოდით გამონათქვამზე: „თეატრი ინტრიგებითაა სავსე!"

— ამას იმიტომ ამბობენ, რომ ეს უფრო შესამჩნევია. არა მგონია, ასეთივე ინტრიგები არ იყოს სხვა სამსახურებში, პოლიტიკაში... ყველგან ხდება რაღაც — ზოგს აწინაურებენ, ზოგს აქვეითებენ და ა.შ. ასეთ კონკურენციას ადამიანს ვერ დაუშლი. ოღონდ, მთავარია, კონკურენციის თანაბარი პირობები არსებობდეს... იცით, რა? ნელ-ნელა თეატრი სახეს შეიცვლის (გარეგნულს კი არა — არსობრივს), ინტრიგების რაოდენობა შემცირდება და ამის შემ-

დეგ, ეს ინტრიგა მიმართული იქნება მხოლოდ ხელოვნებისკენ და არა პიროვნებისკენ.

— რა რეაქცია გაქვთ, როცა სპექტაკლის დროს მსახიობი იმპროვიზაციას მიმართავს და ამით თქვენ მიერ დაწესებულ რაღაც ნიუანსს არღვევს?

— სპექტაკლი ხელოვნების ნაწარმოებია, სადაც ყველა მონაწილეობს, ყველას აქვს მინიმალური და ამავე დროს, მაქსიმალური უფლებები. თუ ეს იმპროვიზაცია სპექტაკლს ან მის იდეას არ დაარღვევს, მაშინ მისაღებია.

— რის მიხედვით არჩევთ პიესებს, რომლებიც უნდა გაასცენურროთ?

— ჩემი წუხილის მიხედვით... წავიკითხავ პიესას და თუ მომეწონება, დავდგამ სპექტაკლს. თუ არ მომეწონა, არ შემაწუხა — ვერ დავდგამ, ამას ვერ შევძლებ. თუ ჩემს წუხილს ხალხი გაიზიარებს, სპექტაკლი რამდენჯერმე წარდგება მაყურებლის წინაშე. ეს არის



ძირითადი კომპოზიცია.

— რეპეტიციების დროს მკაცრი ხართ?

— მსახიობებთან ცოტათი დაძმური, მამაშვილური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ვითვალისწინებ იმასაც, რომ რეჟისორი აუცილებლად უნდა გაბრაზდეს, ეს ზოგჯერ საჭიროც კია... ამ მხრივ, რეჟისურა უმადური პროფესიაა, შენ იძულებული ხარ, მუდამ კოლექტივზე იზრუნო. აქედან გამომდინარე, შენს „დილიხორზე“ ვერ ბრაზდები, ვერ იცინი, ვერ ტირი და ა.შ. ვიმეორებ, რომ ეს ძალიან დამოკიდებული პროფესიაა და მე ჩემი ხუმტურები რომ მქონდეს, ალბათ — დავიღუპები.

— რეპეტიციის დროს, ალბათ კურიოზიც ხშირად ხდება?

— კი, როგორ არა. მე ხომ ენაბლუ ვარ. ერთხელ, ბესო ბარათაშვილისთვის უნდა მეთქვა: სცენაზე ამოდით-მეთქი. ამ-ამ-ში გავიჭედე. ბესომ მისმინა, მისმინა და სხვებს გასძახა: ამოდით, თორემ დაგგკბინა ამ შობელძაღლმა. ყეფა უკვე დაწყებული აქვსო *(იცინის)*.

— ვინ იყო თქვენი პედაგოგი?

— მიშა თუმანიშვილი, რომელმაც ხელობა შემასწავლა. ისე, ვცდილობ, რომ ყველასგან, ვისგანაც რაღაცის სწავლა შეიძლება, რაიმე შევიძინო.

— ვინ მიგაჩნიათ მისაბაძ ადამიანად?

— რობერტ სტურუა, პიტერ ბრუკი და ა.შ.

— როგორც რეჟისორს, გაქვთ თუ არა რამე სხვებისგან განსხვავებული, საკუთარი ხელწერა?

— ჩემი სტილი იმაში გამოიხატება, რომ ვცდილობ, ყველა პიესა გავასცენურო ისე, როგორც დრამატურგმა დაწერა ანუ შეიძლება რაღაც უმნიშვნელო დეტალი შევცვალო, მაგრამ იდეა

— არა.

— რა განსხვავებაა თეატრის რეჟისურასა და კინორეჟისურას შორის?

— უზარმაზარი. ჩვენ კინორეჟისორებთან შედარებით ბედნიერი ხალხი ვართ, რადგან გვაქვს თეატრი და შეგვიძლია, ავიღოთ 1 ხალიჩა, ავიყვანოთ 2 მსახიობი, ხალიჩაზე დავდგათ 1 ნავთქურა და მაყურებელი მოვიყვანოთ. კინორეჟისორებს ეს არ ძალუძთ.

— სამაგიეროდ, მათ მიერ გადაღებული ფილმები წლებს უძლებს...

— იცით, სწორედ ამაშია თეატრის გემო. ეს არის ნამდვილი ხელოვნება. სპექტაკლი ხომ ილუზიაა?! ის უნდა გაქრეს. წლებს მხოლოდ მოგონებამ, ლეგენდამ უნდა გაუძლოს.

— თეატრალური შენობა, სადაც ყველაზე მეტად მოგწონთ მუშაობა?

— მე რუსთაველის, კინომსახიობთა, ჭიათურის, მანგლისის თეატრებში და ა.შ. მიმუშავია. სხვა თეატრებს რომ ვერ მოვერგე, იმიტომაც ავაშენეთ მე და ჭოლამ (ლევან წულაძე) საკუთარი თეატრი.

— ამ ბოლო დროს, საზოგადოებაში გავრცელდა ჭორი თქვენსა და ჭოლას შორის არსებული განხეთქილების შესახებ. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— ეს მოარული ჭორია. ჩემსა და ჭოლას შორის არანაირი განხეთქილება არ მომხდარა... იმისთვის, რომ ჩვენ შორის უთანხმოება მოხდეს, რაღაც ფინანსური ინტერესები უნდა გვამოძრავებდეს. ჭოლა თეატრიდან რომ წავიდეს, მე უნდა გამოვისყიდო მისი წილი და პირიქით...

— ეს დიდ თანხასთანაა დაკავშირებული?

— თანხაზე ლაპარაკი არ არის. ჩვენ სპეციალურად მოვიგონეთ ისეთი მოდელი, სადაც რეჟისორები ერთმანეთს არ კლავენ. ქართველი რეჟისორები ხომ ცნობილები არიან თავისი სისხლისმსმელობით, სისხლის ღვრით. ჩვენ ამის გამო გამოვძებნეთ მოდელი, რომლის მიხედვითაც რეჟისორები შეძლებდნენ ერთად, მშვიდად მუშაობას.

— ანუ ეს არის ქართული რეალობა?

— ჩვენ თუ ავიღებთ ქართული თეატრის ისტორიას, ვნახავთ, რომ მარჯანიშვილი თეატრიდან ახმეტელმა გააგდო, ახმეტელი — ვასაძემ და ხორავამ, ისინი დოდო ალექსიძემ, ალექსიძე — მიშა თუმანიშვილმა, ეს უკანასკნელი რობერტ სტურუამ და თემურ ჩხეიძემ და ა.შ.

— ეი. ჭოლა „ვაკის სარდაფიდან“ არ წასულა?

— „ვაკის“ და „რუსთაველის სარდაფი“ ერთი და იგივე ორგანიზმია. ეს არის ერთი „თეატრალური სარდაფი“...

— ჭორებზე რა რეაქცია გაქვთ ხოლმე?

— ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ, შესაბამისად, არც გულისწყრომას გამოვხატავ...

— დაბოლოს, რას ურჩევდით დამწყებ რეჟისორებს?

— მუშაობას, მხოლოდ და მხოლოდ მუშაობას. ფელინის აქვს ერთი კარგი გამონათქვამი: „როდესაც მაქვს 100 დოლარი, 100-დოლარიან ფილმს ვიღებ, როცა მაქვს მილიონი, იმასაც კინოში ვდებ. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი გაქვს ფული“... მით უმეტეს, თეატრს არ სჭირდება ბევრი ფული. მთავარი მხოლოდ მუშაობაა.

როგორ ვებრძოლოთ ხველას

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

ზამთრის სეზონის დაწყებას თან ახლავს ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, მაღალი ტენიანობა, ხშირი ნალექები და ქარი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად მატულობს გაცივებითი დაავადებების განვითარების რისკი. ერთი შეხედვით უწყინარი ხველა სერიოზული ქრონიკული დაავადების მიზეზი რომ არ გახდეს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოთ უყურადღებოდ.

ხველა დამოუკიდებელი დაავადება კი არა, ორგანიზმის რეაქციაა, რომელიც სასუნთქი გზების გაღიზიანების პასუხად ვითარდება მათში ნახველის, ლორწოს დაგროვებისა და უცხო სხეულების მოხვედრისას.

ხველის საწინააღმდეგო დიეტა

ხველის დასათრგუნად სახლის პირობებში ხალხური მედიცინის რჩევების გამოყენება შეგიძლიათ. ხველის საწინააღმდეგო ეფექტი აქვს ზოგიერთ კვების პროდუქტს, რომლებიც შინ ყოველთვის მოგეპოვებათ.

● მიირთვით შვრიის თხელი, რძიანი ფაფა — 1-2 ჩ/ჭ.

● მიირთვით 2 ს/კ ზეთით ან არაჟნით შეზავებული ბოლოკის სალათა 150-200 გ.

● 10 ცალი მწიფე ვაშლი წვრილად დაჭერით, დაასხით 1 ლ წყალი, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 10-15 წთ, მიიღეთ 150-200 მლ 4-ჯერ დღეში.

● ერთი მუჭა გარჩეული კაკალი ან თხილი ჩაყარეთ ჭურჭელში, დაასხით 1 ლ რძე და 30 წთ-ის განმავლობაში ადუღეთ დაბალ ცეცხლზე. მიიღეთ თითო ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში თბილ-თბილი (დალიეთ აუჩქარებლად, პატარა ყლუპებით და კაკლისა და თხილის გულებიც მიაყოლეთ).

ტკბილი საშუალებები

ტრადიციული, ყველასათვის ბავშვობიდან კარგად ცნობილი საშუალება ხველის დროს გოგლიმოგლი გახლავთ. მის მოსამზადებლად შაქართან ერთად კარგად უნდა ათქვიფოთ უმი კვერცხის გული.

● შეგიძლიათ მოამზადოთ ასეთი ტკბილი საშუალებაც: აურიეთ ერთმანეთში 2 ს/კ ახალი კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ პურის ფქვილი და 2 ჩ/კ

თაფლი. მიიღეთ თითო ჩ/კ 4-6-ჯერ დღეში.

● შეტევითი ხველა, განსაკუთრებით ბავშვებში, შეგიძლიათ შეაჩეროთ რძეში მოხარშული ლეღვის მიღებით: 2 ს/კ წვრილად დაჭრილ ნაყოფს დაასხით 2 ჩ/ჭ ცხელი რძე, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 5 წუთი. თბილი ნახარში უნდა მიიღოთ 2/3-3/4 ჩ/ჭ ძილის წინ.

● ხველისას რეკომენდებულია სტაფილოს წვენი თაფლთან ერთად (1:1). უნდა მიიღოთ 1-2 ს/კ 3-ჯერ დღეში.

● ასევე კარგია შტოშის წვენისა და თაფლის ნარევი 50-100 მლ დღეში.

შავი ბოლოკი სახლის აფთიაქში

სლავები ხველის საწინააღმდეგო საშუალებად შავი ბოლოკის წვენს იყენებენ. ბოლოკს ფცქვნიან, ხეხავენ სახეხზე, წურავენ წვენს და შეურევენ თაფლს ისე, რომ წვენისა და თაფლის თანაფარდობა იყოს 2:1. მიიღეთ 2 ს/კ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

შეგიძლიათ, გაფცქვნილი ბოლოკი დაჭრათ თხელ ნაჭრებად და წაუსვათ თაფლი ან მოაყაროთ შაქარი, დატოვოთ ოთახის ტემპერატურაზე 6 საათის განმავლობაში — გამოიყოფა წვენი, რომელიც უნდა გადაწუროთ და დალიოთ თითო ს/კ საათში ერთხელ.

ბოლოკის წვენის მიღების კიდევ ერთი ხერხი არსებობს: ბოლოკის ზედა, განიერი ნაწილი ამოღრუტნეთ, ჩაასხით 2 ს/კ თაფლი, ბოლოკი ჭურჭელში ვერტიკალურ მდგომარეობაში მოათავსეთ და დააყოვნეთ 3-4 საათი. ღრმულში დაგროვილი წვენი ფრთხილად გადაასხით ჭურჭელში და მიიღეთ თითო ჩ/კ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე და ძილის წინ.

ხახვის რეცეპტები

ხახვი, გაცივების დროს უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალო საშუალებად.

● ერთი თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და 15-20 კბილი წვრილად დაჭრილი ნიორი შეურიეთ ერთმანეთს, დაასხით 1,5 ჩ/ჭ რძე და ხარშეთ ნივრის დარბილებამდე. შემდეგ ნახარში გადაწურეთ, შეაგრილეთ, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი და 5-8 წვეთი პიტნის ნაყენი. მიიღეთ თბილ-თბილი 1-2 ს/კ 3-ჯერ დღეში.

● ერთი ჭიქა რძე აადუღეთ, მასში ჩაუშვით ერთი თავი საშუალო ზომის ხახვი და ადუღეთ კიდევ 10 წუთი. ცხელი ნახარში მიირთვით ყლუპ-ყლუპად. პროცედურა გაიმეორეთ დღეში რამდენჯერმე.

● ხახვი მოშუშეთ კარაქში და შეურიეთ თაფლი. მიიღეთ 2 ს/კ დღეში რამდენჯერმე.

● ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ ხახვს დაუმატეთ იმავე რაოდენობის ბატის ქონი და ეს ნარევი ავადმყოფს ძილის წინ, ბეჭებზე, კისრის წინა ნაწილისა და გულმკერდის არეში შეუზილეთ. ■

ცხელი აბაზანა ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ

დიდი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, შესაძლოა, კუნთები აგტკივდეთ. ეს ქსოვილში რძის მჟავის დაგროვების შედეგად ხდება. უსიამოვნო სიმპტომისგან გასათავისუფლებლად, ცხელ აბაზანას ან უბრალოდ, შხაპს გირჩევთ. მაღალი ტემპერატურის მქონე წყალი საუცხოოდ მოქმედებს კუნთებზე და რძის მჟავის დონის დასარეგულირებლადაც, უებარ საშუალებას წარმოადგენს. ოღონდ, სიფრთხილეც გამოიჩინეთ: თუ გსურთ, დიდი ხნით შეინარჩუნოთ ჯანსაღი კანი, უმჯობესია, ყოველდღე კონტრასტული შხაპი მიიღოთ. ■

ქალთა დეპრესია — გამოსავალი არსებობს!

დეპრესიით დაავადებულ ადამიანთა თითქმის ნახევარი არ მიდის ექიმთან. მათი უმრავლესობა კი, ვინც სამედიცინო დახმარებას ითხოვს, ექიმ-თერაპევტს მიმართავს ხოლმე და არა ფსიქონევროლოგს. შედეგად იმას ვიღებთ, რომ ასეთ პაციენტთა მხოლოდ 10% იტარებს ადეკვატურ მკურნალობას ანტიდეპრესანტებით.

ამ პათოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემა საკმაოდ სერიზულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ დეპრესიის მქონე უამრავი პაციენტი კარგავს შრომისუნარიანობას, არამედ იმიტომაც, რომ მათი თითქმის 10% სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს და გარდა ამისა, სუიციდის 90% დეპრესიის მდგომარეობაში ხდება.

თავს უშველეთ!

დღეს ადამიანს სანერვიულოს რა გამოულევს. თანაც ქალის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ გარკვეულ პერიოდებში გარე გამაღიზიანებლებზე რეაქცია მწვავდება და მისი წყობიდან გამოყვანა არა მხოლოდ სერიოზულ პრობლემას, არამედ გაზქურაზე შემოდგმული წვნიანის გადმოსვლასაც შეუძლია. თანაც ასეთი „გარკვეული პერიოდები“ საკმაოდ მრავლადაა: ყოველთვიურად, მენსტრუაციის წინა დღეებში განწყობილება უარესდება, ორსულობის დროსაც ქალი ჭირვეული ხდება; კლიმაქსი ეწყება და გამუდმებით სურს, ვიღაცას ეჩხუბოს. ამ რთულ პერიოდებში ბევრი კეთილშობილი და თბილი გოგონას ცნობა შეუძლებელი ხდება.

ცრემლების არარსებობა დეპრესიის ნიშანია

დეპრესიის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მოწყენილი და დათრგუნვილია. ნელა და დამარცვლით ლაპარაკობს, ცუდად აზროვნებს და ცოტას მოძრაობს. მას არ უნდა ჭამა, საერთოდ არავინ და არაფერი უნდა. ცუდად სძინავს, ადრე ეღვიძება, წონაში იკლებს, კანი უშრება, ფრჩხილები და თმა ემტვრევა, გულის რიტმი უხშირდება, მატულობს წნევა — ეს ყველაფერი აუტანელ მდგომარეობაში აგდებს.

ქალებში დეპრესიის განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზობრივი ფაქტორი ქალური ჰორმონების ზემოქმედებაა. ეს კავშირი შესამჩნევი ხდება ჰორმონული გარდაქმნის კრიტიკულ პერიოდებში.

დადგენილია, რომ უმრავლეს შემთხვევაში დედის დეპრესია ბავშვებში ფსიქიკური დარღვევების განვითარებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით არასასურველი შედეგები მოსდევს მშობიარობის შემდგომ დეპრესიას, რადგან ახალშობილები და პატარა ბავშვები მძიმედ განიცდიან დედასთან ურთიერთობის დარღვევას.

დეპრესიისგან განკურნებასთან ერთად, ის სიტუაციას ოჯახსა და სამსახურში თანდათანობით ასწორებს, მაგრამ ხშირად ცოლ-ქმარს შორის პრობლემები მაინც რჩება. დეპრესიიდან გამოსვლის შემდეგ, დედები ბავშვებთან თავიანთი ყურადღებისა და სიყვარულის კომპენსირებას ცდილობენ. თუმცა პატარების მხრიდან უნდობლობა იჩენს ხოლმე თავს და ზოგჯერ ფსიქოთერაპევტის ჩარევის გარეშე, ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელი ხდება.

მკურნალობა

ძირითადი სამკურნალო საშუალებები ანტიდეპრესანტებია. მათი ზემოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე იწვევს საერთო ფსიქიკური მდგომარეობისა და განწყობილების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ანტიდეპრესანტები ხსნის გამოხატულ შფოთიანობას.

ზოგჯერ დამატებით საჭირო ხდება ტრანკვილიზატორების დანიშვნაც. ეს პრეპარატები ამცირებს ემოციურ დაძაბულობას, შიშს.

მკურნალობა უნდა იყოს კომპლექსური და მისი შედეგი უნდა იყოს არა მხოლოდ ფსიქიკური და სომატური, არამედ ჰორმონული დარღვევების ლიკვიდაციაც. ამისთვის კი გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის, ფსიქიატრის, ნევროლოგისა და თერაპევტის ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ

ნუ აჰყვებით ცუდ განწყობილებას ან ამ მდგომარეობას მკაცრად განსაზღვრული დრო დაუთმეთ. მაგალითად, 10 წუთის განმავლობაში შეიცოდეთ საკუთარი თავი, მოიწყინეთ, იტირეთ, გამოხატეთ გაბრაზება, შემდეგ კი ქცევის რომელიმე სხვა ვარიანტი შეარჩიეთ: ეცადეთ, დაივიწყოთ პრობლემა, იფიქრეთ, რომ შეიძლებოდა, უარესიც მომხდარიყო. საკუთარ თავს ჩააგონეთ, რომ თქვენი პრობლემა არაფერია საქვეყნო პრობლემებთან შედარებით, თავი იმით დაიმედეთ, რომ ოჯახსა და სამსახურში წვრილმანი უსიამოვნებების მიუხედავად, ყველა ახლობელი ჯანმრთელად გყავთ. ასეთი ალტერნატივების გამონახვა ყოველთვის შესაძლებელია. იფიქრეთ იმაზე, რომ ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემები ყოველთვის შეიძლება მოგვარდეს.

მიიღეთ პიტნის ჩაი. კარგია წიწვოვანი ნაყენის აბაზანები, სასიამოვნო მუსიკის მოსმენა.

ეცადეთ, ხშირად გაიღიმოთ, ივარჯიშეთ, შეიცვალეთ თმის ვარცხნილობა, შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი, გაიხსენეთ ძველი მეგობრები და დაურეკეთ მათ, მიირთვით ტკბილეული (თუმცა — არა ჭარბად), გაისეირნეთ ისე, რომ არ იფიქროთ მოუმზადებელ სადილსა და დაულაგებელ სახლზე.

■

რენტგენი და ანტიტერორისტული დეტექტორები...

გულისა და ფარისებრი ჯირკვლის ზოგიერთი დაავადების დროს, პაციენტს რენტგენოლოგიურ გამოკვლევას უტარებენ. ამის შემდეგ, გარკვეული ხნით, ადამიანი რადიოაქტიური გამოსხივების წყაროდ იქცევა. აეროპორტში ასეთ ადამიანებს „ამხელენ“ რადიაციის გამზომი დეტექტორები, რომლებიც ტერორისტთა გამოვლენას ემსახურება. როგორც ცნობილია, რადიოაქტიურ იზოტოპებს საკმაოდ აქტიურად იყენებენ მედიცინაში. მსოფლიოში ყოველწლიურად, 18 მლნ-მდე გამოკვლევა ტარდება. ამიტომ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა, ასეთ პაციენტებს სპეციალური საინფორმაციო რუკები ჰქონდეთ, სადაც აღნუსხული იქნება ჩატარებული პროცედურები, ამ დროს გამოყენებული იზოტოპების დაშლის პერიოდი და ადამიანის საკონტაქტო ტელეფონი.

■

ყველაზე პაღლეები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები.

უდიდესი მობილური ტელეფონი

მობილური ტელეფონის — „მაქსი-ჰენდის“ მოდელი, რომლის პარამეტრებია: 2,05X0,83X0,45 მ — გერმანიის ქალაქ ბაირეიტში მდებარე ცენტრ „როტმაინში“ 2004 წლის 7 ივნისს გამართული საინფორმაციო სადემონსტრაციო ტურის დროს დადგეს. მოდელი ხის, პოლიესტრისა და ლითონისგანაა დამზადებული და TFT სისტემის ფერადი ეკრანი ამშვენებს. რაც მთავარია, მოდელი მოქმედია — მისი მეშვეობით, ესემესებისა და ემემესების გაგზავნაა შესაძლებელი.

უგანიერესი გულმკერდი

1958 წლის თებერვალში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 32 წლის ამერიკელის რობერტ ერლ ჰიუზის წონა 484 კგ იყო, ხოლო მისი გულმკერდი 3,15 მ-ს აღწევდა. 6 წლის ასაკში, რობერტ ერლი 92 კგ-ს იწონიდა, 10 წლისა — 171 კგ-ს, ხოლო 25 წლისა — 406 კგ-ს.

უდიდესი ბუნებრივი ლაბირინთი

დიდი ბრიტანეთის ქალაქ დაუნში მდებარე პარკში — კასლველან ფორესტში გაშენებული „მსოფლიო ლაბირინთი“ 11215 კვმ ფართობს იკავებს. მისი ბილიკების საერთო სიგრძე 3515 კმ-ს აღწევს. ის ბრიტანელი ბევერლი ლირის პროექტით, ჩრდილოეთ ირლანდიის სატყეო სამსახურის თაოსნობით გაშენდა. ლაბირინთი 2001 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა.



მსოფლიოში უდიდესი ბუნებრივი თაღი

აშშ-ში, იუტას შტატში მდებარე, თაღების ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. ლანდშაფტური თაღის (ფოტოზე) სიგრძე 94,5 მ-ს შეადგენს. ამავე სიგრძისაა იმავე შტატში მდებარე, ზიონის ნაციონალურ პარკში არსებული თაღიც, ოღონდ, პირველი მეორეზე გაცილებით შთამბეჭდავია, რადგან ხევის თავზე მდებარეობს და 5 მ სისქისაა.



ყველაზე ნაყოფიერი მშობიარობა

1997 წლის 19 ნოემბერს, აიოვას შტატის ქალაქ დემოინის მკვიდრმა, ბობი მაქკოგიმ, საკეისრო კვეთის შედეგად, 7 ბავშვი გააჩინა: კენეტის, ნატანიელის, ბრენდონის, ჯოელის, კელსის, ნატალისა და ალექსისის წონა 1048-დან 1473,3 გ-ს შორის მერყეობდა.

ასეთივე შედეგით აღინიშნა 1998 წლის 4 იანვარს, საუდის არაბეთის მკვიდრი, ხასნა მოჰამედ უმაირის მშობიარობა: მას 3 გოგო და 4 ბიჭი შეეძინა; მათ შორის ყველაზე მჩატე 907 გ-ს იწონიდა.

| | | |

უმრწემესი პრიზიორი

ამერიკელი რაიან შეკლერი, სპორტის ექსტრემალურ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში ყველაზე ნორჩი პრიზიორი გახლავთ: მან 13 წლის ასაკში დაიკავა პირველი ადგილი სკეიტბორდში. აი, რას ჰყვება რაიანი თავისი მიღწევების შესახებ სახელდახელო ინტერვიუში, რომელიც მას გამარჯვების შემდეგ ჩამოართვეს:

— პირველად რა ასაკში დადექი „ფიცარზე"?

— წლინახევრის ვიყავი, როცა უკვე დავსრიალებდი მამის სკეიტბორდზე. 4 წლის ასაკში კი, სახლში მთელი ავეჯი ჩემი სრიალისგან დაზიანებული გვქონდა...

— როგორია, ასეთ ადრეულ ასაკში მიღწეული ჩემპიონობით მოგვრილი გრძნობა?

— ძალზე მიყვარს სკეიტბორდი და მინდა, მომავალშიც მივდიო სპორტის ამ სახეობას. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი.

— გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის თაობაზე რას იტყვი?

— საოცრად გახარებული ვარ! მეხუთე კლასში რომ ვსწავლობდი, მე და ჩემი მეგობრები ბიბლიოთეკაში იმისთვის დავრბოდით, რომ ამ წიგნში შესული რეკორდსმენების შესახებ წაგვეკითხა. მაშინ ვფიქრობდი — რა საოცრებაა ამ წიგნში მოხვედრა-მეთქი! რას წარმოვიდგენდი, თუ ეს ასე მალე მოხდებოდა?! თავი სიზმარში მგონია...

ყველა ასაკის მკითხველისათვის!

ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს რუბრიკას „ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან", რომლის ავტორიც გოჩა ფანჯიკიძე გახლავთ. ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ჟურნალის დაარსების პირველი დღეებიდან, რუბრიკამ მკითხველის ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა. მრავალფეროვანი სამეცნიერო, პოპულარული, იუმორისტული ინფორმაცია, რომელიც სისტემატურად მიეწოდება მკითხველს, ასახავს როგორც მიმდინარე, ჩვენი დროისთვის აქტუალურ პრობლემებსა თუ მსოფლმხედველობას, ასევე უცნობ თუ ნაცნობ მოვლენებს კაცობრიობის ისტორიის ოქროს ფონდიდან. ფაქტები შესაძლებლობის ფარგლებში საგულდაგულოდ არის შემოწმებული, დამუშავებული და ავტორისათვის სასურველი რაკურსით დანახული.

წიგნში შესულია ჟურნალ „გზაში" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო მინიატიურები და ასობით ახალი ჩანაწერი თუ საინტერესო ფაქტი.

...ტურის-ფირცხა-ავა	მარილებით მდიდარი ხამი წყალი	წყლის მარწუხები-ანი ცხოველი	ადგილი მაყურებელთა დარბაზში	სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში	პოპოვის გამოგონება	მაღალი რანგის ოფიცერი არმიაში
...ი. ჭავჭავაძის „... ნაამბობი"	ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის	ფიცი მწამს, ... მაკვირვებს	მაქმანიანი არშია	... ტაილერი	ჭრილობა	ფილოსოფოსი, ცხოვრობდა კასრში	ავტორბოლ...

თუკი რწმენითა და სასოებით შევთხოვთ წმინდა ბარბარეს შემწეობას, უეცარი სიკვდილისგან ვიქნებით დაცული

17 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ბარბარეს თავის კვეთის დღეს იხსენიებს, რომელიც ბარბარობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი...

მორენა მერკვილაძე

წმინდა ქალწულმოწამე ბარბარე დაიბადა IV საუკუნეში, ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში. მამამისი, დიოსკორე მდიდარი, წარჩინებული გვარის კაცი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და აღსაზრდელად დარჩა ერთადერთი ქალიშვილი, ბარბარე. დიოსკორე ქალიშვილს თავს ევლებოდა, ანებივრებდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

როდესაც გოგონა წამოიზარდა, ძალზე დამშვენდა. მამას მიაჩნდა, რომ მდაბიო ადამიანები მისი ქალიშვილის ხილვის ღირსნი არ იყვნენ, ამიტომ მაღალი კოშკი ააგო და ბარბარე შიგ გამოკეტა. მასთან მხოლოდ წარმართ მსახურებს და აღმზრდელებს უშვებდა. ქალწული სულიერ სიმშვიდეს და შვებას ბუნების ღვთაებრივი სილამაზის ცქერაში პოვებდა. იგი ხშირად ფიქრობდა იმის შესახებ, თუ ვინ იყო შემოქმედი ასეთი მშვენიერებისა. წარმართი აღმზრდელები ასწავლიდნენ, რომ ყოველივე კერპთა მიერ იყო შექმნილი. მაგრამ წმინდა ქალწული გრძნობდა, რომ სამყაროს ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა, რომელიც სიბრძნით, სიკეთითა და სათნოებით ყველას აღემატებოდა.

ბარბარეს ღვთაებრივი სილამაზის შესახებ მალე, ბევრმა ადამიანმა შეიტყო, ამიტომ დიოსკორეს მრავალი ჭაბუკი ეახლა ასულის ხელის სათხოვნელად. მამამ თავისთან დაიბარა ბარბარე და შესთავაზა თვითონ აერჩია მომავალი თანამეცხედრე, მაგრამ მისგან სასტიკი უარი მიიღო, რადგან ბარბარე გათხოვებაზე არ ფიქრობდა: „არა გიცნობიესა, მამაო, რამეთუ არად სახმარ არს ჩემდა სოფელი ესე“, — უპასუხა ქალწულმა.

ამის შემდეგ, მამამ იფიქრა, რომ ქალიშვილზე კოშკში გამოკეტვამ იმოქმედა, ამიტომ გადაწყვიტა, შედარებით მეტი თავისუფლების და უცხო ადამიანებთან ურთიერთობის ნება მიეცა მისთვის. ღვთის ნებით, წმინდა ქალწული ქრისტიან ქალწულებს დაუახლოვდა და მათგან უფალ იესო ქრისტეს შესახებ ყოველივე შეიტყო. მან გადაწყვიტა, ქრისტიანული სჯული ეღიარებინა და სულ მალე, მართლაც, მოინათლა; ნათლისღების შემდეგ, ქალწულობის აღთქმა დადო და გადაწყვიტა, სიცოცხლე ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნა.

ერთ დღეს, ქალწული, ბაღში სეირნობდა, სადაც დიოსკორეს ბრძანებით, ბარბარესთვის მდიდრულ აბანოს აშენებდნენ, რომელსაც, მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად, ორი სარკმელი ჰქონდა. ბარბარემ მშენებლებს სთხოვა, რომ აბანოსთვის მესამე სარკმელიც ამოეჭრათ — ღვთის სამგვამოვნების ნიშნად.

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა დიოსკორემ მშენებლებს გულისწყრომით ჰკითხა, მესამე სარკმლის გაჭრის მიზეზი. როცა შეიტყო ქალიშვილის დაჟინებული თხოვნის შესახებ, ბარბარე თავისთან დაიბარა და სთხოვა, აეხსნა, რას გულისხმობდა სამ სარკმელში: „...გამოგიცხადო შენ, მამაო, და გასწაო სამართალი უსამართლობისაგან და გამოგიყვანო შენ ბნელისაგან ნათლად... მე მნებავს მოქცევაი შენი ჭეშმარიტებად; არა გიცნობიესა, რამეთუ სამნი სარკმელნი იგი არიან, რომელი ჰნათობენ ყოველსა სოფელსა: ესე სამნი არიან, მამაი, ძე და სულიწმიდა“, — მიუგო ქალწულმა.

მოსმენილმა იმდენად განარისხა კერპთმსახური დიოსკორე, რომ ქალიშვილისთვის თავის მოსაკვეთად, ხმალი იშიშვლა. მაგრამ ბარბარემ გაქცევა მოასწრო და ქალაქის მახლობლად მდებარე გამოქვაბულს შეაფარა თავი.

დიოსკორემ მალევე შეიტყო ქალიშვილის ადგილსამყოფელი, გამოქვაბულიდან თმით ჩამოათრია ქალაქამდე და შინ გამოკეტა. შემდეგ, ქალაქის მმართველს, კერპთმსახურ მარკიანეს სთხოვა, რომ ბარბარე ქრისტიანული სჯულის აღიარების გამო დაესაჯა.

ქალწულის სილამაზით მოხიბლული მმართველი თავდაპირველად, ტკბილი სიტყვებით ცდილობდა ბარბარეს დარწმუნებას, რომ დაეგმო ჭეშმარიტი ღმერთი და მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის, მაგრამ როდესაც წმინდანისგან სასტიკი უარი მიიღო, ბრძანება გასცა, გაეშოლტათ იგი და დილეგში ჩაეგდოთ. შუაღამისას საკანს ბრწყინვალე ნათელი მოეფინა: წმინდა ბარბარეს თვით უფალი გამოეცხადა, ანგელოზებთან ერთად, და მისი ნაგვემი სხეული წყლულებისგან განკურნა.

როდესაც მეორე დღეს, მარკიანემ სრულიად ჯანმრთელი ბარბარე იხილა, ეს კერპების მოწყალებას მიაწერა და ურჩია, ახლა მაინც შეეწირა მსხვერპლი მათთვის. ქალწულს მისი სიტყვები სასაცილოდ ეჩვენა და კვლავ უშიშრად აღიარა ჭეშმარიტება. განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, ბარბარესთვის თავი მოეკვეთათ. სასჯელის აღსასრულებლად, იგი ქალაქგარეთ გაიყვანეს. წმინდა ბარბარეს საკუთარმა მამამ მოჰკვეთა თავი. როგორც კი დიოსკორემ ქალიშვილს მახვილი დასცა, იმავე წამს, ზეციდან საშინელი ცეცხლი გარდამოხდა, დიოსკორეს დაეცა და ერთიანად დაწვა, ფერფლი კი უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა გაფანტა. სასტიკად დაისაჯა მარკიანეც: სასახლეში შესვლის დროს, მეხი დაეცა და ადგილზევე განადგურდა.

ბარბარეს წმინდა სხეული ერთ-ერთმა ღვთისმოსავმა მოქალაქემ, ვალენტინემ ილიოპოლისში წაასვენა და დიდი პატივით დაკრძალა. შემდეგ იმ ადგილას ეკლესია აიგო.

წმინდა ბარბარე აღესრულა დეკემბრის მეოთხე დღეს (ახალი სტილით 17 დეკემბერს), წმინდა ბარბარე ითვლება ბავშვთა მფარველ წმინდანად, მასვე შესთხოვენ სხვადასხვა სენისგან განკურნებას და ფიზიკურ სიჯანსაღეს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ვინც ყოველდღე, რწმენითა და სასოებით შესთხოვს წმინდა ქალწულ მოწამეს შემწეობას, უზიარებელი არ გარდაიცვლება და დაცული იქნება უეცარი სიკვდილისგან (გადმოცემის თანახმად, წმინდა ბარბარემ სიკვდილის წინ უფალს შესთხოვა, რომ ყველა, ვინც მის მოწამებრივ აღსასრულს მოიხსენიებდა, დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისგან; ზეციდან მოესმა ხმა, რომ უფალმა მისი ლოცვა შეისმინა და შეიწყნარა).

ხატებზე წმინდა ბარბარეს სხვადასხვაგვარად გამოსახავენ. ერთ-ერთ ხატზე მას ხელში სითხით სავსე ბარძიმი უჭირავს, რაც მძიმე სენთაგან კურნების ძალის შესატყვისია. არსებობს ხატი, რომელზეც წმინდანი, საკუთარი მოკვეთილი თავითაა გამოსახული, რაც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავის შეწირვას მიანიშნებს. ერთ-ერთ ხატზე კი, წმინდა ქალწული გამოსახულია ხელში რტოთი: რტო ახალ სიცოცხლეზე, ახალშობილზე მიანიშნებს. ამიტომაც მიიჩნევენ წმინდა ყრმათა მფარველად და მეოხად.

ვინ იყო წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი?

19 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია სადღესასწაულოდ იხსენიებს წმინდა ნიკოლოზს, რომელსაც საკვირველმოქმედი ეწოდება.

წმინდა ნიკოლოზი IV საუკუნის დასაწყისში, მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, ლუკიის მხარის ქალაქ პათრაში დაიბადა. მისი მშობლები — თეოფანე და ნონა, ღვთისმოშიშებით გამოირჩეოდნენ. მათ დიდხანს არ ეძლეოდათ შვილი, ამიტომ უფალს გულმხურვალედ შესთხოვდნენ, რომ მემკვიდრე ებოძებინა მათთვის. ცოლ-ქმარმა ღვთის წინაშე აღთქმა დადო, რომ თუ შვილი მიემადლებოდათ, უფალს მიუძღვნიდნენ მას და ღვთისმსახურად აღზრდიდნენ. სულ მალე, მართლაც, შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ნიკოლოზი უწოდეს, რაც მძლეველს ნიშნავს.

მორენა მერკვილაძე

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება, თავიდანვე სასწაულებით დაიწყო: დედამისი სნეული ქალი იყო, მაგრამ ყრმის შობისთანავე სრულიად განიკურნა; ნიკოლოზი ნათლობის დროს, 3 საათის მანძილზე ფეხზე იდგა ემბაზში (ნათლობის ჭურჭელი), ხოლო ოთხშაბათობით და პარასკეობით, დედის რძეს მხოლოდ მწუხრის ლოცვის შემდეგ იღებდა... ის სიყრმიდანვე ამჟღავნებდა სულიერებისადმი უდიდეს მისწრაფებას, შეიყვარა და ღრმად შეისწავლა საღვთო წერილი, თითქმის მთელ დღეებს ტაძარში ატარებდა, ღამით კი ლოცულობდა და „წმინდა წერილს“ კითხულობდა. როდესაც ბიძამისმა — პათრის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, მისი ესოდენი დაინტერესება შენიშნა, მედავითნედ დაადგინა, სულ მალე კი, მღვდლად აკურთხა.

მალე ეპისკოპოსი ნიკოლოზი პალესტინაში გაემგზავრა და თავისი ეპარქიის ზედამხედველობა დროებით, ძმისწულს დაავალა. ბიძის დაბრუნების შემდეგ, ნიკოლოზი თავად გაემგზავრა პალესტინაში წმინდა ადგილების მოსალოცად. გზად ნიკოლოზმა სასწაული მოახდინა: სულიწმიდის მადლით, იხილა ხომალდზე მყოფი ეშმაკი, რომელიც გემის ჩაძირვას ცდილობდა. ცოტა ხანში, ცა მოიქუფრა და საშინელი თავსხმა დაიწყო. ნიკოლოზი ლოცვად დადგა და მოახერხა აღელვებული ზღვის დაცხრობა. მალე სტიქიაც მიწყნარდა.

იერუსალიმში ჩასულმა ნიკოლოზმა, წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ, გადაწყვიტა, უდაბნოში გასულიყო სამოღვაწეოდ, მაგრამ ზეციდან უწყება მიიღო, რომ ხელი აეღო განზრახვაზე და მირონ-ლუკიაში დაბრუნებულიყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, წმინდანს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და ძვირფასი თვლებით დამშვენებული, წმინდა „სახარება“ გადასცა. მაცხოვართან ერთად, მან იხილა უფლის ყოვლადწმინდა მშობელი — მარიამიც, რომლისგანაც ომფორი მიიღო. ამ გამოცხადებიდან რამდენიმე ხანში, ნიკოლოზი მირონ-ლუკიის მღვდელმთავრად — მთავარეპისკოპოსად აირჩიეს.

მღვდელმთავარმა ნიკოლოზმა მონაწილეობა მიიღო 325 წელს გამართულ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაში, სადაც რომის პაპ სილვესტრთან, სპირიდონ ტრიმიფუნტელთან და კრებაზე დამსწრე სხვა წმინდა მამებთან ერთად, სასტიკად ამხილა და შეეწინააღმდეგა ალექსანდრიელი ხუცის, მწვალებლობაში ჩავარდნილი არიოზის ცრუმოძღვრებას, რომელიც იმ ხანებში ფართოდ იყო გავრცელებული.

მიუხედავად წმიდა მამათა მხილებისა, არიოზი კრებაზე მაინც უტიფრად ამტკიცებდა თავისი ცრუმოძღვრების ჭეშმარიტებას, რამაც იმდენად ააღელვა ნიკოლოზი, რომ არიოზს კვერთხი ჩაარტყა. ამის გამო, ნიკოლოზი სამღვდელმთავრო ხარისხიდან განაყენეს და საპყრობილეში ჩასვეს. კრებაზე დამსწრე რამდენიმე წმინდა მამას ზეგარდმო ჩვენებით ეუწყა, რომ ნიკოლოზი თავად უფალმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა აკურთხეს მღვდელმთავრად. ამით ნათელი გახდა, რომ მისი საქციელი არ ეწინააღმდეგებოდა უფლის ნებას, ამიტომ საპყრობილიდან გამოიყვანეს და მღვდელმთავრის ხარისხში აღადგინეს.

ნიკოლოზი მრავალგზის შესწევია განსაცდელში მყოფთ. მისი ლოცვის ძალით მრავალი ადამიანი გადაურჩა ზღვაში ჩაძირვას, მრავალიც განიკურნა მძიმე სენისგან: ბრმებისთვის თვალისჩინი დაუბრუნებია, ყრუთათვის — სმენა, უტყვთათვის — მეტყველება მიუმადლებია; სიღარიბესა და სიღატაკეში მყოფნი გაუმდიდრებია; ერთხელ, ლოცვის ძალით, მირონ-ლუკია შიმშილობისგან იხსნა.

ნიკოლოზი სიზმარში გამოეცხადა ზღვაში ხომალდით მიმავალ იტალიელ ვაჭარს, რომელსაც 3 ოქროს მონეტა მისცა, სთხოვა, რომ თავისი ხორბლით დატვირთული გემი მირონ-ლუკიის ნავსადგურში შეეყვანა და ამ ქალაქის მცხოვრებთათვის მიეყიდა. როდესაც ვაჭარმა გამოიღვიძა, ხელში მართლაც, 3 ოქროს მონეტა ეჭირა და სიხარულით აღასრულა წმინდანის თხოვნა.

ნიკოლოზი ღრმად მოხუცებული აღესრულა. მირონ-ლუკიის საკათედრო ტაძარში მისი წმინდა ნაწილები წლების მანძილზე უხრწნელად იყო დაცული, მათგან წმინდა მირონი მოედინებოდა, რომლის ძალითაც, უამრავმა ადამიანმა მიიღო სასწაულებრივი კურნება.

წმიდანის წმინდა ნაწილები X საუკუნეში, მირონ-ლუკიის სიონის ტაძრიდან იტალიის ქალაქ ბარიში გადაასვენეს, რადგან იმ დროს, ბიზანტიას არაბები შეესივნენ და ყველაფერი გაანადგურეს, მათ შორის მირონ-ლუკიაც. სიონის ტაძარს სულ რამდენიმე მონაზონი იცავდა, რადგან მტრის შიშით ქალაქის მოსახლეობა გახიზნული იყო. წმინდა ნიკოლოზი, იტალიის სამხრეთში, აპულიის ოლქში მდებარე ქალაქ ბარიში მცხოვრებ ერთ-ერთ მღვდელს გამოეცხადა და აუწყა: „წადი და აუწყე სამღვდელოებასა და ხალხს, რომ ჩემი წმინდა ნაწილები მირონ-ლუკიიდან წამოიღონ და ამ ქალაქში დაასვენონ. უფალს არ სურს, იმ უდაბნოში დავრჩე“. წმინდანის სურვილი აღესრულა. ეს მოხდა 1087 წელს.

ქალაქ ბარიში ჩაბრძანებული წმინდა ნიკოლოზის უხრწნელი ნაწილები, მის სახელზე აგებულ ტაძარში დაასვენეს მისთვის საგანგებოდ შეჭედილ, ძვირფასი თვლებით დამშვენებულ ვერცხლის ლუსკუმაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, წმინდანი ერთ-ერთ მონაზონს გამოეცხადა და აუწყა, რომ მისი წმინდა ნაწილები ტრაპეზის ქვეშ დაეკრძალათ. მისი ნეშტი მართლაც, გადააბრძანეს ტაძრის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშ, სადაც დღემდე განისვენებს.

■

პარლამენტარ ვალერი გელბახიანის წინაპრები ცნობილი მონადირეები იყვნენ და ისიც ბავშვობიდან ეზიარა მამაკაცების ამ უძველეს საქმიანობას. ბატონი ვალერი საინტერესოდ იხსენებს ბავშვობის დროინდელ შთაბეჭდილებებს, გამძვინვარებულ დედა დათვთან შეხვედრას, ნადირობის ქალღმერთ დალის საჩუქარს, თუ როგორ ჰპარავდა ბავშვობაში მამას თოფს და კვალის დაფარვის მიზნით რას აკეთებდა, რატომ აჩუქა თავისი საუკეთესო იარაღი ერთ გამორჩეულ მონადირეს და თევზაობის დროს თავს გადახდენილ ამბებს.

მამისგან მაღულად მატანილი თოფი, ტახების მასობრივი ჟლეტა თურქეთში და თევზაობისას ჩაძირული „ჟიგული“

ნუცა თოფჩიშვილი

— როდის დაიწყეთ ნადირობა და თევზაობა?

— ჩემი წინაპრები საჩხერის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდნენ, სადაც ყველა ოჯახისთვის უპირველესი ხელობა, ნადირობა და თევზაობა იყო. ჩვენი სოფლის მოსაზღვრე ტყეებში ბევრი იყო დათვი, მგელი, არჩვი, ღორი, რომელიც ახლა გადაშენდა, ხოლო მდინარეში — ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური, უიშვიათესი ჯიშის კალმახი. მამაჩემმაც, ბაბუაჩემმაც, მისმა მშობლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ ნადირობა, ამ საქმის ოსტატები იყვნენ. მამაჩემი კი, თევზაობისას, ძალიან კარგად შლიდა ბადეს. ბაბუაჩემის ძმა, ცნობილი მონადირე იყო, რომელსაც ორმოცზე მეტი დათვი ჰყავდა მოკლული. ხშირად დავყვებოდი მამაჩემს, ბიძაჩემს და ბიძაშვილებს სანადიროდ ან სათევზაოდ. ამის გამო, ბავშვობიდან გამიჩნდა ნადირობისა და თევზაობის სურვილი. პირველი ძლიერი შთაბეჭდილება სკოლის მოსწავლეობის დროიდან შემომრჩა, როდესაც სოფელ პერევში მამიდასთან ვიყავი სტუმრად. ეს მაღალმთიანი სოფელი, ოსეთს ესაზღვრება. ტყეში ბევრი დათვი იყო, რომელიც სოფლის ყანებს ხშირად ესხმოდა თავს და ნათესებს ანადგურებდა. მახსოვს, ახალგაზრდებისგან ყალიბდებოდა ბრიგადები (ჯგუფები, რომლებიც უსაფრდებოდნენ დათვს სიმინდის ყანის განაპირა ადგილებში). მეც დავდიოდი ჩემს მამიდაშვილებთან ერთად ამ მორიგეობაზე. მართალია, ეს ნადირობა არ იყო, მაგრამ ნადირობასთან შეხება მაინც გქონდა და ყოველთვის უსაფრთხოდ როდი მთავრდებოდა. ასეთ დროს, ტრაგიკული სიტუაციებიც შექმნილა. ერთხელ, დათვზე ჩასაფრებულმა, მთელი ღამე ყანასთან გავატარე, მაგრამ არ გამოჩნდა. მეორე დღეს, სხვა ჯგუფის მორიგეობის დროს გამოვიდა ტყიდან დედა დათვი ორ ბელთან ერთად. სიმინდის ყანაში რომ შედიოდნენ, ბიჭებმა ბელს ესროლეს. დედა დათვი ისე გამძვინვარდა, რომ მსროლელს მივარდა და დატორა. ბიჭი ისე მძიმედ დაშავდა, რომ სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ დაინვალიდდა. ჩასაფრებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ნადირობის დროსაც და ჩასაფრებისასაც ყოველი დეტალი თუ არ არის გათვლილი, შეიძლება, უბედური შემთხვევა მოხდეს. უფროსები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ, მაგრამ ბავშვების ამბავი ხომ იცით — ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან, უკეთ მოახერხებენ ყველაფერს და ამას ხშირად, სავალალო შედეგი მოაქვს. ასეთი იყო ზემოთ აღწერილი შემთხვევაც. ამ შემთხვევამ არა მარტო შემაძრწუნა, შემაშინა კიდეც. მთელი წელი ისე გავიდა, არც ერთ მონადირეთა ჯგუფს არ წავყოლივარ სანადიროდ.



თურმე, მდინარეს კალაპოტი გადმოულახავს და ისევ ამ ტოტს შეერთებია. გადავირიე. მივყარე ყველაფერი. ფეხით გავვარდი, ახლა რომ საბაყოა, იმ ადგილისკენ

— პირველად რა მარკის თოფი გქონდათ და ახლა რა თოფები გაქვთ?

— ჩემი პირველი თოფი, ე.წ. გეკო იყო. მამაჩემს ჰქონდა საწნახელში დამალული, რომ ვერ მიმეგნო. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვცდილობდი, მიმეკვლია. როცა ვიპოვე, ჩუმად გამქონდა სახლიდან და ბავშვები მიზანში სროლაში ვვარჯიშობდით. ისე ეშმაკურად ვიქცეოდი, მამაჩემი დიდხანს ვერც ხვდებოდა. კვალი რომ არ დამეტოვებინა, ხმარების შემდეგ, ვზეთავდი, ტყვიებს კი, ამხანაგებისგან ვსესხულობდი. ერთხელაც, მამამ გაიგო ჩემი ოინი და ისე შეეშინდა, რომ თოფი მილიციაში წაიღო და ჩააბარა. იფიქრა, თოფი კარგია, მაგრამ ჩემი შვილის სიცოცხლე მირჩევნიაო. ხომ იცით, თოფი თუ შეგიყვარდა, მერე მოსვენებას გიკარგავს. როცა წამოვიზარდე, ჩვეულებრივი ერთლულიანი სანადირო თოფები მქონდა. მერე ავტომატური სანადირო თოფიც შევიძინე. წლების განმავლობაში, იშვიათი სანადირო თოფების კოლექცია მქონდა. ბევრი გამიჩუქებია. ავტოავარიაში მოხვედრის შემდეგ, ფეხით მოძრაობა ძალიან მიჭირს, განსაკუთრებით — აღმართ-დაღმართზე. ათი მეტრის გავლისას, უკვე დაღლას ვგრძნობ, ვეღარ ვაგრძელებ სიარულს. ეს ჩემთვის იმის მაუწყებელია, რომ ნადირობა დავამთავრე. თოფი კი, ჯობს, მონადირეს ჰქონდეს, რად გინდა შინ დახავსებული კოლექცია?! ამიტომ საჩხერეში ერთ-ერთ გამორჩეულ და ცნობილ მონადირეს უიშვიათესი ბრაზილიური თოფი „პუმა“ ვაჩუქე. ღირსეულ მონადირეს ღირსეული თოფი უნდა ჰქონდეს.

— ნადირობის დროს, რაიმე

უჩვეულო ამბავი ხომ არ გადაგხდენიათ და ნადირობის ქალღმერთ დალის საჩუქრად ხომ არ ჩაგითვლიათ?

— ყოფილა ასეთი შემთხვევა, სულ რომ არ გიფიქრია და მოულოდნელად, მართლაც რომ იტყვიან, ციდან ჩამოვარდნილა. ერთხელ, მამასა და ბიძასთან ერთად ჯურჭულის ხეობაში, მდინარეზე სათევზაოდ ვიყავი. კლდოვანი ნაპირი იყო, ჩანჩქერი ჩამოდიოდა. ამ კლდეზე, ჩვენს თავზე არჩვების არვემ — დაახლოებით 15 იქნებოდა — გადაირბინა. ერთ-ერთს ფეხი დაუცდა, გადმოვარდა და პირდაპირ ჩვენ წინ დაეცა. არ ვიცი, უფალმა თუ ნადირობის ქალღმერთმა დალიმ, მაგრამ ასეთი საჩუქარი კი გაგვიკეთა *(იცინის)*.

— ტახზე სანადიროდ ძირითადად, აზერბაიჯანში დადიან. თქვენ თუ გინადირიათ იმ მიდამოებში?

— არა. ერთხელ ვიყავი ლაგოდეხში ტახზე სანადიროდ. მართალია, ტყეში ტახი ვერ მოვკალით, მაგრამ სხვა მონადირეებმა მოგვიტანეს.

— საზღვარგარეთ თუ ყოფილხართ სანადიროდ და საქართველოში ნადირობისგან რითი განსხვავდება?

— თურქეთში, ბურსის სამხრეთით, ქალაქი ინაგულია — ჩვენი რუსთავისხელა, ქართველებით დასახლებული. ქუჩაში რომ გაივლი, სულ ქართული ლაპარაკი გესმის. ერთხელ, იქაურებმა ტახზე სანადიროდ დაგვპატიჟეს. საოცარი რამ ვნახე. იქაურ ტყეებში ძალიან დიდი რაოდენობითაა გარეული ღორი. მოგეხსნებათ, თურქები ღორის ხორცს არ ჭამენ და არც მათი თანდასწრებით ჩაგატარებინებენ გატყავების და დამზადების პროცედურას. თურქეთში სხვადასხვა მარცვლეული კულტურის ნათესებია, რომელსაც ღამე შესეული ტახი ანადგურებს. თურქები „ბელარუსის“ ტიპის ექსკავატორით ყანის პირზე ორმოებს თხრიან, ზედ ფოთლებს აფენენ, ტყეში ძაღლებით შედიან, გამოდევნიან ტახებს, ორმოებისკენ მიერეკებიან და შიგ ჩავარდნილებს თოფებით ხოცავენ, შემდეგ კი ბულდოზერით მიწას აყრიან. გავგიჟდით ამის დანახაზე. ვეუბნებოდით — რომლებსაც ჩვენ დავხოცავთ, ისინი მაინც გაგვატანეთ-თქო. ამის უფლებას არ გვაძლევდნენ. ორმოში სროლა შეგვეძლო, ხორცის წამოღება კი — არა. მათი ადათი, წესი, კანონი ასეთია. იმ პერიოდში, ბათუმში ვმოღვაწეობდი. საზღვარზეც არ შეიძლება ნანადირევის გადატანა. გავიგე, ახლა გადმოაქვთო. იმ პერიოდში კი, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ვინმეს ტახი საბაჟოზე გადმოეტანოს.

— თქვენ თევზაობითაც ხართ გატაცებული. თევზაობისას რაიმე უჩვეულო ხომ არ გადაგხდენიათ?

— მჟავანაძის ნაკრძალს რომ ეძახიან, აზერბაიჯანის საზღვართან, იქ ვიყავი წასული სათევზაოდ. ერთი პერიოდი, დაგუბებული წყალი იყო იმ ადგილას. მდინარემ კალაპოტი შეიცვალა, მისი ტოტი ცალკე დარჩა და იმ წყალში ბევრი თევზი იყო. ნოემბრის ბოლო იყო, კარგა მაგრად ციოდა და თბილად მეცვა. თეთრი „ჟიგული 06“ მყავდა. მანქანა მისასვლელთან დავაყენე, მე ცოტა შიგნით შევედი, ჩამოვჯექი მორზე და დავიწყე თევზაობა. ფეხები რაზეც მქონდა დაწყობილი, ის ადგილი წყალმა დაფარა. წყლის დონის აწევას არ მივაქციე ყურადღება, გავაგრძელე ჩემი საქმე. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, მანქანას გავხედე და რას ვხედავ — მხოლოდ სახურავი არ ჩანს?! თურმე, მდინარეს კალაპოტი გადმოულახავს და ისევ ამ ტოტს შეერთებია. გადავირიე. მივყარე ყველაფერი. ფეხით გავვარდი, ახლა რომ საბაჟოა, იმ ადგილისკენ, სადაც სახლი იდგა. პატარა ტრაქტორი ჩამოვიყვანე, ყვინთვა-ყვინთვით მივედი მანქანამდე, ჩავაბი ტროსი და ისე გამოვიყვანე. „ჟიგული“ იყო და ტრამლიორს თუ გააშრობ, დაიქოქება. მერე, მთელი დღე საშრობში ვაშრობდი მანქანას... თევზაობის დროს, სიცივეში კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი წყალში. გარდაბნის ნაკრძალში ვთევზაობდი. ზამთარში, მდინარეში წყალი რომ იკლებს, პატარა გუბეები რჩება, სიღრმე დიდი აქვს და თევზიც ბევრია. „ტელეგრეიკა“ მაცვია, მორზე ვზივარ და ვთევზაობ. დამიცურდა ფეხი და გადავვარდი წყალში. რა კარგი მოცურავეც არ უნდა იყო, ტანსაცმელი რომ გისველდება, გძირავს. მე კი „ტელეგრეიკა“ მაცვია და ერთი ფიქრი მაქვს, ჩქარა გავიხადო. გახდით კი გავიხადე იმ ყინვაში, მაგრამ შიშველი ხომ არ წამოხვალ! რა უნდა მექნა — დავანთე კოცონი და გავაშრე სველი ტანსაცმელი... ერთხელ კი, მდინარე ხრამზე ვიყავი სათევზაოდ წასული — მტკვარი და ხრამი რომ ერთდება, იმ ადგილას (კუნძულივით არის). წითელი ხიდის მარცხნივ გორაა და იქ მისასვლელად, იმ მხრიდან უნდა ჩახვიდე. მაგარი სათევზაო ადგილია. ზამთარია. ჩავედით მანქანით. მიწა მოყინულია. მთელი დღე ვითევზავეთ. მზე იყო და როგორც აღმოჩნდა, ყინული დაადნო. ჩვენ ხომ არ ვიცით ეს... მოვრჩით თევზაობას, ჩავსხედით მანქანაში და მოვდივართ. რას წამოხვალ — ტალახია ისეთი, მანქანა აღმართზე ვერ ადის. ჩავრჩით. უკაცრიელი ადგილია. ფეხით წითელ ხიდამდე რომ მიხვიდე და მშველელს უხმო, ათი კილომეტრი მაინც უნდა გაიარო. აზრი არ ჰქონდა წასვლას. დავრჩით, დავანთეთ ცეცხლი, შუაღამეს, სადღაც 3-4 საათზე ყინვამ რომ მოუჭირა და ტალახი გაყინა, მაშინღა შევძელით ამოსვლა.

■

მართველი მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ეწოდება მეცნიერების დარგს, რომელიც სმენის დაქვეითებას შეისწავლის?

ა) იდეოლოგია;
ბ) აუდიოლოგია;
გ) მამოლოგია.

2. დაახლოებით რამდენს იწონის გულგული?

ა) 250 გრამს;
ბ) 25 გრამს;
გ) 1,5 კილოგრამს.

3. „მეშჩანები ყვირიან, გოლშევიკებმა დახვრეტა შემოილესო. შემოვიღეთ და სავსებით შეგნებულადაც“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

ა) ტროცკის;
ბ) სტალინს;
გ) ლენინს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ის თავის ასაკს არ მალავს, პირადი ცხოვრებისგან არანაირ საიდუმლოს არ ქმნის, მაგრამ არის რაღაც, რის შესახებაც ორნელა გულახდილად არასდროს საუბრობს...

ორნელა მუტი

მსახიობი, ჰომელესაც ენაზე ჯბილის დაჭეჰა ჯაჰგად ეხეჰხება

იტალიურ კინემატოგრაფში ორნელა მუტი პირველი იყო, ვინც ეკრანზე შიშველი გამოჩნდა

უკვე 30 წელია, რაც ორნელა მუტი უფროსი ქალიშვილის ნაიკის დაბადების საიდუმლოს მალავს. ამ მწვანეთვალება მზუთუნახავის მამის ვინაობა დღემდე ყველასთვის უცნობია. ისიც არავინ იცის, მიუმართავს თუ არა 50 წლის მსახიობს ოდესმე პლასტიკური ქირურგიისათვის. კალმის ოსტატთა გამჭვირვალე მინიშნებებს იმის შესახებ, რომ ორნელას უჭკნობი სილამაზე მისი ბოლო ქმრის, პლასტიკური ქირურგიის ჯადოქრის დამსახურებაა, მსახიობი არაფრად აგდებს. პირდაპირ დასმულ შეკითხვებს კი ასე პასუხობს: — „სილამაზე ბუნებამ მიბოძა, მის შესანარჩუნებლად კი დიდი ძალისხმევა არ მჭირდება. საკმარისია ალკოჰოლსა და სიგარეტზე უარი ვთქვა, ყოველდღიურად ვივარჯიშო და გულში ბოროტება არ ჩავიდო“, — ამბობს მსახიობი და იღიმება, რის გამოც მის უნაკლო სახეს მხოლოდ ორიოდე მიმიკური ნაოჭი აჩნდება. იღიმება და გაოგნებულ რეპორტიორს ქალწულებრივი თეძოების მომხიბვლელი რხევით ტოვებს.

მილანელი ექიმისა და მსახიობის ქალიშვილის, ფრანჩესკა რომანა რიველას ძარღვებში რუსული სისხლი ჩქეფს. იმ დღეს, როდესაც გოგონას 14 წელი შეუსრულდა, სურვილი ჩაუთქვა: „მინდა, რომ თავს საოცარი, უჩვეულო ამბავი გადამხდეს“, — ინატრა გოგონამ და როგორც აღმოჩნდა, დამდეგმა წელმა მას მართლაც, ორი უჩვეულო საჩუქარი მოუმზადა.

ბრწყინვალე გრიო — ორნელა მუტი, კლაუდია კარდინალე და სოფი ლორენი

პირველი საოცრება ის იყო, რომ ის ახალგაზრდა რეჟისორმა დამიანო დამიანიმ შეამჩნია და ფილმში — „ყველაზე ლამაზი ცოლი“ მიიწვია. მეორე საოცრება — ფრანჩესკას თავისი პარტნიორი შეუყვარდა!

ის ალექსიო ორანოა. სცენარის მიხედვით, გმირებს შორის ჩასახული სიყვარული სავალალოდ მთავრდება. ფრანჩესკასა და ალექსიოს სიყვარულიც განშორებით დასრულდა. წყვილმა იქორწინა. ორნელა (ეს ფსევდონიმი მან კინოდებიუტის შემდგომ აიღო, რადგან კინორეჟისორმა ჩათვალა, რომ სახელი ფრანჩესკა რიველა — ძალზე პროზაულად ჟღერდა) ჯერ კიდევ გათხოვილი ქალბატონის სტატუსით სარგებლობდა, როდესაც ქვეყანას ნაიკი მოევლინა, მაგრამ მუტის არასდროს დაუმალავს, რომ გოგონას მამა ალექსიო ორანო არ იყო. მსახიობს წინ განქორწინება და უამრავი სამუშაო ელოდა. ორნელა სცენარების წაკითხვას და თაყვანისმცემლებს ის მოგერიებას ვერ აუდიოდა. ორნელას გარს უამრავი ახალგაზრდა ნიჭიერი და მდიდარი თაყვანისმცემელი ეხვია, მაგრამ როდესაც სამყაროს ახალი გულის სწორი წარუდგინა, ყველა გაოგნებული დარჩა. მისი რჩეულის სახელი — ფედერიკო ფაკინეტი — საზოგადოებისათვის არაფრის მთქმელი იყო. უფერული გარეგნობის, ნაკლებად წარმატებული ბიზნესმენი, საშუალო ასაკს გადაცილებული მამაკაცი ერთადერთი ღირსებით გამოირჩეოდა — ქალები მასზე ჭკუას კარგავდნენ, რითიც ფაკინეტი მუდამ სინდისის ქენჯნის გარეშე სარგებლობდა. ორნელა ფედერიკოს ცოლად გაჰყვა, მას ორი შვილი — კაროლინა და ანდრეა გაუჩინა და ქმრის მრავალრიცხოვანი სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ ეჭვები არ გასჩენია...

მუდამ გადაღებებით დაკავებული მსახიობი გამოცდილი ლოველასი ქმრის ღალატს ვერ ამჩნევდა, მაგრამ მთელმა იტალიამ კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ორნელას სათაყვანებელი მეუღლე. ხალხმა ფედერიკოს დამამცირებელი მეტსახელი — „სინიორ მუტი“ შეარქვა. ახლობლები ორნელასათვის თვალის ახელას ცდილობდნენ, მაგრამ მას მეუღლის ერთგულებისა და საქმოსნური ნიჭის მტკიცედ სწამდა. მსახიობი მრავალი წლის

ორნელა მუტი შვილებთან ერთად



რუპერტ ევერეტთან ერთად

განმავლობაში, ამაოდ ელოდა, რომ ფედერიკო საქმეს ააწყობდა და ბოლოს და ბოლოს, ოჯახის რჩენის მძიმე ტვირთს თავად იკისრებდა. სამწუხაროდ, მისი მოლოდინი არ გამართლდა. უფრო მეტიც! — ერთ მეორეხარისხოვან გაზეთში ფედერიკოს მრავალრიცხოვან საყვარელთაგან ერთ-ერთის ინტერვიუ დაიბეჭდა. პუბლიკაცია იმდენად ამაზრზენი იყო, რომ იტალია სკანდალის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ ორნელამ განქორწინება არ მოისურვა. იქნებ იმიტომ, რომ შვილებისათვის მამა შეენარჩუნებინა?! (სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ფედერიკო შვილებს, მათ შორის ნაიკის, მზრუნველობას არ აკლებდა). მაგრამ ქმრის ღალატს ორნელამაც ღალატითვე უპასუხა და ადრიანო ჩელენტანოსთან რომანი გააჩაღა. ფილმის — „ჭირვეულის მორჯულება“ გადაღებებზე ჩასახული სასიყვარულო ინტრიგა სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა. ეს გრძნობა ორნელას ქმრის ღალატით მიღებული ჭრილობის მოშუშებაში დაეხმარა. მუტი მზად იყო, ქმრისთვის ყველაფერი შეენდო, მაგრამ სავალუტო მაქინაციების გამო „სინიორ მუტი“ კრიმინალური ქრონიკის გმირიც გახდა. ხოლო როდესაც გაირკვა, რომ ფედერიკო ყალბ საფინანსო დოკუმენტებს ცოლის მაგივრად ხელს თვითონ აწერდა, ორნელას მოთმინების ფიალა საბოლოოდ აევსო.



ორნელა მუტისა და ადრიანო ჩელენტანოს ეს ფოტოგრაფია სენსაციად იქცა

ფედერიკო ორნელაზე ბევრად უფროსი იყო. იქნებ ამიტომ, მუტის ყველა მომდევნო საყვარელი მასზე ბევრად უმცროსია. ორნელას მომხიბლაობის წყალობით, ასაკობრივი სხვაობა მხოლოდ საბუთებში თუ გამოსჭვივის, მაგრამ რეპორტიორებს ხომ არაფერი გამოეპარებათ! მსახიობი ამაოდ ცდილობდა, ქირურგ სტეფან პიკოლოსთან მისი ურთიერთობის შესახებ არავის შეეტყო. მოხერხებულმა პაპარაცებმა მათ კვალს იმ სასტუმროში მიაგნეს, სადაც წყვილი გამოგონილი გვარით რამდენიმე დღით დაბინავდა. ჟურნალისტებმა ფოტოსურათების გადაღებაც შეძლეს, მაგრამ ამას სენსაცია თუ სკანდალი არ მოჰყოლია: სულ მალე სტეფანომ და ორნელამ ნიშნობის შესახებ ხმამაღლა განაცხადეს.

დღეს ორნელა მუტი უბედნიერესი ქალია. მას გვერდით 10 წლით უმცროსი საყვარელი მამაკაცი ჰყავს, რომელიც მხრებს გაოცებით იჩეჩავს, როდესაც ეკითხებიან, თუ რა გავლენას ახდენს ასაკობრივი სხვაობა მათ ოჯახურ ცხოვრებაზე.

59 წლის ორნელა მუტი სილამაზეს ინარჩუნებს, რეჟისორებს შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მრავალთათვის ჯერ კიდევ სასურველი ქალია. მას სრულიადაც არ აწუხებს ის ფაქტი, რომ სამშობლოში ყველაზე მომხიბვლელი... ბებიის ტიტული მიანიჭეს. მით უმეტეს, რომ ეს მართლაც ასეა. მისი 7 წლის შვილიშვილი აკაშა, ნაიკისა და კრისტიან ჩეტორელის ბედნიერი კავშირის ნაყოფია. ცოტა ხნის წინ, ნაიკი კრისტიანს დაშორდა და ცოლად გაჰყვა გერმანელ მსახიობ მან ლებოვსკის, რომელთან ერთად, ფანტასტიკურ ფილმში „იესოს ვიდეო“ ითამაშა. ორნელამ ქალიშვილის არჩევანი მოიწონა და ახლა მშვიდადაა. მისი გოგონა ბედნიერია, ეს კი ქალისთვის უმთავრესია! ■

...ასაკობრივი სხვაობა? ორნელა და სტეფანო ერთად მშვენიერი სანახავები არიან

მელ გიბსონი ჰოლოკოსტის შესახებ ტელესერიალს გადაიღებს

მელ გიბსონი, რომელიც ფილმის „ქრისტეს ვნებანი“ გადაღების გამო ანტისემიტიზმში დაადანაშაულეს, ახლა ტელერხისათვის ABC ჰოლოკოსტის თემაზე მინისერიალის გადაღებას აპირებს. ოთხსაათიან სერიალს საფუძვლად ჰოლანდიელი ებრაელი ქალის, ფლორა ა. ვან ბეეკის ავტობიოგრაფიული წიგნი დაედება. თავად ავტორი ნაცისტებისგან მეზობლებმა გადაარჩინეს, მაგრამ მისი ნათესავები საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ. თავად მელ გიბსონი სერიალში არ ითამაშებს. მისი გვარი არც ფილმის ტიტრებში გამოჩნდება და მხოლოდ გიბსონის კომპანიის — Con Artists Production დასახელება იქნება მითითებული. მკითხველს შევახსენებთ, რომ მელ გიბსონის სურათმა „ქრისტეს ვნებანი“ ებრაული საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების მძაფრი პროტესტი გამოიწვია და ზოგიერთ ქვეყანაში ფილმის ჩვენება აკრძალეს კიდეც. „სახარების“ მიხედვით შექმნილი წინააღმდეგობრივი ფილმის დაფინანსებაზე ჰოლივუდის სტუდიებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. ამიტომ მისი გადაღებისთვის გიბსონმა პირადი სახსრებიდან 25 მლნ დოლარი გაიღო. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სურათმა „ქრისტეს ვნებანი“ რომის პაპის, იოანე-პავლე მეორის მოწონება დაიმსახურა, რომელმაც ჯვარცმის სცენის ხილვისას განაცხადა: „ეს მართლაც ასე მოხდა!“ ■



ვარსკვლავურ წყვილს ქალიშვილი შეეძინა

ბენ აფლეკს და ჯენიფერ გარნერს პირველი შვილი შეეძინათ. სახელგანთქმული ჰოლივუდელი გულთამპყრობლის მეუღლემ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში იმშობიარა. როგორც მათმა წარმომადგენელმა განაცხადა, ბენი მშობიარობის დაწყების პირველსავე წუთებიდან მეუღლის გვერდით იყო. ახალგაზრდა დედა და ჩვილი თავს კარგად გრძნობენ. ბედნიერმა მშობლებმა ქალიშვილს ვაიოლეტი დაარქვეს.

ცნობა იმის შესახებ, რომ ბენ აფლეკმა და ჯენიფერმა კარიბის კუნძულებზე საიდუმლოდ იქორწინეს, საინფორმაციო საშუალებებში ივლისში გამოჩნდა. 32 წლის ბენმა და 33 წლის ჯენიფერმა მოკრძალებულ საქორწინო ცერემონიაზე მხოლოდ ოჯახის უახლოესი ნათესავები მიიწვიეს. სწორედ ამ პერიოდში გახმაურდა ჯენიფერის ორსულად ყოფნის ფაქტიც. ბენ აფლეკი და ჯენიფერ გარნერი ერთმანეთს გასული წლის ივლისიდან ხვდებიან. ბენმა გული და ხელი გულის სწორ ჯენიფერს მის დაბადების დღეს, 2005 წლის 5 აპრილს შესთავაზა. უფრო ადრე, ბენ აფლეკი ჯენიფერ ლოპესს ხვდებოდა. წყვილი დაქორწინებასაც აპირებდა, მაგრამ მოგვიანებით ერთმანეთს დაშორდა. ლოპესი მომღერალ მარკ ენტონის გაჰყვა ცოლად. ბენ აფლეკი კი მცირე ხნით პლანეტის ყველაზე სასურველი საქმროების სიის სათავეში მოექცა. ■

ელვის პრესლი – მფარველი ანგელოზი



ოთხი ექსტრასენსი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ელვის პრესლი მსახიობ პატრიკ სუეიზის მფარველი ანგელოზია. გაზეთ Sun-ის ცნობით, ექსტრასენსებმა ეს სასიხარულო ამბავი კინომსახიობს აუწყეს. „მედიუმებმა თავიანთი ანგარიში წარმომიდგინეს. ელვის პრესლის თავგადაკლულ თაყვანისმცემელთა რიგს არ მივეკუთვნები, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს მგრძნობიარე ნატურას ბევრი ერთმანეთს ამსგავსებს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — თანახმა ვარ, რომ ელვისმა მომავალშიც დამიფაროს“, — განაცხადა მსახიობმა, რომელსაც განსაკუთრებული პოპულარობა ფილმებმა — „ბინძური ცეკვები“ და „მოჩვენება“ მოუტანა. ■

ავრილ ლავინის კინოდებიუტი

სულ მალე, კანადელი მომღერლის, ავრილ ლავინის კინოდებიუტი შედგება. კრიმინალურ დრამაში The Flock („ნახირი“) ნათამაშევი პატარა როლით ავრილი კინემატოგრაფში საკუთარ შესაძლებლობებს მოსინჯავს და თანაც, სახელგანთქმულ რიჩარდ გირსაც პირადად გაიცნობს, რომელიც ამ ფილმში მთავარ გმირს ასახიერებს. ავრილ ლავინი იმედოვნებს, რომ ჰოლივუდის მისეული ექსპანსია ამით არ დასრულდება. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ დეკორაციის შეცვლა მსურს, მინდა მცირედით დავიწყო და თუ გამომივა, შემდეგ სხვა ფილმებშიც ვითამაშო“, — განაცხადა 21 წლის თამამმა გოგონამ, რომელიც არც აპირებს, სამსახიობო ოსტატობის პედაგოგს დახმარებისთვის მიმართოს. „მე უბრალოდ სცენარს ვეცნობი და ჩემებურად ვთამაშობ“, — ამბობს დებიუტანტი მსახიობი. ავრილს ამ როლის გამო მსხვერპლის გაღებაც მოუხდა: „სცენარის მიხედვით, ჩემს გმირს ჩამტვრეული კბილი აქვს, სათვალეს ატარებს და ა.შ. ამიტომ სათვალის გაკეთება და ხელოვნური ყბების ჩადგმა დამჭირდა“. ფილმის ეკრანებზე გამოსვლის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ავრილ ლავინი დროს უქმად არ კარგავს და ახალი „დებიუტისთვის“ ემზადება. მომავალი წლის 19 მაისს, ახალი მულტფილმის The Hedge („ღობის მილმა“) პრემიერა შედგება, სადაც ავრილი ოპოსუმ ჰიზერს გაახმოვანებს. ხმის ჩამწერ სტუდიაში მისი პარტნიორი თავად ბრიუს უილისი იქნება. ■

Rolling Stones – ღვინის მოთლუმზე

ჯგუფის Rolling Stones-ის თაყვანისმცემლები ამიერიდან მხოლოდ მათი კონცერტებით როდი დატკბებიან! რამდენიმე დღეში, ამ სიამოვნებას ისინი ღვინის ჭიქებითაც ეზიარებიან, რადგან მუსიკოსებმა თანხმობა განაცხადეს ღვინის შეზღუდული სერიის გამოშვებაზე, რომელსაც მათი ცნობილი ლოგოტიპი — თავხედურად გამოყოფილი ენა დაამშვენებს. სერიით — „ Rolling Stones წარმოგიდგენთ“ — სულ 1000 „მუსიკალური“ ღვინის ბოთლი ჩამოისხმება. ღვინის მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ ეს სერია ღვინის კოლექციონერების გარდა, ჯგუფის თაყვანისმცემელთა ყურადღებასაც მიიქცევს. მით უმეტეს, რომ რარიტეტი არცთუ ისე ძვირი ეღირება. ერთი ბოთლი Pinot Crigio-ს შეძენა 29 დოლარად იქნება შესაძლებელი, ხოლო კალიფორნიის სონომას ოლქის ვენახებში მოყვანილი ყურძნით ჩამოსხმული Cabernet Sauvignon მყიდველს 100 დოლარი დაუჯდება. Rolling Stones-ის ლოგოტიპით დამშვენებული ღვინის ბოთლები ამერიკის მაღაზიებში 15 დეკემბრიდან გაიყიდება. მწარმოებლები მყიდველს ღვინის „ნატიფი გემოთი და არომატით“ და ამავე დროს შენაძენის უნიკალურობით მიიზიდავენ, რადგან სხვადასხვა ხარისხის ღვინის იარლიყები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. ■

ჩოგოჩ ბაქბაჩა ქუოპლქბს და ჩაუოქ ბაჩიცხქს თქბუოჩბლუჩი სუულიიდან სქჩგო ზაქბჩიბაქე

შემოქმედებითი ცხოვრების გზის დასაწყისი

თამუნა კვინიკაძე

სერგო ზაქარიაძეს თამაში ბავშვობიდანვე სწყუროდა — იმ ასაკიდან, როდესაც ინტუიცია უფრო ძლიერია, ვიდრე ამა თუ იმ გადაწყვეტილების გააზრებულად მიღების უნარი. იგი 1909 წელს დაიბადა. მამამისი, ბაქოს დეპოს მუშა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ზაქარიაძეების ოჯახი ზესტაფონში გადავიდა საცხოვრებლად. მისი წინაპრები ადრე, ლეჩხუმიდან ჩამოსულან და სიმონეთში დასახლებულან. სერგო მშობლებმა ბაქოს სკოლის მესამე მოსამზადებელი განყოფილებიდან ზესტაფონის რკინიგზის სასწავლებელში გადაიყვანეს, შემდეგ კი ადგილობრივ გიმნაზიაში ჩარიცხეს.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭი სახლიდან გამოვიდა და სკოლისკენ გაემართა. გზად მიმავალმა, რკინიგზის სადგურს რომ აუარა, ვეებერთელა პლაკატი დაინახა. ამ განცხადებამ ის ადგილზე გააქვავა: „თბილისის დრამატული სტუდია რეჟისორ ა. ფაღავას ხელმძღვანელობით აცხადებს მიღებას...“

„რა ვქნა?“ — ვის არ დაბადებია ეს კითხვა, როცა გზაჯვარედინზე მდგარა?! ისეთი ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის იმედი არა აქვს და გზის არჩევისას ყოყმანობს, ანდა სულაც არ ფიქრობს თავის მომავალზე, მშვიდად ჩაუვლიდა ასეთ განცხადებას, უკიდურეს შემთხვევაში, ერთს ამოიოხრებდა, რადგან ამაო ოცნებად მიიჩნევდა ამ ამბავს. მაგრამ სერგო... განა შეეძლო, არ გამოხმაურებოდა თბილისის დრამატული სტუდიის მოწოდებას?! მერე რა, რომ ბევრი ხელის შემშლელი მიზეზი ჰქონდა — მცირეწლოვანება, ხელმოკლეობა, დედის უარი...

და იგი აჰყვა გულის ხმას.

ისე გაიპარა შინიდან, რომ მხოლოდ ძმას გაენდო, რომელსაც უთხრა: „არაფერი არ მჭირდება, მაგრამ თუ დედაჩემი ინდომებს, ლობიო და მჭადის ფქვილი გამომიგზავნოს, თორემ, ვაითუ, შიმშილით მოვკვდე...“

შესაძლოა, ცოტა ხნით გადაედო წასვლა (წასვლით კი, მაინც წავიდოდა), მისი აზრით, ბედნიერ შემთხვევას რომ არ შეეწყო ხელი: ძმასთან ერთად ერთ სკოლის მეგობარს აცილებდა, რომელიც პოლიტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად მიდიოდა დედაქალაქში. ფეხი აითრია, დაძრული მატარებლიდან ჩამოსვლა „ვეღარ მოასწრო“ და ვითომ შემთხვევით დარჩა ვაგონში.

ასე მოხვდა იგი თბილისში, მაგრამ ცარიელი ხელით როდი ჩამოვიდა, რამდენიმე რეკომენდაცია ჩამოიტანა, რომლებიც ადრევე გამოართვა უშანში ჩხეიძესა და მის ამხანაგებს. სიმართლე რომ ითქვას, მას რეკომენდაცია არც ეთქმოდა — უბრალოდ, მისი პირით რუსთაველის თეატრის მსახიობ მიშა ლორთქიფანიძეს სალამს უთვლიდნენ და სთხოვდნენ, დახმარებოდა კარგ ყმაწვილს, რომელსაც სტუდიაში მოწყობა უნდოდა.

1922 წლის აგვისტო იდგა, როცა სერგომ პირველად იხილა მისი სანუკვარი თბილისქალაქი. იმავე ზაფხულს, მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ის მაშინ უკვე 50 წლის იყო. სერგო კი თავის წლოვანებას მალავდა, 14 წლისაც არ იყო, როცა სტუდიაში თქვა — 17-ის ვარო...

თეატრალური სეზონი სექტემბერში იწყებოდა. სერგო მარტოდმარტო მიიკვლევდა გზას, არც ზურგი ჰქონია მაგარი და არც ფლანგები — უზრუნველყოფილი. მიშა ლორთქიფანიძეც არ იმყოფებოდა ქალაქში. ამბობდნენ, გამოცდებისთვის აუცილებლად დაბრუნდებაო.

სერგომ მაინც შეიტანა განცხადება სტუდიაში. გამოცდებამდე დარჩენილი დრო ქალაქის გაცნობას მოანდომა. თბილისში ყოფნის დროს, სერგო ღამეს ათევდა ერთ ზესტაფონელ ამხანაგთან, რომელიც ბიძასთან ცხოვრობდა ნაძალადევში. დადგა გამოცდის დიდი ხნის ნანატრი და „საშიში“ დღე. დედის ნაჩუქარი ველოსიპედის გაყიდვით აღებული თანხით ნაყიდ კარგ კოსტიუმში გამოეწყო და დილაუთენია წავიდა სტუდიაში. საშინელი ამბები დახვდა იქ: ჯერ ერთი, მასთან ერთად თურმე, კიდევ 80 პრეტენდენტს ჰქონია შეტანილი განცხადება სტუდიაში; მეორეც, გამოცდები საჯარო იქნება, მას გარეშე ხალხი, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, ვექილები, ჟურნალისტები დაესწრებიან; მესამეც, გამომცდელთა შორის, ვიღაც ცნობილი მარჯანიშვილი იქნებაო.

მოწვეულთა შორის, მიშა ლორთქიფანიძე დაანახვეს. როცა მან „რეკომენდაციის“ ამბავი შეიტყო, მშვიდად უთხრა: „ჰოდა, კარგი, წადი, ჩააბარე გამოცდები...“ სერგომ გულუბრყვილოდ, დიდ მხარდაჭერად მიიჩნია ეს სიტყვები, გული გაიმხნევა და თამამად გადახედა გამომცდელთა მაგიდასთან მსხდომთ — სტუდიის ხელმძღვანელ აკაკი ფაღავას, კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელს, მიხეილ ქორელს, გიორგი დავითაშვილს, დიმიტრი უზნაძეს და სხვა ცნობილ პიროვნებებს.

პირველივე აბიტურიენტმა გული მოუკლა სერგოს... ეს იყო ქანთარია, რომელიც გულდაჯერებული წარუდგა კომისიას და განუცხადა: ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ წავიკითხავო. მერე გულისყური მოიკრიბა, ხელები გაშალა და მეხივით ისროლა პირველი ფრაზა. ყველა გამოცოცხლდა, სერგოს კი გული შეეკუმშა. ქანთარია უფრო და უფრო მგზნებარედ კითხულობდა, სერგოს კი ავი ფიქრი აეკვიატა: „აბა, მე აქ რას უნდა გავხდე, როცა ასეთი რამეები სცოდნიათ...“

პრეტენდენტები ერთმანეთს ცვლიდნენ. ზოგი ქანთარიაზე სუსტი აღმოჩნდა, ზოგმა მასაც კი აჯობა... სერგოს ხან იმედის ნაპერწკალი გაუღვივდებოდა გულში, ხან სასოწარკვეთილება დაეუფლებოდა. ბურანში იყო, მხოლოდ ნერვიულად ითვლიდა „ცუდებს“ და „კარგებს“, ანგარიშობდა მისი აზრით, ჯერ კიდევ თავისუფალ ადგილებს. გულში კი გადაწყვიტა: „როცა გამომიძახებენ, არ გავალ, ვითომ არც მოვსულვარ“... მაგრამ რამდენჯერაც ამას გაიფიქრებდა, იმდენჯერვე, თითქოს მეორე ხმა შეეპასუხებოდა: „დაე, თვითონ ამათ... თვითონვე ამათ გითხრან უარი“...

გამომცდელთა მაგიდასთან ერთიმეორეს მიჰყვნენ ქართული სცენის მომავალი დიდოსტატები: აკაკი ხორავა, პავლე კანდელაკი, თამარ წულუკიძე. მათ შემხედვარე სერგოს, ლამის გული წასვლოდა. ოცდათორმეტმა აბიტურიენტმა გაიარა მის თვალწინ და სერგო თითქოს საქანელაზე ყოფილიყოს, ხან ცაში აფრინდებოდა სიხარულით, ხან ისევ დაბლა დაეშვებოდა, იმედგაცრუებული. „სერგო ზაქარიაძე“, — ორჯერ დაიძახა აკაკი ფაღავამ. სერგომ მაშინვე ჰალსტუხზე იტაცა ხელი, მოიგლიჯა, ყელზე დედამისის თავსაფრის შემოხვევა დაიწყო და ისეთი საქმით გართული დაიძრა გამომცდელთა მაგიდისაკენ... დარბაზში სიცილი ატყდა. ყმაწვილი საკმაოდ მოსული ტანისა იყო, მაგრამ გამომეტყველება მეტისმეტად ბავშვური ჰქონდა.

ფაღავამ რომ უთხრა — „მოიწი“, სერგოს — „გაიწი“ მოესმა და განზე გახტა, ამან კიდევ უფრო გააძლიერა დამსწრეთა სიცილი.

— მოიწი, მოიწი, — გაუმეორა ფაღავამ, — დაჯექი და მითხარი, რამდენი წლის ხარ?

— ჩვი-დმეტი...

— რას ჩქარობ? ორი, სამი წლის მერე მოდი...

— ძალიან მინდა... ახლა...

— კარგი, წაიკითხე.

სერგომ წარმოადგინა სცენა „გადაჭრილი მუხიდან“. მართალია, გამომცდელებს სახეებზე გამამხნევებელი ღიმილი შეამჩნია, მაგრამ მაინც ჩაჭრილად ჩათვალა თავი. მოულოდნელად, მიშა ლორთქიფანიძე მასთან მივიდა, მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა: „რა გადარდებს, ბიჭო, ნახევარზე მეტს ხომ აჯობე!..“ ამ სიტყვებმა ჯადოსნურად იმოქმედა სერგოზე. „მიმიღეს!“ მტკიცედ გადაწყვიტა მან და ერთბაშად გაუქრა მღელვარება.

...მიღებულთა სიებს ხვალვე გამოვაკრავთო, — გამოაცხადეს, მაგრამ იმ ხვალამდე

ლოდინი ჯოჯოხეთად იქცა. სერგოს ეჭვი აღარ ეპარებოდა თავის წარმატებაში. ამხანაგის სახლში რომ დაბრუნდა, ისეთი ხალისით შეხვდნენ მის გამარჯვებას მასპინძლები, ლხინიც კი გამართეს. სერგომ მთელი ღამე თეთრად გაათენა, თვალი არ მოუცილებია საათისთვის. ღამის 3 საათზე წამოხტა, ჩუმად ჩაიცვა და სახლიდან გაიპარა. დრო რომ მოეკლა, საოცრად ნელი ნაბიჯით მიდიოდა. რუსთაველის პროსპექტზე ორჯერ გაიარ-გამოიარა. მერე სხვა გასართობი მონახა — ქვაფენილის ფილებს დაუწყო თვლა. ისეთი ჩაფიქრებული იყო, ვერც კი დაინახა, როგორ გამოაკრეს სიები. ელვის უსწრაფესად მივარდა და სწრაფად ჩაიკითხა გვარები. ერთხელ... ორჯერ... სამჯერ... თავისი გვარი ვერ ამოიკითხა. „რაა ეს? ვაიმე! რატომ არ ვწერივარ?..“ სული რომ მოიბრუნა, სტუდიის ადმინისტრატორს შეეკითხა:

— მე რატომ არ ვწერივარ, ბატონო, ხომ ჩავაბარე?

— კი, ჩააბარე, შეგაქეს კიდეც, თვითონ გავიგონე, მაგრამ წლოვანებამ შეგიშალა ხელი.

დიდხანს იდგა გაქვავებული თეატრის წინ. ნამდვილი ელდა იყო ეს მისთვის...

სეზონის გახსნისას, სერგომ მთელი თავისი ფული ბილეთებში დახარჯა. ასე რომ, უახლოესი სპექტაკლების ნახვა გარანტირებული ჰქონდა. რუსთაველის თეატრში ისე შევიდა, როგორც ტაძარში. ბროლის ჭაღმა, ნაძერწმა ჭერმა, მოხატულმა პლაფონებმა ისე დააბნია სოფლელი ბიჭი, რომ კედლის დიდი სარკე ფოიეს გაგრძელება ეგონა და პირდაპირ განაგრძო გზა...

რამდენიმე დღეში დოდო ანთაძის დახმარებით, ფაღავამ თავისუფალ მსმენელად ჩარიცხა სერგო სტუდიაში. იქიდან გამოსულს, გადაშლილი მოწმობა ეჭირა ხელში, რათა კიდევ ერთხელ წაეკითხა ძუნწი სიტყვები: „მიეცა ესე სერგო ზაქარიაძეს მასზედ, რომ იგი ნამდვილად ირიცხება...“

პირველ ხანებში, ყველაფერი კარგად მიდიოდა. დედამისი ჩამოვიდა, დიდად გაიხარა შვილის წარმატებით. მაგრამ როცა შეიტყო, რომ მის შვილს ბინძურ ფიცრულში, იატაკზე ეძინა, გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო. მერე ქალაქში მცხოვრები შორეული ნათესავები მოძებნა და სერგო მათთან დაბინავა.

სამწუხაროდ, ზაქარიაძეს დიდხანს არ

მეუღლესთან ერთად

მოუწია სტუდიაში ყოფნამ. ერთმა უაზრო ფათერაკმა პირველსავე კურსიდან ააკრიბინა გუდა-ნაბადი...

ყველაზე დიდი სიხარული „ოტელომ“ მოჰგვარა. ყველაზე დიდი მწუხარება — „ჭიქა წყალმა“. პლასტიკის გაკვეთილის დაწყებამდე, სტუდიელები ქალბატონ ჟღენტთან (პედაგოგი გახლდათ) მოსკოვის მცირე თეატრზე კამათობდნენ. სერგო იმ მომენტში მივიდა მათთან, როდესაც მასწავლებელმა წარმოთქვა მისთვის საბედისწერო ფრაზა: „ჭიქა წყალი!“, „ჭიქა წყალზე“ უფრო დიდი სიამოვნება რა უნდა იყოს?!“ ზრდილობიანმა ყმაწვილმა ეს რომ გაიგონა, იფიქრა — მასწავლებელს წყალი სწყურიაო, — მყისვე გაიქცა ავზისაკენ, აავსო დიდი ტოლჩა და იმ დროს მიუტანა წყალი, როცა იგი გაცხარებით ეკამათებოდა ერთ-ერთ სტუდიელს, რომელსაც არ მოსწონებოდა ეს სპექტაკლი.

გაცეცხლებული მოკამათისთვის წყლის მიწოდება, დამეთანხმებით, გვარიანი შეურაცხყოფაა. პედაგოგმაც ასე გაიგო მისი ჟესტი და ლანძღვა დაუწყო „მეტიჩარა“ მოსწავლეს, თანაც რატომღაც რუსულად ელაპარაკებოდა. სერგო ძალიან დაიბნა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. „არ გნებავთ და ნუ გნებავთ“, — ჩაიბურტყუნა ბოლოს და უკანვე წაიღო ტოლჩა. კლასში დაბრუნებამ აღარ მოუწია, გარეთ გამოაბრძანეს. სერგო გაჯიუტდა, კლასი მასწავლებელს მიემხრო, მით უმეტეს, რომ სერგო, თავისი წლოვანების გამო, ამხანაგებთან ვერ მეგობრობდა. თან მისი ბიჭური ანცობაც ბევრს ყელში ჰქონდა ამოსული. ბიჭი გაჯიქდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟღენტმა ტირილი მორთო და თქვა: „მაშინ მე წავალ!“ სერგო ადგილიდან წამოვარდა. „თუ შეგიძლიათ...“ — ეს სიტყვები თხოვნის დასაწყისი იყო, მაგრამ ყველამ ისე გაიგო, როგორც მორიგი უხეშობა.

იმ დროს, ფაღავას დროებით, რეჟისორი, მიხეილ ქორელი ცვლიდა, რომელმაც ჟღენტის საჩივარი სამართლიანად ჩათვალა და განკარგულება გასცა, ზაქარიაძე დაუყოვნებლივ გაერიცხათ. 14 წლის ყმაწვილისთვის ეს ყველაზე მწარე და დამამცირებელი შემთხვევა იყო.

ქორელის ჯავრი გულში ჩაიმარხა („სამაგიერო“ შემდგომ იმით გადაუხდა, რომ მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად), ფაღავას დაბრუნებას დაელოდა და პატიება სთხოვა. მართალია, არ აღადგინეს, მაგრამ მეცადინეობებზე დასწრების უფლება მისცეს. მოსწავლედ არ ითვლებოდა, არაფერს ეკითხებოდნენ, არაფერს ავალებდნენ. უსიამოვნებათა ქარცეცხლში გამოვლილს, არა მარტო უფლებების დაბრუნება ეწადა, არამედ მოვალეობათა დაკისრებაც. მას არ შეეძლო, არ უნდოდა, პასუხისმგებლობის გარეშე ცხოვრება.

1923 წელს იგი სტუდიიდან წავიდა და ზესტაფონში დაბრუნდა სკოლის დასამთავრებლად.

ორი წლის შემდეგ, კვლავ თბილისში ჩამოვიდა, უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა და იმავდროულად, რუსთაველის თეატრში თანამშრომლობდა. უნივერსიტეტში ის გონების, ხოლო თეატრში — გულის კარნახით შევიდა...

ზაქარიაძე თეატრში ახალი მისული იყო, როცა იქიდან მარჯანიშვილი წავიდა, ამიტომ სცენაზე მისი პირველი ნაბიჯები ახმეტელის სახელთანაა დაკავშირებული. ახმეტელი „ამერიკელ ძიას“ დგამდა, მოქეიფის როლში ახალგაზრდა ზაქარიაძე აიყვანა, რომელსაც უკვე იცნობდა ერთი, ასე ვთქვათ, საყოფაცხოვრებო თავგადასავლით.



„ჯარისკაცის მამა“

თავგადასავალი კი, ასეთი გახლდათ: ზაქარიაძემ ვერა და ვერ იშოვა საცხოვრებელი ბინა. ჯერ იყო და მასობრივ სცენაში მასთან ერთად მონაწილე 3 ამხანაგთან ერთად პატარა ოთახი იქირავა, მაგრამ ქირის გადახდა გაუჭირდა და ისევ თავშესაფრის ძებნა მოუხდა. ბოლოს, ზესტაფონელ სტუდენტებს შეეკედლა, მაგრამ არც იქ დაუყვია დიდხანს, ვინაიდან კუდაბზიკა თავადიშვილების ოჯახმა იუკადრისა „მდაბიო“ მდგმური. ერთხელ, თეატრიდან რომ დაბრუნდა, კარი გამოკეტილი დახვდა, მისი ბარგი კი გარეთ გამოეყარათ სახლის პატრონებს... ერთხანს, ღამეს ათევდა სარეჟისორო ოთახში, რომელიც რეჟისორის თანაშემწემ არჩილ ჩხარტიშვილმა (შემდგომ ცნობილმა რეჟისორმა და სერგოს ქვისლმა) დაუთმო, მაგრამ მეხანძრეებმა მიაგნეს და შუაღამისას გარეთ გამოაბრძანეს. მთელი ღამე ქუჩაში დაეხეტებოდა თავისი დაგლეჯილი ფეხსაცმლით. კოკისპირულად წვიმდა, გაცივდა და ავად გახდა. მას სანდრო ახმეტელმა უპატრონა, თავშესაფარიც კი მისცა: თეატრის ერთ-ერთი ზემო ლოჟიის გვერდით გამოაძებნინა მისთვის პატარა ოთახი.

იმ ადამიანებისგან, რომელთა გვერდით უწევდა ყოფნა, ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. თამაში იშვითად უწევდა, მაგრამ მაყურებლისა და მოსწავლის როლში 19 წლის ზაქარიაძემ შესანიშნავი სკოლა გაიარა, რომელიც ძლიერ გამოადგა შემდგომ, 100-ზე მეტი როლის თამაშისას, რომელიც შეუსრულებია თეატრსა და კინოში.

ასეთი იყო სერგო ზაქარიაძის თეატრალური ცხოვრების გზის დასაწყისი. იგი ჯიქურ მიიკვლევდა გზას ხელოვნებაში. აინუნშიაც არ აგდებდა ზოგიერთ შემთხვევაში შექმნილ არახელსაყრელ ვითარებას, არ ეპუებოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც არა მარტო გულგრილად ექცეოდნენ, ზოგჯერ გზასაც კი უღობავდნენ. საკმარისია თუნდ იმის თქმა, რომ უკვე აღიარებული მსახიობი ორჯერ წავიდა თეატრიდან, უფრო მეტიც — საერთოდ მიატოვა სცენა, პირველად — 5 წლით, მეორედ — 3 წლით... ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-49)

ახალგაზრდა ქირურგ ლანა მესხს, რომელსაც მთავარი ექიმი საავადმყოფოდან ზედმეტი პრინციპულობისთვის დაითხოვს, კოლეგა — გიზო ვაშაკიძე კერძო ფარმაცევტულ ფირმაში დააწყებინებს მუშაობას. ფირმას გიზოს მეგობარი — გიგი გიგაური უდგას სათავეში. გიგაური ყველასა და ყველაფერში სარგებელს ეძებს. ამიტომ, როგორც კი გაიგებს, რომ ლანას ბებია ცნობილი სახალხო მკურნალია, შეუძლოდ მყოფი მოხუცის სანახავად, სოფელში კარგა ხნითაც გაუშვებს ქალიშვილს. ლანა ხვდება, რომ შეფის გულისხმიერება მოჩვენებითია, ამიტომ, თავის მეგობარსა და გივის პირად მდივან თინიკო ელიავას — რომელიც გიგაურის ფირმის „შიდასამზარეულოს“ საკმაოდ კარგად იცნობს — გააფრთხილებს: შეფს რაღაც ახალი ხრიკი აქვს ჩაფიქრებული და ჩემს დაბრუნებამდე ყურადღება წამითაც არ მოადუნოო.

ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რასაც დედამისი — თამარი განსაკუთრებით განიცდის. თუმცა, ლანას ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენის — ლევან ქართველიშვილის გამოჩენა, სიხარულის ნაცვლად, ახალ სადარდებელს გაუჩენს. თამარს არ მოსწონს, რომ ლევანი ქვრივია. ხოლო როცა იმასაც შეიტყობს, რომ ლევანის ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის, ლანას მასთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტასაც ურჩევს. ლევანი გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის და ქალიშვილის ცხოვრებიდან დროებით ქრება.

ამასობაში, ლანას კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდება. დედა მას მკლავებსა და ყელზე უცნაურ ლაქებს შეამჩნევს და სასწრაფოდ ნაცნობ ექიმთან გააქანებს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დიაგნოზს დაუსვამს. მაგრამ ლანა ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს არ სვამს.

სოფელში ბებიასთან მიმავალი ლანა გზაში შემთხვევით, ლევანის დედასა და პატარა ქალიშვილ თამუნას გაიცნობს... ლანას ბებია — ქეთო შვილიშვილს გამოუტყდება — ჩემი საქმის გამგრძელებლად მხოლოდ შენ მეგულებიო. მაგრამ ლანა ბებიის წინადადებას უარით ხვდება: მცენარეებით მკურნალობისა არაფერი გამეგებაო. მაშინ ბებია მას დამხმარედ ჭკუასუსტ ყმაწვილს — იონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბალახებში კარგად ერკვევა. იონა ძალზე მგრძნობიარე და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდაა. თუმცა, ლანა იონას ნიჭსა და ცოდნაზე მეტად, მისი გარეგნული სილამაზით მოიხიბლება.

ქეთო შვილიშვილს თავის საქმეს ნელ-ნელა აცნობს და ჰპირდება — აჭრელებულ მკლავებს და ყელს რამდენიმე თვეში მოგირჩენო. ამასობაში, ლანას გივი გიგაური შეეხმიანება და პირდაპირ შესთავაზებს — ბებიაშენის ხალხური წესით დამზადებული წამლები ჩვენი ფირმის სახელით გავყიდოთ და მოგება გავინაწილოთო. ლანა თავს შორს დაიჭერს, თუმცა მის ბიძაშვილს — გოგას გივის წინადადება ძალიანაც მოეწონება: იქნებ, ამ კაცმა მართლა გვახეიროსო... საგონებელში ჩავარდნილ ლანას მოულოდნელად, უცხოეთიდან დროებით დაბრუნეული უფროსი კოლეგა და მასწავლებელი — დავით არჩვაძე შეეხმიანება. არჩვაძე რაჭაში რამდენიმე ოპერაციის გასაკეთებლადაა ჩასული და ლანას ასისტენტობას შესთავაზებს. როცა ქეთო რაჭაში არჩვაძის ყოფნის ამბავს შეიტყობს, შვილიშვილს სთხოვს, ეს კაცი სტუმრად დამიპატიჟეო...

მეორე დილით გოგა ადრიანად დაადგა თავზე ლანას:

— ე, ბოშო, გეიღვიძე! აშენდა ქვეყანა! მაინცდამაინც, ის კაცი რომ მოგვადგება კარზე, მერეღა უნდა დაფაცურდე?

— ვინ კაცი? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ბიძაშვილს ჯერაც ძილ-ბურანში მყოფმა ლანამ.

— ვინ და შენი უფროსის შოფერი.

— ა-ა... — როგორც იქნა, გამოერკვა ლანა. — გადი გარეთ და ახლავე ავდგები.

— არ ადგები და შენი აჯობებს! გოვუშვებ იმ კაცს უკან და მერე ვნახოთ, ჩემს შესახვეწად თუ არ გაგიხდეს საქმე: არიქა, მიშველე, რაიონამდე როგორმე ჩამარიხინეო...

— გოგა! — დაუძახა შვილიშვილს შუა ოთახში შემოსულმა ქეთომ. — მოეშვი მაგ გოგოს და აქ მოდი!

— არის, უფროსო! — წამში ბებიასთან გაჩნდა გოგა. — რა გინდა?

— ჩადი ეზოში და ბოძზე რომაა გამობმული, ის ქათამი დაკალი!

— რას შობი, ქალო?!. — შეიცხადა გოგამ. — ერთ ქათამზე უნდა გადაგვატარო ამდენი ხალხი?

— რატომ მარტო ქათამზე?.. ლორს მოვხარშავ, ლობიანებს დავაცხობ, ხაჭაპურებს დედაშენი შემოგვაშველებს და სამ-ოთხკაციან სუფრას მეტი რაღა უნდა?!.

— სამ-ოთხკაციანსო, რომ იძახი, რა იცი, ლანას უფროსი რამდენ კაცს მეიყოლებს თან? — მაინც არ მოეშვა ბებიას გოგა.

— მოიყოლებს და თვითონ უმასპინძლოს!.. მთელი რაიონის დაპატიჟება რომ შემეძლოს, არჩვაძეები დამასწრებდნენ თურა?.. ასე რომ, ბევრს ნუღარ ლაქლაქებ, ჩადი და დაკალი ის ოხერი ქათამი!

საბოლოოდ, გაწბილებული გოგა ეზოში ბურტყუნ-ბურტყუნით ჩავიდა, მაგრამ მაშინვე უკან ამობრუნდა.

— ახლა რაღა მოხდა? — შეუტია ოთახში შემობრუნებულ შვილიშვილს ქეთომ.

— რა მოხდა და არჩვაძის შოფერი უკვე მოვიდა, შენი შვილიშვილი კი ისევ ლოგინში კოტრიალებს.

— მერე გარეთ დააყუდე, შე ბრიყვო?! — დატუქსა შვილიშვილი ქეთომ. — გადი და ახლავე შემოიპატიჟე!

— უკვე ვეპატიჟე, მარა მიასვა ფეხი და არ შემოდის: ლანამ გამომხედოსო!

— რა მოხდა?.. რა ყველამ ერთად მოიკიდა ცეცხლი?! — როგორც იქნა, გამოჩნდა წასასვლელად გამზადებული ლანა.

— მოიცა, შვილო! — დაფაცურდა ქეთო. — მშიერი ხომ არ წახვალ! ის კაციც ამოვიყვანოთ და ყველამ ერთად ვისაუზმოთ.

— კარგი, მაშინ, დავუძახებ! — აივანზე გავიდა ლანა და ადგილზე გაშეშდა: ჭიშკართან მდგარი „ნივის“ კარს გიზო ვაშაკიძე მიჰყრდნობოდა და სიგარეტს ეწეოდა...

— ესღა მაკლდა... — ჩაიბურტყუნა გიზოს დანახვით გაოცებულ-გაღიზიანებ-

ულმა ლანამ, შემდეგ, სწრაფად ჩაირბინა კიბე და რამდენიმე ნაბიჯით ჭიშკართან გაჩნდა.

— დაუპატიჟებელ სტუმარს თუ მიიღებთ, ქალბატონო? — შორიდანვე დაუძახა გიზომ აივანზე გამოჩენილ ქეთოს.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით! — უპასუხა შეფიქრიანებულმა ქეთომ.

— აქ ჩემს დანახვას ნამდვილად არ ელოდი, ხომ? — ახლა ლანას მიუბრუნდა გიზო, თან, შინაურულად გადაეხვია.

— ნამდვილად, — განზე გაიწია მამაკაცის ფამილარობით გაღიზიანებული ლანა. — მაინც რა ქარმა გადმოგაგდო?

— ქარმა კი არა, იმ ახვარმა გივიმ გადმომისროლა აქეთ, — აწუწუნდა გიზო. — წამლების ახალ პარტიას აგზავნიდა აქაურ ფილიალში და „ნივაში“ მეც ძალით ჩამტენა: ლანას ჩაკითხე და თბილისში მანქანით წამოიყვანეო...

— ჩემი დარდით აღარ სძინავს, ხომ?..

— შენ ხუმრობ და რაც ბებიაშენის ამბავი გაიგო, მართლა დაკარგა მოსვენება: დღეში ათჯერ მაინც მეძახის და თქვენი ერთობლივი ბიზნესის სიკეთეზე ლაპარაკით მიჭედავს ყურებს.

— სულ ტყუილად, ჩემო კარგო! — სასწრაფოდ ცივი წყალი გადაასხა გიზოს ლანამ. — ბებიაჩემი ცივ უარზეა.

— კარგი ერთი!.. — საქციელი წაუხდა გიზოს. — მართლა უარს ამბობს?

— თუ არ გჯერა, თვითონ ჰკითხე! — კიბეს სწრაფად აუყვა კმაყოფილი ლანა...

სუფრას მიუსხდნენ თუ არა, გარედან მანქანის სიგნალის ხმა შემოიჭრა:



— გავალ ერთი, გავხედავ, — ჩაის სმა სიხარულით მიატოვა გოგამ.

სიგნალი გამეორდა. პირთან მიტანილი ჩაით სავსე ფინჯანი ლანამაც მაშინვე მაგიდაზე დადგა და წასასვლელად მოემზადა.

— გიზო, — მოუბოდიშა მან დაუპატიჟებელ სტუმარს, — ბოდიში, მაგრამ დროებით უნდა დაგტოვო, რაიონში აუცილებელი საქმე მაქვს...

— მაშინ მეც წამოვალ... — წამოდგომა დააპირა დაბნეულმა გიზომაც.

— არა, შენ დარჩი და ბებიაჩემს დაელაპარაკე!.. — შეაჩერა ის ლანამ. — აქ ხომ სწორედ ამ მიზნით ხარ ამოსული.

— ჰო, მაგრამ... — უხერხულად შეიშმუშნა გიზო. — იქნებ, არც ქალბატონ ქეთოს სცალია ჩემთვის...

— დარჩით, ბატონო გიზო! — გამომცდელი მზერა ესროლა სტუმარს ქეთომ. — მოვიცლი...

დავით არჩვაძემ ლანას დახმარებით ოპერაციები მართლაც, მალე დაასრულა, მაგრამ მერე, ერთ-ერთი ავადმყოფის მამა გადაეკიდა და სანამ თავის სახლში საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე ჭიქა არ ააწევინა, არაფრით მოეშვა. არჩვაძემ ოჯახი დალოცა, მშობლებს შვილის სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა და სანამ დინჯი მასპინძელი მომდევნო ჭიქის შევსებას მოასწრებდა, ის და მისი თანმხლებნი უკვე მანქანაში ისხდნენ და ლანას სოფლისკენ მიიჩქაროდნენ. გზაში ლანამ არჩვაძეს გიზოს მოულოდნელი სტუმრობის ამბავი აუწყა.

— რას მეუბნები?! — გამხიარულდა იგი. — გამოდის, რომ ლამის მთელმა ძველმა განყოფილებამ რაჭაში მოვიყარეთ თავი?.. ისე, ამ ზამთარში მაინც რამ ჩამოიყვანა!

— ფულის სუნი ეცა, ჩემო ბატონო, ფულის! — საუბარში მოულოდნელად ჩაერთო მანამდე მძღოლის გვერდით უსიტყვოდ მჯდარი გოგა და ლანასა და დავითისკენ მთელი ტანით შემობრუნდა. — ფული კიდო, ისეთი ოხერი რამეა, რო... — გოგა! — გააწყვეტინა ბიძაშვილს ლანამ.

— რავა?.. — ისევ არხეინად განაგრძო გოგამ. — ტყუილს ვამბობ თუ?..

— მოიცა, მოიცა... — გოგას მხარზე ხელი შინაურულად დაადო დავითმა და მერე ლანას მიუბრუნდა, — რა ფულის სუნზე ლაპარაკობს ეს ყმაწვილი?.. არ მითხრა ახლა, მე და გიზომ რამე ფულიანი საქმე წამოვიწყეთო...

— რას ამბობთ, ბატონო დავით?! — შეიცხადა ლანამ. — ჯერ ასე ნამდვილად არ გავგიჟებულვარ, — დაუმატა მან და გიზოს სტუმრობის მიზანი მოკლედ აუხსნა.

— ჰმ!.. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია დავითმა. — ხედავ შენ, კაცო?! ამ ოხრებმა როგორ ყველაფრიდან ფულის გამოდნობა მოინდომეს! მერე, ბებიაშენი რას ამბობს?.. თანახმაა?

— ალბათ, ცოტა გეიპრანჭება და დათანხმდება, აპა, რას იზამს?!. — ლანას პასუხის გაცემა ისევ დაასწრო გოგამ.

— ახლავე შებრუნდი და შენი ხმა აღარ გავიგონო! — დაუტატანა ლანამ ბიძაშვილს და შემდეგ ისევ უფროს კოლეგას მიუბრუნდა: — არა მგონია, დათანხმდეს... თუმცა, რა ვიცი... ისე, თქვენ რას გვირჩევდით, ბატონო დავით?

— აბა, რა უნდა გირჩიო, ჩემო კარგო? — წამით ჩაფიქრდა დავითი. — წამლების ბიზნესში დღეს ისეთი რამეები ხდება, რომ თუ კაცს ბოლომდე არ ენდობი, მასთან საქმე არაფრით არ უნდა დაიჭირო. ისე, გიზო კიდევ — ჰო, ხარბი კია, მაგრამ ცოტა ბრიყვიცაა და მისი გაკონტროლება დიდად არ უნდა გაგიჭირდეს. მაგრამ იმ შენ „თლა უფროსზე“ თუ იცი რამე?

— ბევრი არაფერი, მაგრამ რაც ვიცი, მისი ავაზაკობის დასამტკიცებლად, უკვე ისიც კმარა...

— აბა, მაშინ ყველაფერი გარკვეული ყოფილა, ჩემო კარგო, — გახალისდა დავითი, — ავიდეთ ახლა ბებიაშენთან, გიზო სასმელში ერთი კარგად ჩავახრჩოთ, დილით მანქანაში ჩავაგდოთ და თბილისის გზას გავუყენოთ. ეს არის და ეს!

— კი, მარა ქეთო რომ მაინც დათანხმდეს, მერე, რაღას შობით? — მაინც ვერ მოითმინა და საუბარში ისევ ჩაერია გოგა.

— მერე, რას ვიზამთ, ჩემო ბიძიკო და მაგ თარს ენას ძირში მოგაჭრით! — გოგას მხარზე ხელი ისევ შინაურულად დაჰკრა დავითმა. — აბა, ტყუილად ხომ არ ვართ მე და შენი მამიდაშვილი მაგარი ქირურგები!..

ქეთომ სტუმრებს მართლაც მშვენიერი სუფრა დაახვედრა, პირველი ჭიქაც თვითონვე ასწია და სუფრის გაძღოლა დავით არჩვაძეს სთხოვა.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ქალბატონო ქეთო! — მაშინვე დაყაბულდა დავითი. — გამოგიტყდებით და ჩვენებურ სუფრაზე თამადობა მართლა ძალიან

მომენატრა. გაგონილა, კაცო?.. იმ ოხრებს, უცხოელებზე ვამბობ, სუფრასთანაც კი „ეკონომიური“ ლაპარაკი არ უსწავლიათ?!. არადა, სუფრას რომ მიუჯდები, თუ კაცს გული არ გადაუშალე და სულში არ ჩაუძვერი, ისე რა ურთიერთობაზე შეიძლება ლაპარაკი?! ჰოდა, იმიტომაც ვარ მე ჩემთვის და ისინი — თავისთვის.

— მთელი ასი პროცენტით გეთანხმებით, ბატონო დავით! — არჩვაძის სიტყვები სასწრაფოდ აიტაცა მანამდე სუფრასთან ცოტა უხერხულად მჯდარმა გიზომ და ჭიქით ხელში ფეხზე წამოდგომაც დააპირა, მაგრამ თამადამ მალევე „ჩააქრო“:

— ნუ ჩქარობ, ჩემო გიზო! შენი დროც მოვა: შემთხვევით შემოსწრებულების სადღეგრძელო ცალკე მაქვს დასალევი...

ამის შემდეგ, გიზოს კარგა ხანს საერთოდ აღარ ამოუღია ხმა. მაგრამ როცა ქეთომ სუფრას ცხელ-ცხელი ლობიანები კიდევ ერთხელ შემოუმატა, ვეღარ მოითმინა და თამადას, პერსონალური სადღეგრძელოს ნებართვა სთხოვა.

— ისევ ჩქარობ, ჩემო გიზო, მაგრამ რა გაეწყობა? ბრძანე! — ყოფილი კოლეგის ბოლომდე დაჩაგვრა რატომღაც გადაიფიქრა დავითმა.

გახარებული გიზო ფეხზე წამოიჭრა და სუფრასთან მჯდარი ყველა მამაკაცი მაშინვე მას აჰყვა. გიზომ მათ ცოტა არ იყოს, შემცბარმა გადახედა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ჭიქა ასწია:

— მოდით, ქალბატონი ქეთოს სახით, ჩვენს საყვარელ ბებიებს გაუმარჯოს!

— გაუმარ-ჯოს! — გიზოს ჭიქა ხმაურით მიუჭახუნა უკვე კარგა გვარიანად შეზარხოშებულმა გოგამ.

— ჩეიგდე, ბიჭო, ენა მუცელში! — ხმადაბლა გადაულაპარაკა შვილს შალიკომ. — ეს პატიოსანი კაცი ჯერ ალავერდს არავისთან გადასულა...

— ალავერდის ძალა და მადლი გეწეოდეს, ჩემო გოგა! — სიტუაციის სწრაფად განმუხტვა სცადა გიზომ. — შენზე უკეთ აბა, ვინ გვეტყვის, რა ტკბილი და საყვარელი ბებიაა ქალბატონი ქეთო!..

— ა, ესეც მე ვარ?.. — გაიბადრა სიმთვრალისგან უკვე აქეთ-იქით მოქანავე გოგა. — ბებიაჩემი ქეთო მართლა ნამეტანი კაი ქალია, მაგრამ...

— ერთი წუთით, ყმაწვილო! — ხელის აწევით გააჩერა გოგა დავითმა. — კი ნუ მიწყენ, მაგრამ შენი ჯერი ცოტა გვიან მოვა. მით უმეტეს, რომ სადღეგრძელოსთან ერთად, სამადლობელიც გაქვს მოსაფიქრებელი... ასე რომ, დავსხდეთ ახლა ყველა და ისევ მე მომისმინეთ!

— რავარც შენ იტყვი, შენ შემოგევლე! — მაშინვე სკამზე დაენარცხა გოგა. სუფრის დანარჩენი წევრებიც მალევე დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ ადგილებს. დაბნეულ გიზოს კი ჭიქა ხელში შერჩა.

— შენც მოითმინე პატარა ხანს, ჩემო გიზო! — დაუყვავა მას დავითმა და ისევ გააგრძელა: — დაჯდომა კი იმიტომ გთხოვეთ, ჩემო ძვირფასებო, რომ ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. გიზოს წარმოთქმულმა სადღეგრძელომ ერთი ჩემი ბავშვობის დროინდელი ამბავი გამახსენა... ქალბატონი ქეთოს სადღეგრძელო ამ სუფრასთან უკვე ბევრჯერ ითქვა. ამიტომ ალბათ, არ მიწყენს თუ სანამ მას, როგორც ბებიასაც ვადღეგრძელებ, ჯერ სხვა ბებიებს გავიხსენებ...

— ყველა ბებიას გოუმარ-ჯოს! — კიდევ ერთხელ ამოიბურტყუნა გოგამ, შემდეგ თვალები მილულა და თავი ულონდ ჩამოუვარდა.

— შენი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს?! — შვილს თავში მსუბუქად წაუთაქა შალიკომ და მაშინვე თამადას მიუბრუნდა: — ამ სულელის მაგივრად, მე გიხდი ბოდიშს, ჩემო ბატონო, ბრძანე!..

— ჩემს შორეულ ბავშვობაში, — ისევ მშვიდად დაიწყო დავითმა, — ჩვენს სოფელში ერთი უშვილძირო მოხუცი ქალი ცხოვრობდა. დიდი და პატარა, აღათი ნათლიას ეძახდა. თუმცა, რომ ჩასძიებოდი, ალბათ, ვერავინ გაიხსენებდა, კონკრეტულად მაინც ვინ ჰყავდა მონათლული. ის კი არადა, მგონი, ეს თავად აღათისაც აღარ ახსოვდა, მაგრამ დიდად არც ენაღვლებოდა, რადგან ყველას თავის ნათლულად გვთვლიდა და არც მოკითხვა და პატივისცემა ავიწყდებოდა. განსაკუთრებით მაინც ბავშვებს გვიხაროდა მისი გამოჩენა. დღემდე ცხადად მახსოვს პატარა კოპწია მოხუცი, თალხი თავსაფარი ყოველთვის ნიკაპთან, ყელსახვევივით რომ ჰქონდა გამონასკვული. ტანთ გრძელი, ნაოჭებასხმული კაბა ეცვა. კაბაზე წინსაფარი ეკეთა, რომელსაც რატომღაც, სულ სხვა ნაჭრის ორი უზარმაზარი ჯიბე ჰქონდა დაკერებული, ორივე ჯიბე ყოველთვის ათასნაირი სასუსნავით ჰქონდა სავსე და ბავშვებს ხან ჩურჩხელით, ხან თხილითა თუ კაკლით გვიმასპინძლდებოდა. მაგრამ აღათი ნათლიის მთავარი „ღირსშესანიშნაობა“ მაინც მისი კაბის ნაოჭებში ჩაკარგული კიდევ ერთი ჯიბე იყო, რადგან ყველაზე სანუკვარ მოსაკითხს სწორედ იქიდან ამოიღებდა ხოლმე. ამიტომაც, ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული მაშინ იწყებოდა, როცა აღათი ნათლია წინსაფრის ჯიბეებს დაიცარიელებდა და ჯერი კაბის ჯიბეზე მიდგებოდა. აღათიც მორიგი სასწაულის მომლოდინე ბავშვებს გამარჯვებული სახით გადმოგვხედავდა, შემდეგ მისი პაწია, დაკოჟრილი ხელი კაბის ნაოჭში ჩაიკარგებოდა და ცოტა ხანში ჯიბიდან ლამაზ ჭრაჭუნა ქაღალდში გახვეული კანფეტების ბღუჯას ამოაძვრენდა... ყველას უკვირდა, სად შოულობდა აღათი ამ ნაირ-ნაირ ქაღალდში გახვეულ კანფეტებს, ჩვენ სოფლის მაღაზიაში ხომ მაშინ ბალიშა კანფეტიც კი დიდი იშვიათობა იყო... აღათის კანფეტების საიდუმლო სოფელმა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაიგო, როცა მის გასაპატიოსნებლად მისულმა მეზობლის ქალებმა პატარა სკივრში საგანგებოდ შენახული კანფეტის ცარიელი ქაღალდების მთელი დასტა აღმოაჩინეს. იქვე იდო პატარა, გახუნებულყდიანი რვეულიც, რომლის ერთ-ერთ გვერდზე ოკრობოკრო ხელით იყო წაწერილი: „როგორ მოვუხარშოთ კაფენტები ბოვშებს“... მართალი გითხრათ, აღათი ნათლიის „მოხარშული კაფენტების“ გემო აღარ მახსოვს, მაგრამ იმ ლამაზი ქაღალდების იდუმალ ჭრაჭუნს დღემდე ათას ხმაში გამოვარჩევ... მაშ, გაუმარჯოს „აღათი ნათლიებს“ — ჩვენს სახედაღარულ, „ნაოჭებასხმულ“ დიდ ბებიებს, ამ ქვეყნიდან ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად რომ მიიპარებიან და ჩვენი, როგორც ერის, ყოფისთვის ასეთი მნიშვნელოვანი მუხტის ნაწილიც თან მიაქვთ... — როგორც იქნა, დაასრულა სადღეგრძელო დავით არჩვაძემ და ჭიქა მიუჭახუნა გიზოს.

— შენ გეიხარე ბატონო დავით! — ამჯერად შალიკომ აღარ აცალა გიზოს პირის დაღება. იმფერი სიტყვები თქვი, იმფერი, თითქოს ჩემს გულში იჯექიო...

უეცრად, ლანას ხელჩანთაში მობილური ტელეფონი აწკრიალდა და სუფრასთან შექმნილ, ამაღლებულ განწყობილებაში ლამის სრული დისონანსი შეიტანა. თავად ლანამ ზარს საერთოდ წაუყრუა, მაგრამ ცოტა ხანში ტელეფონმა კიდევ ერთხელ დარეკა.

— ე, ბოშო, უპასუხე! — ამოიბურტყუნა გოგამ. — ხო იცი, მეიკლავს თავს რეკვით...

იმის შიშით, გოგას რამე სისულელე არ წამოსცდესო, ლანამ სუფრის წევრებს ბოდიში მოუხადა, ხელჩანთიდან ტელეფონი ამოიღო, მასზე დაფიქსირებულ უცხო ნომერს უნდოდ დახედა და სწრაფად გავიდა აივანზე.

— გისმენთ! — ჩასძახა მან ყურმილში, ოთახის კარის დაკეტვისთანვე.

— გამარჯობა! — გაისმა ყურმილში ლევანის ხმა. — მიცანი?

— გიცანი... — მოულოდნელობისგან ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა ლანამ.

— როგორ ხარ?

— როგორც მკითხულობ... — სული მალევე მოითქვა ლანამ.

— ძალიან მომენატრე! — ქალიშვილის ბოღმიან სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია ლევანმა. — შენ?

— მე შემთხვევითი ნაცნობები არ მენატრებიან...

— ძალიან გაბრაზებული ხარ, ხომ? — დაუყვავა ლევანმა ქალს.

— საიდან მოიტანე? — იტკიცა ლანამ. — უბრალოდ, ვერ ვხვდები, ჩემი თავი რამ გაგახსენა...

— ესე იგი, ძალიან გაბრაზებული ხარ... — დაასკვნა ლევანმა და მცირეოდენი პაუზის შემდეგ, დაუმატა: — თუ ასეა, მოკითხვით თავს აღარ შეგაწყენ და პირდაპირი საქმეზე გადავალ.

— კარგს იზამ, — ისევ შეუღრინა ლანამ.

— შენს ახლანდელ უფროსს გივი ჰქვია, ხომ?

— ახლა მე ორი უფროსი მყავს, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლანამ.

— მე გივი გიგაურზე გეკითხები, — დაუკონკრეტა ლევანმა.

— კარგი, — დანებდა ლანა, — დავუშვათ, რომ ასეა, მერე შენ რა გინდა?

— რა მინდა და მაგ ახვარს არაფერში ენდო, ძალიან ბნელი ვინმეა...

— კარგი, ერთი, მართლა?!. — ხმაში ირონია გამოურია ლანამ. — შენ რომ არ გეთქვა, ხომ დავიღუპებოდი და ბატონი გივი მთლად ფრთიან ანგელოზად მომეჩვენებოდა!..

— მე არ მეხუმრება! — ხმას აუწია ლევანმა. — მაგ კაცისგან თავი ძალიან შორს დაიჭირე, გასაგებია?

— არაფერიც არ არის გასაგები! — ხმა გაიმკაცრა ლანამაც. — და საერთოდაც!.. რა უფლებით ერევი ჩემს საქმეებში? ან გიგაურის ამბავი საიდან იცი? შემთხვევით, ყოფილი „კაგებეშნიკი“ ხომ არა ხარ?

— ფრთხილად იყავი-მეთქი, გეუბნები! — გაუმეორა ლევანმა. — დანარჩენს, თბილისში რომ დავბრუნდები, მერე აგიხსნი.

— თუ მნახე, კი... — დაექადნა ლანა.

— რას ჰქვია, თუ გნახე?.. — გაუკვირდა ლევანს. სადმე აპირებ წასვლას თუ რა?

— უკვე წასული ვარ, ჩემო ძვირფასო და თანაც, საკმაოდ შორს... — აგდებულად უპასუხა ლანამ და ტელეფონი სასწრაფოდ გათიშა...

— შემთხვევით გივი ხომ არ იყო? — ჰკითხა ოთახში შებრუნებულ ლანას დაინტრიგებულმა გიზომ.

— არა, — ცივად უპასუხა ლანამ, — ერთი არამკითხე მოამბე იყო...

ამასობაში, გოგას საბოლოოდ ჩამოეძინა სუფრასთან და კარგა გვარიანი ხვრინვაც ამოუშვა. შალიკომ შვილი რის ვაი-ვაგლახით გამოაფხიზლა, წინ ურჩი მოზვერივით გაიგდო და სუფრის წევრებს დიდი ბოდიშის მოხდით დაემშვიდობა. შალიკოსა და გოგას წასვლის შემდეგ, სუფრა იონამაც შეუმჩნევლად დატოვა.

— რა უცბად შემომეცალა ეს ხალხი? — შეწუხდა დავითი.

— მაგათ მაგივრად მე გიხდით ბოდიშს, ჩემო ბატონო! — შეწუხებული ხმით უპასუხა ქეთომ — რაღა უცხოელები? ხომ ხედავთ, უკვე ჩვენებურებსაც ავიწყდებათ სტუმარმასპინძლობის წესი და რიგი...

— აჰ, ეგ ნამდვილად არ მიგულისხმია, ქალბატონო ქეთო! — სასწრაფოდ უკან დაიხია არჩვაძემ. — უბრალოდ, ვადღეგრძელებდი და ისე გავუშვებდი...

— თქვენგან უკვე ისედაც მრავალგზის ნადღეგრძელები ვართ, ჩემო ბატონო! — ხმაში სითბო ჩაეღვარა ქეთოს. — ლანასგან რომ ვიცი, რამხელა სიკეთე გაქვთ მისთვის გაკეთებული...

— აბა, აბა! მე რომ არა, რა ეშველებოდა?!. — ლანას ეშმაკურად ჩაუკრა თვალი დავითმა. — ისე, ლანაზე შეფობა ახლა მგონი, ჩვენს გიზოს უნდა ჰქონდეს აღებული. ხომ, ჩემო გიზო? — როგორც იქნა, გიზოსაც მიაქცია მან ყურადღება.

— აბა, რა! — არჩვაძის სიტყვები სასწრაფოდ აიტაცა გიზომ. — მე და გივი ძალასა და ენერგიას არ ვიშურებთ, რომ ლანასნაირ ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდებს ფართო გზა მივცეთ!

— გივი თქვენი უფროსია, ხომ? — ჩაეკითხა გიზოს დავითი.

— ჰო... — უხალისოდ უპასუხა გიზომ. — პრინციპში — კი... თუმცა, ისე, მეც ერთ-ერთი მეპატრონე ვარ... მეტიც, მე, მაგალითად...

— ერთი ეს მითხარი, ეგ შენი გივი რა სულის კაცია? — საკუთარი რეგალიების ჩამოთვლა აღარ აცალა დავითმა გიზოს.

— არის, რა... — დაკონკრეტებისგან მაინც თავი შეიკავა გიზომ.

— როგორც ვიცი, აქ სწორედ მისი დავალებით უნდა იყო ჩამოსული...

— ჰო... — ამოიოხრა გიზომ, თან, ლანას საყვედურნარევი მზერა ესროლა. — მაგრამ, ვერაფერს გავხდი: ქალბატონი ქეთო ისეთი შეუვალი აღმოჩნდა, რომ...

— თქვენი ნებართვით, ცოტა ხნით დაგტოვებთ, — მოულოდნელად ფეხზე წამოდგა ქეთო. — შვილს და შვილიშვილს უნდა დავხედო...

— ქალბატონი ქეთო აღმოჩნდა შეუვალი თუ შენ შესთავაზე რაღაც მიუღებელი? — ქეთოს გასვლისთანავე გააგრძელა გიზოს დაკითხვა არჩვაძემ.

— მიუღებელი რა უნდა შემეთავაზებინა?! — იწყინა გნიზომ. — თანაც, ლანაც ხომ საქმის კურსშია... უბრალოდ, მე და გივიმ ყველაფერი დეტალურად გავთვალეთ და მოგებაც დავიანგარიშეთ...

— კარგი ერთი!.. — ირონიულად გაეღიმა ლანას. — მოგებაზეც კი გავედით?

— აბა, რა! — არაფერი შეიმჩნია გიზომ. — თუმცა, მანამდე, რა თქმა უნდა, მაგარი „რასკრუტკა“ დაგვჭირდება. მე და გივის რეკლამის რამდენიმე ტექსტიც უკვე მოფიქრებული გვაქვს. აი, ერთ-ერთი: „ფარმაცევტული ფირმა „გიგი“ წინაპართა საუკუნოვანი სამედიცინო გამოცდილების აღორძინების მიზნით გთავაზობთ ამა და ამ სახელგანთქმული სახალხო მკურნალის მიერ დამზადებულ მალამოებსა და...“

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა ლანამ. — ეს „გიგი“ რაღაა? მეტი ვერაფერი მოიფიქრეთ?

— ჩემი და გივის სახელების დასაწყისია... გეთანხმები, სახელი დიდად არც მე მომწონს, გივის ვერაფერი მოვუხერხე... იცი, რომ თავიდან საერთოდაც, „გივის“ დარქმევა უნდოდა და ძლივს გადავაფიქრებინე? „ცისფერი მთები“ გავახსენე... „გივი, გააღე, ჩვენა ვართ“-ის ძახილით აგვიკლებენ-მეთქი და როგორც იქნა, „გიგიზე“ შევაჩერებინე არჩევანი.

— მოკლედ, ბევრი ეცადე გივისთვინა და ძლივს გამოვიდა შენთვინა, ხომ?.. — კინაღამ სიცილი აუტყდა ლანას.

— ფირმის სახელი არ არის მთავარი პრობლემა. თუ არ ივარგა, რამეს მოვიფიქრებთ. მაგრამ ბებიაშენს რა მოვუხერხოთ?

— არც არფერი, — მშვიდად უპასუხა ლანამ. — ბებიაჩემმა თუ გითხრა, არაო, ესე იგი მორჩა, აღარ გადაიფიქრებს.

— იქნებ, მაინც დალაპარაკებოდი?

— კი, ბატონო, მაგრამ არა მგონია, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს...

ამის შემდეგ, დავით არჩვაძემ სუფრა მალევე დაამთავრა, ქეთოს საგანგებოდ მადლობა გადაუხადა, ლანას მტკიცედ შეჰპირდა, ხვალ დილით ამოვალ და თბილისში წაგიყვანო, შემდეგ გიზო თითქმის ძალით ჩატენა მანქანაში და მალე მისი „ნივა“ თვალსაც მიეფარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მუზა, რომელიც ყოველდღე დამრჩა...



მერი შერვაშიძე — გალაკტიონ ტაბიძის მუზად აღიარებული — მას პირადად არ იცნობდა, თუმცა, რა გასაკვირია, რომ პოეზიის მეფეს მაინც შეემჩნია უმშვენიერესი ქალბატონი და სიცოცხლის ბოლომდე დამახსოვრებოდა ის.

ეს ფოტო 1921 წელს, კონსტანტინოპოლშია გადაღებული. ჯოტო შერვაშიძე, მერი შერვაშიძე და მისი მეუღლე, გიგუშა ერისთავი ელიტურ წვეულებაზე იმყოფებიან. სწორედ ამ დღეს დაუსახელებიათ ულამაზეს ქალბატონად მერი შერვაშიძე... ძველმა ფოტომ, რა თქმა უნდა, ვერ შემოინახა, თუ როგორი თვალებით უყურებდნენ საღამოზე დამსწრენი უმშვენიერეს მერის. ეს მზერა ჩაბნელებულ ფონში იკარგება... მაგრამ არსებობს გადმოცემები, რომლებიც აღარასოდეს დაიკარგება.

მერი შერვაშიძე ყველგან აგვიანებდა (დაგვიანებით მიბრძანებულა ამ საღამოზეც). მისი პატივისცემით, გვიან იწყებოდა შეხვედრები, სპექტაკლები, ხშირად თურმე მატარებლის ეშელონიც კი აგვიანებდა გასვლას — მერის ელოდნენ...

მისი მშვენიერება უბრალო და ამაღლებული იყო. კაბებს სულ დედა — ნინო მხეიძე უკერავდა. მიუხედავად ამისა, წვეულებებზე ყველას თვალი რჩებოდა მერისა და მისი დის — თამარის ჩაცმულობაზე. ისიც არის ცნობილი, რომ ერთხელ შერვაშიძის ქალიშვილები დაგვიანებით მიუწვევიათ წვეულებაზე. კაბების შეკერვა ვერ მოუსწრიათ. დედას გამოსავალი უპოვია და საკაბე ქსოვილები ისე ოსტატურად შემოუხვევია მათთვის და ისე დაუმაგრებია ქინძისთავებით, რომ ყველაზე პრეტენზიულ პარიზელებსაც კი გაოცება და აღტაცება გამოუხატავთ. მსგავსი მშვენიერება არ ახსოვს ჩვენს მრავლისმნახველ ქალაქსო...

ლელა ჯიყაშვილი

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ «ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ» ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐᲡ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲢᲯᲘᲚᲐᲕᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲣᲠᲘᲜᲡ „ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ“

ფეხბურთის გულშემატკივრები დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდნენ, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მიხეილ მესხის სახელი მიენიჭებინათ, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, ამ იდეის განხორციელება წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. ვაკის არენას დღემდე „ლოკომოტივი“ ერქმეოდა, ცნობილ ქართველ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲔᲛᲘᲙᲝ ᲚᲝᲚᲐᲫᲔᲡ ლეგენდარული მარცხენა გარემარბის სახელის უკვდავსაყოფად შესაშური შემართებით რომ არ ებრძოლა. ბატონი დემიკო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და სპორტის მუშაკი გახლავთ. მას ოცზე მეტი წიგნი, კრებული და ალბომი აქვს გამოცემული. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ, თავის დროზე, ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვა. ასევე მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედალი. ეს ადამიანი დღემდე აქტიურადაა დაკავებული ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ საქმიანობით და თავის ახალ ალბომზე მუშაობს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐ

ფეხბურთის მოყვარული ბებია

— ბებიაჩემი, ნინო ლოლაძე, რომელსაც ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის, ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი იყო. თავის დროზე, იგი თბილისში ბასკების მიერ ადგილობრივ „დინამოსთან“ გამართულ ამხანაგურ მატჩსაც დასწრებია. სწორედ ბებიისგან ვიცოდი, თუ ბურთის როგორი ვირტუოზები გახლდნენ: ისიდორი ლანგარა, გოროსტიცა და სხვები. მის ალბომში ვნახე თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელების: ბორის პაიჭაძის, ბორის ფროლოვის, შურა დოროხოვისა და შოთა შავგულიძის შარჟები. ისინი სომეხმა ივან გურომ დახატა, რომელმაც საქართველოში ფეხბურთის და საერთოდ, სპორტის მოვლენები შარჟის ჟანრში პირველად ასახა. მე თვითონ ცოტა ხანს ვვარჯიშობდი 35-ე საფეხბურთო სკოლაში, ნიაზ ძიაპშპასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემგან დიდი ფეხბურთელი არ დადგა, სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული დღემდე არ გამნელებია. მატჩების სანახავად სტადიონზე სიარული 1951 წლიდან დავიწყე და არა მხოლოდ „დინამოს“, არამედ თბილისის „ტოდოს“ შეხვედრებსაც ვესწრებოდი, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის „ბ“ კლასში გამოდიოდა. სხვათა შორის, „ტოდო“ ზოგიერთ შეხვედრას იმხელა ანგარიშით იგებდა, რომ ტაბლოზე ორნიშნა ციფრებს ველარ წერდნენ, რადგან მაშინ ელექტროტაბლოები არ არსებობდა. ჩემთვის ძალიან დასამახსოვრებელი აღმოჩნდა თბილისში „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ურთიერთდაპირისპირება 1954 წელს. წინა სეზონში, „დინამოელებს“ ჩემპიონობის შანსი დააკარგვინეს, რადგან მოსკოვის „ტორპედოსთან“ მოგებული მატჩი გადაათამაშებინეს და ამის შედეგად, ოქროს მედლები „სპარტაკს“ ერგო. ჰოდა, „სპარტაკთან“ შეხვედრის სანახავად იმდენი გულშემატკივარი მოვიდა, რომ სტადიონზე წესრიგის დასაცავად, ცხენოსანი მილიციის რაზმები იყო მობილიზებული. მიუხედავად ამისა, ჭყლეტაში რამდენიმე გულშემატკივარი დაიღუპა. ის მატჩი კი „დინამომ“ მოიგო ანგარიშით 2:1.

სერ ბობი რობსონი და ვასილ მჟავანაძის გაფრთხილება

— ინგლისური ფეხბურთი ყოველთვის მიყვარდა და ეს ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ ბრიტანეთი ამ თამაშის სამშობლოა. პირველად ინგლისელები 1957 წელს ვნახე, როდესაც ყველასათვის უცნობმა კლუბმა — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ თბილისში ანგარიშით 3:0 მოუგო „დინამოს“. მაშინ სტუმართა რიგებში ბობი რობსონი გამოდიოდა, რომელიც შემდგომში ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. ამ ადამიანს ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის ბრიტანეთში სერის ტიტული აქვს მინიჭებული. სხვათა შორის, რობსონი, როგორც მწვრთნელი, თბილისში 1986 წელს ჩამოვიდა, როდესაც ინგლისის ნაკრებმა მისი თავკაცობით საბჭოთა კავშირის გუნდს 1:0 სძლია. რაც შეეხება „ვესტ ბრომვიჩს“, ამ კლუბის ფეხბურთელებმა პირველ რიგში, ოსტატურად თავით თამაშით გაგვაოცეს და კარგად მახსოვს, მარცხის გამო, სტადიონიდან ატირებული დავბრუნდი შინ. იმ თამაშიდან მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ დღესაც, ინგლისის ჩემპიონატის მატჩებს რომ აჩვენებენ, პირველ რიგში, „ვესტ ბრომვიჩის“ შედეგი მაინტერესებს... ინგლისელებთან წაგების დღიდან ერთ თვეში, თბილისს, ასევე ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად, თურქეთის „გალათასარაი“ ესტუმრა. მოსკოვიდან საქართველოს კომპარტიის ცეკაში დარეკეს და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს უთხრეს, რომ „დინამოს“ ყველაფერი უნდა ეღონა, რათა ეს შეხვედრა არ წაეგო, რადგან საბჭოთა კავშირს თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა... „დინამოს“ ბაზაზე ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეც კი მივიდა, რომ ფეხბურთელები გაეფრთხილებინა — წაგება არ შეიძლებაო. მაგრამ „გალათასარაიმ“ „დინამო“ 3:2 დაამარცხა და ამ მიზეზით, გუნდიდან მთავარ მწვრთნელ გაიოზ ჯეჯელავასთან ერთად, რამდენიმე ფეხბურთელიც გაუშვეს.

ვარდები მესხისთვის და ხაჭაპური ღოღობერიძისთვის

— 1959 წელს თბილისის „დინამოს“

მთავარ მწვრთნელად დანიშნეს ანდრო ჟორდანია, რომელიც მანამდე, გუნდიდან რამდენჯერმე იყო გაშვებული. ჟორდანიამ კოლექტივი შეკრა და ოთხწლიანი ჩავარდნის შემდეგ, „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-3 საპრიზო ადგილზე გავიდა, რამაც გულშემატკივრები საზეიმო განწყობილებაზე დააყენა. პირველობის დასრულების შემდეგ, „დინამო“ საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ბელგიაში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში გაემგზავრა. გუნდს, პირდაპირი რადიორეპორტაჟების გადმოსაცემად, ცნობილი რადიოკომენტატორი ვადიმ სინიავსკი გაჰყვა. საფრანგეთის „რასინგთან“ მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე, სინიავსკიმ გადმოსცა, რომ 36 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი ჟერარ ფილიპი, რომელიც ჩვენი თაობის კერპი გახლდათ. ამ ცნობამ გული ძალიან დამწყვიტა, მაგრამ იმან გამახარა, რომ „დინამომ“ თამაში მოიგო და სინიავსკიმ გვაუწყა — მიხეილ მესხს ვარდებით შეხვდითო, — რადგან მიშამ ის თამაში ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა. აქვე გეტყვით, რომ მაშინ სინიავსკი ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას დაუახლოვდა და რამდენჯერმე ფული შესთავაზა — წადი, რაც გინდა, იყიდეო. ამაზე სიომა პასუხობდა: უცოლო ვარ, არაფერი მჭირდებაო. პარიზში ყოფნისას, სასტუმროში, სადაც „დინამო“ იყო დაბინავებული, ბასა ღოღობერიძის მოგვარე ემიგრანტი ქალბატონი მოვიდა და დიდი ხაჭაპური მიართვა. იმ დროს, სტუმრის აყვანას ნომერში ვინ გაბედავდა?! ჰოდა, ხაჭაპურს ჰოლშივე გაუსინჯეს გემო... „დინამომ“ ფრანგულ ტურნეში, „რასინგის“ გარდა, „ოლიმპიკიც“ დაამარცხა, ხოლო „რეიმსთან“ დამარცხდა.

რამ ააღებინა ზურაბ სოტკილავას ფეხბურთზე ხელი

— საბჭოთა კავშირის პირველობის ერთ-ერთი შეხვედრისას თბილისის „დინამო“ მოსკოველ თანაკლუბელებთან სამარცხვინოდ დამარცხდა შინ. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში მარჯვენა მცველად ზურაბ სოტკილავამ ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ის შეხვედრა ზურასთვის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა, რადგან მას მოსკოველთა ფორვარდმა, ვალერი ურინმა შავი დღე აყარა. ამან სოტკილავაზე ისე იმოქმედა, რომ იგი იძულებული გახდა, ფეხბურთის თამაშზე უარი ეთქვა... ამის შემდგომ დაიწყო მისი, როგორც მომღერლის კარიერა. როდესაც ზურა დიდი თეატრის სოლისტი გახდა, მისთვის თურმე, ურინს ტელეფონით დაურეკავს და უთქვამს: Я тебя сделал великим певцом, помоги, мне сейчас трудно...

მორალურად არამდგრადი

— ვლადიმერ ბარქაიამ მომიყვა, რომ თბილისის „დინამოში“ ახალჩარიცხულს, თავიდან, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მარტო ცხოვრება, ცოტა არ იყოს გაუჭირდა. საქმე ისაა, რომ თურმე, როცა „დინამო“ შეკრებაზე იმყოფებოდა, მისი თბილისელი თანაგუნდელები სადილად შინ მიდიოდნენ, ხოლო გაგრელ ბარქაიას კატლეტით, მჟავეკიტრიანი „სალიანკით“ და არცთუ ისე მაღალი ხარისხის რძის პროდუქტებით დაკმაყოფილება უწევდა. ბატონი სიომას თქმით, მას ბებიის მომზადებული ხარჩო, ღომი და თევზეული ენატრებოდა. „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ბარქაია პირველად, გაიოზ ჯეჯელავამ დააყენა, მოსკოვის „ტორპედოსთან“ ამხანაგურ მატჩში და როგორც მან გაიხსენა, ფრიად უცნაური გრძნობა დაეუფლა. კერძოდ, თურმე ბატონი სიომა ისე ნერვიულობდა, რომ იმ მომენტში მზად იყო, საერთოდ დამშვიდობებოდა ფეხბურთს. მას მაყურებლების წინ გამოჩენა ისე შერცხვენია, რომ გასახდელისკენ გაპარვაც კი უცდია. ამ დროს, მეკარე ვლადიმერ მარღანია წამოსწევია, რომელიც მიმხვდარა, ახალგაზრდა ფეხბურთელი რასაც აპირებდა და იგი მოედნისკენ შეუბრუნებია. შემდგომში რა დონის ფეხბურთელი გახდა ბატონი სიომა, ამაზე არ ვილაპარაკებ. ვფიქრობ, შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამოს“ მიერ გატანილი მე-1000 გოლის ავტორი სწორედ ვლადიმერ ბარქაია გახლდათ. 1960 წელს ქვეყნის ნაკრებმა, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონი იყო, შეკრება თბილისში მოაწყო. ვარჯიშის პარალელურად, მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი და ფეხბურთელები, მაშინდელი ენით რომ ვთქვათ, კულტმასობრივ ღონისძიებებშიც მონაწილეობდნენ. ისინი ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტ „ოტელოს“ დაესწრნენ, რომელშიც მთავარ პარტიებს ვახტანგ ჭაბუკიანი და ვერა წიგნაძე ასრულებდნენ. ფეხბურთელები გულშემატკივრებსაც შეხვდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას, კაჩალინს ჰკითხეს, თუ რატომ არ იწვევდა ნაკრებში ბარქაიას. მწვრთნელმა უპასუხა, რომ „დინამოელი“, გარდა იმისა, რომ ფიზიკურად სუსტი იყო და ორ ტაიმს ვერ უძლებდა, ასევე მორალურად არამდგრადი გახლდათ. ამის გაგონებაზე ვიღაცას რუსულად წამოუძახია — მაშინ ნაკრებში ჩვენი რაიკომის მდივანი აიყვანეთ, რომელიც პოლიტიკურად განათლებულია და მორალურადაც მდგრადიაო... რამდენიმე წლის შემდეგ, კაჩალინმა ბარქაიას ოსტატობას ხოტბა შეასხა და დაახასიათა, როგორც კომბინაციური სტილის, მახვილი ინტუიციისა და ფართო ჰორიზონტის მქონე მოთამაშე, რომელიც დიდ ტექნიკურ არსენალს ფლობდა.

მინდორზე დი სტეფანოს ნახვის აუხდენელი ნატვრა

— მადრიდის „რეალის“ ლეგენდარულ ფორვარდ ალფრედო დი სტეფანოზე ბავშვობაში მაბოდებდა. იგი წარმოშობით არგენტინელი გახლდათ, მაგრამ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლება ჰქონდა. მახსოვს, საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ესპანეთს უნდა შეხვედროდა და როდესაც გავიგე, მოსკოვში დი სტეფანო ჩავიდოდა, მამაჩემს არ მოვეშვი, მატჩზე წამიყვანე-მეთქი. მართლაც, მთელი ოჯახი მატარებლით მოსკოვისკენ დავიძარით და იქ თითქმის უკვე ჩასულები ვიყავით, როდესაც რადიოთი გამოაცხადეს — ესპანელი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაზე უარს ამბობენო. როგორც გაირკვა, ესპანეთის ნაკრები მოსკოვში დიქტატორმა ფრანკომ არ გამოუშვა, რადგან მანამდე, საბჭოთა ნაკრებმა პოლონელებს 7:1 მოუგო, ხოლო ესპანელმა მწვრთნელებმა მას გარანტია ვერ მისცეს, რომ წარმატებას მიაღწევდნენ...

ტაშკენტში – თვითმფრინავის საბარგულით

— 1964 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად ქვეყნის ისტორიაში პირველად, დაინიშნა დამატებითი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. მაშინ, მთელი საქართველო უზბეკეთის დედაქალაქისკენ დაიძრა. მე და ჩემმა მეგობრებმა თვითმფრინავის ბილეთი ვერ ვიშოვეთ, ამიტომ ტაშკენტში ჩასვლა ბაქოს გავლით მოგვიხდა. სხვათა შორის, უზბეკეთში ქართველების მიმართ სიმპათია იგრძნობოდა და „ტორპედოს“ მხოლოდ იქ მცხოვრები რუსები გულშემატკივრობდნენ. „ფახთაქორის“ საერთო საცხოვრებელში 30-მდე ქართველი მოგვათავსეს და ვიღაცას დაებადა იდეა, რომ წინასწარ ფურცელზე დაგვწერა მატჩის შედეგის პროგნოზი. ერთ-ერთმა ჩვენგანმა 4:1 დაწერა და თამაშის შემდეგ უხაროდა — სწორი პროგნოზი გავაკეთეო. არადა, იმის განჭვრეტა, რომ შეხვედრა ასეთი ანგარიშით დასრულდებოდა, ძალიან ძნელი იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩემი მეგობარი, ჟურნალისტი თენგიზ ველიანი, რომელმაც აეროპორტში ბილეთი ვერ იშოვა,

მურთაზ ხურცილავასთან ერთად

თვითმფრინავის საბარგულში შეძვრა და უზბეკეთში ისე ჩამოფრინდა. ტაშკენტის აეროპორტის თანამშრომლები კინაღამ გაგიჟდნენ, თან უკვირდათ — ცოცხალი როგორ გადარჩაო?! სხვათა შორის, თავად თენგიზიც გაოცებული იყო — იმ სიცივეში, რაც საბარგულშია, ტაშკენტამდე როგორ ჩამოვაღწიეო?! „ტორპედოსთან“ დაპირისპირებაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, გეტყვით, რომ იმ სეზონში „დინამოს“ გაჩემპიონება დიდწილად, სლავა მეტრეველის დამსახურება იყო. ჩვენს გუნდს ოქროს მედლების მოპოვება ერთი წლით ადრეც შეეძლო, როდესაც ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრაში ლენინგრადის „ზენიტთან“ ფრეც ჰყოფნიდა. თამაშამდე, ლენინგრადელები „დინამოელებთან“ მივიდნენ და უთხრეს — ის პრემიალური თანხა, რომელიც ჩვენთან გამარჯვებისთვის უნდა მიიღოთ, მოგვეცით და თამაშს დაგითმობთო. თბილისელებმა ეს იუარეს, რადგან ეგონათ, „ზენიტს“ ისედაც ადვილად დაამარცხებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა გაყინულ მოედანზე „დინამოს“ 5:0 მოუგეს და ჩემპიონობა დააკარგვინეს.

დავით ყიფიანთან ერთად

სტუმრად ლეგენდარულ მეკარესთან

— სტუდენტობისას ჩემმა მეგობარმა ფოტოაპარატი — „სმენა“ მაჩუქა და მოყვარულის დონეზე დავიწყე ფოტოების გადაღება. ამ საქმემ შემდგომში, საკმაოდ გამიტაცა და ჟურნალისტურ საქმიანობაშიც დიდად წამადგა. 1966 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 30 სტუდენტი უნდა გაეგზავნათ პრაღაში. ცხადია, მათ შორის, ყველა, „პატრონიანი“ იყო და ერთი მე გახლდით „უპატრონო“. ამიტომ, ილია ვეკუას ვთხოვე, ჩეხოსლოვაკიაში წასვლაში დამხმარებოდა და მართლაც, მისი პროტექციით, ამ ჯგუფში მეც მოვხვდი. ადგილზე ჩასულმა, იქაურ სტუდენტს ვთხოვე, დაედგინა ლეგენდარული მეკარის — ფრანტიშეკ პლანიჩკას ტელეფონის ნომერი: 1934 წელს, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ერთად, მან ვერცხლის მედალი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელზეც საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. პლანიჩკას დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა შეხვედრაზე და ძალიან ესიამოვნა, როცა თბილისიდან წაღებული საჩუქრები გადავეცი. პლანიჩკასთან ინტერვიუს შემდეგ, ასევე ვესაუბრე ცნობილ ფეხბურთელებს — იოზეფ მასოპუსტს და ივან ბრაზის. მათთან ჩაწერილი ინტერვიუები „ლელოს“ რედაქტორს, მიხეილ კაკაბაძეს მივუტანე, რომელმაც ისინი მოიწონა და გამოაქვეყნა. ამის მერე, შევუდექი ჟურნალისტურ საქმიანობას.

დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“

— ჩემს ჟურნალისტურ კარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა 1981 წელი, როდესაც დიუსელდორფში თასების თასის ფინალზე წამსვლელთა დელეგაციაში დიდი „ჩაწყობით“ მოვხვდი. თბილისის „დინამოსა“ და იენის „კარლ ცაისს“ შორის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გამოაცხადეს, რომ დაჭრეს რომის პაპი იოანე-პავლე მეორე. ამ ცნობამ იმხელა რეზონანსი გამოიწვია, რომ ფეხბურთი არავის ახსოვდა და ტელევიზიით 24 საათი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. სტადიონზე მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მივედი და დასავლეთ ტრიბუნისკენ გავემართე, სადაც მალე, ჩვენი ფეხბურთელებიც მოვიდნენ. კინოაპარატი და ფირები სასტუმროში დავტოვე, ფოტოაპარატთან ერთად, ბინოკლი წამოვიღე თან, ტრიბუნიდან დაჯილდოების ცერემონიალი კარგად რომ დამენახა. მაშინ არენაზე გასვლა არც მიფიქრია, მაგრამ ბოლოს, ყველაფერი ისე წარიმართა, რომ მატჩისთვის თვალის დევნება სწორედ არენიდან მომიხდა. ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლებს — შოთა გორგოძეს და ტარიელ ვარდანაშვილს რომ დავეღაპარაკე, ამ უკანასკნელმა თეთრი ფერის საშვი მომცა, რომლის წყალობითაც, სარბენ ბილიკზე მოვხვდი. სხვათა შორის, თასების თასს ქართველებიდან პირველად მე შევეხე და როცა ის საპატიო ადგილზე დადგეს, ვეამბორე. ცხადია, ფოტოს გადაღებაც არ დამვიწყნია. ორივე გუნდის ვარჯიშიც აღვბეჭდე ფირზე და 32-ე სექტორისკენ გავეშურე, რათა ჩვენი გულშემატკივრები დამეფიქსირებინა. თამაშის დაწყების დრო რომ დადგა, პასუხისმგებელმა პირმა, რომელსაც მინდვრის გარშემო წესრიგის დაცვა ევალებოდა, მოედნის დატოვება მთხოვა. თურმე, ჩემი საშვი იქ ყოფნის უფლებას არ მაძლევდა და მატჩამდე 5 წუთით ადრე, არენის მიღმა აღმოვჩნდი. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, მაგრამ ამ დროს, უცნობი მამაკაცი მომიახლოვდა და როდესაც გაიგო, „დინამოს“ გულშემატკივარი ვიყავი, მკითხა: როგორ იქნება სწორედ — გუჩაევი თუ გუშაევი? — გუცაევიმეთქი, — რომ ვუპასუხე, მან წესრიგის დამცველს, რომელმაც მინდორი დამატოვებინა, რაღაც გადაულაპარაკა და რკინის ალაყაფს მიღმა შემიშვეს, თან გამაფრთხილეს — მოედანზე გასული არ გნახოთო. როგორც გაირკვა, ჩემი მშველელი, პოლონეთის ტელევიზიის კომენტატორი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი საშვი დამითმო. იმ თამაშზე ფოტოების გადაღებისას, ფირი დამიმთავრდა, მაგრამ ქართველებიდან დახმარება არავინ გამიწია. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, როცა ფირი ერთ-ერთ ფოტოგრაფს გავამჟღავნებინე, აღმოჩნდა, რომ 40-მდე კარგი კადრი გამოსულა. მან შემომთავაზა — გავყიდოთ და ფული გავაკეთოთო, რაზეც უარი ვთქვი. მაგრამ ის ჩემს ფოტოებს კარგა ხნის მანძილზე „დერზერტირების ბაზარში“ ყიდდა და საკმაო ფულიც იშოვა. მე გამომცემლობა „ხელოვნებას“ მივაკითხე, სადაც ჩემი პირველი ბუკლეტი სახელწოდებით — „დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ — 50000 ეგზემპლარით დაიბეჭდა და სწრაფადვე გაიყიდა.

სიმწრით მოპოვებული თასის გაუჩინარება

— ფინალის შემდეგ, ფეხბურთელთა საცხოვრებელი კოტეჯების მეპატრონე ქალბატონი „დინამოელებს“ დახვდა უზარმაზარი ტრანსპარანტით, რომელზეც ქართულად ეწერა: „გილოცავთ გამარჯვებას!“ კოტე მახარაძის თქმით, მან შესანიშნავი სუფრაც გაშალა, მაგრამ არავინ დამჯდარა, რადგან გუცაევსა და კაკილაშვილს ელოდებოდნენ, რომლებიც გუნდის ექიმ ზაქრო თელიას დოპინგკონტროლზე ჰყავდა წაყვანილი. მათ დაბრუნების შემდეგ, „დინამოელები“ სუფრას მიუსხდნენ და მაგიდაზე თასის დადგმაც მოინდომეს, მაგრამ, როგორც მახარაძე იხსენებდა, მას ვერსად მიაგნეს. ბატონ კოტეს ისიც კი უფიქრია, რომ ამ მომენტში თასის დაკარგვა „უაღრესად ქართული“ საქციელი იქნებოდა: ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ვისაც შეუძლია, რაზეც დიდი ხანი უოცნებია, სწორედ ის დაკარგოს... 5 წუთის განმავლობაში, მთელი დელეგაცია თურმე, დაზაფრული მჯდარა; შემდეგ, თასის ძებნას შესდგომია, რომელიც ვესტიბიულში ყვავილებთან დადებული აღმოუჩენიათ.

ვინ არის მიხეილ მესხი?

— ყოფილი „ლოკომოტივის“ სტადიონი ამჟამად, მიხეილ მესხის სახელობის რომ არის, ჩემი დიდი დამსახურებაა, რასაც ტრაბახით არ ვამბობ. 2001 წელს, ფეხბურთის გულშემატკივრებმა და ინტელიგენციამ, თბილისის მერის მრჩეველთა საბჭოს მივმართეთ წერილით, სადაც ვთხოვდით, „ლოკომოტივისთვის“, მიხეილ მესხის სახელი მიენიჭებინათ. საბჭომ, რომელსაც გიგა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა, ამ წერ-



ყოფილი „ლოკომოტივის“ სტადიონი ამჟამად, მიხეილ მესხის სახელობის რომ არის, ჩემი დიდი დამსახურებაა...

ილის საფუძველზე, შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ სტადიონი რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნის და ამიტომ, საბოლოო გადაწყვეტილება ამ უწყებას უნდა მიეღო. რკინიგზის მაშინდელ შეფს, აკაკი ჩხაიძეს ყველა დოკუმენტი ხელთ ჰქონდა და 2001 წლის 26 მაისს, სტადიონის გახსნაზე ყველა ველოდით, რომ „ლოკომოტივს“ ოფიციალურად მიანიჭებდნენ მიხეილ მესხის სახელს. მაგრამ მან გამოაცხადა, რომ სურვილი ჰქონდა, აღნიშნული არენისთვის ედუარდ შევარდნაძის სახელი დაერქმია. ამან ხალხის აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ ჩხაიძის გვერდით მდგომმა შევარდნაძემ, იმის მაგივრად, რომ სიტუაცია განემუხტა და ამ შეთავაზებაზე უარი ეთქვა, ასეთი რამ განაცხადა: მომავალმა თაობამ გადაწყვიტოს, სტადიონს ვისი სახელი უნდა მიენიჭოსო. საქართველოში ხელისუფლება რომ შეიცვალა, რკინიგზის ახალ თავმჯდომარესთან ლევან ვარშალომიძესთან დოკუმენტებით მისვლა დავაპირე, მაგრამ ვიდრე მის კაბინეტამდე მივაღწევდი, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მკითხა: მესხი ვინ არისო?.. ქალაქის კულტურის განყოფილებაში დავბრუნდი, დოკუმენტებში მესხის ყველა ტიტული ჩავაწერინე, იგივე კითხვა ვარშალომიძესაც რომ არ გასჩენოდა... რკინიგზის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა შეხვედრისას მითხრა — ჩათვალეთ, რომ ეს საკითხი 90%-ით მოგვარებულიაო. თუმცა, საქმე საეჭვოდ გაჯანჯლდა და ამასობაში, ვარშალომიძე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე დავით ონოფრიშვილი დანიშნეს. რაც შეეხება სტადიონისთვის მიხეილ მესხის დარქმევისთვის საჭირო დოკუმენტაციას — ის დაკარგული აღმოჩნდა... ყველა საბუთი თავიდან შევაგროვე, მაგრამ დიდი ჩხუბის მიუხედავად, ონოფრიშვილთან არ შემიშვეს. საღამოს შინ რომ დავბრუნდი, ჩემდა გასაკვირად, ამ ადამიანმა თავად დამირეკა და დაინტერესდა, თუ რატომ მსურდა მისი ნახვა. საქმის ვითარება რომ ავუხსენი, მან პარასკევს თავის კაბინეტში დამიბარა, ხოლო ორშაბათს დირექტორთა საბჭო მოიწვია და სტადიონს მიხეილ მესხის სახელი დაერქვა. ონოფრიშვილს ამის დამადასტურებელი საბუთი პირადად გამოვართვი და იგი სახლში მაქვს შენახული.

■

„სიზმრად ნანახი ფერები ცხოვრებაში გაღმომაქვს...“

„არ არსებობს მხოლოდ სიკეთე და მხოლოდ ბოროტება, მხოლოდ კარგი და მხოლოდ ცუდი. სადაც ეშმაკია, იქ ანგელოზიცაა. სადაც უყვართ, იქ სძულთ კიდეც. აი, ამ ყველაფრის ჭიდილს გადმოვცემ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სიკეთე საბოლოოდ მაინც იმარჯვებს. აღიარება და დაფასება საკუთარ თავზე ლაპარაკით და თავის ქებით არ მოდის — მთავარია, ჩუმად იყო და ხატო. ყველაფერი გაიღო შენი საქმისთვის და დანარჩენ თვითონ მოვა. შრომისმოყვარეობით ყველაზე მიუღწეველი ოცნების ასრულებაც შეიძლება. სამყაროს ჩემეული აღქმისა და გადმოცემის ორი საოცარი საშუალება მაქვს — პალიტრა და ფოტოაპარატი“, — მითხრა მხატვარმა და ფოტოხელოვანმა კახა ჩხატარაიშვილმა, რომლის ნამუშევრების ნახვისას მართლაც, განსაკუთრებულ სამყაროში აღმოჩნდებით. ეს სამყარო სრულიად განსხვავებული და ძალზე საინტერესოა. როგორც მასზე ამბობენ, ხატვის თავისებური, გამორჩეული სტილი აქვს. უყვარს ადამიანების ფსიქოლოგიის, განწყობილების, ხასიათის წარმოჩენა. განწყობილებას ფერით გადმოსცემს, ხასიათს — გრაფიკით. მის პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც გაეროს სახლში ამ ცოტა ხნის წინ მოეწყო, დამთვალიერებლები მხატვრის შემოქმედებამ კიდევ ერთხელ აალაპარაკა ქართულ გენსა და ნიჭზე.

ნინო ჯავახიშვილი

ჩემს ფერწერულ ტილოებში ხშირად შეხვდებით ორსახიან, გაორებულ ადამიანებს

— 1960 წელს, თბილისში, ცნობილი ისტორიკოსის — ქველი ჩხატარაიშვილის ოჯახში დავიბადე. ბავშვობიდანვე ვხატავდი. ერთხელ, ჩემმა პედაგოგმა — ლამარა მესხმა სახლში გამომატანა მიქელანჯელოს ქანდაკების დეტალი — ყურის ასლი. მეც ასლი უნდა გამეკეთებინა. მთელი ღამე არ მიძინია, ვმუშაობდი და მეორე დილით, მეორე ყურიც მზად იყო. პედაგოგი გაოცდა ჩემი ნამუშევრის ნახვისას და მითხრა, რომ პირველსავე მცდელობისას, ასეთი შედეგის მიღწევას ბევრი როდი ახერხებსო. ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ იაკობ ნიკოლაძის სასწავლებელში, ქანდაკების ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. გამიტაცა ფოტოხელოვნებამაც, რაც მამაჩემის დამსახურებაა — მის კვალს გავყევი. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პრო-

ჩემი სურათები განთავსებულია ვებ-გვერდზე და ამის წყალობით, ჩემი შემოქმედებით დაინტერესდნენ ფრანგები

ფესიათა ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა — ფოტოხელოვნების განხრით. რაც შეეხება ამ ექსპოზიციას — ეს იყო ჩემი მეშვიდე პერსონალური გამოფენა-გაყიდვა, სადაც 28 ნამუშევარი წარმოვადგინე. ჩემი სტილი არის მოდერნიზმი, ავანგარდი. ვხატავ პასტელით მუყაოზე, გრაფიკას — ტუშით ქაღალდზე. ჩემს ფერწერულ ტილოებში ხშირად შეხვდებით ორსახიან, გაორებულ ადამიანებს. ეს ადამიანის დადებით და უარყოფით მხარეებს ასახავს. ვფიქრობ, ყველა ადამიანი გაორებულია, ქრისტეს გარდა!..

— რომელიმე ნახატი გამორჩეულად თუ გიყვარს?

— ყველა სურათი ერთნაირად მიყვარს. რამდენიმე წლის წინ ჩემი ორი ნამუშევარი გერმანიის ქალაქებში — ნიურნბერგსა და კილში გამოიფინა და მაშინ მივხვდი, რომ ორივე ძალიან მომენატრა... ჩემი ნახატები 15 ქვეყნის კერძო კოლექციებშია დაცული. მხატვარმა სურათი რომ არ გაყიდოს, რით უნდა იარსებოს? ჩემი სურათები განთავსებულია ვებ-გვერდზე და ამის წყალობით, ჩემი შემოქმედებით დაინტერესდნენ ფრანგები. მათ შემომთავაზეს, მიმეღო მონაწილეობა კონკურსში, რომლის შედეგადაც 5 სურათი ფრანგულ კატალოგში მოხვდებოდა. 200-ზე მეტ კონკურსანტს შორის პირველ ადგილზე გავედი, 8 კაცში ყველაზე მეტი ქულა მე მივიღე.

— როგორია ხატვის პროცესი?

— როდესაც ხატვას ვიწყებ, არასდროს ვიცი, რა უნდა დავხატო. კონტურებს მოვხაზავ და ამის შემდეგ ხდება საოცრება — დაძინებამდე სულ ვფიქრობ, ძილში კი, ვხედავ ფერებს, რომლებიც ნახატს უნდა შევმატო და მერე, ეს ფერები ცხადში გადმომაქვს. მიყვარს წითელი, ყვითელი და მწვანე.

— რაც შეეხება ფოტოგრაფიით გატაცებას?

— ფოტოგრაფიაში უმთავრესად, პორტრეტის ჟანრში ვმუშაობ. ამბობენ, რომ მაქვს უნარი, ჩვეულებრივ ადამიანებში რაღაც არაჩვეულებრივი დავინახო. წლების წინ, გადაღებული მქონდა მარჩელო მასტროიანის და რობერტ რედფორდის ფოტოები. 1990 წელს ფოტოკონკურსში გაიმარჯვა ჩემმა ფოტომ — „ნაღვლიანი მზერა“ — მესამე პრემია გადმომეცა. არაერთ გაზეთში მიმუშავია წლების წინ, მაგრამ კარგა ხანია აღარსად ვმუშაობ.

— ამის მიზეზი, დაქვეითებული სმენა ხომ არ არის? როგორც ვიცი, ამის შესახებ გულახდილად ლაპარაკობთ...

— სამშობიარო ტრავმის გამო, სმენა დამიქვეითდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივი სკოლა დავამთავრე. სწავლაში ხელი არ შემშლია, და არც

ფოტოგრაფიაში უმთავრესად, პორტრეტის ჟანრში ვმუშაობ

მუშაობაში. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება, ეს სხვისთვის პრობლემა იყოს. მე არანაირ კომპლექსს არ განვიცდი ამის გამო. მთავარია, ადამიანი სულით არ დაეცეს და თავის შინაგანი სამყაროს სრულყოფაზე ზრუნავდეს, მაშინ არანაირი ფიზიკური ნაკლი თუ დაბრკოლება არ შეუშლის ხელს მეგობრობის, სიყვარულისა თუ შემოქმედებისგან მიღებული სიხარულის განცდაში. ძალიან მიყვარს ყველაფერი ლამაზი, განსაკუთრებით — ლამაზი ქალები...

■

ფარაონის სამარხის ფუძვლა

მთელი მსოფლიოს არქეოლოგები ააფორიაქა ცნობამ იმის თაობაზე, რომ გიზაში, სადაც დიდ პირამიდაში, გადმოცემის თანახმად ფარაონ ხეოფსის მუმიფიცირებული ცხედარი უნდა განისვენებდეს, აღმოჩენილია საიდუმლო ოთახი-კამერა, სადაც ჯერჯერობით შესვლა ვერ მოხერხდა. იქ შესვლის მცდელობას კი უკვე 12 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

„უფალო, შენ დაგვიფარე განსაცდელისაგან, — ამბობს არქეოლოგი ედვინ სტოუნმეიერი, — თუკი ფარაონის 4500 წლის წინანდელ განსასვენებელს მაინც გახსნიან. ჩემი აზრით, უმჯობესი იყო, საერთოდ ვერ აღმოეჩინათ ეს სამარხი“.

რამდენიმე თვის წინ, გიზაში შემზარავი მოვლენების ჯაჭვი დაიწყო, სწორედ მაშინ, როცა ორმა ფრანგმა ეგვიპტოლოგმა ხეოფსის პირამიდის (ელინისტურმა სამყარომ გიზაში არსებული პირამიდები, მათ შორის ყველაზე უდიდესია ხეოფსის პირამიდა, „სამყაროს შვიდ საოცრებას“ მიაკუთვნა) შიგნით, საიდუმლო ოთახი-კამერისკენ მიმავალი, მანამდე უცნობი, კამაროვანი დერეფანი აღმოაჩინა. ამ ფაქტის ოფიციალურად დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეგვიპტის ძეგლთა დაცვის უმაღლესმა საბჭომ განგაშის ზარს უკვე შემოჰკრა. როგორც ცნობილია, ეგვიპტის სახელმწიფო კანონმდებლობით კატეგორიულად აკრძალულია პირამიდებში აღმოჩენილი მუმიფიცირებული ცხედრების ხელყოფა. სინამდვილეში კი, ამ აკრძალვას ცოტა ვინმე თუ უწევს ანგარიშს.

მოყვარულმა არქეოლოგებმა, ჟილ დორმიონმა და ჟან-ივ ვერდიურმა, ზემგრძნობიარე რადარისა და ეგვიპტოლოგთა პროფესიონალური ცოდნის გამოყენებით, აღმოაჩინეს, რომ ეგრეთ წოდებული დედოფლის კამერის ქვეშ მდებარეობდა კიდევ ერთი კამერა, რომლის შესასვლელი დერეფანიც გრანიტის ბლოკებით იყო ამოქოლილი. მათი აზრით, სწორედ იქ განისვენებს ფარაონ ხეოფსის, უფრო სწორედ კი — ხუფუს, მუმიფიცირებული ცხედარი. ადამიანები ათასწლეულების მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ ამ განსასვენებლის პოვნას. სავარაუდოა, რომ ბოლოს და ბოლოს, ფარდა აეხდება ეგვიპტის მბრძანებლის საფლავის საიდუმლოს.

ხმების გავრცელების შემდეგ, ხელისუფლებამ პირამიდის დასაცავად შეიარაღებული დაცვა დააყენა

ლეგენდის თანახმად, თუკი ოდესმე ვინმე ფარაონ ხუფუს ცხედრის ხელყოფას გაბედავს, კაცობრიობას ისეთი საშინელი განსაცდელი დაატყდება თავს, რომელთან შედარებითაც არაფერი იქნება ისტორიულ წარსულში გადატანილი ომები და უბედურებები.

„ის ყოველივე, რაც დაუყოვნებლივ მოჰყვა ხუფუს აკლდამის აღმოჩენასთან დაკავშირებულ ხმებს, — განაგრძობს არქეოლოგი სტოუნმეიერი, — ადასტურებს იმ ხიფათის არსებობას, რაც ფარაონის საფლავის საიდუმლოს გამჟღავნებას შეიძლება მოჰყვეს“.

ხმების გავრცელების შემდეგ, ხელისუფლებამ პირამიდის დასაცავად შეიარაღებული დაცვა დააყენა, მაგრამ თავგადასავლების მაძიებლები თუ თავზე ხელაღებული მაროდიორები, რომლებმაც სამეფო საგანძურით ხელის მოთბობა გადაწყვიტეს, არც დაცვას შეუშინდნენ... მალე დაცვამ გრანიტის კედლის დასანგრევი ბურღებით შეიარაღებული სამი მძარცველი დააკავა და ციხეში, გისოსებს მიღმა მიუჩინა მათ ადგილი. დილით, ციხის საკანში სამივე მათგანი მკვდარი იპოვეს. გარდაცვლილებს ლამის ბუდიდან ჰქონდათ თვალები გადმოცვენილი. ექიმ-პათოლოგანატომმა დასკვნა, რომ ისინი გულის უკმარისობით გარდაიცვალნენ. გასაოცარი კი ის არის, რომ არც ერთ მათგანს არასოდეს აწუხებდა გული და თანაც სამივე ახალგაზრდა ასაკის — ოც წელს ცოტათი იყო გადაცილებული.

ორი კვირის შემდეგ, საბედისწერო სამარხის მახლობლად, კიდევ ოთხი მძარცველის ცხედარი აღმოაჩინეს, რომლებიც დინამიტითა და ალპინისტური ნაჯახებით იყვნენ შეიარაღებულები. მათი გასივებული, უფორმო მასად ქცეული ცხედრები შემზარავი სანახავი იყო, სახე კი ოთხივე მათგანს არაბუნებრივად ასჭარხლებოდა. გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ კობრას შხამი გახლდათ მათი სიკვდილის მიზეზი. კობრას ვერსად მიაგნეს, მით უმეტეს, რომ პირამიდებში არც ადრე შეუმჩნევია ვინმეს ქვეწარმავლები.

რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე პირამიდის გარეთ აღმოაჩინეს კიდევ ხუთი ბოროტმოქმედის ცხედარი. როგორც ჩანს, ისინიც ფარაონის სამარხის ხელყოფის მცდელობისთვის დაისაჯნენ. ცხედრებს არაბუნებრივად გადმოკარკლული თვალები და გატეხილი თავები ჰქონდათ. თავზე მიყენებული ჭრილობები კი იმაზე მიანიშნებდა, თითქოს სიკვდილის წინ ამ ადამიანებმა თავად ურტყეს კედელს თავი.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ რაღაც საოცრად შემზარავი რამ ნახეს, რამაც მათ გულები დაუხეთქა“, — განაცხადა შემთხვევის ადგილზე მისულმა ერთ-ერთმა სასამართლო ექსპერტმა.

მართალია, ფარაონის მუმიამდე მიღწევა ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი წყევლა უკვე ამოქმედდა. ■

დროში ჩაკარგული

მეცნიერება დროს განსაზღვრავს როგორც „მატერიის არსებობის ძირითად ფორმას (სივრცესთან ერთად), რომელიც გამოიხატება ერთიმეორის მონაცვლე მოვლენების კანონზომიერ კოორდინაციაში“. ანუ თავდაპირველად, ხდება ერთი მოვლენა, შემდეგ — მეორე, ამას მოჰყვება მესამე და ასე გრძელდება განუწყვეტლივ. სინამდვილეში კი, დრო სიურპრიზებს გვიწყობს, როცა მისი მდორე მდინარება მოულოდნელად... წყდება და მხოლოდ საგრძნობი მონაკვეთის გასვლის შემდეგ ახლდება.

„დროის ჩავარდნისას“ მატერიალური ობიექტები, რაღაც ჩვენთვის მიუწვდომელი გზით, წარსულიდან აწმყოში გადმოინაცვლებენ ხოლმე. თანაც, მსგავსი ანომალიები არა მარტო ხმელეთზე, ზღვასა და ცაში ხდება, არამედ კოსმოსშიც.

1991 წლის 26 მარტს ატლანტის ოკეანეში ჩაეშვა ამერიკული კოსმოსური ხომალდის კაფსულა, რომელშიც ასტრონავტი ჩარლზ გიბსონი იმყოფებოდა. მაშინ, როცა ასტრონავტი კოსმოსში ჯერ კიდევ 1963 წელს გაუშვეს. მას შემდეგ, რაც ნასასთან რადიოკავშირი გაწყდა, კოსმოსური ხომალდი „ჯემენი“ კი ორბიტიდან გაქრა, გიბსონს გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულად მიიჩნევდნენ. მაგრამ როცა კაფსულა ოკეანიდან ამოიღეს და გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ასტრონავტი ცოცხალი იყო! როგორ იარსება მან ხომალდზე 28 წელი, როცა მის ბორტზე მხოლოდ ნახევარი წლის სამყოფი ჟანგბადისა და საკვების მარაგი გახლდათ და სად გაქრა „ჯემენი“ ორბიტიდან, დღემდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

მიწაზე დაბრუნების შემდეგ, გიბსონი კალიფორნიაში მდებარე „ედვარდსის“ ავიაბაზაზე კარანტინში იმყოფებოდა და სამედიცინო-სარეაბილიტაციო კურსი გაიარა. ასტრონავტიცა და „ჯემენიც“ სხვადასხვა პროფილის მეცნიერებმა სკრუპულოზურად შეისწავლეს, მაგრამ იმას, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ამან ნათელი ვერ მოჰფინა. ამიტომ ნასას წარმომადგენელი ფრიად ბუნდოვანი განცხადებით შემოიფარგლა:

— ფიზიკურად ჩარლზ გიბსონი თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ის სრულიად დეზორიენტირებულია. ის ვერ აფიქსირებს იმას, რომ მისი დედამიწიდან გაფრენიდან, დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთია გასული. ასტრონავტის ფსიქიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან კი ჩამოყალიბებული აზრის გამოტანა აშკარად ჭირს. კითხვაზე — სად იმყოფებოდა ის ამდენი წლის მანძილზე? — გიბსონი ერთსა და იმავეს იმეორებს: „ამიერიდან არასოდეს, არაფრის გულისთვის!“

პარანორმალური მოვლენების მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მათ ამ შემთხვევის ახსნა ძალუძთ: „ჯემენი“ მის ბორტზე მყოფი ასტრონავტითურთ დროის მორევში მოხვდა. ცნობილია, რომ ჩვენი სამყარო დროსა და სივრცეში არსებობს. სივრცესთან დაკავშირებით, თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ რას ნიშნავს დროში არსებობა, ჩვენთვის ცოტა არ იყოს, ძნელი აღსაქმელია. თუმცა, ეს არცთუ ისე რთულია: თუკი წარმოვიდგენთ ადიდებულ, მშფოთვარე მდინარეს, რომელიც სხვადასხვა ნივთს მიაქანებს, მათ შორის, ნაპირებიდან წაღებულ სახელებსა და ადამიანებს, მათზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი სწორედ ამ მდინარეში არსებობენ. სწორედ ასე ვარსებობთ ჩვენც დროის მდინარეში. თუმცა, დროის მდორე დინება, ისევე, როგორც ნებისმიერი დინება, შესაძლოა დაირღვეს. მასში ზოგჯერ მორევები წარმოიქმნება, სადაც დროის დინება გამრუდებულად აღიქმება. ადამიანები და საგნები, რომლებიც ასეთ ანომალიურ მდგომარეობაში ხვდებიან, მხატვრულად რომ ვთქვათ, დროის დინების ისეთ სიღრმეებში ამოყოფენ ხოლმე თავს, სადაც დრო არ მიედინება ანუ ერთ ადგილზეა გაჩერებული და „ტყვეობაში მყოფნი“ არანაირ ცვლილებას არ განიცდიან. გარკვეული შუალედის შემდეგ, ისინი კვლავ ზედაპირზე ანუ ჩვენს დროში „ამოიტყორცნებიან“.

არ არის გამორიცხული, რომ „ჯემენისა“ და ასტრონავტ ჩარლზ გიბსონს სწორედ ასეთი რამ შეემთხვათ. ■

სიყვარული, რომელიც ტყვეობას ჰგავდა

დასაწყისი იხ. „გზა“ №49

...უჩვეულო წყვილზე პარიზის ყველა სალონში ჭორაობდნენ. ნაცნობები ერთმანეთს ენაძლევებოდნენ — როდის დაშორდებოდნენ ისინი ერთმანეთს და პირველი რომელი გადადგამდა ამ ნაბიჯს. მარი დე აგუ — ფერენც ლისტის საყვარელი — ერთ-ერთ წერილში წერდა: „რამდენადაც ვიცნობ ორივე მათგანს, მათ ერთმანეთი ძალიან, ძალიან მალე შესძულდებათ: ისინი ხომ ერთმანეთის ანტიპოდები არიან...“ მაგრამ შოპენი მაინც აღმერთებდა თავის სატრფოს. ის წერდა დღიურში: „ავრორა, მინდა, მხოლოდ შენთვის ვიცხოვრო. შენთვისვე მინდა, დავუკრა ნაზი მელოდიები“. 1839 წლის ზაფხულში, ნოანში მან დაწერა სონატა — „სი-ბემოლ მინორი“, ნოქტიურნი №2, სამი „მაზურკა“. უეჭველი იყო, მის გვერდით ჟორჟ სანდის ყოფნა შთააგონებდა მას.

როცა ქალი ფრედერიკის როიალთან მჯდომს ხედავდა, მას რაღაცნაირი გაორების გრძნობა იპყრობდა: თითქოს ეს ის ადამიანი კი არ იყო, რომელსაც ის ბიჭუნას ეძახდა და ნაზად უსვამდა ხოლმე თავზე ხელს, არამედ სულ სხვა, ვისაც სულაც არ სჭირდებოდა მისი მფარველობა, ვინც მასზე ბევრად მაღლა იდგა და მასზე ძლიერიც იყო. მაგრამ ჰანგები მიწყდებოდა, შოპენი ადგებოდა და ჟორჟი, თუმცა რცხვენოდა, რომ საკუთარი თავისთვის გაემხილა ეს, შვებით ამოსუნთქავდა ხოლმე: შოპენი კვლავ „მის ბიჭუნად“ იქცეოდა, რომელიც მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული.

ერთხელ, როდესაც შოპენი სტუმრების თანდასწრებით უკრავდა, ჟორჟს მოეჩვენა, რომ მას შუბლზე ოფლმა დაასხა, რაც ძალზე ცუდის ნიშანი იყო, მისი ავადმყოფობიდან გამომდინარე. ქალი მივარდა მასთან, შუბლი ცხვირსახოცით შეუმშრალა და იქ დამსწრეთ განუცხადა, რომ ბატონი შოპენი იმ დღეს მეტს აღარ დაუკრავდა — ის დაიღალა. შოპენმა მას განრისხებული მზერა მიაპყრო და ცივად შენიშნა, რომ დაკვრას გააგრძელებდა... მსგავსი სიტუაცია უკვე საკმაოდ ხშირად მეორდებოდა. სადილობისას, ის უხეშად იშორებდა მის მზრუნველ ხელს, რომელიც საგანგებოდ მისთვის მომზადებულ ბულიონს უდგამდა წინ. სანდს არაფრით უნდოდა გაეგო, რომ ეს საჯარო მზრუნველობა, რომელიც ასე ესალბუნებოდა მის პატივმოყვარეობას, სრულებით აუტანელი იყო შოპენისთვის და თუმცა ის მზად იყო, უფლება მიეცა, მისი გავლენის ქვეშ მოექცია, ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა ამას ვერავინ ხედავდა.

ეს კონფლიქტი მაშინაც იჩენდა თავს, როცა ჟორჟი ყველაზე ნაკლებად ელოდა, კერძოდ — საძინებელში. ჟორჟ სანდის ვეებერთელა, ღია ყავისფერი ხავერდით გაწყობილ საძინებელ ოთახში, რომელსაც ყველა მისი საყვარელი უნახავს, შოპენი სულ უფრო ხშირად განიცდიდა ფიასკოს სასიყვარულო თამაშებისას... თავიდან, ჟორჟი ამას ფრედერიკის მორიდებულობას მიაწერდა — შოპენი უკვე თითქმის 30 წლის იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში ძალზე შეზღუდული იყო... ერთ მშვენიერ დღეს კი, შოპენმა, რომელიც დაიქანცა უნაყოფო მცდელობებით და საშინლად დამცირებულად გრძნობდა თავს ქალის განუწყვეტელი დარიგებების გამო, დაუნდობლად მიახალა მას: „ისე იქცევი, რომ შეუძლებელია, კაცს სურდეს შენთან სიახლოვე. თითქოს ჯარისკაცი ხარ და არა ქალი!“ ჟორჟმა თავი ისე იგრძნო, თითქოს გულში დანა ჩასცეს: 1833 წელს, ვენეციაში თითქმის იგივე სიტყვები უთხრა მას ალფრედ დე მიუსემ და სწორედ ეს იქცა მათი ხანმოკლე სიყვარულის დასასრულის დასაწყისად. რაც შეეხება შოპენს, სანდი იმით იმშვიდებდა თავს, რომ ის საკუთარი უსუსურობის გამო იკბინებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალი უსაზღვროდ იტანჯებოდა: არაფერი ისე არ სტკენდა გულს, როგორც იმაზე მინიშნება, რომ ლოგინში ის ქალი არ იყო... ბოლოს და ბოლოს, ფრედერიკის შეურაცხმყოფელმა სიტყვებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ჟორჟი უკვე გაურბოდა მასთან ინტიმურ სიახლოვეს. ის შთააგონებდა მასაც და საკუთარ თავსაც, რომ თავშეკავება მათთვის სასარგებლო იქნებოდა, ხოლო მათი სიყვარული ამით მხოლოდ უფრო ამაღლებული და მშვენიერი გახდებოდა. შოპენმა სიამოვნებით დაიჯერა ეს, რადგან პანიკურად ეშინოდა ავადმყოფობის რეციდივების. მაგრამ იმავდროულად, მასში ამბოხი მწიფდებოდა, მით უფრო საშინელი ამბოხი, რაც უფრო ნათლად აცნობიერებდა, თუ რამდენად იყო დამოკიდებული თავის საყვარელზე. მას შემდეგ, რაც სანდმა თავისი საძინებლიდან გააძევა, შოპენს ხასიათი დღითი დღე უფუჭდებოდა...

1842 წელს, ჟორჟ სანდმა და შოპენმა პარიზში თავიანთ ბინაში რაღაც არტისტული სალონის მაგვარი მოაწყვეს. საღამოობით იქ იკრიბებოდნენ: ბალზაკი, დელაკრუა, ჰაინე, მოცეკვავე ტალიონი, პოლინა და ლუი ვიარდოები და ასევე, შოპენის თანამემამულენიც: ადამ მიცკევიჩი, გრაფინია დელფინა პოტოცკა და სხვები.

შოპენი, ზედმეტად თავშეკავებული, ჭეშმარიტი არისტოკრატი, თეთრი ხელთათმანებით, ტანჯვით შესცქეროდა, როგორ აპირებდა მისი სატრფო სტუმრებთან გასვლას და შეშფოთებულ სახეზე ხელებს იფარებდა: ისევ ეს ვიწრო შარვალი, ეს უაზრო, აბრეშუმით გაწყობილი ფეხსაცმელი, პირში გაჩრილი სიგარა!.. ბოლო ხანებში, ავრორას გარეგნული იერი განსაკუთრებით უშლიდა მას ნერვებს.

— ქალბატონო, შეიძლება გთხოვოთ, ჩემი გულისთვის მაინც ხანდახან გაიხსენოთ, რომ ქალი ხართ და უფრო შესაფერის სამოსში გამოეწყოთ? — შუბლშეჭმუხნილმა წარმოთქვა მან და განაგრძო: — მხოლოდ იმისთვის, რომ ისე გამოიყურებოდეთ, როგორც ნებისმიერ ღირსეულ ქალბატონს შეეფერება...

— მაგრამ მე არ მსურს, ისე გამოვიყურებოდე, როგორც ნებისმიერი ქალბატონი და მით უმეტეს, როგორც ყველა ღირსეული ქალბატონი, — ჯიუტად განუცხადა ქალმა. — მინდა, ისე გამოვიყურებოდე, როგორც ჟორჟ სანდი!

შოპენმა მხრები აიჩეჩა. მას უკვე დიდი ხანია, აღიზიანებდა ავრორას სიჯიუტე, მისი ვულგარული ბოჰემურობა... მისთვის ძნელი იყო, გაეგო ამ ქალისთვის: ის ხომ თავს, თხემით ტერფამდე არისტოკრატად გრძნობდა და ამ გრძნობას ნაკლებად როდი უფრთხილდებოდა, ვიდრე თავის მუსიკას. მაგრამ საქმე მარტო ტანსაცმელს რომ ეხებოდეს!.. სანდი დარწმუნდა, რომ მისი თავაზიანი, დამჯერი ბიჭუნა საშინლად, აუტანლად ეჭვიანი იყო.

თავიდან, შოპენმა მოითხოვა, რომ ჟორჟ სანდს უარი ეთქვა მათ სალონში ჰაინრიხ ჰაინეს მიწვევაზე მხოლოდ იმ ერთადერთი მიზეზით, რომ პოეტს ჩვეულებად ჰქონდა, ძველი მეგობრის უფლებით, ხმამაღლა შეეძახა დიასახლისისათვის — „ჩემი გული თქვენსას ეხვევა!“ — და იმის ნაცვლად, რომ ქალისთვის ხელზე ეკოცნა, სანდს მოურიდებლად უტყაპუნებდა ხელს მხარზე... შემდეგ, სანდი-შოპენის სალონიდან გაძევებულთა ბედი გაიზიარა ბალზაკმა, რომლის დანაშაულიც იმაში გახლდათ, რომ ის დაჟინებით მისჩერებოდა ხოლმე ჟორჟს და ძალზე თავისუფლად ებაასებოდა. შემდეგ მას მიჰყვა მიცკევიჩი, რომელიც რამდენჯერმე, ძალზე მიუახლოვდა მას... თუ სანდი მის მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მაშინ უახლოეს საღამოს, მას „განაღდებული“ ჰქონდა შოპენის საშინელი ხველა, რომელიც ასე აფრთხობდა ქალს. დროდადრო, მას კვლავ უვარდებოდა სისხლდენა ყელიდან. „თუ რაიმეს მის საწინააღმდეგოს გავაკეთებ, ის იმით იძიებს ჩემზე შურს, რომ მოკვდება და ამაში, რა თქმა უნდა, მე ვიქნები დამნაშავე. რას იზამ, მე ჩემი ნებით ავიკიდე ეს ტვირთი!“ — წერდა თავის დღიურში ჟორჟ სანდი. მაგრამ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ის სიცოცხლეში პირველად გრძნობდა თავს სავსებით ბედნიერად: შოპენმა აზრი შესძინა მის ცხოვრებას და ავრორამ თავი დაირწმუნა იმაში, რომ ყველაფერს სწირავს, ოღონდ გენიოსი გადაარჩინოს. მსგავსი თავგანწირვა საოცრად აღამაღლებდა მას საკუთარ თვალში. რაც შეეხება შოპენის „გამოხდომებს“ — ის ცდილობდა, ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა და სერიოზულად არ მიეღო...

შოპენი სულ უფრო ეჭვიანობდა, სანდის სამუშაოს გამო. ხშირად მოითხოვდა მისგან, რომ წერისთვის თავი დაენებებინა. მას ეს საქმიანობა ქალისთვის დამამცირებლად და უაზროდ მიაჩნდა. მისთვის ჩვეულ ღამის საათებში წერაში ხელი რომ შეეშალა, ის კვლავ თავის „ყოვლისშემძლე“ ხველის შემოტევებს მიმართავდა... ჟორჟ სანდი იმით გამოირჩეოდა, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო: მუდამ, კარგად აწყობილი საათივით მუშაობდა, შინ, სასტუმროში, მოგზაურობისას; მაშინაც კი, როცა საყვარელი მიატოვებდა ან შვილი გაუხდებოდა ავად, ის ყოველდღიურად წერდა მორიგი რომანის 15-20 გვერდს და პრაქტიკულად, აღარც არაფერს ასწორებდა ხოლმე ნაწერში. მისი ამ უნიკალური უნარის ბევრს შურდა, მათ შორის, ბალზაკსაც და ფლობერსაც.

— მომისმინე, ფრედერიკ, — უთხრა ერთ დღეს ჟორჟმა, როცა ძალზე დაიღალა დაუსრულებელი პრეტენზიებისგან, — ჩვენ ხომ ძირითადად, სწორედ ჩემი მწერლობით ნაშოვნი ფულით ვცხოვრობთ. მაგრამ თუ მზად ხარ, მე და ჩემი შვილები შენს კმაყოფაზე გვამყოფო, — ძალიან მშვიდად და მორჩილად განაგრძობდა იგი, — მაშინ იქნებ, დავანებო კიდეც თავი წერას და შენს პასიად ვიქცე...

ჟორჟმა იცოდა, რომ გულუხვი შოპენი თავის კამერდინერს უფრო მეტს უხდიდა, ვიდრე პარიზის დიდი გამომცემლობის დირექტორი იღებდა. „პასიად?“ — შოპენს შეაჟრჟოლა. რა მდაბიური სიტყვაა!.. მას შემდეგ, აღარასოდეს გამოუთქვამს პროტესტი მისი სამუშაოს მიმართ. მაგრამ ჩხუბისთვის სხვა მიზეზი მოიძებნა. სანდსა და შოპენს შორის არასოდეს ცხრებოდა იდეური უთანხმოება: შოპენი კონსერვატორი იყო, ჟორჟი კი — მტკიცე რესპუბლიკელი და თუმცა სანდი გრჟიმალასადმი გაგზავნილ წერილში ამტკიცებდა — შოპენთან პოლიტიკურ თემებზე არასოდეს ვიკამათებო, — მას ეს არ გამოსდიოდა და ისინი ხშირად დაობდნენ... ერთხელ კი, თანაც სრულიად შემთხვევით, შოპენი, მისი თვალსაზრისით სავსებით უაზრო სცენის მოწმედ იქცა, რაც მას ნებისმიერ ღალატზე უარესი ეჩვენა.

ქუჩაში, მათი სახლის სიახლოვეს ფრედერიკმა დაინახა თავისი სატრფო, რომელსაც საეჭვო შესახედაობის მამაკაცები ეხვივნენ გარს. ისინი აშკარად, უბრალო მოსამსახურეები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი სანდის წინაშე მუხლებზეც კი დაეცა და ხმამაღლა გამოუტყდა სიყვარულში. შემდეგ მათ ვიღაც ბერძენი გამოეყო, რომელიც მას „შენობით“ ელაპარაკებოდა და მის საკოცნელად მიიწევდა. კიდევ ერთი მამაკაცი, რომელსაც გრძელი, გაჩეჩილი თმა ჰქონდა, მის წინ მუხლებზე დაეცა და ჟორჟს „ამაღლებულს“ უწოდებდა. სანდი მათ მშვიდად პასუხობდა რაღაცას და მის ხმასა და საქციელში, არც ზიზღი იგრძნობოდა და არც ის, რომ შეურაცხყოფილი იყო. თითქოს მათი საქციელი ქალს სრულიად ნორმალური ეჩვენებოდა. ჟორჟ სანდი მხოლოდ მაშინ შეკრთა, როცა უკან მიიხედა და შოპენის გამკიცხავ მზერას წააწყდა. „მეგობრობის უცნაურობანი!“ — თითქოს აგდებულად გასძახა მას, მაგრამ შოპენმა გააფთრებით შეაწყვეტინა:

— ვინ არიან ეს კაცები, მადამ?

— ჩემი მეგობრები, მწერალი-დემოკრატები.

— და ამ დაუბანელი დემოკრატების შემდეგ, მე უნდა გაკოცოთ?!

„ის მკოცნიდა! — მწარედ წამოიძახებს ჟორჟ სანდი თავის დღიურში. — საწყალი ბიჭუნა! მას ჰგონია, რომ იცის, რა არის კოცნა. მას ჰგონია, რომ რასაც ის აკეთებს, ამას კოცნა ჰქვია! უკვე რამდენიმე წელია, მის გვერდით ქალწულივით, მონაზონივით ვცხოვრობ...“

...ერთხელ ნოანში, სადაც ძველებურად ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, ჟორჟის ძველი მეგობარი — დელაკრუა ჩავიდა. მანერებითა და აღზრდით ის ნამდვილი დენდი იყო, ერთ-ერთი, სანდის იმ მცირერიცხოვან მეგობართაგან ვის მიმართაც შოპენი გულწრფელ სიმპათიას გრძნობდა. 1844 წლის ივნისის თბილი საღამო იყო; პატარა კომპანია ტბის პირას, ტალავერში მოკალათდა და მოულოდნელად, სანდმა მამაკაცებს შესთავაზა, მოესმინათ მისი ახალი რომანი, „ლუკრეცია ფლორიანი“. იმის შესაბამისად, თუ როგორ კითხულობდა ქალი, დელაკრუას სახე სულ უფრო და უფრო მეტ გაოცებას გამოხატავდა და შეუმჩნევლად გადახედავდა ხოლმე შოპენს. აშკარა იყო, რომ რომანის გმირები — ლუკრეცია და მეფე, წვეთი წყალივით ჰგავდნენ სანდსა და შოპენს, მათი ურთიერთობის ყველა წვრილმანი სრულიად დაუფარავად იყო ასახული ნაწარმოებში: ლუკრეციას გატაცება, „ანგელოზივით მომხიბლავი“ მეფით და შემდეგ, თანდათანობით — იმედგაცრუება. „ერთხელ, მეფემ იეჭვიანა ლუკრეციაზე, — აღუშფოთებლად კითხულობდა ჟორჟი, — მისი ეჭვის ობიექტი, მღვდელი იყო, შემდეგ — ვიღაც მდაბიო, მერე უკვე — მსახური... შემდეგ იყო მეწვრილმანე, მერე — ექიმი, ბოლოს — მისი ბრიყვი ბი-



შოპენის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ჟორჟი დამპირდა, რომ მის ხელებში დავლევდი სულს“...

ჟორჟ სანდი წერდა: „ვამჯობინებ, მგრის ბანაკში გხედავდეთ, ვიდრე თავს ვიცავდე მეგოქისგან, რომელიც ჩემი ძუძუთია გაზრდილი“

ძაშვილი... მეფე ბავშვებზეც კი ეჭვიანობდა...“ შოპენის ლამაზ სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შერხეულა. რომანი იმით მთავრდებოდა, რომ ლუკრეცია, რომელიც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა მის მწვალებელ საყვარელს, მოულოდნელად კვდებოდა.

— ძალიან, ძალიან გულისამაჩუყებელია, — აღუშფოთებლად წარმოთქვა შოპენმა, როცა ჟორჟმა კითხვა დაასრულა. — მაგრამ რატომ არ მიატოვა ლუკრეციამ ეს ურჩხული?

დელაკრუა ძალზე უხერხულად გრძნობდა თავს: მას დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ შოპენს რომანის გმირში საკუთარი თავი ვერ ეცნო. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ეს მართლაც, ასე იყო... მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიტყო სანდმა გრაფი გრჟიმალასაგან, რომ სინამდვილეში, შოპენი ყველაფერს მშვენივრად მიხვდა.

ჟორჟს, თავის მხრივ, ეგონა, რომ საკმაოდ კარგად შენიღბა სიმართლე. მას სურდა, ცოტათი ეკბინა შოპენისთვის და ეგრძნობინებინა, როგორც ქალი იტანჯება ისეთი მამაკაცის გვერდით,

როგორიც მეფე იყო, რომელსაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო, შოპენთან. მაგრამ კომპოზიტორმა ისე ოსტატურად ითამაშა, თითქოს ვერაფერი გაიგო, რომ სანდმა იფიქრა — მისი ისარი საერთოდ ასცდა მიზანს. ის მწარედ იყო იმედგაცრუებული...

ამ დროს, ღრმად შეურაცხყოფილი შოპენი ცდილობდა, რაც შეიძლება მწარედ ეძია შური. მას ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდა სულიერი ძალები, რათა უბრალოდ ამდგარიყო და წასულიყო, ის ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო ამ ქალზე, თუმცა, ამ სისუსტისთვის უკვე კიცხავდა საკუთარ თავს. რაღაც მომენტში, სანდმა უეცრად შეამჩნია, რომ ძალზე შეიცვალა შოპენის ურთიერთობა მის ქალიშვილთან — სოლანჟთან. ადრე ის მწარე შენიშვნებს არ აკლებდა სოლანჟს და მორისს, ახლა კი, ყოველ შემთხვევაში სოლანჟთან დამოკიდებულებაში, საოცრად თავაზიანი იყო. 18 წლის მზეთუნახავი, რომელიც მთელი ცხოვრება, დედამისის საყვარლების გრძელ მწკრივს უყურებდა, ძალზე ამპარტავან და გულცივ ადამიანად ჩამოყალიბდა და ყველასა და ყველაფერს ამრეზით უყურებდა, პირველ რიგში კი — საკუთარ დედას. სოლანჟს იგი უზნეო, სასტიკ და მამაკაცური თვისებებით შემკულ ქალად მიაჩნდა. უკვე დიდი ხანი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ დედა გაებრაზებინა, ის ცდილობდა, ეკეკლუცა შოპენთან და უცებ... მისმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. სანდი სულ უფრო და უფრო მეტი გაოცებით აკვირდებოდა, თუ რაოდენ კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს შოპენი და მისი ურჩი ქალიშვილი. შოპენი სულ უფრო ხშირად უხმობდა სოლანჟს თავის ოთახში და დაკეტილ კარს მიღმა საათობით უკრავდა მარტო მისთვის, რაზეც ადრე, მხოლოდ ჟორჟს შეეძლო, ჰქონოდა პრეტენზია. სასადილო ოთახში შოპენი სოლანჟის გვერდით ჯდებოდა და გალანტურად ემსახურებოდა სუფრასთან, თან დიდხანს და ნაზად ჩასცქეროდა თვალებ-

...უჩვეულო წყვილზე პარიზის ყველა სალონში ჭორაობდნენ

ში. ამავე დროს, შოპენი აშკარად გაურბოდა ჟორჟს და მასთან ურთიერთობისას რაღაც გაუცხოებასა და გულცივობას იჩენდა. ახლა კაცს მხოლოდ ხანდახან თუ სჭირდებოდა იგი, როცა მორიგი შეტევის მოახლოებას გრძნობდა. მაგრამ როგორც კი შეტევა ჩათავდებოდა, ის უმალ ჩამოიფარებდა თავის დამცავ ნიღაბს. სანდი ძალიან იტანჯებოდა, ის დამცირებულად, ფეხქვეშ გათელილად გრძნობდა თავს. თანაც — ვისგან? სწორედ მათგან, ვისაც, როგორც თვითონ მიაჩნდა, მთლიანად მიუძღვნა საკუთარი თავი, ვისაც ყველაფერი შესწირა!..

ჟორჟს ქალიშვილთან ურთიერთობა იმანაც გაურთულა, რომ 18 წლის ღარიბი ნათესავი გოგონა — ოგიუსტინ ბრო შეიფარა, — ისევ საკუთარი დაუცხრომელი მოთხოვნილების გამო, აუცილებლად დაეცვა დაჩაგრული ადამიანი. ოგიუსტინი ძალზე მორჩილი და ალერსიანი არსება იყო და სანდმა არაერთხელ გადაუკრა სიტყვა სოლანჟს, რომ თუ არ შეიცვლებოდა, მზითევს ჩამოართმევდა და ოგიუსტინს მისცემდა... ერთხელ, დედა-შვილს შორის კვლავ იფეთქა მორიგმა გააფთრებულმა ჩხუბმა საცოდავი ოგიუსტინის გამო. „დედიკო, იცოდეთ, ინანებთ, რომ საკუთარი ქალიშვილი არ გიყვართ!“ — კბილებში გამოცრა სოლანჟმა. მეორე დღეს, როდესაც სანდი ცხენით სიერნობის შემდეგ, შინ დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ფრედერიკი ნოანიდან გაქრა. მოსამსახურემ უთხრა, რომ შოპენმა უბრძანა, მისთვის ეტლი მოემზადებინათ, შიგ ჩააწყო თავისი ნივთები და სადღაც გაემგზავრა, ისე, რომ რიგიანად არავის გამომშვიდობებია.

სანდი მას პარიზში გაეკიდა, მაგრამ ფრედერიკმა სხვა ბინა იქირავა და ქალმა ვერ მიაგნო. ჟორჟი მას მავედრებელ წერილებს სწერდა, მაგრამ შოპენი პასუხის ღირსადაც არ ხდიდა. სანდმა სიამაყეს სძლია და ფეხებში ჩაუვარდა შოპენის მეგობარს, გრაფ გრჟიმალას. აი, მაშინ გაირკვა გაუგონარი სიმართლე: დედასთან ჩხუბის შემდეგ, სოლანჟმა „საიდუმლოდ“ გაუმხილა შოპენს, რომ ჟორჟს უკვე რამდენიმე წელია, საყვარლები ჰყავდა. მან მათი ვინაობაც დაუსახელა: ვიქტორ ბორი და ახალგაზრდა მხატვარი ეჟენ ლამბერი. უთხრა ისიც — ყველა ჩუმად დაგცინის და სანდი სადაცაა, თავიდან შენს მოშორებას აპირებსო... გასაგებია, რომ ასეთ „სიმართლეს“ შოპენის თავმოყვარეობა ვერ აიტანდა. მან სიტყვაზე დაუჯერა სოლანჟს, არც მოუთხოვია და არც უძებნია დამამტკიცებელი საბუთები.

ფრედერიკ შოპენისადმი გამოსამშვიდობებელ წერილში ჟორჟ სანდი წერდა: „ვამჯობინებ, მტრის ბანაკში გხედავდეთ, ვიდრე თავს ვიცავდე მეტოქისგან, რომელიც ჩემი ძუძუთია გაზრდილი“.

შოპენი გარდაიცვალა ჟორჟ სანდთან განშორებიდან ორი წლის შემდეგ — 1849 წლის 17 ოქტომბერს. მან წამებით დალია სული და სოლანჟი ერთერთი იმათგანი გახლდათ, ვინც აგონიის დროს მის გვერდით იყო. მას შემდეგ, რაც შოპენმა ნოანი დატოვა, მისი და სოლანჟის ხელოვნური ურთიერთობა შეწყდა. თავის სასიკვდილო სარეცელთან კი, მან მხოლოდ იმიტომ მოუხმო ქალს, რომ როგორღაც ჟორჟის მაგივრობა გაეწია მისთვის — ერთადერთი ადამიანის მაგივრობა, ვისაც, როგორც მას მუდამ სწამდა, შეეძლო, სიკვდილისგან ეხსნა იგი... სიამაყემ ბოლომდე არ მისცა უფლება შოპენს, თავად სანდისთვის დაეძახა. მისი სიცოცხლის ბოლო წუთების შემსწრენი ამბობდნენ, რომ შოპენის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ჟორჟი დამპირდა, რომ მის ხელებში დავლევდი სულს“...

■

R კლასის Mercedes-Benz

ოთხი მოდელის — პრიმიუმ-სედანის, უნივერსალის, ყველგანმავლისა და მინივენის კომპონენტების ერთ ავტომობილში შერწყმა თურმე, საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ჯერ კიდევ როდი ნიშნავს: როცა მანქანა ევროპისთვისაა განკუთვნილი, ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ იქ ამერიკული გაბარიტები არ გამოდგება. ცხადია, ეს შტუტგარტში არ ეშლებათ და იქაურმა კონსტრუქტორებმა უკვე ახალი საფირმო კონცეფციის — Grand Sports Tourer — შემუშავების ეტაპზეც გაითვალისწინეს.

სწორედ ამ კონცეფციის შედეგს წარმოადგენს R კლასი — მანქანა, რომელიც ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციისთვისაა გათვალისწინებული. ფრანკფურტის წლევანდელ ავტოსალონზე გერმანელებმა წარმოადგინეს ამ სამოდელო რიგის ევროპისთვის განკუთვნილი ვერსია, რომლის სიგრძე 4922 მმ-ა — ე.ი. „ამერიკულთან“ შედარებით, 235 მმ-ით მოკლეა. საბორბლე ბაზაც, 3215 მმ-ს ნაცვლად, 2980 მმ-ს შეადგენს.

ეს მანქანა აღჭურვილი იქნება ბენზინის ძრავებით — R 500 (5,0 V8, 306 ცხ.ძ.) და R 350 (3,5 V6, 272 ცხ.ძ.) ან დიზელის ძრავათი — R320 CDI (3,0 V6, 224 ცხ.ძ.). როგორც რუსული პრესა იუწყება, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ბაზარზე ის უკვე 2006 წლის თებერვალში გამოჩნდება. R კლასის ზუსტი ფასები ჯერჯერობით გამოცხადებული არაა, მაგრამ ექსპერტთა ვარაუდით, 65-დან 70 ათას ევროს შორის უნდა მერყეობდეს.

ჰეჩ-კუპე Jaguar XK

ის, რომ წლეულს, მსოფლიო ავტობაზარზე ახალი „იაგუარი“ უნდა გამოჩენილიყო, ჯერ კიდევ გასულ ზამთარში გამართულ დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე გახდა ცნობილი, სადაც ინგლისელებმა კონცეპტუალური მოდელი — JAguar Advanced Lightweight Coupe წარმოადგინეს. მაშინ, დამთვალიერებლები და სპეციალისტები მარჩიელობდნენ იმაზე, თუ როდის გამოჩნდებოდა მისი სერიული ვერსია — ჟენევის ავტოსალონზე გაზაფხულზე თუ ფრანკფურტის ავტოსალონზე — შემოდგომაზე. ბოლოს და ბოლოს, ის ფრანკფურტში გამოამზეურეს.

მისი წინამორბედი — მოდელი XK 1996 წლის მარტში იყო გამოტანილი საავტომობილო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე. დროთა განმავლობაში, მასში მცირედი ცვლილებები შეჰქონდათ.

როგორც მწარმოებელმა გამოაცხადა, ახალი XK უკვე 2006 წლის მარტში გამოჩნდება ევროპაში. არავის ეგონა, თუ სერიული ვერსია კონცეპტუალურ მოდელს, ჰეჩბეკისთვის დამახასიათებელ უკანა კარს დაესესხებოდა, მაგრამ კონსტრუქტორებმა სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ამიტომაც, ამ მანქანას, თუნდაც პირობითად, ჰეჩ-კუპეს უწოდებენ.

ახალი მოდელი წინამორბედზე უფრო დიდია, ამავე დროს, 63 კგ-ით მჩატეა. ძარა ალუმინისგანაა დამზადებული და ფოლადისაზე 31%-ით გამძლეც გახლავთ. სიახლეებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპოტი (PDBS სისტემის), რომელიც იმგვარადაა დამზადებული, რომ ფეხით მოსიარულეზე დაჯახების შემთხვევაში, აიხდება და დარტყმის ძალას შეასუსტებს. ახალი „იაგუარი“ ასეთი კაპოტით აღჭურვილი პირველი სერიული მანქანა იქნება.

საინტერესოა, რომ ბევრი სიახლის მიუხედავად, XK ძველი ძრავათი იქნება აღჭურვილი: ეს გახლავთ 4,2 ლ მოცულობის 8-ცილინდრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 298 ცხ.ძ-ს შეადგენს. თუმცა, 6-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფთან ერთად, ის მაინც საუცხოო ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა: მაქსიმალური სიჩქარე — 250 კმ/სთ, 100 კმ/სთ-ს განვითარების დრო — 6,2 წმ.

როგორც კომპანიის მესვეურებმა გამოაცხადეს, უახლოეს მომავალში, მას კაბრიოლეტი და 400 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, XKR ვერსია შეემატება. ■

„...ყველა ქვეყანაში მომღერლებს ხელისგულზე ატარებენ“

„ვფიქრობ, დღეს პოპულარული მომღერალი არავინ არის. არ ვიცი, რა მოხდა, ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი მხრიდან ხარისხი არ გამიუარესებია“, — ამბობს ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი სტეფანე მღებრიშვილი, რომელიც ბოლო დროს, ნაკლებად ჩანს, როგორც მომღერალი..

ეკა მინდაძე

— სტეფანე, სად დაიკარგეთ?

— არსად. უბრალოდ, უფრო, სარეკლამო ბიზნესით დავინტერესდი. ჩემი, როგორც მომღერლის, პასიურობა ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ დღეს სამწუხაროდ, ხალხს მუსიკისადმი ინტერესი აქვს დაკარგული. ამჟამად ჩემს მთავარ საზრუნავს, კომპანია „არტფორუმი“ წარმოადგენს. თუმცა, მაინც ჩავწერე რამდენიმე ახალი სიმღერა, რომლის მოსმენა ხალხს რადიოს საშუალებით შეუძლია. სულ მალე, საინტერესო პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, რომელსაც ჯერ ვერ გაგიმხელთ, რადგანაც მოლაპარაკება ჯერჯერობით არ დამთავრებულა.

— რა ხდება დღევანდელ ქართულ ესტრადაში?

— მართალი გითხრათ, მე არ ვიცი, დღეს არსებობს თუ არა ქართული ესტრადა. უმეტეს შემთხვევაში, საშინლად დაბალი ხარისხის სიმღერები ტრიალებს და ალბათ ამიტომაც, არანაირი სურვილი არ მაქვს მათი მოსმენის.

— თქვენ თუ უფრო მაგრები იყავით, რატომ აღარ ჩანხართ ისე, როგორც ვთქვათ, 2 წლის წინ?

— ვფიქრობ, დღეს პოპულარული არავინ არის. არ ვიცი, რა მოხდა. მე ჩემი მხრიდან ხარისხი არ გამიუარესებია, ქართველებმა ხომ ადამიანის დაფასება არ ვიცით — მანამდე, ვიდრე სხვა არ აღიარებს ადამიანის ნიჭს და ტალანტს. არადა, თითქმის ყველა ქვეყანაში თავიანთ მომღერლებს ხელისგულზე ატარებენ. ამას წინათ, კახა ცისკარიძე ბაქოდან აღფრთოვანებული დაბრუნდა. მასში დიდი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ თურმე, აზერბაიჯანში მცხოვრებ თითქმის ყველა მომღერალს უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან. მათ შორისაა ქართველი მომღერალი მანანა ჯაფარიძე. აქ კი, რაც უფრო ზემოდან გადმოგხედავენ და ცინიკურად მოგიხსენებენ, თავი უფრო მაგარი ტიპები ჰგონიათ.

— კომერციული თვალსაზრისით, სარეკლამო სფეროში მუშაობა უფრო მომგებიანია?

— დღესდღეობით, ალბათ, უფრო მომგებიანია. იყო პერიოდი, როცა მომღერალი კლუბებში გამოსვლით კარგ ფულს შოულობდა, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია, რადგანაც საკლუბო ცხოვრება თბილისში აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, მე ამ კომპანიაში ყოფნით ვარსებობ, ხოლო მომღერლობით, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კონცერტი ჩამიტარებია, ფული საერთოდ არ მექნებოდა, რადგანაც გლობალურად შოუბიზნესში ფული არ არის.

— ქართველი მომღერლებიდან ვის გამოარჩევდით?

— საქართველოში გემოვნებიანი მომღერალი ძნელი მოსაძებნია. თუმცა არიან. მაგალითად, ნინო ქათამაძე ადრეც იყო და დღესაც არის წარმატებული მომღერალი. ის მართლაც რომ ნამდვილი მუსიკოსია.

— ყველაზე მეტად რა ჟანრის მუსიკის მოსმენა გიყვართ?

— მიყვარს ყველაფრის მოსმენა, რაც კარგია. თუ მუსიკა ხარისხიანია, ჟანრს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

— თქვენი სიმღერებიდან რომელს გამოჰყოფდით?

— დღეს არც ერთი აღარ მოწონს...

— კომპანია „არტფორუმის“ მიერ გადაღებული სარეკლამო რგოლები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა...

— მართალია, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ორი რეკლამა გვაქვს გაკეთებული, მაგრამ ორივე წარმატებულია. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასეთსავე ხარისხიან პროდუქციას გადავიღებთ ნებისმიერი დამკვეთის მიერ შემოთავაზებული პროექტით.

— თქვენ მეუღლე, მაია დარსმელიძეც ამ კომპანიაში მუშაობს?

— მაია გაერთიანებულია კომპანია „არტფორუმში“, მაგრამ შტატში არ ირიცხება და არც ხელფასი აქვს. უბრალოდ, ჩვენ ვმუშაობთ მაიას პროექტებზე.

— მაიასთვის არასოდეს მიგიძღვნია სიმღერა?

— არა. მე არ მიყვარს სიმღერის მიძღვნა.

— ყველაზე მეტად რაზე საუბარს გაურბიხართ?

— არ არსებობს თემა, რომელზე საუბარსაც თავს ვარიდებ.

— რაც უფრო ცნობილია ადამიანი, მით უფრო მეტი ჭორი ტრიალებს მის შესახებ. თქვენ როგორი რეაქცია გაქვთ ჭორზე?

— ადრე ძალიან ვბრაზდებოდი, დღეს კი ვცდილობ, დიდი ყურადღება არ მივაქციო.

— გაიხსენეთ ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად გაგამწარათ?

— ბევრმა, რომელი ერთი უნდა გამოვყო?!. ძირითადად, ვბრაზდები ჭორზე, თუ ის ჩემს პირად ცხოვრებას ეხება.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ძალიან მიყვარს სახლში დივანზე წამოწოლა. ადრე ღამის კლუბებსა და ბარებში დავდიოდი, მაგრამ ეს ყველაფერი მომბეზრდა.

— თუ გიყვართ საყვარელი ადამიანებისთვის საჩუქრების მირთმევა?

— დიახ, ძალიან მიყვარს საჩუქრების მიძღვნა. მაიას ვჩუქნი ხოლმე იმას, რაც ვიცი, რომ მოეწონება. ხშირად ვასაჩუქრებ ჩემს დისშვილსაც. სულაც არ არის საჭირო, რომ ესა თუ ის საჩუქარი ძვირად ღირებული იყოს — მთავარია, ის მთელი გულით იყოს მირთმეული. ■



როგორ „დაკვიბახოთ" მშვილდოსანი



ზოდიაქო — 23 ნოემბერიდან 21 დეკემბრემდე.

მმართველი პლანეტა — იუპიტერი (თანამმართველი — ნეპტუნი).

სიმბოლო — კენტავრი (მეორე ვარიანტი — მშვილდი და ისარი).

სტიქია — ცეცხლი.

კვადრატი — მუტაბელური.

ტემპერამენტი — ქოლერიკი.

წარმმართველი მოტივი — სრულყოფილება და ხელმძღვანელობა.

ციფრები — 3 და 15.

ძვირფასი ქვა — ტოპაზი (დადებითი ენერგიის ქვები — იაგუნდი, ონიქსი, ფირუზი, ქარვა).

დევიზი — „მე მწამს!"

პრინციპი — „პატიოსნად!"

გასაღები — „მე ვხედავ", „მართვა".

არძეტიპი — უმაღლესი ქურუმი, მისიონერი.

პროფესია — იურისტი, თეოლოგი, მღვდელი, მოგზაური, მაძიებელი.

ძვეყანა — იტალიის ნაწილი, ესპანეთის ნაწილი, პორტუგალია, უნგრეთი, სლოვენია, ავსტრალია, შრი-ლანკა, სიცილია.

ქალაქი — ბუდაპეშტი, კიოლნი, შტუტგარტი, ტოლედო, ავინიონი, ბაღდადი, ისპაჰანი.

მოციქული — იაკობ ზებედესი.

ნიშნის ეზოთერიკული შინაარსი — ესაა საზოგადოების გამოწვევა, სწრაფვა უზენაესისკენ, მაგრამ ნატყორცნი ისარი სტიქიურ და ძნელად კონტროლირებად პირობებში ძალას კარგავს და რთული სათქმელია, მიაღწევს თუ არა მიზანს; ასევე გაურკვეველია, სწორადაა თუ არა არჩეული ეს მიზანი. მშვილდოსანი ოპტიმალურად მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც კარგი წინამძღოლი ან მრჩეველი ჰყავს, ან კიდევ, მოქმედებისას, სულიერ საწყისს ეყრდნობა.

დადებითი თვისებები — მამაცი, აქტიური, გულღია, გულწრფელი, სიცოცხლისმოყვარე, თავისუფლებისმოყვარე, კეთილგანწყობილი, ცნობისმოყვარე, მიზანსწრაფული, უყვარს ფილოსოფოსობა.

უარყოფითი თვისებები — ზედაპირული, მოუთმენელი, სწორხაზოვანი, ეგოისტი, განსჯის უნარს მოკლებული, არადიპლომატიური, უტაქტო, ხმაურიანი, ავანტიურისტი, ინფანტილური, ბრძანებისა და განკარგულების გაცემის მოყვარული.

ეპიპაქტები

საერთოდ, მშვილდოსან-მამაკაცს ძნელად თუ მოიხელთებთ, ამიტომ, თუ მასთან ნორმალური ურთიერთობა გსურთ, მის შეჩერებას ნუ ეცდებით, გვერდით მიჰყევით და თქვენს გეგმებზე ისე ესაუბრეთ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით — თუმცა, ამაში სიმართლის მარცვალიც დევს. მას უამრავი მეგობარი და ნაცნობი ჰყავს (სეიშელის კუნძულებზეც კი შეიძლება, შეხვდეთ მის ახლობელს, რომელთან ერთადაც მას ოდესღაც უმოგზაურია). საერთოდ, მოგზაურობა, ძიება და თავგადასავლებისკენ სწრაფვა მშვილდოსანი-მამაკაცის ჰობი გახლავთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ის სიყვარულში ცოტა თავქარიანია (ეს მშვილდოსან-ქალებსაც ეხება): შეუძლია, უეცრად შეიყვაროს ვინმე და მერე აღმოჩნდება, რომ ეს უბრალოდ, გატაცება იყო და მეტი არაფერი; არადა, მისი პარტნიორი ამ დროს, უკვე ჯვრისწერასა და საქორწინო მოგზაურობაზე ფიქრობს, მშვილდოსანი კი, უკვე სხვას ეკურკურება. თუ პასუხს მოსთხოვთ, ის ან ყველაფერს ხუმრობაში გაატარებს, ან ისე აორთქლდება, რომ თვალსაც ვეღარ მოჰკრავთ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მისი მოთოკვა და საოჯახო საქმეებში ჩაბმა საკმაოდ რთულია. თუ ეს მაინც მოახერხეთ, მომავალში მის შენარჩუნებაზე უნდა იფიქროთ. იმ მანდილოსნებს, ვისაც მშვილდოსანი შეჰყვარებიათ, რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას შევთავაზებთ. პირველი: ნუ იქნებით ეჭვიანი, სხვა მამაკაცებისგან განსხვავებით, მას ეს არ მოსწონს. ნუ შეზღუდავთ და ნურასოდეს ჰკითხავთ, თუ სად იყო მთელი ღამე. ნუ ჩაეძიებით და ნურც დაემუქრებით — გარწმუნებთ, რომ ეს ყოველივე თქვენთვის სასურველ შედეგს ნამდვილად არ მოიტანს. შეეცადეთ, ცხოვრებას მისი თვალებით უყუროთ. თუ მთელი დღით სადღაც იკარგება, სთხოვეთ, თან წაგიყვანოთ და აღმოაჩენთ, რომ მას რომანტიკული ნაცნობი კი არ ჰყავს, ვისთანაც ღამღამობით ერთობა, არამედ სტადიონზე საყვარელ გუნდს გულშემატკივრობს. რას იზამთ, ის ცეცხლის სტიქიას განეკუთვნება და საკმაოდ აზარტულიცაა. ნებისმიერ წამს მზად უნდა იყოთ, რომ დიდი ნაგაზი მოგაყენოთ კარზე და გამოგიცხადოთ — ეს ჩვენი ოჯახის წევრია და მას ცერბერი ჰქვიაო. ცხოველები, განსაკუთრებით — დიდი, მას ძალიან ხიბლავს. მასთან ურთიერთობის დროს, კლასიკურად ნუ ჩაიცვამთ, სჯობს, სპორტულად გამოიყურებოდეთ. თუ საუბრისას შენიშვნას მოგცემთ და თანაც, ამას უტაქტოდ გააკეთებს, ნუ დაემდურებით — მას ხომ სხვანაირად არ შეუძლია. მშვილდოსანი საკმაოდ ხმაურიანი და კამათის მოყვარულია, ხოლო თუ საუბარი ფილოსოფიას ეხება — უფრო კარგია. საერთო ჯამში, მშვილდოსან-მამაკაცზე ალბათ, უფრო მეტი დადებითის თქმა შეიძლება, ვიდრე უარყოფითის.

ეპიგრ

მშვილდოსანი-ქალი რამდენადაც ლამაზი და ჭკვიანია, იმდენად არასასურველი პარტნიორია (განსაკუთრებით, სუსტი ნებისყოფის მამაკაცებისთვის. „ჭკვიანი ქალი მამაკაცებს არ უყვართ" — ეს გამოთქმა მშვილდოსან-ქალზე ზედგამოჭრილია). ხანდახან შეიძლება, ისეთი რამ წამოროშოს, რომ მის პარტნიორ მამაკაცს თმა ყალყზე დაუდგება. ის ექსტრავაგანტურია და მამათქვენის წვეულებაზე (სადაც ის თქვენს მო-

მავალ მეუღლედ უნდა გამოაცხადოთ) შესაძლოა, წითლად შეღებილი თმით, ვარდისფერი სათვალითა და XV საუკუნის სტილში დამზადებული სამკაულებით გამოგეცხადოთ. თუმცა, ის მდენად გულუბრყვილოა, რომ თქვენს საყვედურს ნამდვილად ვერ გაიგებს და ვერ მიხვდება, თუ რატომ დაშორდით. თუ გინდათ, მას რაიმე შეასრულებინოთ, ნუ უბრძანებთ — უბრალოდ, სთხოვეთ და ის ნემსის ყუნწში გაძვრება და თქვენს თხოვნას უსათუოდ შეასრულებს (საოცრად ვერ იტანს ბრძანებებს). სულის სიღრმეში, მშვილდოსანი-ქალი ბავშვივით მიმნდობია, მისი შეხედულებები იმდენად სუფთაა, რომ მის მოტყუებას ყველა შეძლებს. შესაძლოა, იფიქროთ, რომ ეს ასე არ არის, ვინაიდან ის ძალზე ჭკვიანია და ლოგიკური მსჯელობის უნარით გამოირჩევა, მაგრამ ჩვენ ხომ ამ შემთხვევაში, ჭკუაზე კი არა, გულზე ვლაპარაკობთ. რამდენადაც ჭკვიანი და გამჭრიახია, იმდენად დაუცველია, როცა საქმე გრძნობებს ეხება. ხშირად, სიყვარულში არ უმართლებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის წუწუნს მოჰყვება. პირიქით — თავის ცრემლებს არავის დაანახვებს და რაც უფრო ნაკლებად უმართლებს, მით უფრო მხიარულია საზოგადოებაში; აი, ღამღამობით კი, ბალიშს ცრემლებით ნამდვილად დაასველებს. ისევე, როგორც მამაკაცი-მშვილდოსანი, ამ ნიშნით დაბადებული მანდილოსანიც ქორწინებისკენ მიდრეკილი სულაც არ არის. ამიტომაც, ბევრი „ოფლის დაღვრა“ მოგიწევთ, სანამ მის თანხმობას მიიღებთ. შესაძლოა, ხანდახან პირქუშიც მოგეჩვენოთ, მაგრამ საოცრად სენტიმენტალურია: მელოდრამის ყურებისას ტირის და ლექსის კითხვის დროსაც, თვალზე ცრემლი ადგება. რაც შეეხება მის დიასახლისობას — ამ მხრივ ცოტა ცუდადაა საქმე: ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ის კულინარობას ისწავლის (სწორედ ასეთია მისი საწინააღმდეგო ნიშანი — ტყუპიც). ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, მას საქმის კეთება უფრო ეზარება, ვიდრე არ ეხერხება. მასთან აუცილებელია, პირდაპირი და სამართლიანი იყოთ; ნუ გამოიწვევთ, თორემ, გესლიანიც გახდება. ძალზე უყვარს სტუმრები. ადამიანები მის გვერდით თავს მყუდროდ გრძობენ. თუ გადაწყვეტთ, მშვილდოსან-ქალს დაუკავშიროთ ბედი, ნამდვილად არ ინანებთ.

ბავშვი

მშვილდოსანი-ბავშვი დაბადებიდანვე ძალზე აქტიური, ცნობისმოყვარე და გულღიაა. მისთვის ხმაურიანი საზოგადოება ჩვეული გარემოა, ამიტომ ხალხით სავსე ოთახში უფრო მშვიდად დაიძინებს, ვიდრე მარტო. როგორც კი ფეხს აიდგამს, სასწრაფოდ დამალეთ ბასრი, მჭრელი და მსხვრევადი საგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ამ ნივთების „ამოქმედება“ სცადოს (ერთადერთი ნიშანი, რომელიც პატარა მშვილდოსანს შეედრება, ეს ვერძია, რომელსაც ამ თვალსაზრისით ბადალი არ ჰყავს). მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება პარკებსა და საბავშვო მოედნებზე: პატარა მშვილდოსანს ხშირად ნახავთ ხელფეხდალურჯებულს, კოპით „შუბლდამშვენებულს“. მას, ისევე, როგორც ცეცხლის სტიქიის სხვა ნიშნებს, მოჭარბებული ენერგია აქვს, ამიტომ უმჯობესია, ის სპორტით დააკავოთ. შესაძლოა, მისგან სახელოვანი სპორტსმენი არ დადგეს, მაგრამ ზედმეტ ენერგიას ნამდვილად დახარჯავს. გაითვალისწინეთ, რომ ის მშობლებს იმ შემთხვევაში უჯერებს, როცა ისინი სამართლიანობას, წესიერებას და შვილებისადმი პატივისცემას იჩენენ. თუ მასთან რაიმე შეგეშალათ, მაშინვე უნდა აღიაროთ და ბოდიშიც მოუხადოთ, თორემ, მის თვალში ავტორიტეტს დაკარგავთ (მშვილდოსანი ხომ სამართლიანობის სიმბოლოა, ასე რომ, პატარაც ნებისმიერ არასწორ მოქმედებას ქვეცნობიერად გრძნობს). შესაძლოა, მას სახლიდან გაქცევაც მოუნდეს, ეს მასში ჩაბუდებული, თავისუფლებისმოყვარეობის გამოხატულებაა, ამიტომ, ნუ შეზღუდავთ და ნურაფერს აიძულებთ — უბრალოდ შეეცადეთ, მის ენერგიას თქვენთვის სასურველი კალაპოტი მოუძებნოთ. ნუ იდარდებთ, თუ ნაადრევი სიყვარული ეწვია: ის საკმაოდ ხანმოკლე იქნება, რადგან ძალიან იშვიათად ხდება, რომ მისი ბავშვური სიყვარული სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს. აუცილებელია, რომ მას ეკონომია ასწავლოთ, თორემ, პატარა მშვილდოსანს ერთ დღეში მთელი თქვენი დანაზოგის განიავება შეუძლია. თუ შეამჩნევთ, რომ მფლანგველია და ერთი კვირის სამყოფ ფულს ერთ საათში ხარჯავს, ნურაფერს ეტყვით — უბრალოდ, მომავალი ერთი კვირა მხოლოდ ღვეზელით მოამარაგეთ და მიხვდება, რომ რაღაც შეცდომა მოუვიდა. ხშირად ატარეთ სუფთა ჰაერზე, რათა ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ შეექმნას. სხვათა შორის, კარგი იქნება, თუკი პატარაობიდანვე შესთავაზებთ გონების სავარჯიშო თამაშებს, რაც მას ინტელექტუალურ ადამიანად აქცევს. როცა წამოიზრდება, წასაკითხად მიეცით ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიები და სათავგადასავლო ლიტერატურა. ნუ შეზღუდავთ, ნუ გაუბრაზდებით, ფიზიკურად ნუ დასჯით — თუნდაც, ცუდი სწავლის გამო — და გჯეროდეთ, რომ ის ღირსეულ, სამართლიან და მებრძოლ ადამიანად გაიზრდება.

ᲔᲣᲕᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲘᲣᲤᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗ

ტიბერიუს კლავდიუს ნერონი
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი
ლოპე ფელიქს დე ვეგა
ფერნანდო მაგელანი
მარია ტიუსო
ჰექტორ ბერლიოზი
უინსტონ ჩერჩილი
ბრუნო ჰუბერი
ალისია ალონსო
ფრენკ სინატრა
უოლტ დისნეი
რობერტ კოხი
მარია კალასი
მარკ ტვენი

რუბრიკა მოამზადა რამაზ ბიგაურმა

ქართულ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ

გამოთქმა დაკავშირებულია რუსი მხედართმთავრის ა.ვ. სუვოროვის (1730-1800) სახელთან.

სუვოროვის პიროვნება იშვიათი მოვლენა იყო იმდროინდელ რუს საზოგადოებაში. თავისი ორიგინალურობითა და დამოუკიდებელი ხასიათით იგი სავსებით განსხვავდებოდა სხვებისგან. სუვოროვი შაბლონის შეურიგებელი მტერი იყო. სუვოროვისმაგვარი წარმატება არც ერთ სარდალს არ ჰქონია. იგი 40 წლის განმავლობაში იყო ჩაბმული ომებში და დამარცხება არც ერთხელ არ განუცდია.

1773 წლის მაისში სუვოროვმა განიზრახა აეღო მდ. დუნაის გაღმა მდებარე პატარა ქალაქი ტურტუკაი, მაგრამ თურქებმა დროზე შეამჩნიეს რუსების რაზმი და დროზე მოიგერიეს. უმაღლესი სარდლობისაგან სუვოროვმა ბრძანება მიიღო, თავი შეეკავებინა ხელახალი გალაშქრებისგან, მაგრამ სუვოროვმა 22 მაისის ნაშუაღამევს სწრაფი დარტყმით აიღო ტურტუკაი. ბრძოლის დამთავრებისთანავე მიუჯდა დოლს და ასეთი გალექსილი პატაკი დაწერა:

Слава богу, слава вам
Туртукай взят и я там.

ჯარების მთავარსარდალი აღაშფოთა სუვოროვის „თვითნებობამ“ და პასუხისგებაში მისცეს. სამხედრო კოლეგიამ სუვოროვს სიკვდილი მიუსაჯა. არსებობს გადმოცემა, რომ იმპერატორმა ეკატერინე არ გაიზიარა კოლეგიის აზრი და ასე წააწერა განაჩენს: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“.



1 დე-გუსტაცია
2 ვაკე ადგილი მდინარის პირას
3 გადა-სატანი დასაკეცი ტიხარი
4 სახ-ელმწიფო აზიაში
5 სტალ-ინის პარტული მეტსახელი
6 უდედმამო
7 საპარ-სო დანა
8 ბოსტ-ნეული
9 მარცვ-ლეული კულტურა
10 „პეშ-ვის ნახევარი“
11 მოჭი-დავე
12 პერუს დედაქალა-ქი
13 ძვირ-ფასი ქვა
14 ციური სხეულის სამოძრაო გზა
15 რე-ჟისორი ... ღოღო-ბერიძე
16 ნად-ირობის ქალმერთი ქრთ. მთ
17 ნაკ-ლოვანება, ხარვეზი
18 ინგ-ლისის სამეცნიერო საზოგადო-ების წევრი
19 ესპან-ელი ფერმწერი
20 მუს-ლიმანთა სასულიერო სასწავლე-ებელი
21 მათემ-ატიკოსი... ვეკუა
22 საკრ-ებულო მეჩეთი
23 შოკო-ლადის ხე
24 აღმო-სავლური ტაბილეუ-ლი
25 ერთგ-ვარი ნამცხ-ვარი
26 დიდი ციმბირუ-ლი ირემი
27 ქიმი-ური ელემენტი
28 აუქ-ციონზე გასაყიდი ნივთი
29 ალ-პინისტის ფეხსაც-მელი
30 ზღვის მოლუსკი „წყლის სანიტარი“
31 რხევა

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ფეიერვერკი; 2. ფორუმი; 3. იბსენი; 4. რული; 5. ესქილე; 6. კლოუნი; 7. ელინი; 8. ინცესტი; 9. ბოსტონი; 10. ბარძიმი; 11. პუდელი; 12. მანი; 13. თეოლოგი; 14. აბორტი; 15. როკი; 16. ძიუდო; 17. არმადა; 18. ერა; 19. ფინეთი; 20. ფირუზი; 21. ბროკერი; 22. საკურა; 23. ლოპარდი; 24. ბუტკო; 25. მნე; 26. რადიო; 27. სუ; 28. დღე; 29. ტუგრიკი; 30 ენისეი; 31. ჩირი; 32. ხიბლი.

სურათზე: რასელ ქროუ.

37-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-გ.

დანაიდების ჯასრი

ფუჭი, უნაყოფო და ამასთანავე, დაუსრულებელი შრომა, ისეთივე, როგორიც სიზიფეს შრომა.

ძველი მითის თანახმად, ძმები დანაე და ეგვიპტე ერთად მართავდნენ ლიბიას. ეგვიპტეს 50 ვაჟი ჰყავდა, დანაეს — 50 ქალიშვილი. ეგვიპტის ვაჟებმა დანაიდებზე ქორწინება განიზრახეს. დანაე ამის წინააღმდეგი იყო. ამასთანავე, ეგვიპტემ მარტო მოინდომა ქვეყნის გამგებლობა და განიზრახა ძმის თავიდან მოცილება. დანაე იძულებული გახდა, თავის ქალიშვილებთან ერთად არგოსში გაქცეულიყო. არგოსი უწყლო ქვეყანა იყო. დანაემ და მისმა ქალიშვილებმა ჭები გათხარეს, წყაროები აღმოაჩინეს და ქვეყანა წყლით მოამარაგეს, რითიც დიდი პატივისცემა დაიმსახურეს არგოსელებს შორის. დანაე მალე გამეფდა არგოსში. ამის შემდეგ, არგოსელებს დანაელები უწოდეს. ამასობაში, არგოსში ეგვიპტეს 50 ვაჟი ჩამოვიდა, რომლებიც ძალდატანებით დაქორწინდნენ დანაეს ქალიშვილებზე. მისნის წინასწარმეტყველებით, დანაეს მისივე სიძისაგან მოელოდა სიკვდილი. ამის გამო, მან უბრძანა თავის ქალიშვილებს, ქორწინების პირველსავე ღამეს დაეხოცათ თავიანთი ქმრები. დანაიდებმა შეასრულეს მამის ბრძანება, მხოლოდ ერთი ქალიშვილი — ჰიპერმენსტრა არ დაემორჩილა მამის განკარგულებას და მისი ქმარი — ლინკევსი ცოცხალი დარჩა. მან შემდეგ მართლაც, მოკლა თავისი სიმამრი. ამ დანაშაულისათვის ღმერთებმა დანაიდებს საიქიოს უძირო კასრის წყლით ავსება მიუჩინეს სასჯელად.

თამუნა კვინიკაძე

ქარიოლ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები

ანეკდოტები

***

სეროჟას ჰკითხეს:
— მიწაში ხალხი ცხოვრობს?
— ცხოვრობს, აბა რა. მა ბოლოკებს ვინა „კრასკამს“?!

***

ზამთრის დაუწერელი კანონი:
ნუ ჩაყლაპავთ ენაზე დაცემულ ფიფქს... სანამ არ დარწმუნდებით, რომ ყველა ჩიტი გაფრინდა თბილ ქვეყნებში.

***

მოხუც გურულ ქალს ჰკითხეს:
— პელაგია ბებია, გოზინაყი გირჩევნია თუ კაცი?
— საგოზინაყე კბილები სა მაქვს, შვილო...

***

გურული სტუდენტი ვიდეოთი პორნოფილმს უყურებს. მეორე ოთახიდან ბებიამ გამოსძახა:
— ზურიკელა, რას უყურებ, შვილო?
— საბრძოლო ფილმს, ბებია.
— მერე ვინაა ის საცოდავი ასთე რომ ოხრავს?
— მთავარი გმირია... კვდება.

***

ტიპს საბურავი გაუსკდა, გააჩერა მანქანა, ამოიღო „დანკრატი“, ჩაცუცქდა საბურავთან და ხსნის.
უცებ ჩამოივლის სვანი:
— რას შვები?!
— საბურავს ვხსნი.
სვანი აიღებს ქვას და ფანჯარას ჩაამტვრევს:
— მაშინ, მე მაგნიტაფონს მოვხსნი!

***

ზოგჯერ ქორწინება კარგად მთავრდება — ზოგჯერ კი სიკვდილამდე გრძელდება.

***

— დედიკო, რატომღაც ყველა მეუბნება რომ ძალიან დაბნეული ხარო.
— ბიჭი, დედაშენი გვერდზე სადარბაზოში ცხოვრობს.

***

ამერიკელი მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ, რა აკლია ორგანიზმში ადამიანს, რომელიც პოლიეთილენის საგნებს ჭამს და ბოლოს, მივიდნენ დასკვნამდე — ტვინი!

***

— ნაზიკია რეიზა დაშორდი ბიჭიკიას?
— იმიზა, რომე მასზე წარმოდგენა შემეცვალა.
— მაშვინ, ეგ ბრილიანტის ბეჭედი რეიზა არ დოუბრუნე?
— მე წარმოდგენა მარტო ბიჭიკიაზე შემეცვალა, ბრილიანტზე კი არა.

***

ახალბედა სიძეებისთვის
თუ სიდედრი გირეკავთ და გეკითხებათ როგორ შეცვალოს გადამწვარი ნათურა, სწორი პასუხი ასე უნდა იწყებოდეს:
— ხელები კარგად დაისველეთ...

***

ორი კამიკაძე დავალების შესასრულებლად მიდის:
— ნერვიულობ?
— ისე რა... რაც არ უნდა იყოს, პირველი დავალებაა...

***

მოსამართლე ეკითხება მოსარჩლეს:
— და თქვენ ამტკიცებთ, რომ გცემათ ქმარმა, რომელიც ყავარჯენზე ძლივს დგას?
— როცა ჩხუბი დაიწყო, ყავარჯენი არ სჭირდებოდა.

***

მშობლებმა, რომლებიც შვებულებიდან შვილის ჩამოსვლას ელოდებიან, დეპეშა მიიღეს:
„მატარებელზე დავაგვიანე, გამოვალ ხვალა, ამავე დროს“.
— აი, სულელი!.. — ამბობს მამა — ამავე დროს თუ გამოვა, ხო ისევ დააგვიანებს ე ვირიშვილი ჰაა?!.

***

ვალოდა ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნდა. ხედავს, ლოგინში მის ცოლთან ზანგი წევს.
— ფატიმა, ეს რა არის?!
— იკითხა ქმარმა.
— ვერ ხედამ, ჰუმანიტარული დახმარებაა.

***

— ვანო, რატომ გააცდინე გუშინ გაკვეთილები?!
— ჩემი უფროსი ძმა მიტო ავათ გახდა მასწ!
— მერედა, შენ რა შუაში ხარ?
— მე მთელი დღე იმისი ველოსიპედით „ვკატაობდი“.

***

საბაჟოზე:
— გახსენით თქვენი ჩემოდანი.
— კი, მაგრამ მე არ მაქვს ჩემოდანი!
— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, კანონი ყველასთვის ერთია.

***

ცოლი ქმარს ეჩხუბება დაგვიანებისთვის. ქმარმა ვერ მოითმინა და უყვირა:
— დაიძინე, ქალო და გაჩუმდი, ერთხელ და სამუდამოდ!
— დაძინებით დავიძინებ, მაგრამ გაჩუმებით არ გავჩუმდები!

***

ებრაელს კარზე უკაკუნებენ:
— კაკუნ-კაკუნ.
— მანდ ვინ არის?
— შენი შანსი.
— ტყუილია.
— რატომ?
— შანსი ორჯერ არ აკაკუნებს დაგენაცვლე.

***

იმერელი ექიმთან მივიდა:
— რა გაწუხებთ?
— აფერი...
— აბა, რაღას მოდიოდი?
— მეინტერესებოდა, ხვარაფერი მჭირს, აფერი რო არ მაწუხებდა?!

***

ფოტოგრაფი მიმართავს ფოტომოდელს:
— ახლა მიიღეთ დაბნეული სახე. ამაში მეც დაგეხმარებით... აბა, რამდენია 7X6?

***

ქუთაისური როკჯგუფის წევრი რეპეტიციაზე დაგვიანებით შედის და მაგიდაზე არაყის ბოთლს დგამს:
— ბუჭუნია, შენ რა, რეპეტიციის გასავლელათ არყით მოხვედი?!
— არა ბუჯო, დასალევათ მევედი გიტარით.

სუფევს თუ არა თქვენში „სიკეთის გენი“?

1. დავუშვათ, რაღაც გარკვეული თანხა გაქვთ. შეგიძლიათ თუ არა, რომ ამ თანხის ნახევარი მეგობრების, ოჯახის წევრების, თქვენთვის საყვარელი ადამიანის საჩუქრებში დახარჯოთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

2. თქვენი რჩეული საკუთარი პრობლემის შესახებ გიყვებათ, მაგრამ ეს ნაკლებად გაღელვებთ, რადგან საკუთარი საზრუნავიც საკმაოდ გაქვთ. აგრძნობინებთ თუ არა რაიმით მას, რომ მისი პრობლემა საერთოდ არ გაინტერესებთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

3. თქვენი რჩეული საკმაოდ სუსტად თამაშობს კარტს (ჭადრაკს, ჩოგბურთს...). ზოგჯერ დაუთმობთ თუ არა, იმისათვის, რომ სიამოვნება მიანიჭოთ მას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

4. ყოფილა შემთხვევა, როცა სრულიად უმიზეზოდ შეგიქიათ თქვენი მეორე ნახევარი, მხოლოდ იმიტომ, რომ სიამოვნება მიგენიჭებინათ მისთვის?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

5. გიყვართ თუ არა ვინმეს გამასხარავება?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

6. გაქვთ თუ არა გამყოლი გული ანუ წყენა დიდხანს მიგყვებათ თუ არა?
ა) დიახ — 0;
ბ) არა —1.

7. შეგიძლიათ თუ არა მოთმინებით მოისმინოთ ახლობლის მსჯელობა იმ საკითხზე, რომელზეც მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი აზრი გაქვთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

8. ახერხებთ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენებას?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

9. შეწყვეტთ თუ არა თამაშს, თუკი შეატყობთ, რომ აგებთ?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

10. ყურს დაუგდებთ თუ არა მოწინააღმდეგის არგუმენტებს, თუკი დარწმუნებული ხართ საკუთარ სიმართლეში?
ა) დიახ — 0;
ბ არა — 1.

11. ხალისით უსრულებთ თუ არა ახლობლებს თხოვნას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

12. შეგიძლიათ თუ არა გაამასხარაოთ საყვარელი ადამიანი — ხუმრობით დაუწუნოთ მას გარეგნობა (ჩვევები, ასაკი და ა.შ.)
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

ტესტის შედეგები

8 და მეტი ქულა: თქვენ ზედმიწევნით თავაზიანი, კეთილმოსურნე ადამიანი ბრძანდებით და ამიტომაც მოსწონხართ სხვებს. ირგვლივ მყოფებთან კეთილი ურთიერთობების დამყარების უნარით გამოირჩევით და ამიტომ, ბევრი მათგანი ცდილობს თქვენთან დაახლოებას. ეს შესანიშნავია. თუმცა, თქვენმა გადაჭარბებულმა კეთილშობილებამ შესაძლოა, ზოგჯერ ცუდი სამსახური გაგიწიოთ, თუკი ცხოვრების გზაზე უპატიოსნო, ცრუ და უცერემონიო ადამიანს გადაეყრებით. ინერციით, თქვენ ამგვარი ადამიანის კეთილგანწყობილების მოპოვებასაც შეეცდებით, მაგრამ ეს მხოლოდ დაგამცირებთ როგორც ირგვლილ მყოფთა, ასევე მის თვალში. უფრო მეტიც: გარდა იმისა, რომ ის არაფრად ჩააგდებს თქვენს კეთილშობილებას, გამოვლენილ სიკეთეს ის თქვენს სისუსტედ აღიქვამს და საკუთარი მიზნებისთვის მის გამოყენებას ეცდება.

4-დან 8 ქულამდე: შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სიკეთე „შერჩევითი“ ხასიათისაა. ზოგიერთი ადამიანისადმი თქვენ უსაზღვროდ დიდ სიკეთეს ავლენთ, ზოგიერთს კი საკმაოდ უგულოდ ექცევით. ამის გამო, ირგვლივ მყოფებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ექმნებათ თქვენზე. მათ, ვისაც კარგად ეპყრობით, სიამოვნებთ თქვენთან ურთიერთობა, დანარჩენებისთვის კი თქვენთან ურთიერთობა უსიამოვნო აუცილებლობაა. ეცადეთ, რომ თქვენი შინაგანად საოცრად კეთილი ნატურის კონტურები უფრო მეტად გამოავლინოთ გარეგნულად. ეს ხელს შეგიწყობთ სოციალური კონტაქტების მოგვარებაში.

4 და ნაკლები ქულა: გულწრფელად რომ გითხრათ, ირგვლივ მყოფებს უმძიმთ თქვენთან ურთიერთობა, ამით განსაკუთრებულად თქვენი ახლობლები იტანჯებიან. აშკარად არ გამოირჩევით კეთილმოსურნე და გულღია ხასიათით. ვინაიდან გამუდმებით ნეგატიურ გრძნობებს აფრქვევთ, თავადაც იმავეს იმკით. მართალია, ამ მოჯადოებული წრის გარღვევა გაგიჭირდებათ, მაგრამ ყველაფერი საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოთ. მაგალითად: ეცადეთ, რომ უფრო თავაზიანად მიმართოთ მაღაზიის გამყიდველს, ქათინაური უთხრათ მეზობელს და ა.შ. გულკეთილობა ხომ ის თვისებაა, რომლის საკუთარ თავში აღზრდაც ადამიანს ხელეწიფება. ასე რომ, ნუ გაუშვებთ ამ შესაძლებლობას ხელიდან!

გენიოსების ცხოვრებიდან

***

ერთხელ, აკაკის ჯიბგირი მიეპარა და ჩუმად ჩაუყო ხელი ჯიბეში, სადაც ნაწერი ქაღალდების მეტი არა იყო რა. პოლიციელმა თურმე, შენიშნა და ჩაავლო ჯიბგირს. როცა მწერალმა დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი დაინახა, შეეცოდა, მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: შე კაცო, აკი ერთხელაც გითხარი, მაგას ნუ შვრები-მეთქი, რად იცი ხოლმე ჩემს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო, არ იქნება? როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოასწრებთ სხვებთან ერთად წაკითხვასაო! პოლიციელმა იფიქრა: ალბათ, ნაცნობები არიანო, ჯიბგირს ბოდიში მოუხადა და გაუშვა.

რამდენიმე წლის შემდეგ, პოეტს წერილი მოუვიდა: „დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და იბეჭდება, ყველაფერს ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად განახეთ, იმ დღიდან ხელი ავიღე ჩემს პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების აკინძვა და თუ ინებებთ, თქვენ ამას ნახევარ ფასში გაგიკეთებთო“.

ანდაზა ციფრებში

	12		33		28	19	22	29	23		6		17	
25	23	31	2	14	19		23		33	1	2	10	13	2
	33		20		18	19	1	30	19		26		4	
20	2	11	15	9	19		29		2	9	19	9	19	2
13		23		13		20	19	2		2		2		22
8	2	22	6	23	33	19		22	13	7	13	16	29	2
4		19		20		27	1	23		19		33		3
19	30	2	6	2	21	13		13	5	2	32	23	33	19
	33		4		4		9		23		23		23	
24	13	29	19	22	2		13		5	19	22	13	1	19
	18		12		22	13	10	30	19		7		30	
28	19	1	19	11	19		30		2	22	2	16	19	2
19		2		23		32	19	2		23		2		16
20	2	22	2	17	19		6		7	1	23	27	16	23
13		19		19		31	2	19		19		19		2

ა	ბ	გ7	დ	ე	ვ	ზ	თ	ი19	კ	ლ22
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ1	ს	ტ	უ	ფ	ქ
ღ	ყ25	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ3

წინა ნომრის შიფრვორდის პასუხები

ა-6; ბ-15; გ-3; დ-11; ე-20; ვ-1; ზ-14; თ-23; ი-9; კ-18; ლ-4; მ-21; ნ-10; ო-24; პ-7; ჟ-29; რ-16; ს-27; ტ-5; უ-31; ფ-22; ქ-13; ღ-17; ყ-2; შ-28; ჩ-32; ც-25; ძ-12; წ-30; ჭ-19; ხ-33; ჯ-8; ჰ-26.

***

„დროების“ რედაქციაში ერთხელ გაზეთის თანამშრომლები შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. იქ იყო იონა მეუნარგიაც, რომელიც „ლელოს“ ფსევდონიმით წერდა „დროებაში“.

ამ დროს რედაქციაში აკაკი შევიდა და მეუნარგიას შეუტია — „სუ, ლელო!...“

***

შემოდგომის ერთ დღეს, სეირნობის დროს, აკაკიმ წინ ჩაუარა მოლზე მსხდომ ქალ-ვაჟს. სჩანს, მთაში თოვლი მოსულაო, — დასცინეს ახალგაზრდებმა პოეტის ჭაღარას და გადაიხარხარეს. მგოსანმა ყური მოჰკრა მათ ნათქვამს და სწრაფადვე უპასუხა:

— მართალსა ბრძანებთ! ეს იმით უფრო აიხსნება, რომ ვირები ძირს ჩამოსულან და მწვანეზედ გორაობენო.

***

თამაზ ქვარიანის ქორწილში სტუმრად მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების მსახიობები იყვნენ. პირველ დღეს ახალგაზრდობას ეროსი მანჯგალაძე თამადობდა, მეორე დღეს, „ძველგაზრდობას“ — ბატონი აკაკი ხორავა. ქორწილის დამთავრებისას, ეროსიმ სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა და თქვა: ორი ტაიმისაგან შემდგარმა შეხვედრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული თამადა. ამისათვის, როგორც წესი, აუცილებლად უნდა დაინიშნოს „დამატებითი“ ქორწილი. შესვლა თავისუფალია. გთხოვთ, მობრძანდეთო.

ეროსის ხათრითა და მისი ასეთი განცხადების წყალობით, მესამე დღეს „დამატებითი“ ქორწილი დაინიშნა.

***

არტურო ტოსკანინის ჰკითხეს, რატომ არასოდეს ჰყოლია ორკესტრში ქალი?

— იცით, რა, — უპასუხა მაესტრომ, — ქალები ძალიან ხელის შემშლელები არიან: თუ ისინი ლამაზები არიან, მაშინ ხელს უშლიან ჩემს მუსიკოსებს, თუ მახინჯები, მაშინ უფრო მეტად მე მიშლიან ხელს!

***

ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ, ვასო ყუშიტაშვილი შინსახკომში 12 საათისათვის დაიბარეს. დროულად მივიდა. ზის მოსაცდელში. 12 საათს კარგა ხანია, გადასცდა. ადგა — მივდივარო. შეიყვანეს. შარის მოსადებად, უნდათ რაიმე დააცდენინონ. ჰკითხეს: რა განსხვავებაა ამერიკასა და საბჭოეთს შორისო? იქ 12 საათზე რომ დაგიბარებენ, ზუსტად თორმეტზე მიგიღებენო...

***

გრიგოლ დადიანი 73 წლის ასაკში ექიმთან მივიდა და სთხოვა, კბილები გამიკეთეო. აკაკის როცა ეს გაუგია, უკითხავს:

— მერე, ნამდვილად იცის, რომ საიქიოში საჭმელი იქნებაო?..

***

ირაკლი აბაშიძე ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა ვასილ მჟავანაძესთან დააბეზღა: შენ რომ დაიმეგობრე და სანადირო-დაც დაგყავს, ხალხში დაგცინის, ყვარყვარეს გეძახისო. ირაკლი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს და მის მაგივრად, გრიგოლ აბაშიძე დანიშნეს.

მაშინ თქვა: რა მოსვლია საწყალ ირაკლის — ერთბაშად დაპატარავებულა, გამხდარა, თმა გასცვენია, გამელოტებულა და ახლა გრიშას ეძახიანო...

რუბრიკა მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ფოტოკუთხეები



ეკლესიის!

არ გამოგრჩეთ!

№23(34), 16-29 დეკემბერი 2005

ფასი 80 თეთრი

ეპოქა

მართლმადიდებლური ჟურნალი

683/34

ნომრის თემა:
ჩვენი პატრიარქი

ქართველი ერის გულთაბოძი

ზუსტად ის მითხრა, რაც მაშინ მჭირდებოდა

როცა ყველაზე მეტად გინდა მოწევა, მაშინ მოითმინე და სხვა დროს აღარ გაგიჭირდება

ადამიანს თავზე კი არ უნდა მისცე, თავზის ჭერა უნდა ასწავლო

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ